

სააქციო საზოგადოება

„საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციები“
(საიდენტიფიკაციო ნომერი: 404642892)

ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი

საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი ადგენს შეთავაზების პირობებს და წარმოადგენს ობლიგაციების ემისიის საბოლოო პროსპექტის პირობების დოკუმენტს.

აღნიშნული დოკუმენტით განისაზღვრება 80,000,000 (ოთხმოც მილიონ) აშშ დოლარამდე ჯამური ნომინალური ღირებულების 60 თვის ვადის ფიქსირებული საპროცენტო სარგებლის და „ობლიგაციების პირობების“ შესაბამისად განსაზღვრული უფლებების, მათ შორის გამოსყიდვის ოფციის უფლების მქონე მწვანე უზრუნველყოფილი ობლიგაციების შეთავაზების პირობები.

| | |
|--|--|
| ფასიანი ქაღალდის დასახელება | სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციები“ („GRPO“) მწვანე უზრუნველყოფილი ობლიგაციები („ობლიგაციები“). |
| ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია | სააქციო საზოგადოება „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციები“ (ს/ნ: 404642892), მის.: N10 მედეა (მზია) ჯუღელის ქ., თბილისი, 0179, საქართველო. ტელეფონი: +(995 32 2) 93 11 11, ელ-ფოსტა: info@grpc.ge, ვებ-გვერდი: www.grpc.ge. |
| განთავსების აგენტი 1-ის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია | სს „გალტ ენდ თაგარტი“ (ს/ნ: 211359206) მის.: N3 პუშკინის ქ., 0105, თბილისი ელ-ფოსტა: gt@gt.ge; sales@gt.ge ვებ-გვერდი: https://galtandtaggart.com/en ტელ.: (+995 32) 2 40 11 11 |
| განთავსების აგენტი 2-ის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია | შპს „თბილისი კაპიტალი“ (ს/ნ: 204929961) მის.: N7 მარჯანიშვილის ქუჩა, 0102, თბილისი ელ-ფოსტა: info@tbccapital.ge ვებ-გვერდი: https://www.tbccapital.ge/ ტელ.: (+995 32) 2 27 27 33. |
| პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია | საქართველოს ეროვნული ბანკი, N1 ზვიად გამსახურდიას სანაპირო, თბილისი, 0114, ტელ: +995 322 40 64 06; ელ-ფოსტა: info@nbg.gov.ge; ვებ-გვერდი: https://nbg.gov.ge/ |
| პროსპექტის დამტკიცების თარიღი | 2022 წლის 29 სექტემბერი |
| პროსპექტის მოქმედების ვადა | კანონმდებლობის შესაბამისად, საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცებიდან 12 თვე. |
| შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცების თარიღი | 2022 წლის 11 ოქტომბერი |
| ემისიის სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი | GE 2700604186-1-01 |
| ემისიის საერთაშორისო რეგისტრაციის ნომერი ISIN | GE 2700604186 |

შეთავაზების დოკუმენტი წარმოადგენს საბოლოო პროსპექტის განუყოფელ ნაწილს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულებების შესახებ.

დამტკიცებულია ეროვნული ბანკის მიერ



ბელმოწერილია სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციების“ სახელით:

ბელმოწერი:

სახელი: ზურაბ გორდეზიანი

თანამდებობა: გენერალური დირექტორი

ბელმოწერა:

თარიღი: 2022 წლის 10 ოქტომბერი

ბელმოწერი:

სახელი: ნანა შვიდობაძე

თანამდებობა: ფინანსური დირექტორი

ბელმოწერა:

თარიღი: 2022 წლის 10 ოქტომბერი

ბელმოწერი:

სახელი: ავთანდილ ნამიჩიშვილი

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ბელმოწერა:

თარიღი: 2022 წლის 10 ოქტომბერი

ბელმოწერილია სს „გალტ ენდ თაგარტის“ სახელით:

ბელმოწერი:

სახელი, გვარი: ოთარ შარიქაძე

თანამდებობა: მმართველი დირექტორი

ბელმოწერა:

თარიღი: 2022 წლის 10 ოქტომბერი

ბელმოწერილია შპს „თიბისი კაპიტალის“ სახელით:

ბელმოწერი:

სახელი, გვარი: მერი ჩაჩანიძე

თანამდებობა: მმართველი დირექტორი

ბელმოწერა:

თარიღი: 2022 წლის 10 ოქტომბერი

ინფორმაცია ობლიგაციების შესახებ

ობლიგაციების ძირითადი მახასიათებლები:

| | |
|--|--|
| ობლიგაციების საპროცენტო სარგებელი (კუპონი) | ობლიგაციაზე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება მისი ნომინალური ღირებულებიდან, და შეადგენს წლიურად ფიქსირებულ 7.00%-ს. |
| ობლიგაციების ამორტიზაციის პირობები | ობლიგაციების ძირი თანხის გადახდა სრულად მოხდება ობლიგაციების დაფარვის თარიღში. |
| სარგებლის (პროცენტის) დარიცხვა და გადახდა | ობლიგაციებს პროცენტის სახით დაერიცხება საპროცენტო სარგებელი ზემოთ მითითებული განაკვეთით ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან ობლიგაციების განაღდებას (დაფარვის) თარიღამდე. პროცენტის დარიცხვა მოხდება წელიწადში 365 დღის საფუძველზე. ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტი გადაიხდება 6 თვეში ერთხელ 12 ოქტომბერსა და 12 აპრილს. დარიცხული პროცენტის პირველი გადახდა მოხდება 2023 წლის 12 აპრილს. |
| ობლიგაციების ვალუტა | ობლიგაციები დენომინირებულია აშშ დოლარში. |
| ობლიგაციებთან დაკავშირებული უფლებები და შეზღუდვები | „ობლიგაციების პირობებით“ განსაზღვრულის გარდა, პროსპექტით არ არის გათვალისწინებული ობლიგაციებთან დაკავშირებული რამე განსაკუთრებული უფლებები და შეზღუდვები. |
| ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვა | ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევა შეზღუდული არ არის. |
| გამოსყიდვის ოფცია | „ობლიგაციების პირობების“ შესაბამისად დადგენილ შემთხვევებში, ობლიგაციებს გააჩნია გამოსყიდვის ოფციები, როგორც განსაზღვრულია „ობლიგაციების პირობების“ მე-7 პირობით „ობლიგაციების გამოსყიდვა და შექმნა“. |
| ემიტენტის/ობლიგაციების საკრედიტო რეიტინგი | არც ემიტენტს და არც ობლიგაციებს გააჩნიათ საკრედიტო რეიტინგი. |
| ობლიგაციების დაფარვის თარიღი | ობლიგაციების დაფარვა, ანუ მისი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა მოხდება 2027 წლის 12 ოქტომბერს. |
| რეგისტრატორის საკონტაქტო ინფორმაცია | სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“ (ს/ნ 205156374). თბილისი, 0162, N11 მოსაშვილის ქ.; ტელ.: (995 32) 2 25 15 60; ელ-ფოსტა: info@usr.ge (ემიტენტი უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებას ობლიგაციების გამოშვებამდე). |
| სავაჭროდ დაშვება | ემიტენტს გამოზნული აქვს ობლიგაციების განთავსების შემდგომ განაცხადით მიმართოს „საქართველოს საფონდო ბირჟას“ ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე. მენეჯმენტის შეფასებით, ბირჟის ლისტინგში დაშვებისთვის კომპანია აკმაყოფილებს ყველა პირობას (საკუთარი კაპიტალის მოცულობა, მომგებიანობა, და ა.შ). საფონდო ბირჟის წესებთან შესაბამისობის ნაწილს შეაფასებს საფონდო ბირჟა. ლისტინგის პირობები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://gse.ge/upload/_28.05.2020_6f4d6e87.pdf . |
| ობლიგაციების კლასი და სტატუსი | ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის უზრუნველყოფილ ვალდებულებას. ყველა ობლიგაციას აქვს თანაბარი, იდენტური სამართლებრივი სტატუსი, ერთმანეთთან რაიმე უპირატესობის გარეშე. შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, ობლიგაციებს ექნებათ კომპანიის ყველა სხვა უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნის თანაბარი სტატუსი გადახდის უფლებასთან (პრიორიტეტულობასთან) მიმართებაში. |

| | |
|---|---|
| <p>უზრუნველყოფა</p> | <p>ობლიგაციები უზრუნველყოფილია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ემიტენტის პირდაპირ ან შვილობილების მეშვეობით არაპირდაპირ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით და სახელმწიფო ან მუნიციპალურ მიწებზე გაცემული აღნაგობის უფლებებით, როგორც განსაზღვრულია „ობლიგაციების პირობების“ შესაბამისად და დეტალურად მოცემულია იპოთეკის ხელშეკრულებაში; 2. გარანტორების მიერ გაცემული სოლიდარული თავდებობით, რომლის საფუძველზეც გარანტორებს წარმოეშობათ ობლიგაციონერების ყველა ვადამოსული და გადაუხდელი ვალდებულების დაკმაყოფილების ვალდებულება სოლიდარულად, ამ პროსპექტით და შესაბამისი თავდებობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით. |
| <p>მწვანე ობლიგაციების სტრუქტურა / მეორე მხარის მოსაზრება</p> | <p>ემიტენტმა მოიპოვა მეორე მხარის მოსაზრება (Second Party Opinion or SPO) Sustainalytics-ისგან, რომელიც წარმოადგენს Morningstar-ის შვილობილ კომპანიასა და აკრედიტირებულ შემმოწმებელ კომპანიას. იგი მიჰყვება კლიმატის ობლიგაციების სტანდარტებს (“Climate Bond Standard”) და არის საერთაშორისო ბაზრის ლიდერი.</p> |
| <p>დივიდენდის გაცემის პოლიტიკა</p> | <p>გთხოვთ, გაეცნოთ კომპანიის დივიდენდის გაცემის პოლიტიკას, რომელიც აღწერილია პროსპექტის ქვეთავში „დივიდენდების პოლიტიკა“. გარდა ამისა, დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებით გარკვეული შეზღუდვები განსაზღვრულია „ობლიგაციების პირობებით“.</p> |

ინფორმაცია შეთავაზების შესახებ:

| | |
|---|--|
| შეთავაზება | 80,000,000 (ოთხმოც მილიონ) აშშ დოლარამდე ჯამური ნომინალური ღირებულების სასესხო ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები), დაფარვის ვადით 2027 წლის 12 ოქტომბრამდე. |
| ობლიგაციების განთავსების მინიმალური მოცულობა | 1 ობლიგაცია. |
| ინსტრუმენტი | კუპონური ობლიგაცია (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სასესხო ფასიანი ქაღალდი). |
| ობლიგაციის ნომინალური ღირებულება | 10,000 (ათი ათასი) აშშ დოლარი. |
| ობლიგაციების რაოდენობა | 8,000 (რვა ათასი) ცალი. |
| მთლიანი ემისიის ნომინალური ღირებულება | 80,000,000 (ოთხმოც მილიონ) აშშ დოლარამდე. |
| გამოშვების ფასი | ობლიგაციის ნომინალური ღირებულების 100%. |
| ემისიის დამტკიცების შესახებ პარტნიორთა (აქციონერთა) კრების ოქმებისა და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებების მითითება | სამეთავალყურეო საბჭოს 2022 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება. |
| ობლიგაციების გამოშვების თარიღი | ობლიგაციები გამოშვებული იქნება 2022 წლის 12 ოქტომბერს. |
| ობლიგაციების გადავადებული განთავსების თარიღი | ნებისმიერი თარიღი ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან შეთავაზების დასრულების თარიღამდე, როდესაც ხდება ობლიგაციების განთავსება გადავადებული განთავსების ფასით. |
| ობლიგაციების გადავადებული განთავსების ფასი | ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებას დამატებული ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან ობლიგაციების გადავადებული განთავსების თარიღამდე დარიცხული სარგებელი. |
| შეთავაზების პერიოდი | დროის მონაკვეთი საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცებიდან შეთავაზების დასრულებამდე, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელი იქნება ფასიანი ქაღალდების შექმნა. |
| შეთავაზების (მათ შორის, საჯარო შეთავაზების) დასრულების თარიღი | შეთავაზების პერიოდის დასრულების თარიღად განისაზღვრება ისეთი თარიღი, რომელზეც დადგება ერთ-ერთი შემდეგი ფაქტი: ა) ემისიის პროსპექტის მოქმედების ვადის გასვლა; ბ) საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების სრულად განთავსება; გ) საჯარო შეთავაზების შეწყვეტა. |
| ობლიგაციების დაფარვის თარიღი | ობლიგაციების დაფარვა, ანუ მისი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა მოხდება 2027 წლის 12 ოქტომბერს. |
| ობლიგაციების ვალუტა | ობლიგაციები დენომინირებულია აშშ დოლარში. |
| ფასიანი ქაღალდების რეგისტრაცია კაპიტალის სტრუქტურაში გადახდისუუნარობის/გაკოტრების შემთხვევაში | გაკოტრების შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების მფლობელები წარმოადგენენ უზრუნველყოფილ კრედიტორებს, რომელთა დაკმაყოფილების წესსაც განსაზღვრავს „რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 105-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის მიხედვით, პირველი რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორი უფლებამოსილია გააკოტრების მმართველს მიმართოს უზრუნველყოფილი ქონების იპოთეკის/გირავენობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გზით რეალიზაციის მოთხოვნით. გაკოტრების მმართველი უზრუნველყოფს აღნიშნული ქონების რეალიზაციას პირველი რიგის იპოთეკარის/მოგირავნის მოთხოვნის შესაბამისად, გარდა ამ კანონის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. თუ უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული |

| | |
|--|--|
| | ნივთის რეალიზაციის შემთხვევაში მისი რეალიზაციით ამონაგები თანხა პირველი რიგის კრედიტორის მოთხოვნას აღემატება, ნამეტი თანხით დაკმაყოფილდება ამავე ნივთზე რეგისტრირებული ყოველი მომდევნო რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით, ხოლო დარჩენილი თანხა გადახდისუუნარობის მასაში მიიმარტება. დამატებითი დეტალებისთვის, გთხოვთ გაეცნოთ ზემოთ აღნიშნულ კანონს და პროსპექტის ქვეთავს „ობლიგაციების უფლებებთან დაკავშირებული რისკები“. |
| კალკულაციის და გადახდის აგენტი | სს „გალტ ენდ თაგარტი“ (ს/ნ: 211359206). |
| დეფოლტი | თუ შესაბამისი წესით დადგინდება „დეფოლტის შემთხვევა“, ობლიგაციონერებს უშუალოდ ან „ობლიგაციონერების წარმომადგენლისთვის“ მიცემული ინსტრუქციის მეშვეობით შეუძლიათ გაუზავნონ „ემიტენტს“ ძირითადი თანხის (ნომინალის) 100 პროცენტისა და დარიცხული საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდის მოთხოვნა (დეტალებისთვის იხ. „ობლიგაციების პირობების“ მე-10 პირობა, „დეფოლტის შემთხვევები“). |
| შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება | ობლიგაციების მეშვეობით მოზიდული სახსრები სრულად იქნება გამოყენებული არსებული სასესხო ვალდებულებების რეფინანსირებისთვის (დეტალებისთვის იხ. „შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება“). |
| წმინდა სახსრები | გამომშვებული ობლიგაციების სრული განთავსების შემთხვევაში, ობლიგაციებიდან მოზიდული წმინდა სახსრები არ იქნება გამოშვებული ჯამური ნომინალური ღირებულების 98.5%-ზე ნაკლები. |
| რეალიზაციის და გასხვისების შეზღუდვები | ობლიგაციების შეთავაზება მოხდება მხოლოდ საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. |
| მარეგულირებელი კანონმდებლობა | საქართველოს კანონმდებლობა. |
| იურისდიქცია | ობლიგაციებთან დაკავშირებული დავები უნდა მოგვარდეს არბიტრაჟის მიერ მოქმედი UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად, ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (LCIA) მიერ დანიშნული ერთი არბიტრის მიერ (დეტალებისთვის იხ. „ობლიგაციების პირობები, მარეგულირებელი სამართალი და იურისდიქცია“). |
| ობლიგაციების განთავსების ხელშეკრულების ძირითადი პირობები | ხელშეკრულება ავალდებულებს განთავსების აგენტ 1-სა და განთავსების აგენტ 2-ს (ერთად, „განთავსების აგენტები“) უზრუნველყონ ობლიგაციების განთავსება არაგარანტირებულ საფუძველზე. თითოეული განთავსების აგენტის მოვალეობაა დაეხმაროს ემიტენტს ობლიგაციების განთავსებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაში (მათ შორის ობლიგაციების პროსპექტი), შეასრულოს განთავსების აგენტის ფუნქცია-მოვალეობები და კომპანიას გაუწიოს ობლიგაციების გამომშვებასთან, რეალიზაციასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული კონსულტაციები. |
| განთავსების და სხვა საკომისიო ხარჯები | განთავსების და სხვა საკომისიო ხარჯები არ აღემატება განთავსებული ობლიგაციების 1,5%-ს, მათ შორის სტრატეგიული ინვესტორებისთვის გადახდილი საკომისიოების ჩათვლით. საკომისიოს სრულად ფარავს ემიტენტი და ინვესტორებზე არ იქნება დაკისრებული არანაირი ხარჯი. |

ინვესტორებზე დაწესებული შესაძლო გადასახადები

ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება ემიტენტის მიერ სრულად და შეთავაზების ფარგლებში ინვესტორს არ დაეკისრება რაიმე სახის დამატებითი დანახარჯი.

შეთავაზებასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტი

ემიტენტი და განთავსების აგენტი 1, რომელიც ასევე მოქმედებს როგორც კალკულაციისა და გადამხდელი აგენტი (გალტ & თაგარტი) დაკავშირებულები არიან არაპირდაპირ. „Georgia Capital PLC“ („GCAP“) წარმოადგენს „ემიტენტის“ 100%-იან არაპირდაპირ მესაკუთრე კომპანიას („საბოლოო მშობელი“), რომელიც ასევე არაპირდაპირ ფლობს 19.90%-იან წილს (ხმის მიცემის უფლების გარეშე) „Bank of Georgia Group PLC“-ში, რომელიც, თავის მხრივ, ფლობს სს „გალტ ენდ თაგარტის“ 100%-ს. მიუხედავად იმისა, რომ პოტენციური ინვესტორების პერსპექტივიდან ასეთი კავშირი შეიძლება ჩაითვალოს გარკვეულ რისკ ფაქტორად, ემიტენტი მიიჩნევს, რომ ამგვარი რისკი არაარსებითია, იმის გათვალისწინებით, რომ მას გააჩნია წილი „გალტ ენდ თაგარტში“ ხმის მიცემის უფლების გარეშე. ასევე, აღნიშნული კომპანიების მმართველ ორგანოთა წევრები ერთმანეთისგან სრულად განცალკევებული არიან და მოცემულ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ყველა ხელშეკრულება დადებულია არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, კომერციულ საფუძველზე.

ემიტენტი და განთავსების აგენტი 2 (შპს „თიბისი კაპიტალი“), ემიტენტის აუდიტორები და პროსპექტის მომზადებაში ჩართული მესამე მხარეები ან ექსპერტები არ არიან დაკავშირებული მხარეები და მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

ემიტენტს არ აქვს ინფორმაცია შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

10 ოქტომბერი, 2022

**სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციების“
არაარსებითი ფაქტის (მოვლენის) შესახებ ცვლილების ამსახველი ოფიციალური წერილი**

სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციების“ (ს/ნ: 404642892) 80,000,000 (ოთხმოც მილიონ) აშშ დოლარამდე ჯამური ნომინალური ღირებულების მწვანე უზრუნველყოფილი ობლიგაციების ემისიის პროსპექტში, რომელიც დამტკიცებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2022 წლის 29 სექტემბრის N386 განკარგულებით, შედის არაარსებითი ხასიათის ცვლილება.

ცვლილების მიზეზი: ცვლილების მიზეზს (საფუძველს) წარმოადგენს ემისიის პროსპექტში ქვემოთ აღწერილი არაარსებითი ტექნიკური ხარვეზის კორექტირება.

ცვლილების შინაარსი: ობლიგაციების პროსპექტის მე-4 გვერდზე, ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ინვესტორის დადასტურების ფორმულირებაში წარმოდგენილ ii) და iii) ქვეპუნქტებს შორის არსებული „და“ კავშირი ჩანაცვლდეს „ან/და“ კავშირით და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ინვესტორის დადასტურება: პროსპექტი ინვესტორს მიეწოდება მისივე თხოვნის საფუძველზე, იმ პირობით, რომ იგი უდასტურებს შესაბამის განთავსების აგენტ 1-ს სს „გალტ ენდ თაგარტს“ (ს/ნ 211359206), მის: საქართველო, თბილისი 0105, პუშკინის N3, ტელ: (+995 32) 2 40 11 11, ელ-ფოსტა: st@gt.ge (შემდგომში „განთავსების აგენტი 1“), განთავსების აგენტ 2-ს შპს „თიბისი კაპიტალს“ (ს/ნ 204929961), მის: საქართველო, თბილისი 0102, მარჯანიშვილის N7, ტელ: (995 32) 227-27-27, ელ-ფოსტა: info@tbccapital.ge (შემდგომში „განთავსების აგენტი 2“), და სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციებს“ (შემდგომში „კომპანია“ ან „ემიტენტი“), რომ ინვესტორი (i) იმყოფება ამერიკის შერთებული შტატების ფარგლებს გარეთ და არ არის ამერიკის მოქალაქე (აშშ-ს 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტის „S“ რეგულაციით განსაზღვრული მნიშვნელობით), და (ii) იმყოფება გაერთიანებული სამეფოს და ევროპის ეკონომიკური სივრცის გარეთ, ან/და (iii) არის პირი, რომლისთვისაც წინამდებარე პროსპექტი შეიძლება კანონიერად იქნეს მოწოდებული იმ იურისდიქციის კანონების შესაბამისად, სადაც იგი იმყოფება.“

ცვლილების სავარაუდო ზეგავლენა არსებულ თუ პოტენციურ ინვესტორთა გადაწყვეტილებაზე: იქიდან გამომდინარე, რომ ზემოთ წარმოდგენილი ცვლილება არაარსებითი ხასიათისაა და პროსპექტში არსებული ტექნიკური ხარვეზის გასწორებას ემსახურება, ემიტენტის შეფასებით, ცვლილებას არ ექნება ზეგავლენა არც არსებული და არც პოტენციური ინვესტორების გადაწყვეტილებაზე. აღნიშნულის მიუხედავად, წინამდებარე ცვლილების ამსახველი ოფიციალური წერილი გახდება საბოლოო პროსპექტის განუყოფელი ნაწილი, რის შემდეგაც აღნიშნულის კომუნიკაცია არსებულ თუ პოტენციურ ინვესტორებთან განხორციელდება საბოლოო პროსპექტის სახით.

ბელმოწერილია სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციების“ სახელით:

ბელმოწერი:

სახელი: ზურაბ გორდეზიანი

თანამდებობა: გენერალური დირექტორი

ბელმოწერა:

თარიღი: 2022 წლის 10 ოქტომბერი

ბელმოწერი:

სახელი: ნანა მშვიდლობაძე

თანამდებობა: ფინანსური დირექტორი

ბელმოწერა:

თარიღი: 2022 წლის 10 ოქტომბერი

ბელმოწერი:

სახელი: ავთანდილ ნამიჩიშვილი

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ბელმოწერა:

თარიღი: 2022 წლის 10 ოქტომბერი

ბელმოწერილია სს „გალტ ენდ თაგარტის“ სახელით:

ბელმოწერი:

სახელი, გვარი: ოთარ შარიქაძე

თანამდებობა: მმართველი დირექტორი

ბელმოწერა:

თარიღი: 2022 წლის 10 ოქტომბერი

ბელმოწერილია შპს „თიბისი კაპიტალის“ სახელით:

ბელმოწერი:

სახელი, გვარი: მერი ჩაჩანიძე

თანამდებობა: მმართველი დირექტორი

ბელმოწერა:

თარიღი: 2022 წლის 10 ოქტომბერი

სააქციო საზოგადოება

„საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციები“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 404642892)

მწვანე უზრუნველყოფილი ობლიგაციების ემისიის პროსპექტი

80,000,000 აშშ დოლარამდე (ოთხმოც მილიონ) ჯამური ნომინალური ღირებულების მწვანე უზრუნველყოფილი ობლიგაციები და მისი დეტალური პირობები განისაზღვრება „საბოლოო შეთავაზების პირობების“ დოკუმენტებითა და აღნიშნული პროსპექტით.

ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის უზრუნველყოფილ ვალდებულებას.

სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციები“ („კომპანია“ ან „ემიტენტი“) პასუხისმგებელია წინამდებარე პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციით (რომლის სიზუსტის დასადასტურებლადაც კომპანიამ მიმართა ყველა გონივრულად შესაძლო ძალისხმევას) წინამდებარე პროსპექტში მოყვანილი მონაცემები ეფუძნება ფაქტებს და არ არის გამოტოვებული იმგვარი ინფორმაცია, რასაც შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა ინფორმაციის უტყუარობასა და სისრულეზე. ამასთან, წინამდებარე პროსპექტში შესულია კომპანიისთვის *ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.*

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირები:

ზურაბ გორდეზიანი – სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციების“ გენერალური დირექტორი


ნანა მშვიდლობაძე – სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციების“ ფინანსური დირექტორი

ხელმოწერილია სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციების“ სახელით:

ხელმოწერი:

სახელი: ზურაბ გორდეზიანი

თანამდებობა: გენერალური დირექტორი


ხელმოწერა: 

თარიღი: 27/09/2022

ხელმოწერი:

სახელი: ნანა მშვიდლობაძე

თანამდებობა: ფინანსური დირექტორი


ხელმოწერა: 

თარიღი: 27/09/2022

ხელმოწერი:

სახელი: ავთანდილ ნამიჩიშვილი

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს დავმჯდომარე

ხელმოწერა: 


თარიღი: 27/09/2022

ხელმოწერილია სს „გალტ ენდ თაგარტის“ სახელით:

ხელმოწერი:

სახელი, გვარი: ოთარ შარიქაძე

თანამდებობა: მმართველი დირექტორი

ხელმოწერა: 


თარიღი: 27/09/2022

ხელმოწერილია შპს „თიბისი კაპიტალის“ სახელით:

ხელმოწერი:

სახელი, გვარი: მერი ჩაჩანიძე

თანამდებობა: მმართველი დირექტორი

ხელმოწერა: 

თარიღი:

მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინვესტორთათვის:

ამ დოკუმენტის კითხვის გაგრძელებამდე, პოტენციური ინვესტორი ჯერ უნდა გაეცნოს წინამდებარე დათქმას. დათქმა ეხება თანდართულ პროსპექტს (შემდგომში „პროსპექტი“) და შესაბამისად, პოტენციური ინვესტორი უპირველეს ყოვლისა გულდასმით უნდა გაეცნოს მას. პროსპექტის გაცნობით და მისი გამოყენებით (მათ შორის, ინვესტირების მიზნით) ინვესტორი თანხმობას აცხადებს, რომ დაექვემდებარება და შეასრულებს ქვემოთ მოცემულ პირობებს (დროდადრო მათში შეტანილი შესწორებებისა და ცვლილებების ჩათვლით). იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორს პროსპექტი მიეწოდა ელექტრონული გზავნილის ფორმით, იგი ეთანხმება, რომ ელექტრონული გზავნილი (მასზე დართული პროსპექტივითურთ) კონფიდენციალურია და მოწოდებულია მხოლოდ ადრესატისათვის. შესაბამისად, ინვესტორი ეთანხმება, რომ არც ერთ სხვა პირს არ გაუგზავნის ან მიაწვდის ელექტრონულ გზავნილს ან/და წინამდებარე პროსპექტის ელექტრონულ ვერსიას და არ გაასაჯაროვებს მას.

პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

საქართველოს ეროვნული ბანკი - მის. N1 ზვიად გამსახურდიას სანაპირო, თბილისი 0114, საქართველო. ტელ: 2 406 406. ელ-ფოსტა: info@nbg.gov.ge ვებ-გვერდი: <https://nbg.gov.ge/>

პასუხისმგებლობის შეზღუდვა:

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

ამასთანავე, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც შესაძლოა ცალსახად იქნას გათვალისწინებული შესაბამისი კანონმდებლობით, არც ერთი პირი, გარდა ემიტენტისა, მათ შორის, ემიტენტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, ფინანსური დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, არც განთავსების აგენტი, კალკულაციისა და გადახდის აგენტი, რეგისტრატორი, კომპანიის სხვა მრჩველები ან მათთან დაკავშირებული რომელიმე პირი, ან მათი რომელიმე დირექტორი, მრჩვეელი ან აგენტი არ არიან პასუხისმგებელი წინამდებარე პროსპექტის შინაარსზე, მასში წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობაზე ან სისრულეზე, ან მათ მიერ ან მათი სახელით კომპანიასთან დაკავშირებით გაკეთებულ რომელიმე განცხადებაზე, ან წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა და შეთავაზებაზე. შესაბამისად, განთავსების აგენტი და კომპანიის მრჩველები არ იღებენ არანაირ კანონისმიერ თუ სხვაგვარ პასუხისმგებლობას წინამდებარე პროსპექტთან ან მათ რაიმე სხვა განცხადებასთან დაკავშირებით.

მოცემული შეთავაზების მიზნებისთვის, განთავსების და კალკულაციისა და გადახდის აგენტი მოქმედებს ექსკლუზიურად ემიტენტისთვის, ისინი არ წარმოადგენენ არცერთ სხვა პირს მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით და არ მიიჩნევენ არცერთ სხვა პირს (მიუხედავად იმისა, ამგვარ პირს მიღებული აქვს თუ არა წინამდებარე პროსპექტი) თავიანთ კლიენტად მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ისინი არ არიან ვალდებული გაუწიონ ვინმეს, გარდა კომპანიისა, მომსახურება ან მისცენ რჩევა შეთავაზებასთან ან წინამდებარე დოკუმენტში მითითებულ რაიმე ოპერაციასთან ან გარიგებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე პროსპექტი არ წარმოადგენს და ვერ იქნება გამოყენებული შეთავაზების მიზნით რომელიმე ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი ქმედება ნებადართული არ არის, ან რომელიმე ისეთი პირისადმი, რომლისთვისაც ამგვარი შეთავაზება უკანონოა. არც ერთ იურისდიქციაში (საქართველოს გარდა) არ ხორციელდება არანაირი ქმედება წინამდებარე პროსპექტში განსაზღვრული ობლიგაციების შეთავაზებისთვის ნებართვის მისაღებად, ან პროსპექტის (ან ობლიგაციებთან დაკავშირებული სხვა შეთავაზების მასალების) გასაჯაროებლად.

ინვესტორის დადასტურება: პროსპექტი ინვესტორს მიეწოდება მისივე თხოვნის საფუძველზე, იმ პირობით, რომ იგი უდასტურებს შესაბამის განთავსების აგენტ 1-ს სს „გალტ ენდ თაგარტს“; (ს/ნ 211359206), მის: საქართველო, თბილისი 0105, პუშკინის N3, ტელ: (+995 32) 2 40 11 11; ელ-ფოსტა: st@gt.ge (შემდგომში „განთავსების აგენტი 1“), განთავსების აგენტ 2-ს შპს „თიბისი კაპიტალს“; (ს/ნ 204929961), მის: საქართველო, თბილისი 0102, მარჯანიშვილის N7, ტელ: (995 32) 227-27-27; ელ-ფოსტა: info@tbccapital.ge (შემდგომში „განთავსების აგენტი 2“), და სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციების“ (შემდგომში „კომპანია“ ან „ემიტენტი“), რომ ინვესტორი (i) იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ და არ არის ამერიკის მოქალაქე (აშშ-ს 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტის „S“ რეგულაციით განსაზღვრული მნიშვნელობით) და (ii) იმყოფება გაერთიანებული სამეფოს და ევროპის ეკონომიკური სივრცის გარეთ, და (iii) არის პირი, რომლისთვისაც წინამდებარე პროსპექტი შეიძლება კანონიერად იქნეს მოწოდებული იმ იურისდიქციის კანონების შესაბამისად, სადაც იგი იმყოფება.

იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე პროსპექტი ინვესტორს მიეწოდა ელექტრონული ფორმით, კომპანია, განთავსების აგენტი ან/და რომელიმე მათთან აფილირებული პირები არ იქნებიან რაიმე სახით ვალდებული ან პასუხისმგებელი ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმატით გავრცელებული პროსპექტის ვარიანტებს შორის არსებულ რაიმე სხვაობაზე ან/და კომპიუტერული პროგრამის ვირუსებისაგან ან სხვა დამაზიანებელი ელემენტებისაგან დაცვაზე, რაც შესაძლოა გამოწვეულ იქნას ელექტრონული ფორმატით დოკუმენტების მიწოდებით გამოწვეული ცვლილებით მათი გადაგზავნის პროცესში. პროსპექტზე წვდომის განხორციელებით, ინვესტორი თანხმობას აცხადებს მის ელექტრონული ფორმით მიღებაზე.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, უპირატესობა ენიჭება კომპანიის მიერ გამოქვეყნებულ/გასაჯაროებულ პროსპექტს (რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებულის იდენტურია).

პროსპექტის წარდგენიდან მის დამტკიცებამდე არსებითი (მატერიალური) ცვლილება არ მომხდარა, ხოლო თუკი რამე მსგავსი ცვლილება მოხდება დამტკიცებიდან შეთავაზებამდე, პროსპექტში შესაბამისად განახლდება.

ნაბეჭდი სახით პროსპექტი ხელმისაწვდომია განთავსების აგენტისადმი მიმართვის საფუძველზე.

შეზღუდვა: თუ პირმა წინამდებარე დოკუმენტზე წვდომა მოიპოვა ზემოაღნიშნული დათქმებისა და შეზღუდვების მიუხედავად და გაუთვალისწინებლად, იგი არ არის უფლებამოსილი შეიძინოს წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული რომელიმე ფასიანი ქაღალდი.

დამტკიცებულია საქართველოს
ეროვნული ბანკის მიერ

დამტკიცების თარიღი



29 სექტემბერი, 2024.

სარჩევი

| | |
|--|----|
| სარჩევი..... | 5 |
| პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა..... | 8 |
| შესავალი..... | 8 |
| ინფორმაცია ემიტენტის შესახებ..... | 12 |
| ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები..... | 19 |
| ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები..... | 20 |
| ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოების მეთოდოლოგიების მიხედვით..... | 23 |
| მოკლე ინფორმაცია ემიტენტის ბიზნესისა და შეთავაზებული ფასიანი ქაღალდებისთვის დამახასიათებელი მატერიალური რისკ ფაქტორების შესახებ..... | 25 |
| შეთავაზების პირობები და ფასიანი ქაღალდების ძირითადი მახასიათებლები:..... | 28 |
| რისკის ფაქტორები..... | 29 |
| ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რისკები..... | 29 |
| ემიტენტის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები:..... | 40 |
| შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკები..... | 48 |
| შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება..... | 53 |
| მწვანე ობლიგაციის ჩარჩო..... | 54 |
| სარეგისტრაციო დოკუმენტი..... | 56 |
| დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირები..... | 56 |
| ძირითადი საქმიანობა..... | 57 |
| მიმოხილვა & ისტორია..... | 57 |
| საოპერაციო საქმიანობა..... | 59 |
| დაზღვევა..... | 61 |
| ძლიერი მხარეები..... | 61 |
| ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარება..... | 63 |
| ძირითადი ბაზრები..... | 65 |
| ელექტროენერჯის ბაზრის მოკლე შეჯამება..... | 65 |
| ელექტროენერჯის ბაზრის ამჟამინდელი სტრუქტურა და ძირითადი მონაწილეები..... | 66 |
| ელექტროენერჯის მიწოდება - მოთხოვნის ტენდენციები..... | 69 |
| მაკროეკონომიკური გარემოს ბოლო პერიოდის მნიშვნელოვანი ტენდენციები და მაჩვენებლები..... | 73 |
| ემიტენტის ბიზნეს საქმიანობის განვითარებაში მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერა..... | 76 |
| სტრატეგია და ამოცანები..... | 76 |
| ინვესტიციები..... | 78 |

| | |
|---|-----|
| კონკურენტუნარიანი პოზიციონირება ბაზარზე..... | 79 |
| ოპერაციული და ფინანსური მიმოხილვა | 80 |
| ფინანსური მდგომარეობა | 80 |
| კაპიტალიზაცია და დავალიანება..... | 83 |
| ლიკვიდურობის პროფილი | 85 |
| საოპერაციო შედეგები | 86 |
| ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების მიმოხილვა..... | 89 |
| მარეგულირებელი გარემო | 91 |
| მმართველი ორგანო და მენეჯმენტი..... | 95 |
| მიმოხილვა | 95 |
| აქციონერთა საერთო კრება..... | 96 |
| სამეთვალყურეო საბჭო | 96 |
| აუდიტის კომიტეტი | 99 |
| აღმასრულებელი დირექტორი..... | 99 |
| აღმასრულებელი მენეჯმენტის გუნდი | 100 |
| კორპორატიული მმართველობა | 101 |
| ინტერესთა კონფლიქტი..... | 101 |
| საჩივრის შესახებ განცხადება..... | 101 |
| პენსიები..... | 102 |
| ძირითადი აქციონერები | 102 |
| დაკავშირებული მხარის გარიგებები..... | 105 |
| ფინანსური ინფორმაცია ემიტენტის აქტივებისა და ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და მოგებისა და ზარალის შესახებ | 107 |
| საბალანსო უწყისი | 107 |
| მოგება და ზარალის უწყისი..... | 108 |
| ფულადი სახსრების მოძრაობა..... | 109 |
| დივიდენდების პოლიტიკა..... | 110 |
| სამართალწარმოება და სხვა წარმოება..... | 110 |
| ემიტენტის ფინანსურ ან კომერციულ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების აღწერა..... | 111 |
| სააქციო კაპიტალი..... | 111 |
| სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებული დოკუმენტების ჩამონათვალი | 112 |
| ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა..... | 113 |
| მნიშვნელოვანი ინფორმაცია..... | 113 |
| ობლიგაციების პირობები | 115 |
| 1. ფორმა, ნომინალური ღირებულება, საკუთრების უფლება და უზრუნველყოფა..... | 116 |

| | |
|--|-----|
| 2. „ობლიგაციების“ შეთავაზებისა და განთავსების პროცედურა, „იპოთეკის ხელშეკრულების“ დადება და რეგისტრაცია, „თავდებობის ხელშეკრულების“ დადება, შეთავაზებაში ცვლილებების შეტანა და „ობლიგაციების“ შემდგომი გასხვისება..... | 117 |
| 3. სტატუსი | 122 |
| 4. „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ დანიშვნა..... | 122 |
| 5. დათქმები..... | 123 |
| 6. საპროცენტო სარგებელი | 132 |
| 7. „ობლიგაციების“ გამოსყიდვა და შექენა..... | 133 |
| 8. ანგარიშსწორება და გადახდები..... | 135 |
| 9. დაბეგვრა..... | 137 |
| 10. დეფოლტის შემთხვევები..... | 137 |
| 11. „ობლიგაციონერების“ კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა | 139 |
| 12. აღსრულება..... | 143 |
| 13. „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ დაცვა პასუხისმგებლობისგან | 143 |
| 14. შეტყობინებები | 143 |
| 15. ტერმინთა განმარტება | 144 |
| 16. მარეგულირებელი სამართალი და იურისდიქცია..... | 157 |
| „ობლიგაციების“ დაბეგვრა საქართველოში..... | 159 |

პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა

შესავალი

| | |
|--|---|
| ფასიანი ქაღალდის დასახელება | სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციების“ („GRPO“) მწვანე უზრუნველყოფილი ობლიგაციები. |
| ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საინდეტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია | სააქციო საზოგადოება „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციები“ (ს/ნ: 404642892), მის.: N10, მედეა (მზია) ჯუღელის ქ., თბილისი, 0179, საქართველო. ტელეფონი: +(995 32 2) 93 11 11, ელ-ფოსტა: info@grpc.ge, ვებ-გვერდი: www.grpc.ge. |
| განთავსების აგენტი 1-ის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია | სს „გალტ ენდ თაგარტი“, (ს/ნ: 211359206) მის.: N3, პუშკინის ქ., 0105, თბილისი ელ-ფოსტა: gt@gt.ge; sales@gt.ge ვებ-გვერდი: https://galtandtaggart.com/en ტელ.: (+995 32) 240 11 11. |
| განთავსების აგენტი 2-ის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია | შპს „თბილისი კაპიტალი“, (ს/ნ: 204929961) მის.: N7 მარჯანიშვილის ქუჩა, 0102, თბილისი ელ-ფოსტა: info@tbccapital.ge ვებ-გვერდი: https://www.tbccapital.ge/ ტელ.: (+995 32) 227 27 33. |
| პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია | საქართველოს ეროვნული ბანკი, N1 ზვიად გამსახურდიას სანაპირო, თბილისი 0114, ტელ: +995 322 406 406; ელ-ფოსტა: info@nbg.gov.ge; ვებ-გვერდი: https://nbg.gov.ge/. |
| პროსპექტის დამტკიცების თარიღი | [•] 23 სექტემბერი, 2022 წ. |
| პროსპექტის მოქმედების ვადა | კანონმდებლობის შესაბამისად, საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცებიდან 12 თვე. |

მნიშვნელოვანი მითითებები:

ზოგადი მიმოხილვა წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს;

ინვესტორის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ინვესტირების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მთლიანი პროსპექტიდან და არა მხოლოდ ზოგადი მიმოხილვის ნაწილიდან გამომდინარე;

ემიტენტს შესაძლებელია დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ ზოგადი მიმოხილვის ნაწილი შეცდომაში შემყვანია, ან არაზუსტი, ან არ არის ძირითადი პროსპექტის შესაბამისი ან თუ არ იძლევა ძირითად ინფორმაციას, რათა დაეხმაროს ინვესტორებს მიიღონ გადაწყვეტილება, იმის შესახებ დააბანდონ თუ არა სახსრები ამ შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებში;

ობლიგაციებში ინვესტირება საკმაოდ რისკიანია. ნებისმიერი ინვესტორი, რომელიც შეიძენს ობლიგაციებს, მზად უნდა იყოს მისი ინვესტიციის ეკონომიკური რისკიანობისათვის და გაითვალისწინოს, რომ მის მიერ შეძენილი ობლიგაციების ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის დაბრუნება დამოკიდებული იქნება ემიტენტის გადახდისუნარიანობაზე. არც პროსპექტი და არც კომპანიის ან/და განთავსების აგენტის მიერ შეთავაზებასა და განთავსებასთან დაკავშირებით მოწოდებული რაიმე / ნებისმიერი სხვა ინფორმაცია არ არის გამიზნული ობლიგაციებში კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებისათვის. ყველა ინვესტორმა თავად უნდა შეაფასოს

შესაბამისი პოტენციური რისკები. გარდა ამისა, ინვესტორმა შესაძლოა დაკარგოს მთლიანი ინვესტირებული თანხა ან მისი ნაწილი.

პროსპექტი და მასში მოყვანილი ინფორმაცია, შესაძლოა დაექვემდებაროს შესაბამის შესწორებას და დამატებას ვითარების ცვლილებიდან გამომდინარე, რისი ასახვაც ხდება საბოლოო პროსპექტში (მაგ. საპროცენტო განაკვეთის დაზუსტება, ტექნიკური ხარვეზის გასწორება, ემისიის მოცულობის დაზუსტება, და ა.შ.). აღნიშნულის თაობაზე ემიტენტი მოახდენს ინვესტორთა ინფორმირებას კანონით დადგენილი წესით. აქ აღნიშნული ობლიგაციების გაყიდვა, ან ობლიგაციების ყიდვის საჯარო შეთავაზება არ შეიძლება გაკეთდეს მანამ, სანამ არ მოხდება პროსპექტის დამტკიცება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

ამ პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციების შეთავაზება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ და საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. აღნიშნული არ წარმოადგენს შეთავაზებას ობლიგაციების ნასყიდობაზე ნებისმიერ იმ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი შეთავაზება ჩაითვლება უკანონოდ.

არც კომპანია და არც განთავსების აგენტი არ აკეთებს არანაირ განცხადებას და არ იძლევა გარანტიას ობლიგაციების პოტენციური ან ფაქტიური მყიდველების მიმართ, ამ უკანასკნელთა მიერ ობლიგაციებში ინვესტირების კანონიერების შესახებ რომელიმე საინვესტიციო ან მსგავსი კანონმდებლობის მიხედვით, რომელსაც ექვემდებარება ან შესაძლოა დაექვემდებაროს ამგვარი მყიდველი.

არცერთი პირი არ არის უფლებამოსილი კომპანიის ან განთავსების აგენტის სახელით გასცეს რაიმე ისეთი ინფორმაცია, ან გააკეთოს რაიმე განცხადება, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერი ასეთი ინფორმაცია ან განცხადება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კომპანიის ან განთავსების აგენტის მიერ ნებადართულად. წინამდებარე პროსპექტის მიწოდება ან მასთან დაკავშირებული ობლიგაციების რეალიზაცია არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს აღქმული იმგვარად, რომ წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღიდან კომპანიის საქმიანობაში ცვლილებები არ განხორციელდებულა.

წინამდებარე პროსპექტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც იურიდიული, საინვესტიციო, საქმიანი ან საგადასახადო რჩევა. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას, ყველა ინვესტორმა კონსულტაციები საჭიროებისამებრ უნდა გაიაროს საკუთარ მრჩეველებთან და თავად განსაზღვროს, რამდენად კანონიერია მის მიერ ამ პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეძენა შესაბამისი საინვესტიციო კანონების ან მსგავსი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ნორმების ფარგლებში.

გაფრთხილება

ობლიგაციების ემისიის პროსპექტი მარტივი დოკუმენტი არ არის და შესაძლებელია რთული იყოს ინვესტორისთვის ამ პროსპექტით შეთავაზებული პროდუქტის სწორად აღქმა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას ინვესტორები უნდა დაეყრდნონ საკუთარ ანალიზს კომპანიასთან, ობლიგაციებთან, შემოთავაზებულ პირობებთან, სარგებელსა და რისკებთან მიმართებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, იხილეთ თავი „რისკის ფაქტორები“. ყველა პოტენციურმა ინვესტორმა უნდა განსაზღვროს ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა საკუთარი გარემოებების გათვალისწინებით. პროსპექტით გათვალისწინებული ემისია საჯაროა, ამასთან ყველა პოტენციურ ინვესტორს უნდა:

- i. გააჩნდეს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება ობლიგაციების, მათში კაპიტალდაბანდების სარგებლისა და რისკების, ასევე წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერ შესაბამის შესწორებაში მოყვანილი ინფორმაციის ჯეროვანი შეფასებისთვის;

- ii. გააჩნდეს შესაბამის ანალიტიკურ ინსტრუმენტებზე წვდომა და ცოდნა, რათა შეაფასოს ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა და ამგვარი ინვესტიციის გავლენა მის მთლიან საინვესტიციო პორტფელზე მისი კონკრეტული ფინანსური გარემოების კონტექსტში;
- iii. გააჩნდეს საკმარისი ფინანსური რესურსები და ლიკვიდური პოზიცია ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების ყველა რისკის ასაღებად, მათ შორის, როდესაც ძირითადი ნაწილისა და პროცენტის ვალუტა (დოლარი) განსხვავდება იმ ვალუტისაგან, რომელშიც ინვესტიციებს იზიდავს ან ახორციელებს პოტენციური ინვესტორი;
- iv. ობლიგაციების პირობების სრულყოფილი გაგება და ის უნდა იცნობდეს შესაბამისი ფინანსური ბაზრის მახასიათებლებს;
- v. გააჩნდეს შესაძლებლობა შეაფასოს (თავად ან ფინანსური მრჩევლის დახმარებით) ეკონომიკური, საპროცენტო განაკვეთის და სხვა ფაქტორების შესაძლო განვითარების სცენარები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის ინვესტიციებზე და შესაბამისი რისკის აღების შესაძლებლობაზე.

აღნიშნული ჩანაწერი ატარებს მხოლოდ გამაფრთხილებელ ხასიათს და არ მოიაზრებს ემიტენტის პასუხისმგებლობის შეზღუდვას.

გამოყენებული წყაროები:

პროსპექტში გამოყენებული ძირითადი წყაროებია:

- ემიტენტის ნახევარი წლის ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის ნახევარი წლისთვის (www.grpc.ge)
- ემიტენტის ცალკე გამოყოფილი (Carved Out) აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლისთვის (www.grpc.ge)
- ემიტენტის ვებ-გვერდი (www.grpc.ge)
- სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“ (<https://www.ggu.ge/>)
- Georgia Capital PLC (<https://georgiacapital.ge/>)
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (www.geostat.ge)
- საქართველოს ეროვნული ბანკი (www.nbg.ge)
- „გალტ ენდ თაგარტის“ კვლევების დეპარტამენტი (www.gt.ge)
- „თიბისი კაპიტალის“ კვლევების დეპარტამენტი (www.tbccapital.ge)
- საქართველოს მთავრობის კორონავირუსის პრევენციის პორტალი (www.stopcov.ge)
- „ჩვენი მსოფლიოს მონაცემები“ (www.ourworldindata.org)
- ანგარიშგების პორტალი (<https://reportal.ge/>)

პასუხისმგებელი პირები აცხადებენ, რომ “როდესაც ხდება მესამე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენება, მითითებულია წყარო და გაკეთებულია დათქმა, რომ ეს ინფორმაცია სწორადაა გადამუშავებული. ამ ინფორმაციიდან არ არის მათთვის ცნობილი გამოტოვებული მნიშვნელოვანი ფაქტები, რაც ინფორმაციას გახდიდა არაზუსტსა და შეცდომაში შემყვანს.”

ინფორმაცია ემიტენტის შესახებ

ემიტენტი არის სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციები“ („GRPO“, „კომპანია“, „ემიტენტი“). მისამართი საქართველო, თბილისი 0179, მედია (მზია) ჯუღელის ქ. N10. რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო. მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა. დაარსების თარიღი: 2022 წლის 28 ივნისი

სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციების“ ბიზნესი მართავს ჰიდროელექტროსადგურებისა და ქარის ელექტროსადგურის პლატფორმას ქვეყნის მასშტაბით. კომპანია ჯამურად ფლობს 71 მგვტ დადგმული სიმძლავრის მქონე განახლებადი ენერჯის აქტივებს, რომელთა საშუალო ეფექტიანობა 40%+-ია. კომპანიის აქტივები და მათი სიმძლავრეებია: 21 მგვტ „ქართლის ქარის ელექტროსადგური“, 30 მგვტ „მესტიაჭალა 2-ისა“ და 20 მგვტ „ჰიდროლესა“ ჰიდროელექტროსადგურები. ჰესი „მესტიაჭალა 2“ სს „საქართველოს კაპიტალის“ მიერ აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა 2019 წელს, ხოლო დანარჩენი ორი აქტივი კომპანიამ ამავე წელს შეიძინა. ყველა ელექტროსადგური (გარდა ახმეტჭესისა, რომლის „ელექტროენერჯის შესყიდვის ხელშეკრულებასაც („PPA“) ვადა გაუვიდა) სარგებლობს „ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორთან“ („ესკო“, ს/ნ: 205170036) ჩამოყალიბებული გრძელვადიანი ელექტროენერჯის შესყიდვის ხელშეკრულებით („PPA“) (დამატებითი ინფორმაცია PPA-სთან დაკავშირებით იხილეთ ქვეთავში „ძირითადი ბაზრები“), რაც იწვევს დოლართან დაკავშირებულ ფულადი სახსრების პროგნოზირებად ნაკადებს, რადგან ელექტროენერჯის შესყიდვის ხელშეკრულებები ფიქსირდება აშშ დოლარში.


2021 წლის დეკემბერში, სს „საქართველოს კაპიტალმა“, რომელიც იმ დროს ფლობდა სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზს“ („GGU“), რომელიც აერთიანებდა წყალმომარაგებისა და განახლებადი ენერჯის ბიზნესებს, წყალმომარაგების ბიზნესში თავისი წილის 80% მიყიდა „FCC აქუალიას“ („აქუალია“) 180 მილიონი აშშ დოლარის სანაცვლოდ, ხოლო თვითონ შეინარჩუნა 100% წილი განახლებადი ენერჯის ბიზნესში. აღნიშნული ტრანზაქციით, წყალმომარაგების ბიზნესი შეფასდა 225 მილიონ აშშ დოლარად. გარდა ამისა, გამყიდველსა და მყიდველს მიენიჭათ გაყიდვის (Put) და გამოსყიდვის (Call) ოფციები, შესაბამისად, სს „საქართველოს კაპიტალის“ დარჩენილ 20%-იან წილზე წყალმომარაგების ბიზნესში.

ტრანზაქციის პირველი ეტაპი, რომელიც ითვალისწინებდა სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზის“ 65%-იანი წილის გაყიდვას (რაც წარმოადგენს 80%-იან ეკონომიკურ წილს წყალმომარაგების ბიზნესში), წარმატებით დასრულდა 2022 წლის 3 თებერვალს. შედეგად სს „საქართველოს კაპიტალმა“ მიიღო გაყიდვით შემოსავალი, ხოლო „აქუალიას“ გადაეცა კომპანიის აქციები.


გარიგების მეორე ეტაპი - განახლებადი ენერჯის ბიზნესის გამოყოფა - განხორციელდა 2022 წლის სექტემბერში და ტრანზაქციის ამ ეტაპის დასრულების შემდეგ, სს „საქართველოს კაპიტალი“ ირიბად (სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ჰოლდინგის“ საშუალებით) გახდა ემიტენტის 100%-ის მფლობელი.

იურიდიული სტრუქტურა 2022 წლის ივლისამდე, სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებამდე და ობლიგაციების გამოშვების თარიღისთვის/მის შემდეგ მოცემულია ქვემოთ (დეტალებისთვის იხილეთ პროსპექტის ქვეთავი „სარეგისტრაციო დოკუმენტი, ძირითადი საქმიანობა“):

იურიდიული სტრუქტურა 2022 წლის ივლისამდე*, სტრუქტურულ ცვლილებებამდე



იურიდიული სტრუქტურა ობლიგაციების გამოშვების თარიღისა და მათი გამოშვების შემდეგ



*ემიტენტი, სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციები“ (ს/ნ: 404642892) იურიდიულად დაფუძნდა 2022 წლის 28 ივნისს;

დამატებითი ინფორმაცია წყალმომარაგების ბიზნესის გაყიდვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ "Georgia Capital PLC"-ის 2022 წლის 6 იანვრით დათარიღებულ შეტყობინებაში (ცირკულარში):

https://georgiacapital.ge/sites/default/files/inline-files/Circular_0.pdf

კომპანიის განახლებადი ენერჯის აქტივების არსებული პორტფელი მოიცავს ოთხ ჰიდროელექტროსადგურს და ერთ ქარის ელექტროსადგურს (ჯერჯერობით საქართველოში ერთადერთი ექსპლუატაციაში შესული ქარის ელექტროსადგური). ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სადგურების შესახებ დეტალური ინფორმაცია:

| ელექტროსადგური | ადგილმდებარეობა | სიმძლავრე, მგვტ | გაშვების წელი | ეფექტურობის მაჩვენებელი, % | PPA ფასი, აშშ ცენტ/კვტსთ | PPA დაფარვა | PPA ვადის გასვლის თარიღი |
|----------------|-----------------|-----------------|---------------|----------------------------|--------------------------|-------------|--------------------------|
| მესტიაჭალა 2 | სვანეთი | 30.0 | 2019 | 40% | 5.50 | 8თვე/15წ | აპრ 2034 |
| ახმეტა | კახეთი | 9.1 | 2014 | 73% | 5.54 | n/a | თებ 2022 |
| დებედა | ქვემო ქართლი | 3.2 | 2015 | 71% | 5.54 | 8თვე/10წ | დეკ 2023 |
| კასლეთი 2 | სვანეთი | 8.1 | 2018 | 69% | 5.66 | 8თვე/10წ | სექ 2028 |
| ქართლი | შიდა ქართლი | 20.7 | 2016 | 47% | 6.50 | 12თვე/13წ | იან 2030 |

მესტიაჭალა 2 ჰიდროელექტროსადგური. მესტიაჭალა 2-ის ჰესი არის მდინარის მოდინებაზე მომუშავე სადგური 30 მგვტ დადგმული სიმძლავრით, რომელიც მდებარეობს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. მისი მშენებლობა

„ემიტენტთან“ აფილირებულმა კომპანიამ - სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის კომპანიამ“ დაიწყო 2017 წლის მაისში, რაც დასრულდა 2019 წლის აპრილში (აღნიშნული ჰესი 2020 წელს გადაეცა კომპანიას სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“-ს). მშენებლობის ფაქტობრივი ღირებულება ერთ მეგავატზე იყო დაახლოებით 1.2 მილიონი აშშ დოლარი. პროექტის მთლიანი ღირებულების დაახლოებით 70% დაფინანსდა გრძელვადიანი სესხის საშუალებით. ელექტროენერჯის გამომუშავების დაწყებიდან პირველი 15 წლის განმავლობაში, მესტიაჭალა 2 გაყიდის ელექტროენერჯის საბაზრო ფასში მაისიდან აგვისტოს ჩათვლით, ხოლო სექტემბრიდან აპრილის ჩათვლით ესკო-სთან გრძელვადიანი ელექტროენერჯის შესყიდვის ხელშეკრულების (“PPA”) შესაბამისად ფიქსირებულ ფასში 0.055 აშშ დოლარი კვტ/სთ-ზე.

2019 წლამდე მესტიაჭალა შედგებოდა ორი ელექტროსადგურისგან, რომელთა საერთო სიმძლავრე იყო 50 მგვტ, თუმცა 2019 წლის ივლისში მესტიაჭალას ჰესები კლდის ზედაპირზე შედგება და დაზიანდა, თუმცა რეაბილიტაციის პროცესის შემდეგ, 30 მეგავატის სიმძლავრის გენერატორი 2019 წლის დეკემბერში ხელახლა შევიდა ექსპლუატაციაში და ამჟამად ის ფუნქციონირებს თავდაპირველად დაგეგმილი სიმძლავრით. 2021 წელს, უვადოდ შეჩერდა მესტიაჭალა ჰესი 1-ის 20 მგვტ სიმძლავრის ელექტროსადგურის აღდგენის პროცესი და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადაწყდა მესტიაჭალა 1 ჰესის დარჩენილი აქტივების გაუფასურება, რამაც გამოიწვია 36.6 მილიონი ლარის გაუფასურების ხარჯი. 2022 წლის ივნისში განხორციელდა მესტიაჭალა 1 ჰესის აქტივების და შესაბამისი უფლებების პირობითი გასხვისება.

ახმეტას ჰიდროელექტროსადგური. ახმეტაჰესი სს „საქართველოს კაპიტალმა“ შეიძინა 2019 წლის ოქტომბერში, შპს „ჰიდროლექს“ შესყიდვის ფარგლებში და შემდგომ გადასცა სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზს“ 2020 წლის ივლისში. ახმეტაჰესი აგებულია კახეთის რეგიონში მდებარე სარწყავ ინფრასტრუქტურაზე, ჰესი ექსპლუატაციაში შევიდა 2014 წელს. ახმეტაჰესის დადგმული სიმძლავრე 9,1 მეგავატია და 2022 წლის მარტიდან ელექტროენერჯის საბაზრო ფასებში ყიდის.

დებედას ჰიდროელექტროსადგური. დებედაჰესი სს „საქართველოს კაპიტალმა“ შეიძინა 2019 წლის ოქტომბერში, შპს „ჰიდროლექს“ შესყიდვის ფარგლებში და შემდგომ გადასცა სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზს“ 2020 წლის ივლისში. ეს არის ქვემო ქართლის რეგიონში მდებარე სარწყავ ინფრასტრუქტურაზე აგებული ჰესი. ჰესი ექსპლუატაციაში შევიდა 2015 წელს. დებედაჰესი არის 3.2 მეგავატის დადგმული სიმძლავრის და 2023 წლამდე გაყიდის ელექტროენერჯის საბაზრო ფასში მაისიდან აგვისტომდე პერიოდში, ხოლო სექტემბრიდან აპრილის ჩათვლით ესკო-სთან დადებული PPA-ს შესაბამისად ფიქსირებულ ფასში - 0.055 აშშ დოლარი კვტ/სთ-ზე.

კასლეთი 2 ჰიდროელექტროსადგური. კასლეთი 2 ჰესი სს „საქართველოს კაპიტალმა“ შეიძინა 2019 წლის ოქტომბერში, როგორც შპს „ჰიდროლექს“ შესყიდვის ნაწილი და შემდგომში გადაეცა სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზს“ 2020 წლის ივლისში. კასლეთი 2-ის ჰესი არის მდინარის მოდინებაზე მომუშავე სადგური, რომელიც მდებარეობს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. ექსპლუატაციაში შევიდა 2018 წელს და მისი დადგმული სიმძლავრე 8,1 მეგავატია. 2028 წლამდე, კასლეთი 2-ის ჰესი გაყიდის ელექტროენერჯის საბაზრო ფასში მაისიდან აგვისტომდე პერიოდში, ხოლო სექტემბრიდან აპრილის ჩათვლით ესკო-სთან დადებული PPA-ის შესაბამისად ფიქსირებული ფასში 0.056 აშშ დოლარი კვტ/სთ-ზე.

ქართლის ქარის ელექტროსადგური. 2019 წლის ნოემბერში სს „საქართველოს კაპიტალმა“ გაიმარჯვა საჯარო აუქციონში, რომელიც გაიმართა „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდისა“ და „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ. აუქციონის ფარგლებში მან 14,4 მლნ აშშ დოლარად შეიძინა 100%-იანი წილი 20.7 მგვტ სიმძლავრის ექვსტურბინიან ქართლის ქარის ელექტროსადგურზე. ქარის ელექტროსადგური შემდგომში გადაეცა სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზს“ 2020 წლის ივლისში. ქართლის ქარის ელექტროსადგური ერთადერთი მოქმედი ქარის ელექტროსადგურია საქართველოში, გამორჩეული ეფექტურობის მაჩვენებლით (~50%) და აწარმოებს ელექტროენერჯის 2016 წლის ბოლოდან. PPA-ით დადგენილი ფასი ქართლის ქარის ელექტროსადგურსა და ესკო-ს შორის არის 0.065 აშშ დოლარი კვტ/სთ-ზე. ქარის ელექტროსადგურის PPA კონტრაქტი ძალაშია 2030 წლამდე და ესკო-

სთან მისი PPA-ის შესაბამისად, რვა თვის განმავლობაში, სექტემბრიდან აპრილის ჩათვლით ქართლის ქარის ელექტროსადგური ვალდებულია მიჰყიდოს ელექტროენერგია ესკო-ს, ხოლო დანარჩენ თვეებში შეუძლია თავად აირჩიოს გამყიდველი და მასზე გაყიდოს მის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია. მიუხედავად ამისა, ექსპლუატაციის პირველი 13 წლის განმავლობაში ქართლის ქარის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია უნდა გაიყიდოს ექსკლუზიურად საქართველოს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

მოკლე ინფორმაცია სექტორის შესახებ

ელექტროენერგეტიკული ბაზარი იყოფა ორ ნაწილად - საცალო ბაზარი და საბითუმო ბაზარი. საცალო ბაზარზე მომხმარებლები არიან: საყოფაცხოვრებო სექტორი, მცირე და საშუალო საწარმოები და გარკვეული სახელმწიფო ორგანიზაციები. საცალო მომხმარებლის ელექტროენერგიის ტარიფს არეგულირებს და ადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია („სემეკი“). საცალო ბაზარზე ელექტროენერგიის მიმწოდებლები არიან შპს „თელმიკო“ და სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“. ელექტროენერგიას ისინი საბითუმო ბაზარზე ყიდულობენ და საცალო მომხმარებლებს აწვდიან. ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარზე ელექტროენერგიის ფასს არ არეგულირებს „სემეკი“, გარდა „თელმიკოს“ და სს „ეპ ჯორჯიას“ არეალში არსებული მოწყვლადი მომხმარებლებისთვის (საყოფაცხოვრებო სექტორი და მცირე ბიზნესი), რისთვისაც ბაზრის ფასსა და „სემეკის“ დაგენილ ფასს შორის არსებულ სხვაობაზე ფორმდება ფასებს შორის სხვაობის ხელშეკრულება. საცალო ბაზარზე ანგარიშსწორება ხდება თვეში ერთხელ.

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი უფრო დივერსიფიცირებულია ბაზრის მოთამაშეების თვალსაზრისით. ამ ბაზარზე გამყიდველები არიან ელექტროსადგურები (ჰიდრო, თბო, მზის ან ქარის), იმპორტიორები ან საბითუმო მიმწოდებლები (იგივე ელექტროენერგიის „მოვაჭრეები“ ან ტრეიდერები). საბითუმო ბაზარზე ელექტროენერგიას ყიდულობენ ელექტროენერგიის მიმწოდებლები („თელმიკო“ და „ეპ ჯორჯია მიწოდება“), პირდაპირი მომხმარებლები (დიდი სამრეწველო კომპანიები - 46 კომპანია 2022 წლის თებერვლის მდგომარეობით), ექსპორტიორები (40 რეგისტრირებული კომპანია, საიდანაც 2021 წელს მხოლოდ 5 იყო აქტიურად ჩაბმული ვაჭრობაში) ან მოვაჭრეები (თებერვლის მდგომარეობით 20 რეგისტრირებული კომპანია, საიდანაც 5 ვაჭრობდა 2021 წელს). საბითუმო ბაზრის ყველა მონაწილე თავისი კონტრაქტორის არჩევანში თავისუფალია. ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარზე მიწოდების მხარეს არის 100-ზე მეტი ელექტროენერგიის მწარმოებელი, 29 იმპორტიორი (თუმცა 2020-21 წლებში მხოლოდ 5 იყო აქტიური) და 20 მოვაჭრე (მხოლოდ 5 იყო 2020 და 2021 წლებში აქტიურად ჩართული ელექტროენერგიის ვაჭრობაში).

ელექტროენერგიის წარმოების ბაზარი ნაწილობრივ დერეგულირებულია და თითქმის სრულად პრივატიზებულია. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჰესები - ენგური და ვარდნილი - სავარაუდოდ, დარჩება სახელმწიფო საკუთრებაში, რადგან ისინი ნაწილობრივ განლაგებულია აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. გარდაბანი-1 და გარდაბანი-2 თბოელექტროსადგურები სახელმწიფო კომპანიის სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ ეკუთვნის. ყველა სხვა ელექტროსადგური კერძო საკუთრებაშია.

ელექტროენერგიის მოხმარება დიდ კორელაციაშია მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდასთან, მისი მოხმარების საშუალო ზრდის ტემპი 2010-2021 წლებში 5.1% იყო. 2020 წელს ელექტროენერგიის მოხმარება წლიურად 4.9%-ით შემცირდა Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური აქტივობის შემცირების გამო. 2021 წელს მოხმარება გაიზარდა 13.1%-ით და პანდემიამდელ დონეს 7.6%-ით გადააჭარბა (2021 წ. 2019 წლის მოხმარებასთან შედარებით).

საქართველოში ელექტროსადგურების ჯამურმა დადგმულმა სიმძლავრემ 2021 წელს შეადგინა 4.5 გიგავატი, 2010 წელს კი - 3.3 გიგავატი. 2010 წლის შემდეგ დადგმული სიმძლავრე 1.2 გიგავატით გაიზარდა, საიდანაც მხოლოდ 0.7 გიგავატი იყო ჰიდრო და ქარის პროექტები, ხოლო დანარჩენი 0.5 გიგავატი იყო თბოსადგურები, რომლებიც მუშაობენ იმპორტირებულ ბუნებრივ აირზე. ამჟამად საქართველოს აქვს 103 ჰიდროელექტროსადგური (3.3 გვტ), 7 თბოსადგური (1.2 გვტ) და 1 ქარის ელექტროსადგური (20.7 მგვტ). 2010 წლიდან ელექტროენერჯის მიწოდება გაიზარდა 10.1 ტვტ/სთ-დან 14.4 ტვტ/სთ-მდე (ელექტროენერჯის ტრანზიტის გარეშე). მიწოდების ზრდის 80%-ზე მეტი (3.5 ტვტ/სთ) მოვიდა იმპორტზე დამოკიდებულ წყაროებზე - ელექტროენერჯის პირდაპირ იმპორტსა და გაზზე მომუშავე თბოსადგურების წარმოებაზე. მიწოდების მხარის ზრდის მხოლოდ 20%-ზე ნაკლები დაკმაყოფილდა ქარისა და ჰიდროელექტროსადგურების გაზრდილი წარმოებით. ადგილობრივი განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარების დაბალმა ტემპმა განაპირობა თბოსადგურების გენერაციისა და პირდაპირი ელექტროენერჯის იმპორტის წილის გაზრდა.

ემიტენტის აქციონერები

2022 წლის სექტემბერში სს“ საქართველოს კაპიტალმა“ გამოყო განახლებადი ენერჯის ბიზნესი სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“-ისგან (“GGU”) და ახლა ის ირიბად (სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ჰოლდინგის“ მეშვეობით) სრულად ეკუთვნის სს „საქართველოს კაპიტალს“. მეორე მხრივ, სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციები“ არის შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“, შპს „ჰიდროლუას“, სს „სვანეთი ჰიდროსა“ და შპს „ჯიარპისი თრედი“ (“GRPC Trade“) 100%-იანი მშობელი კომპანია. ემიტენტის აქტივები მდებარეობს საქართველოში.

„Georgia Capital PLC“, ემიტენტის 100%-იანი აქციონერი, წარმოადგენს საქართველოში წამყვან ინვესტიციების მართვის კომპანიას, რომელიც დაშვებულია ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ სეგმენტზე (Ticker: CGEO). მისი სტრატეგია ეფუძნება ნაკლები კაპიტალური დანახარჯების საჭიროების მქონე, ფართო-მასშტაბიან საინვესტიციო შესაძლებლობებს საქართველოში, რომელთაც შეუძლიათ მიაღწიონ მინიმუმ 300 მილიონი ლარის ღირებულებას საწყისი ინვესტიციიდან 3-5 წელიწადში. კომპანია ახდენს ინვესტიციების მონეტიზაციას კომპანიების გაყიდვის გზით. კომპანიის ძირითადი სტრატეგიის ხელშემწყობი ფაქტორები მოიცავს კაპიტალზე წვდომას, კარგ მენეჯმენტსა და ძლიერ კორპორატიულ მმართველობას. 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, მისი პორტფელის ჯამური ღირებულება 2,7 მილიარდი ლარი იყო. მისი პორტფელი შედგება ინვესტიციებისგან მსხვილ კომპანიებში (როგორცაა „საქართველოს ბანკი“, ჯანდაცვა და დაზღვევა), საინვესტიციო სტადიაზე მყოფ კომპანიებში, რომლებიც მოქმედებენ ენერგეტიკულ ბიზნესსა (ემიტენტი) და განათლების სექტორებში და სხვა პორტფელის კომპანიებში, რომლებიც მოღვაწეობენ უძრავი ქონების განვითარების, სასტუმრო და კომერციული უძრავი ქონების, სასმელების, ავტო სერვისებისა და ციფრული სერვისების სექტორებში.

დამატებითი დეტალებისთვის, გთხოვთ, იხილოთ ზემოთ მოცემული სამართლებრივი სტრუქტურა, ქვეთავში „ძირითადი ინფორმაცია ემიტენტის შესახებ“.

ემიტენტის მენეჯმენტი

ზურაბ გორდეზიანი – GRPO-ს აღმასრულებელი დირექტორი

ზურაბ გორდეზიანი არის ემიტენტის გენერალური დირექტორი. ზურაბი სს „ჯორჯია გლობალ იუთილითის“ შეუერთდა 2015 წლის იანვარში და 2019-2022 წლებში მუშაობდა მისი მმართველი საბჭოს წევრად. ზურაბი „BGEO Group“-ს შეუერთდა 2013 წელს ჰიდრო პროექტების განსავითარებლად. მანამდე ის 14 წელი იყო ჩართული საქართველოს ენერჯეტიკულ სექტორში და იყო იმ გუნდის ნაწილი, რომელმაც შეიმუშავა საქართველოს ენერჯეტიკის სექტორის მოქმედი საკანონმდებლო ბაზა. იგი ასევე მუშაობდა სს „ეპ ჯორჯიაში“, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და ენერჯეტიკის სამინისტროში აღმასრულებელ თანამდებობებზე. ზურაბი ფლობს ხარისხს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობისა და ეკონომიკის დარგებში.

ნანა მშვიდლობაძე - GRPO-ს ფინანსური დირექტორი

ნანა სს „საქართველოს კაპიტალის“ განახლებადი ენერჯის ბიზნესს 2017 წელს შეუერთდა. მანამდე იგი მუშაობდა „BGEO Group“-ის ფინანსურ გუნდში 2016 წლიდან. მანამდე იგი მუშაობდა PricewaterhouseCoopers-ში („PWC“) 6 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. PWC-ში ნანა მუშაობდა თბილისისა და ბრიუსელის ოფისებში, სადაც მართავდა აუდიტის გუნდებს სხვადასხვა კლიენტებისთვის სხვადასხვა სექტორში. მას აქვს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი „კავკასიის უნივერსიტეტის“ ფინანსების მიმართულებით და არის ACCA-ის წევრი.

ემიტენტის კორპორატიული მართვის წყობის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ სარეგისტრაციო დოკუმენტის ქვეგანყოფილება „მმართველი ორგანო და მენეჯმენტი“.

ემიტენტის აუდიტორები და პროსპექტში ჩართული მესამე პირები ან ექსპერტები:

ემიტენტის ფინანსური აუდიტორი: ემიტენტის ფინანსური აუდიტორია შპს „EY“ (ს/ნ: 204441158), მის: ქ. თბილისი, N44 კოტე აფხაზის ქ.; ელ-ფოსტა: info@ge.ey.com.

პროსპექტში წარმოდგენილი პერიოდების მანძილზე არ მომხდარა კომპანიის ფინანსური აუდიტორის ცვლილება.

ემიტენტის რეგისტრატორი: სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“ (ს/ნ: 205156374), მის: ქ. თბილისი, 0162, N11 მოსაშვილის ქ.; ტელ.: (995 32) 2 25 15 60; ელ-ფოსტა: info@usr.ge (ემიტენტი უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებას ობლიგაციების გამოშვებამდე).

ობლიგაციების მფლობელის წარმომადგენელი: შპს „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“ (ს/ნ: 204484628), ტელეფონი: 0322 20 74 07, მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, № 71 ვაჟა-ფშაველას გამზირი, ბლოკი IV, სართული IV, ოფისი 28. ელ-ფოსტა: info@nplaw.ge.

„მეორე მხარის მოსაზრების“ გამცემი გარე ექსპერტი: Sustainalytics, Morningstar-ის შვილობილი კომპანია და აღიარებული შემოწმებელი კომპანიაა „კლიმატური ობლიგაციების“ ინიციატივით (<https://www.climatebonds.net/certification/approved-verifiers>, ყველაზე მსხვილი გარე მიმოხილვის მიმწოდებელი 2020). Identification code: []. მისამართი: 1 Oliver's Yard, 55-71 City Road, ლონდონი EC1Y 1HQ, დიდი ბრიტანეთი, ვებ-გვერდი: www.sustainalytics.com; ელ-ფოსტა: susfinance.emea@sustainalytics.com.

შეთავაზებაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირები:

განთავსების, კალკულაციისა და გადახდის აგენტი: განთავსების, კალკულაციისა და გადახდის აგენტი: სს „გალტ და თაგარტი“ (ს/ნ: 211359206), რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო; მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა; მისამართი: საქართველო, თბილისი 0105, პუშკინის ქ. 3, ტელ.: (+995 32) 2 40 11 11; ფოსტა: st@gt.ge

კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება განთავსების აგენტებთან - სს „გალტ და თაგარტთან“ (რომელიც ასევე მოქმედებს როგორც კალკულაციისა და გადამხდელი აგენტი) და შპს „თიბისი კაპიტალთან“. ხელშეკრულება ავალდებულებს სს „გალტ და თაგარტს“ და შპს „თიბისი კაპიტალს“ უზრუნველყონ ობლიგაციების განთავსება არაგარანტირებულ საფუძველზე (Best Effort-ის პირობებში). განთავსების აგენტის მოვალეობაა ემიტენტს დაეხმაროს ობლიგაციების განთავსებისთვის საჭირო დოკუმენტაცია (მათ შორის ობლიგაციების პროსპექტი), შეასრულოს განთავსების აგენტის ფუნქცია-მოვალეობები და კომპანიას გაუწიოს ობლიგაციების გამოშვებასთან, რეალიზაციასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული კონსულტაციები. სს „გალტ და თაგარტის“, როგორც კალკულაციისა და გადახდის აგენტის მოვალეობაა კუპონისა და ძირითადი თანხის კალკულაცია და ანგარიშსწორება.

ემიტენტი და განთავსების აგენტი 1, რომელიც ასევე მოქმედებს როგორც კალკულაციისა და გადამხდელი აგენტი (გალტ & თაგარტი) დაკავშირებულები არიან არაპირდაპირ. ემიტენტი წარმოადგენს „Georgia Capital PLC“-ის 100%-იან შვილობილ კომპანიას („საბოლოო მშობელი“), რომელიც ასევე არაპირდაპირ ფლობს 19.90%-იან წილს (ხმის მიცემის უფლების გარეშე) „Bank of Georgia Group PLC“-ში, რომელიც, თავის მხრივ, ფლობს სს „გალტ ენდ თაგარტის“ 100%-ს. მიუხედავად იმისა, რომ პოტენციური ინვესტორების პერსპექტივიდან ასეთი კავშირი შეიძლება ჩაითვალოს გარკვეულ რისკ ფაქტორად, ემიტენტი მიიჩნევს, რომ ამგვარი რისკი არაარსებითია, იმის გათვალისწინებით, რომ მას გააჩნია წილი „გალტ ენდ თაგარტში“ ხმის მიცემის უფლების გარეშე. ასევე, აღნიშნული კომპანიების მმართველ ორგანოთა წევრები ერთმანეთისგან სრულად განცალკევებულია და მოცემულ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ყველა ხელშეკრულება დადებულია არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, კომერციულ საფუძველზე.

ემიტენტი და განთავსების აგენტი 2 (შპს „თიბისი კაპიტალი“), ემიტენტის აუდიტორები და პროსპექტის მომზადებაში ჩართული მესამე მხარეები ან ექსპერტები არ არიან დაკავშირებული მხარეები და მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

ემიტენტს არ აქვს ინფორმაცია შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ცხრილში შეჯამებულია კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები, რომლებიც 2021 და 2020 წლებისთვის ეფუძნება ემიტენტის კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ (Carved Out) აუდიტირებულ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას 2021 წლისთვის და 2022 წლის 6 თვის მდგომარეობით - 2022 წლის ნახევარი წლის ფინანსურ ანგარიშგებას. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS-ის) შესაბამისად. 2022 ნახევარი წლის ანგარიშგება შესადარისი 2021 წლის პერიოდით ასევე შედგენილია carve out პრინციპით.

2021 წლისთვის მომზადებული ემიტენტის ცალკე გამოყოფილი (Carved Out) აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის აუდიტორის დასკვნის ტიპი არის უპირობო. ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და დამატებითი დეტალები შესაბამისად მითითებულია თანდართულ ანგარიშგებაში.

2022 წლის 30 ივნისიდან პროსპექტის წარდგენის თარიღამდე მომხდარი ძირითადი მნიშვნელოვანი მოვლენები უკავშირება:

- ემიტენტის ყოფილი 100%-იანი აქციონერის, GGU-ს მიერ US\$ 250 მილიონის არსებული მწვანე ევრო-ობლიგაციის ვადამდელ დაფარვას 2022 წლის 7 სექტემბერს, მათ შორის ემიტენტისა და მისი ჯგუფისთვის მიკუთვნებული US\$ 95 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ვალდებულების გადაფარვას დიდწილად მისი 100%-იანი არაპირდაპირი მესაკუთრისგან, სს „საქართველოს კაპიტალისგან“ მიღებული დამფუძნებლის სუბორდინირებული დაფინანსების მეშვეობით (დეტალებისთვის, იხილეთ პროსპექტის სარეგისტრაციო დოკუმენტის ქვეთავი „ოპერაციული და ფინანსური მიმოხილვა, კაპიტალიზაცია და დავალიანება“), და
- ემიტენტის გამოყოფის დასრულებას პროსპექტში აღწერილი ცვლილებების შესაბამისად (დეტალებისთვის, იხილეთ პროსპექტის ზოგადი მიმოხილვის ქვეთავი “ინფორმაცია ემიტენტის შესახებ“).

გარდა ზემოთ შეჯამებული და პროსპექტში აღწერილი ინფორმაციისა, 2022 წლის 30 ივნისიდან პროსპექტის წარდგენის თარიღამდე არ მომხდარა სხვა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც შეიძლება მატერიალური იყოს ემიტენტის გადახდისუნარიანობის შესაფასებლად

| მოგება-ზარალის ანგარიშგება, ძირითადი მაჩვენებლები, ათასი ლარი | 2022 HY არააუდ. | 2021 HY არააუდ. | 2021 აუდ. | 2020 აუდ. |
|---|--------------------|--------------------|----------------|----------------|
| სულ ამონაგები და შემოსულობა | 19,244 | 20,432 | 43,951 | 42,510 |
| საოპერაციო ხარჯები | -2,228 | -2,111 | -4,369 | -4,140 |
| ადმინისტრაციული ხარჯები | -1,710 | -1,807 | -3,541 | -3,589 |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | -844 | -1,042 | -1,963 | -1,734 |
| EBITDA (საოპერაციო მოგება) | 14,463 | 15,472 | 34,078 | 33,047 |
| EBITDA მარჟა (საოპერაციო მოგების მარჟა) | 75% | 76% | 78% | 78% |
| ფინანსური ხარჯები, წმინდა | -11,060 | -12,153 | -23,580 | -23,417 |
| მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან | -27 | 22 | -25 | -1,301 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | -5,585 | -6,564 | -12,580 | -12,640 |
| არარეგულირებული შემოსავალი/(ხარჯები) | -1,783 | -1,328 | -43,411 | -10,577 |
| ზარალი დაბეგვრამდე | -3,992 | -4,551 | -45,518 | -14,888 |

| | | | | |
|------------------------|---------------|---------------|----------------|----------------|
| მოგების გადასახადი | - | - | - | - |
| პერიოდის ზარალი | -3,992 | -4,551 | -45,518 | -14,888 |

| საბალანსო ანგარიშგება, ძირითადი მაჩვენებლები, ათასი ლარი | 30.06.2022 არააუდ. | 31.12.2021 აუდ. | 31.12.2020 აუდ. |
|--|-----------------------|--------------------|--------------------|
| მიმდინარე აქტივები | 46,467 | 51,805 | 70,085 |
| გრძელვადიანი აქტივები | 281,384 | 302,994 | 366,615 |
| სულ აქტივები | 327,851 | 354,799 | 436,700 |
| მიმდინარე ვალდებულებები | 12,780 | 12,576 | 13,058 |
| გრძელვადიანი ვალდებულებები | 277,117 | 299,389 | 311,161 |
| სულ ვალდებულებები | 289,897 | 311,965 | 324,219 |
| სააქციო კაპიტალი | 84,664 | 84,664 | 104,664 |
| გაუნაწილებელი მოგება | -64,128 | -60,135 | -14,617 |
| რეზერვები | 17,418 | 18,305 | 22,434 |
| სულ კაპიტალი | 37,954 | 42,834 | 112,481 |

| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება, ათასი ლარი | 2022 HY არააუდ. | 2021 HY არააუდ. | 2021 აუდ. | 2020 აუდ. |
|---|--------------------|--------------------|----------------|---------------|
| <i>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან სავაჭრო ფასიან ქაღალდებში ინვესტიციამდე წმინდა ინვესტიცია სავაჭრო ფასიან ქაღალდებში</i> | 12,076 | 9,529 | 31,018 | 47,550 |
| <i>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</i> | 9,012 | 1,221 | 22,710 | 47,550 |
| <i>ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაზე</i> | -7,476 | -3,952 | -6,012 | 22,888 |
| <i>ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</i> | -18,584 | -19,881 | -41,460 | -30,565 |
| <i>უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე</i> | -977 | -507 | -1,552 | 3,171 |
| წმინდა ცვლილება ფულადი სახსრებში | -18,025 | -23,119 | -26,314 | 43,044 |
| ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისისთვის | 36,948 | 63,262 | 63,262 | 20,218 |
| ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს | 18,923 | 40,143 | 36,948 | 63,262 |

ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები

| კოეფიციენტები: | 2022 HY კორექტ. ² | 2022 HY | 2021 | 2020 |
|---|---------------------------------|---------|------|------|
| ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები | | | | |
| 1. პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი | 1.4 | 1.4 | 1.4 | 1.6 |
| 2. წმინდა სესხები/EBITDA (ობლიგაციების კოვენანტის კოეფიციენტი) | 6.8 | 8.1 | 8.0 | 7.8 |
| 3. მთლიანი ვალის კოეფიციენტი | 0.8 | 0.9 | 0.9 | 0.7 |
| 4. გრძელვადიანი სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი | 6.1 | 7.3 | 7.0 | 2.8 |

მომგებიანობის კოეფიციენტები

| | | | | |
|--|------|------|------|------|
| 5. EBITDA მარჟა | 75% | 75% | 78% | 78% |
| 6. EBIT მარჟა | 46% | 46% | 49% | 48% |
| 7. ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი | 6.7% | 6.5% | 5.6% | 5.1% |

ლიკვიდურობის კოეფიციენტები

| | | | | |
|--|------|-------|-------|-------|
| 8. ფულის ამოღების კოეფიციენტი | 96% | 96% | 99% | 101% |
| 9. ლიკვიდური აქტივები / მთლიანი აქტივები | 3.2% | 10.1% | 13.4% | 14.9% |
| 10. ლიკვიდური აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები | 1.85 | 2.59 | 3.77 | 4.98 |
| 11. მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი | 4.42 | 3.64 | 4.12 | 5.37 |

შერჩეული კოეფიციენტები საკრედიტო სარეიტინგო

სააგენტოების მეთოდოლოგიებიდან

| | | | | |
|---|------|------|-------|-------|
| 12. (CFO Pre-W/C + Interest) / Interest Expense | 1.37 | 1.37 | 1.36 | 1.42 |
| 13. (CFO Pre-W/C) / Net Debt | 4.1% | 3.5% | 3.5% | 3.5% |
| 14. RCF / Net Debt | 3.7% | 3.1% | -0.1% | 10.8% |

ზოგადი შენიშვნები:

1. ზემოთ წარმოდგენილია ის ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები, რომლებიც ემიტენტის შეფასებით რელევანტურია მისი ბიზნეს საქმიანობისა და სპეციფიკის შესაფასებლად. აღნიშნული კოეფიციენტების გარდა, ზემოთ მოცემულ ცხრილში არ არის წარმოდგენილი შემდეგი კოეფიციენტები:
 - სასესხო ვალდებულებების მომსახურების კოეფიციენტი (DSCR), რადგან ზემოთ წარმოდგენილი პერიოდებისთვის ემიტენტის საპროცენტო ვალდებულებების უდიდეს ნაწილს შეადგენს ობლიგაციები, რის გამოც აღნიშნული კოეფიციენტი არსებითად იდენტურია პროცენტის დაფარვის კოეფიციენტისა;
 - მომგებიანობის ისეთ კოეფიციენტებს, როგორცაა უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე და კაპიტალზე და წმინდა მოგების მარჟა, რამდენადაც ემიტენტის წმინდა მოგება ზემოთ წარმოდგენილი პერიოდებისთვის უარყოფითია;
 - სხვა, მისი საქმიანობისთვის არაარსებითი კოეფიციენტები;
2. 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კორექტირებული კოეფიციენტები ითვალისწინებს შემდეგი მოვლენების ეფექტს ემიტენტის წარმოდგენილ ფინანსურ კოეფიციენტებზე:
 - GGU-ის მიერ 2020 წლის 28 ივლისს გამოშვებული \$250 მილიონის ევრო-ობლიგაციების და შესაბამისად, ემიტენტსა და მის ჯგუფზე მიკუთვნიებული დაახლოებით \$95 მილიონის გადაფარვის ეფექტს;
 - ემიტენტის 100%-იანი არაპირდაპირი მესაკუთრისგან, სს „საქართველოს კაპიტალისგან“ მიღებული დაახლოებით \$90 მილიონის დამფუძნებლის სუბორდინირებული დაფინანსების და ემიტენტის ბალანსზე არსებული დაახლოებით \$5 მილიონის ნაღდი ფულის მეშვეობით (აქედან, ნაწილი ნაღდი ფული მიღებულ იქნა 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ემიტენტის მიერ სავაჭროდ ფლობილი ფინანსური აქტივების სრულად რეალიზაციის შედეგად);
 - წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული \$80 მილიონის ობლიგაციების ემისიის ეფექტს, რომლითაც განხორციელდება ემიტენტის არაპირდაპირი მესაკუთრის მიმართ არსებული დაახლოებით \$90 მილიონის დამფუძნებლის სუბორდინირებული დაფინანსების რეფინანსირება (რეფინანსირების შემდეგ დარჩენილი დამფუძნებლის სუბორდინირებული დაფინანსება: დაახლოებით \$10 მილიონი).

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული კორექტირების ეფექტი არ ეფუძნება ზუსტ IFRS მონაცემებს, არამედ წარმოადგენს პროსპექტის მომზადების თარიღისთვის ემიტენტისთვის ხელმისაწვდომ მაქსიმალურად დაზუსტებულ ინფორმაციას.

იმ კოეფიციენტებისთვის, რომლებიც უცვლელად არის დატოვებული 2022 წლის 30 ივნისის არაკორექტირებულ მონაცემებთან შედარებით, ობლიგაციების ემისიით არ არის მოსალოდნელი მატერიალური ზეგავლენა სხვა მაჩვენებლებზე ან აღნიშნული ეფექტის შეფასება შეუძლებელია.

3. თუკი სხვაგვარად არ არის მითითებული, კოეფიციენტების გამოთვლის მეთოდოლოგიაში ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
 - EBITDA (საოპერაციო მოგება) - მოგება პროცენტის, გადასახადების, ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯებამდე (განმარტება იხილეთ ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების თავში, როგორც მითითებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში)
 - EBIT - მოგება პროცენტის და გადასახადის ხარჯებამდე, ასევე გამოითვლება, როგორც EBITDA-ს გამოკლებული ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები
 - საპროცენტო (სასესხო) ვალდებულებები - კომპანიის ბალანსზე არსებული სასესხო ვალდებულებების და ობლიგაციების ჯამი, გარდა დამფუძნებლის სუბორდინირებული ვალდებულებისა;
 - წმინდა სესხები (იგივე, წმინდა საპროცენტო ვალდებულებები) - საპროცენტო (სასესხო) ვალდებულებებს გამოკლებული ფული და ფულის ექვივალენტი

ძირითადი კოეფიციენტების გამოთვლის მეთოდოლოგია:

1. პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი - EBITDA შეფარდებული გადახდილ საპროცენტო ხარჯთან (2022 წლის შემთხვევაში, საქმიანობის და სექტორის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასევე გადახდის სიხშირის გათვალისწინებით აღებულია ბოლო 12 თვის მონაცემები);
2. წმინდა სესხები/EBITDA (იგივე ობლიგაციების ფინანსური კოვენანტებით განსაზღვრული „კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტი“ - დეტალებისთვის იხ. ქვეთავი „ობლიგაციების პირობები, 5. დათქმები“) - წმინდა სესხები შეფარდებული EBITDA- სთან (2022 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის EBITDA);
3. მთლიანი ვალის კოეფიციენტი - საპროცენტო ვალდებულებები შეფარდებული მთლიან აქტივებთან;
4. გრძელვადიანი სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი - კომპანიის გრძელვადიანი სასესხო (საპროცენტო) ვალდებულებები და შეფარდებული კაპიტალთან;
5. EBITDA მარჟა - EBITDA შეფარდებული შემოსავალთან;
6. EBIT მარჟა - EBIT შეფარდებული შემოსავალთან;
7. ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი - EBIT (2022 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის EBIT) შეფარდებული უკანასკნელი ორი პერიოდის საშუალო კაპიტალს დამატებული უკანასკნელი პერიოდის წლის საშუალო გრძელვადიან საპროცენტო ვალდებულებებთან;
8. ფულის ამოღების კოეფიციენტი - ნაღდი ფულის სახით მიღებული შემოსავლის ფარდობა მთლიან შემოსავალთან;
9. ლიკვიდური აქტივები / მთლიანი აქტივები- ფული და ფულის ეკვივალენტებს დამატებული სავაჭრო მოთხოვნები და სავაჭროდ ფლობილი ფინანსური აქტივები შეფარდებული მთლიან აქტივებთან;
10. ლიკვიდური აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები - ფული და ფულის ეკვივალენტებს დამატებული სავაჭრო მოთხოვნები და სავაჭროდ ფლობილი ფინანსური აქტივები შეფარდებული მიმდინარე ვალდებულებებთან;
11. მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი- მოკლევადიანი აქტივები შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან;
- 12-14 კოეფიციენტებისთვის გამოთვლის მეთოდოლოგია ეფუძნება საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოების ქვემოთ მითითებულ გამოთვლის მეთოდოლოგიებს. ამის მიუხედავად, ემიტენტი არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას აღნიშნული კოეფიციენტებისთვის გამოთვლის მეთოდოლოგიების საკრედიტო სააგენტოების მიდგომებთან შესაბამისობაზე.

ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოების მეთოდოლოგიების მიხედვით როგორც გამჟღავნებულია პროსპექტში, GRPO-ს არ გააჩნია გარე საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული არც კომპანიისა და არც ობლიგაციების რეიტინგი.

GGU-ს, რომელიც წარმოადგენდა GCAP-ის ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ბიზნესების დედა კომპანიას და ამავდროულად იყო \$250m ევრობონდების ემიტენტი, რომელსაც, ბოლო განახლებების შესაბამისად, მინიჭებული აქვს შემდეგი რეიტინგები S&P-ისა და Fitch-ის მიერ (გასათვალისწინებელია, რომ უშუალოდ რეიტინგი უცვლელია გაყიდვის გარიგების გამოცხადების შემდეგ):

| | S&P Global | Fitch Rating |
|--------------------|---|---|
| რეიტინგი | B | B+ |
| მოლოდინი (outlook) | Stable | Rating Watch Evolving |
| განახლების თარიღი | 31-Jan-22 | 14-Jan-22 |
| ანგარიშის ბმული | https://www.ggu.ge/_files/ugd/5ed98dc240a07637ed46129db73677519ae7cf.pdf | https://www.fitchratings.com/research/corporate-finance/fitch-places-ggu-on-rating-watch-evolving-on-announced-sale-to-fcc-aqualia-14-01-2022 |

ამის გარდა, საილუსტრაციო მიზნებისთვის, ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია ერთ-ერთი სარეიტინგო კომპანიის, Moody's Ratings-ის მიერ კომპანიებისთვის რეიტინგის მინიჭების პროცესში გამოყენებული კოეფიციენტების შესახებ (მხოლოდ შერჩეული რაოდენობრივი მაჩვენებლები).

აღნიშნული არანაირად არ მოიაზრებს, რომ რეიტინგის მოპოვების შემთხვევაში ემიტენტი მიიღებდა კოეფიციენტების მაჩვენებლების შესაბამისად განსაზღვრულ რეიტინგს, რამდენადაც რეიტინგის მინიჭების პროცესი კომპლექსურია და საბოლოო რეიტინგის გამოყვანისას ხდება არაერთი მნიშვნელოვანი, როგორც რაოდენობრივი ისე ხარისხობრივი ფაქტორის გათვალისწინება. მაგალითისთვის, მსგავს ფაქტორებს მიეკუთვნება მშობელი კომპანიის შესაძლო მხარდაჭერა და ელექტრო ენერჯის წარმოების სექტორის შემთხვევაში - კომპანიის შემოსავლების დაცულობა ფასის ცვალებადობის რისკისგან. ასევე, Moody's-ის მეთოდოლოგიის თანახმად, საკრედიტო რეიტინგის დადგენა ხდება საპროგნოზო მონაცემებზე დაყრდნობით, ხოლო ისტორიული მონაცემები დამხმარე ფუნქციას ატარებს. აქედან გამომდინარე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მხოლოდ აღნიშნულ კოეფიციენტებზე კომპანიის რეიტინგის შეფასების დაფუძნება შეცდომაში შემყვანი იქნება და ინვესტორებმა თავად უნდა შეაფასონ კომპანიასთან და ობლიგაციებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკები.

დამატებით, ემიტენტი არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას, რომ წარმოდგენილი სექტორი, მეთოდოლოგია ან კოეფიციენტების გამოთვლის მიდგომა შესაბამისია რომელიმე საკრედიტო სარეიტინგო მეთოდოლოგიისა ან/და ემიტენტის სპეციფიკური ბიზნეს საქმიანობისა.

7Moody's unregulated power companies rating methodology

| Leverage and Coverage | AAA | AA | A | Baa | Ba | B | Caa |
|---|-------|---------|---------|---------|-----------|---------|-----|
| (CFO Pre-W/C + Interest) / Interest Expense | >=18x | 13x-18x | 8x-13x | 4.2x-8x | 2.8x-4.2x | 1x-2.8x | <1x |
| (CFO Pre-W/C) / Net Debt | >=90% | 60%-90% | 35%-60% | 20%-35% | 12%-20% | 5%-12% | <5% |
| RCF / Net Debt | >=60% | 45%-60% | 25%-45% | 15%-25% | 8%-15% | 3%-8% | <3% |

ზოგადი შენიშვნები:

- გამოყენებული მეთოდოლოგია და კოეფიციენტების გამოთვლის წყარო: https://www.moody.com/researchdocumentcontentpage.aspx?docid=PBC_1066389;
- ობლიგაციების გამოშვების მომენტში არსებული საპროცენტო ვალდებულებები შემცირებული იქნება 15 მლნ აშშ დოლარით, რაც გამოიწვევს კოეფიციენტების გაუმჯობესებას;
- ისეთი კოეფიციენტებისთვის, რომელთა გამოთვლაშიც მონაწილეობს როგორც საბალანსო უწყისის, ისე მოგება-ზარალის ან/და ფულადი ნაკადების უწყისის მაჩვენებლებით, შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლები გაწლიურებულია ბოლო 12 თვის მონაცემით (როგორც მითითებულია შესაბამისი კოეფიციენტების გამოთვლის მეთოდოლოგიაში).

კოეფიციენტების გამოთვლის მეთოდოლოგია:

12. (CFO Pre-W/C + Interest) / Interest Expense – ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე შეფარდებული გადახდილ პროცენტთან. 2022 წლის შემთხვევაში, საქმიანობის და სექტორის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასევე გადახდის სიხშირის გათვალისწინებით აღებულია ბოლო 12 თვის მონაცემები;
13. (CFO Pre-W/C) / Net Debt - ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე და წმინდა საპროცენტო ხარჯის (საპროცენტო ხარჯს მინუს საპროცენტო შემოსავალი) შემდეგ შეფარდებული კომპანიის წმინდა საპროცენტო ვალდებულებებთან (საპროცენტო ვალდებულებებს მინუს ფულადი სახსრები) 2022 წლის შემთხვევაში გამოყენებულია ბოლო 12 თვის მაჩვენებლები;
14. RCF / Net Debt - ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა საპროცენტო ხარჯის (საპროცენტო ხარჯს მინუს საპროცენტო შემოსავალი) და დივიდენდების გაცემის შემდეგ შეფარდებული კომპანიის წმინდა საპროცენტო ვალდებულებებთან (საპროცენტო ვალდებულებებს მინუს ფულადი სახსრები). 2022 წლის შემთხვევაში გამოყენებულია ბოლო 12 თვის მაჩვენებლები.

მოკლე ინფორმაცია ემიტენტის ბიზნესისა და შეთავაზებული ფასიანი ქაღალდებისთვის დამახასიათებელი მატერიალური რისკ ფაქტორების შესახებ

ინდუსტრიისა და ეკონომიკის დამახასიათებელი რისკები:

1. ეკონომიკური არასტაბილურობისა და ინვესტირების რისკი მაღალია ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორც საქართველოა:

- 1.1. პოლიტიკურმა და სამთავრობო არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლოა მოახდინოს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნესზე;
- 1.2. არსებობს დამატებითი რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ისეთ განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებას, როგორც საქართველოა;
- 1.3. კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის გაცვლითი კურსის ცვალებადობამ აშშ დოლართან/სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით;
- 1.4. ვინაიდან კომპანია საქართველოში ოპერირებს, საქართველოს ეკონომიკის პირობებში ცვლილებები მასზე გავლენას მოახდენს;

2. მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონთან დაკავშირებული რისკები:

- 2.1. რეგიონულმა დამაბულობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ ეკონომიკაზე და კომპანიის ბიზნესზე;
- 2.2. საქართველოს მეზობელი ბაზრების დესტრუქციას შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე;

3. საკანონმდებლო და სასამართლო სისტემებთან დაკავშირებული რისკები:

- 3.1. შესაძლოა თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციასთან, რასაც თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება მოითხოვს;
- 3.2. საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა ბუნდოვანებამ შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან კომპანიისთვის ჯარიმების დაკისრება. ასევე შესაძლებელია, შეიცვალოს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა;
- 3.3. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვეველობამ, მათ შორის საქართველოში სახელმწიფოს ნებისმიერმა თვითნებურმა ან არათანმიმდევრულმა მომავალმა ქმედებამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება ზიანი მიაყენოს კომპანიის ბიზნესს;
- 3.4. კომპანია შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს მისი მომხმარებლების, მომწოდებლების და მარეგულირებლის მხრიდან;

4. მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებული რისკები

- 4.1. საქართველოს ელექტროენერჯის ბაზარი კვლავ ტრანსფორმაციის პროცესშია. არსებობს გარკვეული გაურკვეველობა ბაზრის მოწყობასთან და საბაზრო ფასების ფორმირების ძირითად მამოძრავებელ ფაქტორებთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა დამატებითი რისკები შეუქმნას კომპანიას.
- 4.2. ახალმა რეგულაციებმა ამ და სხვა ინდუსტრიაში შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობაზე

4.3. თუ მომავალში კომპანია ვერ შეასრულებს ფულის გათეთრებასთან ან ტერორისტთა დაფინანსებასთან დაკავშირებულ რაიმე მოქმედ რეგულაციებს, ან თუ კომპანია მათთან იქნება ასოცირებული, ამან შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიაზე;

ემიტენტის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები:

5. ბაზართან დაკავშირებული რისკები:

5.1. ელექტროენერჯის გამომუშავების, განაწილებისა და მიწოდების შესაძლებლობა დამოკიდებულია საქართველოს გადამცემ სისტემაზე;

6. საოპერაციო რისკები:

6.1. სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციები“ ელექტროენერჯიას ძირითადად ესკო-ზე ყიდის გრძელვადიანი ელექტროენერჯის შესყიდვის ხელშეკრულებების (“PPA”) ჭრილში, მაგრამ იმ თვეებში, რომლებსაც PPA არ ფარავს, კომპანია იღებს საბაზრო რისკებს, რაც შეიძლება გამოიხატოს ორ ქვერისკში: 1) მიმღების პოვნის რისკი და 2) საბაზრო ფასის რისკი;

6.2. გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კანონმდებლობა;

6.3. კლიმატურმა პირობებმა და ბუნებრივმა საფრთხეებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიაზე;

6.4. ემიტენტი განახლებადი ენერჯის ბიზნესთან მიმართებაში დამოკიდებულია მის PPA-ებზე ესკო-სთან ;

6.5. ელექტროსადგურების მოვლა და განახლება მოიცავს მნიშვნელოვან რისკებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ელექტროენერჯის დაუგეგმავი გათიშვა, გამომუშავების შემცირება და მოულოდნელი კაპიტალური ხარჯები;

7. ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკები:

7.1. ინვესტიციები ელექტროსადგურებში არალიკვიდურია

8. მმართველობასთან და ფინანსურ აღრიცხვასთან/ანგარიშგებასთან დაკავშირებული რისკები:

8.1. თუ კომპანია ვერ უზრუნველყოფს ეფექტური შიდა კონტროლის სისტემას, ეს შესაძლოა უარყოფითად აისახოს ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების სიზუსტეზე;

8.2. კორპორატიული მართვის სტანდარტებთან დაკავშირებული რისკები;

8.3. ემიტენტის აქციონერების ინტერესები გარკვეულ პირობებში შეიძლება განსხვავდებოდეს ობლიგაციების მფლობელთა ინტერესებისგან;

9. პერსონალთან და თანამშრომლების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები:

9.1. . ბაზარზე კვალიფიციური კადრების ნაკლებობამ შეიძლება შეაფერხოს კომპანიის განვითარება და ეფექტური საქმიანობა;

9.2. შრომითმა დავებმა და გაფიცებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის წარმოების დონესა და მომგებიანობაზე;

10. მოულოდნელ მოვლენებთან დაკავშირებული რისკები:

10.1. მოულოდნელმა მოვლენებმა, როგორცაა ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო მდგომარეობა, პანდემია და ა.შ. შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე;

10.2. კომპანიის საკუთრებაში არსებული აქტივების არასრულმა დაზღვევამ შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის მოგებაზე;

შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკები

11. ობლიგაციების საბაზრო ფასთან, ლიკვიდურობასთან და სარგებელთან დაკავშირებული რისკები:

- 11.1. ობლიგაციების საბაზრო ფასი შეიძლება ცვალებადი იყოს;
- 11.2. ობლიგაციებისთვის შესაძლოა არ არსებობდეს აქტიური სავაჭრო ბაზარი, რაზეც შესაძლოა დამატებით ახდენდეს გავლენას ის ფაქტი, რომ ობლიგაციები უზრუნველყოფილია;
- 11.3. ინვესტორებმა, რომელთა ფინანსური საქმიანობა დენომინირებულია ობლიგაციების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში ან ფულად ერთეულში, ობლიგაციებზე შესაძლოა მიიღონ ნაკლები პროცენტი ან ძირითადი თანხა, ვიდრე ელიან, გაცვლის კურსებში რყევების ან სავალუტო ოპერაციების რეგულირების შედეგად

12. ობლიგაციების უფლებებთან დაკავშირებული რისკები:

- 12.1. ობლიგაციების უზრუნველყოფაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს მესამე მხარის სასარგებლოდ არსებულმა ან საგადასახადო იპოთეკა/გირავნობამ
- 12.2. ობლიგაციების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულია სხვადასხვა რისკი, მათ შორის უზრუნველყოფის გაფორმებასა და ობლიგაციების გადაცემასთან დაკავშირებული რისკები
- 12.3. ობლიგაციების გასხვისება ექვემდებარება გარკვეულ ტერიტორიულ/სხვა ქვეყნის ინვესტორებზე დაწესებულ შეზღუდვებს
- 12.4. მომავალში ობლიგაციების პირობები შეიძლება შეიცვალოს ან უარი ითქვას ობლიგაციების პირობების დარღვევიდან გამომდინარე უფლებებზე
- 12.5. ობლიგაციებს გააჩნია გამოსყიდვის ოფცია (call option), რაც გარკვეული რისკების მატარებელია ინვესტორთათვის.

13. ობლიგაციების, მათი ფლობის საკანონმდებლო/მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებული და სხვა რისკები:

- 13.1. საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციებზე, მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციაზე და ობლიგაციების ფლობიდან მიღებული სარგებელის დაბეგვრაზე;
- 13.2. ინვესტორები უნდა დაეყრდნონ რეგისტრატორის, ობლიგაციონერების წარმომადგენლის და, შესაბამის შემთხვევებში, ობლიგაციების ნომინალური მფლობელის პროცედურებს;
- 13.3. ობლიგაციებში კაპიტალდაბანდება გულისხმობს ინვესტიციის კანონიერებასთან დაკავშირებული მოსაზრებების გათვალისწინებას;
- 13.4. ობლიგაციის შესყიდვის შესახებ განაცხადი შეიძლება დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

შეთავაზების პირობები და ფასიანი ქაღალდების ძირითადი მახასიათებლები:

ფასიანი ქაღალდების ძირითადი მახასიათებლები განსაზღვრულია შეთავაზების პირობების დოკუმენტით.

ინვესტორზე დაკისრებული შესაძლო დანახარჯები

ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება ემიტენტის მიერ სრულად და შეთავაზების ფარგლებში ინვესტორს არ დაეკისრება რაიმე სახის დამატებითი დანახარჯი.

მიღებული სახსრების გამოყენება

ობლიგაციების გამოშვებიდან მოზიდული სახსრების გამოყენება სრულად მოხდება არსებული სასესხო დავალიანებების რეფინანსირებისთვის. დეტალური ინფორმაცია მიღებული სახსრების გამოყენების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ქვეთავში „შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება“.

შეთავაზებასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტები

ემიტენტი და განთავსების აგენტი 1, რომელიც ასევე მოქმედებს როგორც კალკულაციისა და გადამხდელი აგენტი (გალტ & თაგარტი) დაკავშირებულები არიან არაპირდაპირ. ემიტენტი წარმოადგენს „Georgia Capital PLC“-ის 100%-იან შვილობილ კომპანიას („საბოლოო მშობელი“), რომელიც ასევე არაპირდაპირ ფლობს 19.90%-იან წილს (ხმის მიცემის უფლების გარეშე) „Bank of Georgia Group PLC“-ში, რომელიც, თავის მხრივ, ფლობს სს „გალტ ენდ თაგარტის“ 100%-ს. მიუხედავად იმისა, რომ პოტენციური ინვესტორების პერსპექტივიდან ასეთი კავშირი შეიძლება ჩაითვალოს გარკვეულ რისკ ფაქტორად, ემიტენტი მიიჩნევს, რომ ამგვარი რისკი არაარსებითია, იმის გათვალისწინებით, რომ მას გააჩნია წილი „გალტ ენდ თაგარტში“ ხმის მიცემის უფლების გარეშე. ასევე, აღნიშნული კომპანიების მმართველ ორგანოთა წევრები ერთმანეთისგან სრულად განცალკევებულია და მოცემულ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ყველა ხელშეკრულება დადებულია არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, კომერციულ საფუძველზე.

ემიტენტი და განთავსების აგენტი 2 (შპს „თიბისი კაპიტალი“), ემიტენტის აუდიტორები და პროსპექტის მომზადებაში ჩართული მესამე მხარეები ან ექსპერტები არ არიან დაკავშირებული მხარეები და მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

ემიტენტს არ აქვს ინფორმაცია შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

რამდენადაც ემიტენტისთვის ცნობილია, ემიტენტის ხელმძღვანელობა, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან აქციონერი არ აპირებენ შეთავაზებაში მონაწილეობას და ფასიანი ქაღალდების შექმნას. ემიტენტს არ აქვს ინფორმაცია ისეთი პირის შესახებ, რომელმაც წინასწარ გამოთქვა სურვილი შეეძინა შეთავაზების 5%-ზე მეტი.

ინფორმაცია ემიტენტის რეგისტრატორის შესახებ წარმოდგენილია ობლიგაციის შეთავაზების პირობების დოკუმენტში.

რისკის ფაქტორები

ობლიგაციებში ინვესტიცია გარკვეულ რისკებს გულისხმობს. ინვესტიციაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, ობლიგაციების პოტენციურმა მყიდველებმა ყურადღებით უნდა წაიკითხონ ეს პროსპექტი. პროსპექტში მოწოდებული სხვა ინფორმაციის გარდა, პოტენციურმა ინვესტორებმა, ობლიგაციებში ინვესტირებამდე, საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ, საკუთარი ფინანსური მდგომარეობისა და საინვესტიციო მიზნების გათვალისწინებით, ქვემოთ აღწერილი რისკები. ქვემოთ აღწერილ ნებისმიერ რისკს შეიძლება ჰქონდეს არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და მუშაობის შედეგებზე. თუ რომელიმე ეს რისკი მატერიალიზდება, ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების საბაზრო ღირებულებაზე. გარდა ამისა, ქვემოთ მოცემულია ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვანია ობლიგაციებთან დაკავშირებული საბაზრო რისკების შეფასებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას მიაჩნია, რომ ქვემოთ აღწერილი რისკის ფაქტორები წარმოადგენს ობლიგაციებში ინვესტირებასთან დაკავშირებულ ძირითად რისკებს, შეიძლება წარმოიშვას დამატებითი რისკები და გაურკვეველობები, რომლებიც კომპანიამ არ მიიჩნია მნიშვნელოვნად ან არ იცის მათი არსებობის შესახებ და ნებისმიერმა ასეთმა რისკმა და გაურკვეველობამ შეიძლება ქვემოთ აღწერილის მსგავსი უარყოფითი გავლენა მოახდინოს. შესაბამისად, კომპანია არ აცხადებს, რომ ქვემოთ აღწერილი ობლიგაციების ფლობის რისკები ამომწურავია.

ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რისკები

1. ეკონომიკური არასტაბილურობისა და ინვესტირების რისკი მაღალია ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორც საქართველოა:

1.1. პოლიტიკურმა და სამთავრობო არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლოა მოახდინოს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნესზე.

1991 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირიდან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრანსფორმაცია განიცადა ფედერალური სოციალისტური სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკიდან დამოუკიდებელ სუვერენულ დემოკრატიამდე.

საქართველო რამდენიმე გამოწვევის წინაშე დგას, რომელთაგან ერთ-ერთი შემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარებაა. თუმცა ბიზნესისა და ინვესტორებისთვის ხელსაყრელი რეფორმების გატარება შესაძლოა ადარ გაგრძელდეს ან უკუსვლა განიცადოს; ასევე, ასეთი რეფორმები და ეკონომიკური ზრდა შესაძლოა შეფერხდეს რაიმე ისეთი ცვლილებით, რომელიც „ქართული ოცნების“ მთავრობის მოქმედების გაგრძელებასა თუ სტაბილურობაზე იქონიებს გავლენას, ან/და პრეზიდენტის, პარლამენტისა თუ სხვა ინსტიტუტების მიერ სარეფორმო პოლიტიკის გატარებაზე უარის თქმის შედეგად.

2010 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში, რომლებიც ითვალისწინებდა პარლამენტის მმართველობითი უფლებამოსილების გაფართოებას, საქართველოს პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებების გაზრდას და პრეზიდენტის ფუნქციების შეზღუდვას. 2013 წლის მარტში პარლამენტმა ერთხმად დაუჭირა მხარი საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომლებითაც კიდევ უფრო შეიზღუდა საქართველოს პრეზიდენტის ფუნქციები. საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტის ან პრემიერ-მინისტრის

უფლებამოსილებების ნებისმიერმა შემდგომმა ცვლილებამ შესაძლოა პოლიტიკური კრიზისი ან პოლიტიკური დესტაბილიზაცია გამოიწვიოს ან სხვაგვარი უარყოფითი შედეგი მოუტანოს პოლიტიკურ კლიმატს საქართველოში.

2020 წლის ოქტომბერ-ნოემბერში (პარლამენტის არჩევნები მოიცავდა 31 ოქტომბერს ჩატარებულ I ტურს და 21 ნოემბერს გამართულ II ტურს) ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში ქართულმა ოცნებამ 150 წევრიან პარლამენტში მიიღო 90 მანდატი, 36 მანდატი მოიპოვა ოპოზიციურმა პარტიამ - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, დანარჩენი კი სხვა პარტიებმა. თუმცა პარლამენტში ოპოზიციური სპექტრი არ შევიდა და საპროტესტო რეჟიმში გადავიდნენ. პოლიტიკური დაძაბულობის გასაწვრივებად ორმხრივ მოლაპარაკებებში აქტიურად იყვნენ ჩართული ევროკავშირის და აშშ-ს წარმომადგენლები, რომელთაც მიაღწიეს შეთანხმებას და 2021 წლის გვიან გაზაფხულზე პარლამენტში ყველა პარტია შევიდა. მოკლევადიანმა პოლიტიკურმა კრიზისმა, რომელიც 2020 წლის ნოემბრიდან დაიწყო გარკვეული გავლენა იქონია ეკონომიკურ და საინვესტიციო აქტიურობაზე. ამასთან, ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა, მათ შორის 2021 წლის ივლისში პრესის წარმომადგენლებზე თავდასხმამ, მმართველი პარტიის მიერ ევროკავშირის ეგიდით გაფორმებული 2021 წლის 19 აპრილის ხელშეკრულებიდან გამოსვლამ, 2021 წლის ოქტომბერში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ბ-ნი მიხეილ სააკაშვილის დაკავებამ, სხვადასხვა კრიტიკული საერთაშორისო მოთამაშეების (ევროკავშირი, აშშ საელჩო, სხვ.) ნეგატიურმა განცხადებებმა, ევროინტეგრაციის საკითხებზე ე.წ. „ასოცირებული ტრიოს“ დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით ნაკლებმა პროგრესმა და სხვა ბოლო პერიოდში მომხდარმა თუ ნებისმიერმა შემდგომმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე, მათ შორის საინვესტიციო კლიმატზე და კერძო ბიზნესის საქმიანობაზე.

1.2. არსებობს დამატებითი რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ისეთ განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებას, როგორც საქართველოა;

განვითარებად ბაზრებს ახასიათებს უფრო დიდი არასტაბილურობა, შეზღუდული ლიკვიდურობა, ნაკლები მოცულობის საექსპორტო ბაზა და მათზე უფრო მეტად მოქმედებს ხშირი ცვლილებები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და მარეგულირებელ გარემოში, ვიდრე განვითარებულ ბაზრებზე. განვითარებადი ბაზრები სწრაფად იცვლება და ისინი განსაკუთრებით დაუცველები არიან საბაზრო პირობებისა და მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას მომხდარი ეკონომიკური კრიზისების წინაშე.

გარდა ამისა, საერთაშორისო ინვესტორების რეაქცია მოვლენებთან დაკავშირებით ზოგჯერ „ჯაჭვური ეფექტით“ ხასიათდება, როდესაც ინვესტორები უარყოფენ მთლიანად რეგიონს ან ინვესტიციის კლასს. თუ ადგილი ექნება ამგვარ ჯაჭვურ ეფექტს, საქართველოზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სხვა განვითარებად ბაზრებზე მომხდარმა ნეგატიურმა ეკონომიკურმა ან ფინანსურმა მოვლენებმა. საქართველომ წარსულში უკვე განიცადა ჯაჭვური ეფექტი, მათ შორის რუსეთის 1998 წლის ფინანსური კრიზისის და უფრო გვიანდელი გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ და შესაძლებელია, რომ ქვეყანამ მსგავსი უარყოფითი ზეგავლენა მომავალშიც განიცადოს.

ამასთან, ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს ფინანსურმა და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ. აღნიშნულის რეალიზების შემთხვევაში ადგილი ექნება კაპიტალის გადინებას, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად დააზიანოს ფინანსური სისტემა და საბოლოოდ ეკონომიკა სტაგნაციაში გადაიყვანოს.

პროსპექტის წარდგენის თარიღისთვის, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ საქართველოსთვის მინიჭებულია შემდეგი რეიტინგი, 2022 წლის 31 მაისის მდგომარეობით:

- Fitch Ratings – BB (Stable Outlook);

- Moody's – Ba2 (Negative Outlook);
- S&P Global Ratings – BB (Stable Outlook);

1.3. კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის გაცვლითი კურსის ცვალებადობამ აშშ დოლართან/ სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით;

კომპანიას, მისი საქმიანობიდან გამომდინარე, გარკვეულწილად ბუნებრივი დაცვა აქვს სასესხო ვალდებულებების ფარგლებში არსებული სავალუტო რისკის მიმართ, რამდენადაც მისი შემოსავლებიც, სასესხო ვალდებულებების მსგავსად უმეტესწილად დენომინირებულია აშშ დოლარში (ვალუტის მიხედვით გაშლილი ფინანსური აქტივები / ვალდებულებები შევიძლიათ იხილოთ ქვეთავში „ფინანსური მდგომარეობა“). ამასთან, სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციების“ შემოსავლები ესკო-სთან გაფორმებული გრძელვადიანი ელექტროენერჯის შესყიდვის ხელშეკრულებებიდანაც (“PPA”) დენომინირებულია აშშ დოლარში. გარდა ამისა, მესამე მხარისადმი გაყიდვები ღია ბაზარზე ხორციელდება აშშ დოლარში, ან მიბმულია ESCO-ს საბალანსო ფასზე, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია აშშ დოლარში დენომინირებულ იმპორტსა და PPA ფასებზე. კომპანიას 2021-2022 წლებში არ განუხორციელებია ელექტროენერჯის ექსპორტი და გაყიდვების 100% მოდის ადგილობრივ ბაზარზე. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ადგილობრივი გარიგებები ტექნიკურად ლარში ხორციელდება, თუმცა ყველა კონტრაქტი პირდაპირ ან ირიბად დოლარში არის დენომინირებული. ხარჯების მხრივ, საპროცენტო ვალდებულებების უცხოურ ვალუტაში, კერძოდ აშშ დოლარში დენომინაციიდან გამომდინარე, ფინანსური ვალდებულებების მომსახურების ხარჯებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული.

ამისდა მიუხედავად, კომპანიის საქმიანობაზე ლარის გაცვლითი კურსის ცვალებადობამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა ჰქონდეს, ფუნდამენტური ეკონომიკური ფაქტორების გაუარესების (მაგ. მზარდი ინფლაცია გაუფასურების შემთხვევაში) თუ სხვა მიზეზების გამო.

მიუხედავად იმისა, რომ ლარი სრულად კონვერტირებადი ვალუტაა, მისი საქართველოს ფარგლებს გარეთ კონვერტირებისთვის საერთოდ არ არსებობს სავალუტო ბაზარი. საქართველოში არსებობს ბაზარი ლარის სხვა ვალუტებში კონვერტირებისთვის, მაგრამ მისი მოცულობა შეზღუდულია. ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2022 წლის 6 თვეში, ლარის-აშშ დოლარის და ლარის-ევროს ბაზრებზე სავაჭრო ბრუნვის საერთო მოცულობამ (მათ შორის, გაყიდვებისა და შესყიდვების ჯამი, ეროვნული ბანკის საქმიანობის გარდა) შესაბამისად 30.6 მილიარდი აშშ დოლარი და 15.5 მილიარდი ევრო შეადგინა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით მისმა ოფიციალურმა რეზერვმა 3.9 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა 2022 წლის 31 მაისის მდგომარეობით, რომელიც წლიურად 7.2%-ით არის შემცირებული. მიმდინარე რეზერვების დონე ადეკვატურია საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, რომლითაც ქვეყანას შეუძლია თავი გაართვას კრიზისულ სიტუაციებს მოკლევადიან პერიოდში. გარდა ამისა, რეზერვები შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში თუ ლარის გაცვლითი კურსი ერთჯერადი ფაქტორების გამო მნიშვნელოვნად გაუფასურდა, რადგან ვალუტის გაუფასურებამ შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე.

წლების მანძილზე ლარის კურსი დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა როგორც საგარეო შოკების, ასევე სეზონური ფაქტორების გამო. მათგან აღსანიშნავია: 2015 წლის ნავთობის და ინდუსტრიული საქონლის ფასების გლობალური შოკი, 2019 წელს რუსეთის მიერ პირდაპირი საჰაერო ფრენები აკრძალვა, კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული პრობლემება (რა დროსაც გაცვლითმა კურსმა ისტორიულ მაქსიმუმს, 3.48 ლარს 1 აშშ დოლარზე, მიაღწია), რუსეთის შეჭრა უკრაინაში. რუსეთ-უკრაინის ომის საწყის ფაზაში ლარმა რეგიონის სხვა ვალუტებთან ერთად მოულოდნელი გაუფასურება დაიწყო. 24 თებერვალსა და 10 მარტს შორის პერიოდში ლარი დოლართან მიმართებით 12.8%-ით გაუფასურდა და 1 დოლარის ღირებულებამ 3.40 ლარი შეადგინა. მომდევნო

თვეებში საქართველოს ეკონომიკამ აჩვენა მდგრადობა რეგიონული შოკის მიმართ და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ქვეყნისშიდა აქტივობის დონე, რის შედეგადაც ლარმა გამყარება დაიწყო და აღიდგინა ყველა ის დანაკარგი, რომელიც თებერვალსა და მარტში მიიღო. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ადგილობრივი ვალუტის სიმყარის შენარჩუნებას მკაცრი მონეტარული პოლიტიკითაც შეუწყო ხელი, რაც გამოიხატა მარტში გამართულ სავალუტო აუქციონზე 39.6 მილიონი აშშ დოლარის გაყიდვით. 2022 წლის 31 მაისის მდგომარეობით, წლის დასაწყისიდან ლარი 4.4%-ითაა გამყარებული.

აგრეთვე, ლარის ნებისმიერი არასტაბილურობა დამოკიდებულია არაერთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორზე, მათ შორის ეროვნული ბანკის მხრიდან ინფლაციის კონტროლზე. საქსტატის შეფასებით, საქართველოში სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიური ინფლაცია 2018 წელს 2.6%, 2019 წელს 4.9%, 2020 წელს 5.2% და 2021 წელს 9.6% იყო. 2021 წლის გაზაფხულიდან ინფლაციურმა წნეხმა მნიშვნელოვნად მოიმატა და 2021 წლის ივლისში წლიურმა ინფლაციამ 11.9% შეადგინა. ინფლაციის ზრდის საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი მარტი-დეკემბრის პერიოდში ოთხჯერ გაზარდა, ჯამურად 250 საბაზისო პუნქტით 10.5%-მდე. 2022 წლის დასაწყისიდან, წინა წლის ბაზის გავლენისა და საკვებისა და ენერჯის რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული გაზრდილი ფასების ფონზე ინფლაციამ ზრდა განაგრძო. ამის საპასუხოდ 2022 წლის მარტში სებ-მა რეფინანსირების განაკვეთი კიდევ 0.5 პროცენტული ერთეულით, 11%-მდე გაზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ინფლაციის არსებული მაღალი დონე გლობალური ფენომენია და ძირითადად გამოწვეულია მიწოდების მხარის ფაქტორებით, მკაცრი მონეტარული პოლიტიკა დაეხმარება სებ-ს ინფლაციის მიზნობრივ დონემდე შემცირებაში მას შემდეგ, რაც ფასების მიმართ წნეხი შედარებით შესუსტდება.

ინფლაციის მიზნობრივ დონეზე შენარჩუნებას მნიშვნელოვანი როლი აქვს ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის. მაღალმა ინფლაციამ შეიძლება გამოიწვიოს სავალუტო და ფინანსური ბაზრების არასტაბილურობა, მომხმარებლების მსყიდველობითი უნარის დაქვეითება და მათი ნდობის შემცირება. ამ ყველაფერს კი შეუძლია განაპირობოს საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება და არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის კორპორაციული კლიენტების ბიზნესებზე, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება კომპანიაზე.

1.4. ვინაიდან კომპანია საქართველოში ოპერირებს, საქართველოს ეკონომიკის პირობებში ცვლილებები მასზე გავლენას მოახდენს;

კომპანიის შემოსავლები დიდწილად დამოკიდებულია საქართველოზე, შესაბამისად კომპანიის ოპერაციების შედეგებზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს საქართველოში მიმდინარე ან საქართველოსთან დაკავშირებული ფინანსური და ეკონომიკური მოვლენები, განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიკური აქტივობა, და ეს ზემოქმედება მომავალშიც გაგრძელდება. ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი და ვალუტის გაცვლის კურსი, ასევე, უმუშევრობა, პირადი შემოსავალი და კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს კომპანიის პროდუქტებსა და სერვისებზე მომხმარებლის მოთხოვნაზე.

კოვიდ-19 პანდემიიდან მომდინარე კრიზისმა მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე, რაც მნიშვნელოვნად შეეხო ტურიზმის სექტორს, რომლის წილი საქართველოს ეკონომიკაში საგრძნობლად მაღალია. საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.8%-ით შემცირდა 2019 წელთან შედარებით.

ამასთან, კორონავირუსის პანდემიის მართვისთვის დაწესებული შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნის შედეგად, 2021 წლის მარტიდან საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღება დაიწყო და 2021 წელს საქართველოს ეკონომიკა 2020

წელთან შედარებით 10.4%-ით გაიზარდა, ხოლო 2019 წლის დონესთან შედარებით - 2.9%-ით. 2022 წლის დასაწყისში რუსეთ-უკრაინის ომმა გაზარდა ბუნდოვანება, შეფერხებები ვაჭრობაში და ნედლეულის ფასები, რამაც განსაკუთრებულად უარყოფითი გავლენა მოახდინა რეგიონზე. ომის მოსალოდნელმა უარყოფითმა შედეგებმა ქართულ ეკონომიკაზე გამოიწვია ეკონომიკის ზრდის მიმართ მოლოდინების გაუარესება. მიუხედავად ამისა, მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკონომიკამ მდგრადობა გამოავლინა რეგიონული შოკისადმი და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ქვეყნისშიდა ეკონომიკური აქტივობის დონე, ზრდის მოლოდინებმა გაუმჯობესება დაიწყო. ტურიზმის აღდგენა სტაბილური ტემპით მიმდინარეობს ნედლეულის ექსპორტის ზრდის პარალელურად, რაც თავის მხრივ ნედლეულის სწრაფად მზარდი ფასებითაა გამოწვეული. ადგილობრივ ბაზარზე მთლიანი მოთხოვნა მყარი რჩება, რასაც ცხადყოფს მთლიანი საკრედიტო პორტფელის ჯანსაღი ზრდა და ფისკალური დანახარჯები. საქსტატის წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით, მშპ-ს წლიური ზრდა 10.8% იყო 2022 წლის პირველ ოთხ თვეში. მსოფლიო ბანკის პროგნოზით საქართველოს ეკონომიკა 2022 წელს 5.5%-ით გაიზრდება, საერთაშორისო სავალუტო ფონდი კი 3.2%-იან ზრდას ვარაუდობს. საქართველოს ეროვნული ბანკი 4.5%-იან ზრდას ელის 2022-ში, ხოლო საქართველოს მთავრობა 6.0%-იან ზრდას პროგნოზირებს. აღსანიშნავია, რომ პროგნოზებს შორის არსებული ასეთი სხვაობები იმ ბუნდოვანებითაა გამოწვეული, რასაც რეგიონული არასტაბილურობა განაპირობებს და პროგნოზები მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდოს წლის მეორე ნახევარში. ინფორმაციისათვის, საქართველოს ეკონომიკა 2019 წელს 5%-ით, 2018 და 2017 წლებში - 4.8%-ით, ხოლო 2015 და 2016 წლებში საშუალოდ 3%-ით იზრდებოდა.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა კვლავ მნიშვნელოვანი საფრთხეების წინაშე დგას, მათ შორის გაცვლითი კურსის მერყეობის, ფინანსური სტაბილურობის შესუსტების, ინფლაციის, ბიუჯეტის შესრულებისა და კაპიტალის გადინების რისკების წინაშე. ამასთან, ეკონომიკური ზრდაზე უარყოფითად მოქმედებს ხშირი პოლიტიკური არასტაბილურობა, რომელმაც შეიძლება დააყოვნოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყანაში. საბაზრო კრიზისმა და ეკონომიკის გაუარესებამ საქართველოში შეიძლება მომხმარებლების მხრიდან დანახარჯების შემცირება გამოიწვიოს და სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოში კომპანიის მომხმარებელთა ლიკვიდურობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

2. მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონთან დაკავშირებული რისკები:

2.1. რეგიონულმა დამაბულობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ ეკონომიკაზე და კომპანიის ბიზნესზე;

საქართველო რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს ესაზღვრება და პოლიტიკურმა დამაბულობამ მის საზღვრებს შიგნით და მეზობელ ქვეყნებში მასზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს. კერძოდ, 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს კონფლიქტები აქვს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებთან და რუსეთთან. 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი გამწვავდა. საქართველოს სამხედრო ძალები ბრძოლაში ჩაებნენ ადგილობრივ შეიარაღებულ ჯგუფებსა და რუსეთის არმიასთან, საქართველომ საომარი მდგომარეობა გამოაცხადა. აღნიშნულ რეგიონებთან დაკავშირებით დამაბულობა გრძელდება, რადგან რუსეთის არმიას კონტროლ ქვეშ აქვს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი და აღიარებული აქვს აღნიშნული რეგიონების დამოუკიდებლობა. მაგალითად, 2013 წლის ზაფხულში რუსეთის სასაზღვრო ძალებმა მავთულხლართის ღობეები აღმართეს საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის სადემარკაციო ხაზის ზოგიერთი ნაწილის გასწვრივ. მომავალში თუ ასეთი ქმედებები განმეორდება დამაბულობა შეიძლება გამწვავდეს. საქართველოს ხელისუფლებამ გარკვეული

ნაბიჯები გადადგა რუსეთთან ურთიერთობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ ამ ნაბიჯებს დღეისათვის რაიმე ოფიციალური ან იურიდიული ცვლილება ორი ქვეყნის ურთიერთობებში არ მოუტანია.

ამასთან, აღსანიშნავია სომხეთ-აზერბაიჯანის ომი 2020 წლის სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში, რომელიც უარყოფითად მოქმედებდა რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, აჩენდა უარყოფით მოლოდინებს 2021 წლის რეგიონის ეკონომიკების აღდგენის პროცესზე. 2020 წლის 10 ოქტომბერს მოსკოვში ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას, თუმცა 11 ოქტომბერს სომხეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთის მხრიდან ქალაქების დაბომბვას იუწყებოდნენ. აზერბაიჯანმა სომხეთი ღამით დიდ ქალაქებზე თავდასხმაში დაადანაშაულა და მიუთითა, რომ ამ ქვეყანამ დაარღვია მოსკოვში 10 ოქტომბერს მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება. საბოლოოდ, 10 ნოემბერს მოხერხდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიღწევა, რომელმაც შემოატრიალა სიტუაცია - ჩააცხრო რეგიონში პოლიტიკური დაძაბულობა და შესაბამისად გაანეიტრალა უარყოფითი მოლოდინებიც.

ყარაბაღის კონფლიქტის გაგრძელებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს რეგიონში და მათ შორის საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებასა და ტურიზმის სექტორზე.

2019 წლის 8 ივლისიდან რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით პირდაპირი საჰაერო ფრენები აიკრძალა, რამაც გავლენა იქონია ტურიზმის სექტორზე. ამავდროულად, რუსეთიდან ტურისტული ნაკადების შემცირებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სავალუტო ბაზარზე. საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით რუსეთიდან პირდაპირი საჰაერო ფრენების აკრძალვით ქვეყანამ ტურიზმიდან დაახლოებით 300 მლნ აშშ დოლარით ნაკლები ტურიზმის შემოსავალი მიიღო მოსალოდნელთან შედარებით. ამასთან, აღნიშნული შოკის მიუხედავად, საქართველოს საგარეო ბალანსი 2019 წელს გაუმჯობესდა 2018 წელთან შედარებით.

რუსეთის შეჭრამ უკრაინაში 2022 წლის თებერვალში შეიძლება ასევე მოახდინოს უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. უკრაინაში მიმდინარე ომმა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და მოუტანა უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი არამხოლოდ ომში ჩართული ქვეყნების, არამედ- რეგიონისა და გლობალურ ეკონომიკასაც. ომის დაწყებიდანვე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა რუსეთს არაერთი სანქცია დაუწესა, რომელთა მიზანიც რუსეთზე წნეხის გაზრდა იყო, რათა მას შეეჩერებინა საომარი მოქმედებები. მოსალოდნელია, რომ ამ ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტის უარყოფითი ეფექტები რეგიონულ და გლობალურ ეკონომიკას ნედლეულის ბაზრების, ვაჭრობისა და ფინანსური არხების გავლით დააზარალებს. ომის დაწყებასთან ერთად საწვავისა და საკვების ფასები გაიზარდა, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ისედაც მზარდი ინფლაციის კიდევ უფრო გაზრდას. ფასებზე არსებული გაზრდილი წნეხის პასუხად, მოსალოდნელია, რომ დასავლური ცენტრალური ბანკები გაზრდიან საპროცენტო განაკვეთებს, რაც გამოიწვევს უფრო გამკაცრებულ გლობალურ ფინანსურ მდგომარეობას. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია ან გადადებული რეზოლუცია, რაიმე დამატებითი სანქციები რუსეთზე, გაზრდილი გაურკვევლობის დონე, რეგიონის პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის ზრდა და ნებისმიერი სამომავლო გაუარესება საქართველოს ურთიერთობისა რუსეთთან, შეიძლება გახდეს უარყოფითი ეფექტის მქონე საქართველოს პოლიტიკური თუ ეკონომიკური სტაბილურობისათვის.

ასევე, საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობაზე შეიძლება იმოქმედოს ნებისმიერმა ვითარებამ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- რუსეთთან საქართველოს ურთიერთობების, მათ შორის სასაზღვრო და ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებული ურთიერთობის, გაუარესება;
- ცვლილებები საქართველოს როგორც ენერჯის სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობაში;
- ცვლილებები საქართველოსთვის გაწეული დახმარების მოცულობაში ან ქართველი მწარმოებლების შესაძლებლობაში, ხელი მიუწვდებოდეთ მსოფლიოს საექსპორტო ბაზრებთან;

- რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუარესება;
- რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

2.2. საქართველოს მეზობელი ბაზრების დესტრუქციას შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე;

საქართველოს ეკონომიკა დამოკიდებულია მის რეგიონში არსებული ქვეყნების (აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, თურქეთი) ეკონომიკებზე. აზერბაიჯანი და სომხეთი ისტორიულად წარმოადგენდა ორ უდიდეს ბაზარს საქართველოს ექსპორტისათვის და საქსტატის მიხედვით, მათმა წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში, 2019 წელს შეადგინა 13.4% და 11.4%, შესაბამისად. 2021 წელს კი აზერბაიჯანის წილი მცირედით, ხოლო სომხეთის წილი მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოს მთლიან ექსპორტში და შესაბამისად შეადგინა 12.5% და 6.1%. რუსეთი არის ასევე ერთ-ერთი უდიდესი ბაზარი საქართველოს ექსპორტისათვის. საქსტატის მიხედვით, რუსეთის წილი მთლიან ექსპორტში 2019 წელს 13.1%-ს, 2020 წელს- 13.2%-ს, ხოლო 2021 წელს- 14.4%-ს შეადგენდა. თურქეთი წარმოადგენს უდიდეს იმპორტიორს საქართველოსთვის, და საქსტატის მიხედვით მისი წილი საქართველოს მთლიან იმპორტში შეადგენდა 17.0%-ს 2019 წელს, 17.5%-ს 2020 წელს, ხოლო 18.1%-ს 2021 წელს. მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია უკრაინაც, რომლის წილმაც 2021 წელს ექსპორტში- 7.2%, ხოლო იმპორტში- 4.5% შეადგინა. შესაბამისად რეგიონის ქვეყნებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება და ამ ქვეყნებში შესაძლო პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევები წარმოადგენს პოტენციურ დაბრკოლებებს შემდგომი ეკონომიკური ზრდისთვის. ბოლო რამდენიმე წელია, საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულება ექსპორტის, ტურიზმის და ფულადი გზავნილების კუთხით საკმაოდ მაღალია. მაგალითად, 2021 წელს საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული საქონლის ღირებულება, ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა რუსი ვიზიტორებისგან და რუსეთიდან მიღებულმა ფულადმა გზავნილებმა ჯამში მშპ-ს 6.3% შეადგინა. ასეთი მაღალი დამოკიდებულება ერთ ქვეყანაზე გარკვეული რისკების მატარებელია, რომლებიც მატერიალიზდა 2022 წლის დასაწყისში რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ არაა ცხადი, ზუსტად რა მასშტაბის გავლენა ჰქონდა ამ ფაქტს საქართველოს ეკონომიკაზე. ეს დამოკიდებული იქნება ომის ხანგრძლივობასა და კრიზისის მომავალ ესკალაციაზე, რასაც, თავის მხრივ, ექნება უარყოფითი არსებითი გავლენა კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. ნებისმიერმა შემდგომმა ეკონომიკურმა ჩავარდნამ ან კრიზისმა საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, შესაძლოა ძლიერი ნეგატიური გავლენა იქონიოს ქვეყნის ეკონომიკაზე.

კორონავირუსის პანდემიის გავრცელებამ საქართველოში და რეგიონის ქვეყნებში, რომელიც 2020 წლის გაზაფხულიდან დაიწყო და დღესაც გრძელდება, უარყოფითი გავლენა იქონია ეკონომიკურ აქტივობებზე როგორც რეგიონში, ასევე საქართველოში.

3. საკანონმდებლო და სასამართლო სისტემებთან დაკავშირებული რისკები:

3.1. შესაძლოა თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციით, რასაც თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება მოითხოვს;

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას და ამოქმედდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ევროკავშირთან, რაც ითვალისწინებს ევროკავშირთან ორმხრივი ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მოსალოდნელია, რომ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ

შეთანხმების განხორციელება წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს ბიზნესისათვის, თუმცა შესაძლოა გამოწვევებიც შექმნას საწარმოებისათვის, საოჯახო მეურნეობებისა და სახელმწიფოსათვის. ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების განხორციელებისათვის საჭიროა, რომ საქართველომ მოახდინოს თავისი კანონმდებლობის შესაბამისობის დამყარება ევროკავშირის სავაჭრო და სექტორულ კანონმდებლობასთან, რაც გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული, განსაკუთრებით გარემოს დაცვისა და მომხმარებლის უსაფრთხოების, მათ შორის პროდუქტისა და ინფორმაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სფეროებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ემიტენტის საქმიანობის მიმართ არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების ჭრილში, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ან შესაძლოა შევიდეს კორპორაციული სამართლისა თუ ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობებში:

- **საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“:** 2021 წლის 02 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის ახალი რედაქცია („ახალი მეწარმეთა კანონი“), რომელიც ამოქმედდა 2022 წლის 01 იანვრიდან. განახლებული კანონმდებლობა მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს საწარმოთა რეგისტრაციის, სადამფუძნებლო დოკუმენტების, კორპორაციული მართვისა და სხვა საკითხების საკანონმდებლო რეგულაციაზე. საწარმოს ხელმძღვანელობასთან მიმართებით, კანონში ასევე მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი კორპორაციული მართვის თანამედროვე პრინციპები. განახლებული კანონის ფარგლებში ხდება კაპიტალის ტიპების გამიჯვნა, საქმიანი წერილის ცნების შემოტანა, განიმარტება დირექტორსა და საწარმოს შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივ ბუნება და ა.შ.
- **ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობა:** ევროასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ხდება ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული კანონმდებლობის დაახლოება ევროპის კანონმდებლობასთან. მაგალითისთვის, 2020 წელს ძალაში შევიდა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც სწორედ ევროპის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზანს ემსახურებოდა, მათ შორის: კანონი ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენებით ვაჭრობის, ბაზრის მანიპულაციისა და ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნების აკრძალვის შესახებ, ასევე შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებით დაიხვეწა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების გამჭვირვალობის ჩარჩო. განისაზღვრა მოთხოვნები მათ მიერ პერიოდული თუ მიმდინარე ანგარიშგებების წარდგენასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, რაც საქართველო 2000 წელს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი გახდა, იგი თანდათანობით ახდენდა თავისი სავაჭრო სფეროს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის ნორმებსა და პრაქტიკასთან. ბოლოდროინდელი ცვლილებები რეგულირებაში მოიცავს შრომის კოდექსში 2013 წელს შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც მიზნად ისახავდა საქართველოს შრომის სფეროში არსებული რეგულაციების დაახლოებას ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებებთან. აღნიშნული ცვლილებები დამსაქმებლებისგან მოითხოვდა ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების ანაზღაურებას, გაზრდილ კომპენსაციას სამსახურიდან გათავისუფლებისას (ერთიდან ორი თვის ხელფასის ოდენობით), მუშაკთა გაძლიერებულ უფლებებს დამსაქმებლების გადაწყვეტილებათა სასამართლოში გასაჩივრებისთვის, სამსახურიდან გათავისუფლების აკრძალვას მკაფიო მიზეზის გარეშე და გარანტირებულ საბაზისო სამუშაო პირობებს.

დამატებით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სხვა ცვლილებებს სამთავრობო პოლიტიკაში, მათ შორის ცვლილებებს ადრე გამოცხადებული სამთავრობო ინიციატივების განხორციელებაში ან მათდამი მიდგომაში. გარდა ამისა, ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ტვირთი დააკისროს მარეგულირებელ უწყებებს, მათი რესურსები მიმდინარე რეფორმებიდან სხვა მიმართულებით გადაიტანოს და შეანელოს მათი ეფექტიანობა.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მისაღწევად ან სხვა განხორციელებული, რეგულირების სფეროში მოსალოდნელი ცვლილებების შედეგად კომპანიას შესაძლოა მოეთხოვოს მისი პოლიტიკისა და პროცედურების შეცვლა კანონებსა და რეგულაციებში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებებთან შესაბამისობის დასამყარებლად. მაგალითად, კომპანიამ ცვლილებები შეიტანა თავის შრომით ხელშეკრულებებში, რათა აესაზა შრომის კოდექსში შეტანილი ზემოხსენებული ცვლილებები. კომპანია ელის, რომ მოხდება კიდევ ახალი ცვლილებები, თუმცა მას არ შეუძლია იმის პროგნოზირება, თუ რამხელა ზეგავლენას მოახდენს მასზე ეს ცვლილებები ან რამდენად შეძლებს შესაბამისობის დამყარებას ნებისმიერ ასეთ ცვლილებებთან.

3.2. საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა ბუნდოვანებამ შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან კომპანიისთვის ჯარიმების დაკისრება. ასევე შესაძლებელია, შეიცვალოს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა;

უფრო განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან შედარებით საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობა დიდი ხანი არ არის, რაც არსებობს. ეს პრობლემებს ქმნის საგადასახადო კანონმდებლობის შესრულებისას, რადგან აღნიშნული კანონმდებლობა ბუნდოვანია ან განსხვავებულ ინტერპრეტაციას ექვემდებარება, რაც რისკს უქმნის კომპანიებს, რომ საგადასახადო კანონმდებლობასთან შესაბამისობის მათი მცდელობა შესაძლოა ეჭვს ქვეშ დააყენონ საგადასახადო ორგანოებმა.

გარდა ამისა, აღნიშნული საგადასახადო კანონმდებლობა ცვლილებებს და დამატებებს განიცდის, რამაც უჩვეულო სირთულეები შეიძლება შეუქმნას კომპანიას და მის საქმიანობას. ახალი საგადასახადო კოდექსი 2011 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში. საგადასახადო კოდექსის სხვადასხვა დებულების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრები არსებობს სახელმწიფო სამინისტროებსა და ორგანიზაციებს შორის და მათ შიგნითაც, მათ შორის საგადასახადო ორგანოებშიც, რაც ქმნის გაურკვევლობას, არათანმიმდევრულობას და კოლიზიურ შემთხვევებს. ამასთან, საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ წინასწარი საგადასახადო გადაწყვეტილების მიღებას გადასახადის გადამხდელების მიერ წამოჭრილ საგადასახადო საკითხებზე. მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია, რომ კომპანია ამჟამად ასრულებს საგადასახადო კანონმდებლობას, შესაძლებელია, რომ სათანადო ორგანოებმა განსხვავებული პოზიცია დაიჭირონ მათ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რასაც შეუძლია გამოიწვიოს საგადასახადო კორექტირებები ან ჯარიმები. იმის რისკიც არსებობს, რომ რეგულარული საგადასახადო შემოწმებების შედეგად კომპანიას ჯარიმები და საურავები დაეკისროს.

გარდა ამისა საგადასახადო კანონმდებლობა და მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს მომავალში, მათ შორის მთავრობის შეცვლის შედეგად (იხილეთ „პოლიტიკურ და მთავრობის არასტაბილურობას საქართველოში შეუძლია მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკაზე და ჩვენზე“). ამგვარი ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს ახალი გადასახადების შემოღებას ან კომპანიის ან მისი მომხმარებლების მიმართ გამოყენებული გადასახადების განაკვეთის გაზრდას, რაც, თავის მხრივ, სერიოზულ უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ბიზნესზე.

2016 წლის მაისიდან ამოქმედდა ცვლილებები კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებულ წესებში. დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ განაწილებული მოგება, რომელიც განისაზღვრება როგორც ფულადი ან არაფულადი დივიდენდი, განაწილებული მფლობელებს - კერძო პირებს ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებს - შორის - რეინვესტირებული მოგება აღარ იბეგრება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ცვლილება არ მოქმედებს ფინანსური სექტორის კომპანიებზე და მათთვის ძველი მეთოდით ხდება მოგების დაბეგვრა (დასაბეგრი მოგების 15%-ის ოდენობით). საგადასახადო კოდექსის ყველა მნიშვნელოვანი ცვლილება ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ამასთან, შეიცვალა დამატებული ღირებულების გადასახადის („დღგ“) გადახდასთან დაკავშირებული

რეგულაციები, მათ შორის, დღგ-თი დაბეგვრის ობიექტი გახდა ავანსები (გარდა გრძელვადიანი რეგულარული მომსახურების ფარგლებში გადახდილი ავანსებისა). გარდა ამისა, 2017 წლის 23 დეკემბერს ცვლილებები შევიდა საგადასახადო კოდექსში, ხოლო, 2018 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა შესაბამისი ცვლილებები საგადასახადო კოდექსში საჯარო შეთავაზების გზით ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლის დაბეგვრასთან დაკავშირებით (დეტალებისთვის იხ. „ობლიგაციების დაბეგვრა საქართველოში“).

ზემოთ აღნიშნული და ბოლო წლებში განხორციელებული, მიმდინარე თუ დაგეგმილი სხვა არსებითი ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის კუთხით ემსახურება არსებული მიდგომების გამარტივებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას.

3.3. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ, მათ შორის საქართველოში სახელმწიფოს ნებისმიერმა თვითნებურმა ან არათანმიმდევრულმა მომავალმა ქმედებამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება ზიანი მიაყენოს კომპანიის ბიზნესს;

საქართველოში ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია საბაზრო ეკონომიკის სათანადო ფუნქციონირებისათვის საჭირო ადეკვატური სამართლებრივი ბაზა. მხოლოდ ახლახანს ამოქმედდა რამდენიმე ფუნდამენტური სამოქალაქო, საგადასახადო და ადმინისტრაციული კანონი. (მაგალითად სისხლის სამართლის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედება, იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, მოგების გადასახადის ესტონური მოდელი). აღნიშნული კანონმდებლობის ახლახან მიღებამ და საკანონმდებლო სისტემის სწრაფად განვითარებამ გამოიწვია ეჭვები კანონების ხარისხში და აღსრულების საკითხში, ასევე გაურკვევლობა და არათანმიმდევრულობა მათ გამოყენებაში. გარდა ამისა, საქართველოს სასამართლო სისტემა განიცდის პროფესიონალთა ნაკლებობას და ამ სისტემაში სერიოზული რეფორმები მიმდინარეობს. მოსამართლეებსა და სასამართლოებს საქართველოში ზოგადად ნაკლები გამოცდილება აქვთ ბიზნესისა და კორპორატიული სამართლის სფეროში, ვიდრე სხვა ქვეყნებში, კერძოდ, ევროპის ქვეყნებში და ამერიკის შეერთებულ შტატებში. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა მნიშვნელოვანი საზიანო ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის ბიზნესზე, მის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე.

3.4. კომპანია შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს მისი მომხმარებლების, მომწოდებლების და მარეგულირებლის მხრიდან;

კომპანიასთან დაკავშირებულია „სტეიკჰოლდერების“ ფართო წრე, რომელშიც მოიაზრებიან შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოები, სახელმწიფო, მომხმარებლები და მომწოდებლები. იმ შემთხვევაში თუ კომპანია ვერ დააკმაყოფილებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს, რაც უარყოფითად აისახება მის რეპუტაციაზე და საოპერაციო საქმიანობაზე. პროსპექტის წარდგენის თარიღისთვის კომპანიას არ ჰქონია ისეთი სასამართლო დავები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებდნენ მის ფინანსურ მდგომარეობაზე თუ რეპუტაციაზე (მიმდინარე სასამართლო დავების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ ქვეთავი „სასამართლო დავები“), თუმცა, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ასეთი დავები მომავალში არ წარმოიშვება.

4. მარეგულირებელი ჩარჩოსთან დაკავშირებული რისკები

4.1 საქართველოს ელექტროენერჯის ბაზარი კვლავ ტრანსფორმაციის პროცესშია. არსებობს გაურკვეველობა ბაზრის მოწყობასთან და საბაზრო ფასების ფორმირების ძირითად მამოძრავებელ ფაქტორებთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა დამატებითი რისკები შექმნას კომპანიისთვის.

„მარეგულირებელი გარემო“ განყოფილებაში აღწერილი საბაზრო რეფორმების შესაბამისად, საბაზრო წესები იცვლება. შესაბამისად, ბაზრის ორგანიზებასთან და საბაზრო ფასების ფორმირების ძირითად მამოძრავებელ ფაქტორებთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არსებობს გაურკვეველობა. ახალი საბაზრო წესები გავლენას მოახდენს საბაზრო ფასზე იმ პერიოდში, როდესაც ემიტენტის ელექტროსადგურებს არ აქვთ PPA. ორგანიზებული ბაზრების გახსნა რამდენჯერმე გადაიდო: თავდაპირველად იგეგმებოდა 2021 წლის ივლისისთვის, მოგვიანებით გადაიდო 2022 წლის იანვრისთვის, შემდგომ გადაიდო 2022 წლის მარტისთვის, შემდგომ 2022 წლის სექტემბრისთვის და უახლესი გეგმის მიხედვით, ბაზრებმა ფუნქციონირება 2023 წლის მარტის ბოლოდან უნდა დაიწყოს. ორგანიზებული ბაზრების გახსნის გადავადება ზრდის სექტორის გაურკვეველობას და არაპროგნოზირებადობას.

ელექტროენერჯის მწარმოებლებს ელექტროენერჯის გაყიდვების იმ ნაწილზე, რომელიც არ არის დაფარული PPA კონტრაქტებით, დაეკისრება უბალანსობაზე პასუხისმგებლობა და მოუწევთ დისბალანსზე ანგარიშსწორება (დისბალანსის ანგარიშსწორების პრინციპის ახსნა-განმარტებისთვის იხილეთ თავი „მარეგულირებელი გარემო“). დაგეგმილ და ფაქტიურ გენერაციებს შორის სხვაობის შემთხვევაში, კომპანიას შეიძლება მოუწიოს გარკვეული დისბალანსის საფასურის გადახდა ან სისტემის დახმარებისთვის მიიღებს ანაზღაურებას. დისბალანსის ნაწილში ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად, საათობრივი დისბალანსის ღირებულებების გაქვითვით, რაც ამცირებს ფულადი სახსრების ნაკადის რისკებს.

4.2. ახალმა რეგულაციებმა ამ და სხვა ინდუსტრიაში შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობაზე

შესაძლებელია, რომ მომავალმა ცვლილებებმა მოქმედ რეგიონულ, ტერიტორიულ, ადგილობრივ კანონმდებლობასა და რეგულაციებში ან ცვლილებებმა მათ აღსრულებასა და ინტერპრეტირებაში გამოიწვიოს იმ საკანონმდებლო მოთხოვნების ცვლილებები, რომლებიც კომპანიას ეხება. გარდა ამისა, ევროკავშირთან დაახლოების გეგმებთან დაკავშირებით საქართველოში მუდმივად ტარდება ახალი რეფორმები, რასაც შესაძლოა ნეგატიური გავლენის მომტანი აღმოჩნდეს კომპანიის ბიზნეს ოპერაციებისთვის.

შეუძლებელია წინასწარმეტყველება, შეიცვლება თუ არა მომავალში ის მარეგულირებელი რეჟიმები, რომლებიც კომპანიაზე ვრცელდება და ასევე რთულია ამ ცვლილებების მონეტარული გავლენის შეფასება კომპანიის საქმიანობაზე. თუმცა ახალმა რეგულაციებმა უძრავი ქონების საკუთრებასთან, იჯარით გაცემასთან ან სხვა საკითხთან დაკავშირებით შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ინვესტიციებზე. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი: „მარეგულირებელი გარემო“.

4.3. თუ მომავალში კომპანია ვერ შეასრულებს ფულის გათეთრებასთან ან ტერორისტთა დაფინანსებასთან დაკავშირებულ რაიმე მოქმედ რეგულაციებს, ან თუ კომპანია მათთან იქნება ასოცირებული, ამან შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიაზე

მართალია, კომპანია იცავს მოქმედი კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას და GCAP-ის ჯგუფში არსებულ შესაბამის პოლიტიკას (<https://georgiacapital.ge/sites/default/files/2019-01/Anti-Bribery%20and%20Anti-Corruption%20Policy.pdf>), რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ თავიდან იქნეს აცილებული კომპანიის გამოყენება ფულის გათეთრების ხელშემწყობ საშუალებად, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ეს ზომები სრულად ეფექტიანი გამოდგება. თუ მომავალში კომპანია ვერ შეასრულებს დროული ანგარიშგების მოთხოვნებს ან ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სხვა რეგულაციებს, ან თუ იგი ასოცირებული იქნება ფულის გათეთრებასთან ან ტერორისტთა დაფინანსებასთან, ამან შესაძლოა არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიაზე. გარდა ამისა, ამგვარ საქმიანობაში მონაწილეობას შეიძლება მოჰყვეს მარეგულირებელი ჯარიმები და სანქციები.

ემიტენტის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები:

5. ბაზართან დაკავშირებული რისკები:

5.1. ელექტროენერჯის გამომუშავების, განაწილებისა და მიწოდების შესაძლებლობა დამოკიდებულია საქართველოს გადამცემ სისტემაზე;

ელექტროენერჯის გადაცემა სადისტრიბუციო ქსელებით, ისევე როგორც მისი განაწილება მომხმარებლებზე, დამოკიდებულია საქართველოს გადამცემი სისტემების ინფრასტრუქტურაზე. კომპანიას არ აქვს კონტროლი გადამცემი სისტემის მუშაობაზე და იგი მთლიანად დამოკიდებულია გადამცემი სისტემის ოპერატორზე, რომელიც არის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სუბიექტი და ასევე, განაწილების სისტემის ოპერატორებზე. საქართველოს გადამცემი სისტემის ნებისმიერმა ხარვეზმა, მათ შორის რომელიც წარმოქმნილია სტიქიური უბედურების, არასათანადო ტექნიკური მომსახურების ან ქსელის განვითარების შედეგად, შეიძლება ხელი შეუშალოს ემიტენტის ელექტროენერჯის საბოლოო მომხმარებლებზე განაწილებაში. შედეგად, გადამცემი სისტემის ნებისმიერმა ხარვეზმა შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციები-ს საქმიანობაზე, ოპერაციების შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

6. საოპერაციო რისკები:

6.1. სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციები“ ელექტროენერჯიას ძირითადად ესკო-ზე ყიდის გრძელვადიანი ელექტროენერჯის შესყიდვის ხელშეკრულებების („PPA“) ჭრილში, მაგრამ იმ თვეებში, რომლებსაც PPA არ ფარავს, კომპანია იღებს საბაზრო რისკებს, რაც შეიძლება გამოიხატოს ორ ქვერისკში: 1) მიმღების პოვნის რისკი და 2) საბაზრო ფასის რისკი;

იმ თვეებში რომელთაც არ ფარავს PPA, ელექტროენერჯის გაყიდვა შესაძლებელია ნებისმიერ საბითუმო მომხმარებელზე, ექსპორტზე გატანა, ან ესკოზე საბალანსო ენერჯის სახით მიყიდვა. დლით ადრე (DAM) და დღიური ბაზრის („IDM“) დაწყების შემდეგ (DAM და IDM ბაზრების მოქმედების პრინციპი განმარტებულია მარეგულირებელი გარემოს სექციაში) ელექტროსადგურებს ექნებათ ელექტროენერჯის გაყიდვის ორი დამატებითი არხი და მიმღების პოვნის რისკი თითქმის სრულად იქნება აღმოფხვრილი. ამჟამად მოქმედი ბაზრის წესების მიხედვით, თუ ელექტროსადგურს არც PPA აქვს და არც ორმხრივი შეთანხმება, ზაფხულის თვეებში (მაისიდან აგვისტომდე) ესკო მათ უხდის ყველაზე დაბალ რეგულირებულ ტარიფს ჰესებისთვის ხოლო ზამთრის თვეებში (სექტემბრიდან აპრილამდე) ყველაზე მაღალ ფასს თბოელექტროსადგურებისთვის. 2021 წლის მდგომარეობით, ენგურჰესს აქვს 2021-23 წლებისთვის დაწესებული ყველაზე დაბალი რეგულირებადი ფასი 1,857 თეთრი/კვტ.სთ-ზე - ორმხრივი კონტრაქტის არარსებობის

შემთხვევაში, სწორედ ამ ფასად მოხდება ანგარიშსწორება ესკოს მიერ. ბოლო წლების დეფიციტის გათვალისწინებით, კომპანია ყოველთვის ყიდდა ელექტროენერგიას პირდაპირი კონტრაქტით და ესკოზე გაყიდვების წილი 0.1% ნაკლები იყო. როგორც ზემოთ აღინიშნა, ენერჯით ვაჭრობა გამართვდება DAM-ისა და IDM-ის ამოქმედების შემდეგ. DAM-ისა და IDM-ის გაშვებას არანაირი გავლენა არ ექნება ესკოსთან გაფორმებულ კონტრაქტებზე. უცვლელად რჩება როგორც ტარიფი, ასევე ანაზღაურების სხვა პირობები და კონტრაქტის ხანგრძლივობა. ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანია ჯერ-ჯერობით ექვემდებარება ელექტროენერგიის არახელსაყრელ ფასებში გაყიდვის რისკს მყიდველის არარსებობის შემთხვევაში, თუმცა ქვეყანაში არსებული ელექტროენერგიის მზარდი დეფიციტიდან გამომდინარე, ეს რისკი მცირდება და საბოლოოდ გაქრება ახალი ბაზრის ამოქმედების შემდგომ.

6.2. გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კანონები;

სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციები“ ექვემდებარება სხვადასხვა გარემოსდაცვით, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კანონებს და რეგულაციებს, რომლებიც არეგულირებენ, სხვა საკითხებთან ერთად, კომპანიის ოპერაციებით გამოწვეულ დაბინძურებას და მისი თანამშრომლების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას. ემიტენტი ასევე ვალდებულია მიიღოს გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ნებართვები სხვადასხვა სამთავრობო ორგანოებისგან თავისი საქმიანობისთვის.

კომპანიამ თავის საქმიანობასთან მიმართებაში მიიღო გარემოსდაცვითი სტანდარტები. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე პროსპექტის თარიღისთვის ემიტენტის ოპერაციები ყველა მატერიალური თვალსაზრისით შეესაბამება საქართველოში მოქმედ გარემოსდაცვით, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ყველა მოქმედ რეგლამენტს, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ის მომავალშიც იქნება მათთან შესაბამისობაში. თუ კომპანია ვერ შეასრულებს რომელიმე ასეთ რეგულაციას, ის შეიძლება იყოს პასუხისმგებელი ჯარიმებზე ან/და შეუსრულებლობის შედეგებზე ნებისმიერი სახელშეკრულებო ვალდებულების შესაბამისად, რომელიც მოითხოვს მისგან მოქმედი რეგულაციების დაცვას.

მოქმედი კანონმდებლობის დარღვევამ ნებისმიერი გარემოსდაცვითი ზიანის, თანამშრომლის სიცოცხლის დაკარგვის ან ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანების შედეგად შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ოპერაციების შეფერხება ან მისი რეკუტაციის შელახვა. კომპანიას შეიძლება დაეკისროს მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა ზიანისათვის - ჯარიმების ან/და კომპენსაციის სახით. რომელიმე ამგვარი მოვლენის დადგომამ შეიძლება ასევე გამოიწვიოს ემიტენტის ოპერაციების შეფერხება და გამოიწვიოს დამატებითი ხარჯები სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციებისთვის“.

მიუხედავად იმისა, რომ გარემოსდაცვითი კანონები და რეგულაციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ კომპანიის საქმიანობაზე, შეუძლებელია ზუსტად წინასწარ განვსაზღვროთ, რა გავლენას მოახდენს ასეთი კანონები და რეგულაციები ემიტენტის ბიზნესზე. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიამ დაგეგმა მომავალი კაპიტალური და საოპერაციო ხარჯები გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოქმედი კანონების შესასრულებლად, შესაძლებელია, რომ რომელიმე ეს კანონი შეიცვალოს ან გახდეს უფრო მკაცრი მომავალში ან შეიძლება მოხდეს ახალი კანონების მიღება. ნებისმიერმა ზემოაღნიშნულმა შეიძლება მატერიალური უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ბიზნესზე, ოპერაციების შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

6.3. კლიმატურმა პირობებმა და ბუნებრივმა საფრთხეებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიაზე;

არასასურველმა ამინდის პირობებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციების“ ბიზნესზე. გვალების პირობებში კომპანიის ჰესების მიერ მესამე პირებისთვის გასაყიდად წარმოებული

ელექტროენერჯის დონე შეიძლება იყოს დაბალი, რაც გამოიწვევს დაბალ შემოსავალს. წყლის ხელმისაწვდომობა ასევე სეზონურია, განსაკუთრებით ემიტენტის მდინარის მოდინებაზე აშენებული ჰესებისთვის, რომლებიც მოიცავს მესტიაჭალა 2 ჰესს და კასლეთი 2 ჰესს. წყლის ყველაზე ძლიერი ნაკადი, როგორც წესი, ხდება კასლეთი 2 ჰესისთვის მარტის, აპრილისა და მაისის თვეებში და ივლისსა და აგვისტოში მესტიაჭალა 2 ჰესისთვის თოვლის დნობის გამო. გარდა ამისა, ახმეტისა და დებედას ჰესები განლაგებულია სარწყავ არხებზე და ამ ჰესების წყალმომარაგება შესაძლოა მიემართოს სარწყავად, რაც პრიორიტეტულობას იძენს ზაფხულის თვეებში, სარწყავი სეზონის განმავლობაში. საირიგაციო არხებზე ჩატარებულმა სარეაბილიტაციო სამუშაოებმა ასევე შეიძლება შეზღუდოს ზემოაღნიშნული ჰესების წყალმომარაგება. გარდა ამისა, კომპანია დამოკიდებულია ქარის ხელსაყრელ პირობებზე, რაც ავლენს სეზონურობას, რისი პროგნოზირებაც რთულია. ქარმა, რომელიც აღემატება გარკვეულ სიჩქარეს, შეიძლება ასევე გამოიწვიოს კომპანიის ტურბინების შეჩერება.

დაბოლოს, კომპანია აპროგნოზებს ელექტროენერჯის გამომუშავებას ნორმალური ამინდის საფუძველზე, გრძელვადიან ისტორიულ საშუალოზე დაყრდნობით, განიხილავს ნორმალურ ამინდის ნიმუშების შესაძლო ცვალებადობას და საჭიროების შემთხვევაში იყენებს კონსერვატიულ მიდგომას. მიუხედავად ამისა, არ არსებობს გარანტია, რომ ასეთ დაგეგმვას სწორად შეუძლია არასასურველი ამინდის ზემოქმედების განსაზღვრა ან მომავალი ამინდის პროგნოზის შეფასება. ამასთან, რამდენადაც კლიმატის ცვლილება იწვევს ტემპერატურის ცვლილებას, ნალექის და ქარის ცვალებადობას, აძლიერებს ექსტრემალური ამინდის მოვლენების ინტენსივობას ან სიხშირეს, იგი შეიძლება უარყოფითად აისახოს ემიტენტის ბიზნესზე.

ნებისმიერ არასასურველ ამინდის პროგნოზს, იქნება ეს კლიმატის ცვლილების შედეგად თუ სხვაგვარად, შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი გავლენა კომპანიის ბიზნესზე, ოპერაციების შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

6.4. ემიტენტი განახლებადი ენერჯის ბიზნესთან მიმართებაში დამოკიდებულია მის PPA-ებზე ესკო-სთან;

ემიტენტის ყველა ჰესი (ახმეტაჰესის გარდა) ისევე, როგორც ქართლის ქარის ელექტროსადგური, ყიდის მათ მიერ გამომუშავებულ ელექტროენერჯიას ესკოზე PPA-ების ფარგლებში. ქართლის ქარის ელექტროსადგურის გარდა (რომელზეც PPA მოქმედებს მთელი წლის განმავლობაში), აღნიშნული PPA მოქმედებს სექტემბრიდან აპრილის ჩათვლით პერიოდზე (არსებული PPA-ის დეტალები შეგიძლიათ იხილოთ თავში „ინფორმაცია ემიტენტის შესახებ“). PPA, როგორც წესი, შეიძლება შეწყდეს მხოლოდ ფორსმაჟორული ან დეფოლტის პირობებში (თუ მისი გამოსწორება არ მოხდა წერილობითი შეტყობინების მიუხედავად) რომელიმე მხარის მიერ. ამ PPA-ების ფარგლებში გამომუშავებული ელექტროენერჯის შესყიდვის ფასები წინასწარ არის განსაზღვრული. მაისიდან აგვისტომდე პერიოდში ამ სადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია საბაზრო ფასებში იყიდება. PPA-ები ესკო-სთან, როგორც წესი, არ ექვემდებარება გახანგრძლივებას და არ შეიძლება იყოს გარანტია, რომ კომპანია შეძლებს ისეთივე ხელსაყრელი პირობებით ელექტროენერჯის გაყიდვას აღნიშნული ხელშეკრულებების ვადის გასვლის შემდგომაც. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის ყველა PPA (გარდა დებედა ჰესის PPA-ისა) იწურება ობლიგაციების ვადის გასვლის შემდეგ. გარდა ამისა, კომპანიის PPA-ების ვადის ამოწურვის შემდგომ, საბაზრო ფასები შეიძლება იყოს არასტაბილური სხვადასხვა ფაქტორების შედეგად.

მთავრობა სთავაზობს კომპანიებს PPA-ებს, რაც ფაქტობრივად ფასის ჰეჯია, ჰესების მშენებლობის ხელშესაწყობად. 2018 წლიდან PPA-ს გაცემის პროცესს განსაზღვრავს სსიპ „საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო“ (www.ppp.gov.ge), რომელიც ატარებს ხარჯთაღრიცხვის ანალიზს და ასკვნის, მოითხოვს თუ არა პროექტი რაიმე მხარდაჭერას მთავრობისგან. ამის შედეგად წყდება მხარდაჭერის მექანიზმი. საქართველოს ენერჯეტიკული რეგულაციების ცვლილებების მიუხედავად, მთავრობის მიერ უკვე დადებული PPA-ები კვლავ ძალაში რჩება. თუმცა, ახალი PPA-ების

შეთავაზება შეზღუდული იქნება დაკავშირებული ფისკალური რისკების გამო. აღსანიშნავია, რომ PPA-ები საბაზრო ფასად არის გაცემული, შესაბამისად, კომპანია დიდ ცვლილებებს არ ელოდება. შედეგად, მომავალში ზოგიერთ პროექტს შესთავაზებენ PPA-ებს და, შესაძლოა, გამოყენებული იქნას ასევე მხარდაჭერის სხვა ფორმებიც (მაგ. განსხვავების კონტრაქტები (CFDs)). თუ კომპანია მომავალში ვერ ჩაანაცვლებს PPA-ებს, ამან შეიძლება გრძელვადიან პერსპექტივაში არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს მის ბიზნესზე, ოპერაციების შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

6.5. ელექტროსადგურების მოვლა და განახლება მოიცავს მნიშვნელოვან რისკებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ელექტროენერჯის დაუგეგმავი გათიშვა, გამომუშავების შემცირება და მოულოდნელი კაპიტალური ხარჯები;

კომპანიის ელექტროსადგურების ექსპლუატაციასთან დაკავშირებით არსებობს რისკები, როგორცაა აღჭურვილობის ან პროცესების გაუმართავობა, გამომუშავების ან ეფექტიანობის მოსალოდნელ დონეებზე დაბალი შესრულება, მომხმარებლისთვის ელექტროენერჯის არაეფექტიანი ტრანსპორტირება, გადამცემი ინფრასტრუქტურის პრობლემების გამო. ასეთი გაუმართავობები და აღსრულების პრობლემები შეიძლება გამოწვეული იყოს მრავალი ფაქტორით, მათ შორის ექსპლუატაციის შეცდომებით ან დროთა განმავლობაში აქტივების ცვეთით. შედეგად, ემიტენტის ობიექტებს შეიძლება დასჭირდეს გეგმიური ან კაპიტალური რემონტი და გაუმჯობესება (კაპიტალური ხარჯების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ „ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების მიმოხილვა“, ხოლო გეგმიური და აქტივების მოვლა-რემონტთან დაკავშირებული არაკაპიტალური ხარჯები დამატებით აღწერილია ქვეთავში „საოპერაციო შედეგები“). დროადრო ელექტროსადგურები შეიძლება დაუგეგმავად გაითიშოს, რაც კომპანიის ბიზნესის თანდაყოლილ რისკს წარმოადგენს. ემიტენტის ელექტროსადგურების დაუგეგმავი გათიშვები, როგორც წესი, გაზრდის მის ხარჯებს, რომლებიც შეიძლება ვერ დაიფაროს მოქმედი PPA-ის ფარგლებში მიღებული შემოსავლით. ამგვარმა გათიშვამ ასევე შეიძლება შეამციროს კომპანიის შემოსავალი დაბალი მოცულობის ელექტროენერჯის გაყიდვის შედეგად.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ კომპანიის საკუთრებაში არსებული ელექტროსადგურები შესაბამისი აქტივებისთვის საშუალო სასარგებლო გამოყენების ვადების გათვალისწინებით, ექსპლუატაციაში შესულია საკმაოდ ახლო წარსულში, ტექნიკურად გამართულია და შესაბამისად, კომპანია არ მოელის არსებით კაპიტალურ დანახარჯებს მოვლისა და განახლების მიზნებისთვის. ამის მიუხედავად, კომპანიას წინასწარ დაზუსტებით ვერ ეცოდინება იმ კაპიტალური დანახარჯების რაოდენობა, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს ცვალებადი გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კანონებისა და რეგულაციების (მათ შორის ინტერპრეტაციასა ან აღსრულებაში ცვლილებების), ან ობიექტების საჭირო რემონტისა და სხვა მოულოდნელი მოვლენების გამო (როგორცაა ბუნებრივი ან ხელოვნური კატასტროფები ან ტერორისტული თავდასხმები). ნებისმიერ მოულოდნელ გაუმართავობას, მათ შორის ისეთს, რომელიც დაკავშირებულია ავარიებთან, იძულებით გათიშვასთან ან კომპანიის ობიექტებში მოულოდნელ კაპიტალურ ხარჯებთან, შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი გავლენა კომპანიის ბიზნესზე, ოპერაციების შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

7. ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკები:

7.1 ინვესტიციები ელექტროსადგურებში არალიკვიდურია

კომპანია ფლობს და ოპერირებს უწევს ჰიდროელექტროსადგურებსა და ქარის ელექტროსადგურს. განახლებადი ენერჯის აქტივები ხასიათდება არალიკვიდური ბუნებით, რამაც შესაძლოა კომპანიისთვის წამოშვას ლიკვიდობის პრობლემები, გავლენა იქონიოს კომპანიის შესაძლებლობაზე, საგანგებო მდომარეობის შემთხვევაში დროულად და მისაღებ ფასად მოახდინოს ქონების რეალიზაცია. ამ ფაქტორმა, შესაძლოა კომპანია დამატებითი ფინანსური და ლიკვიდურობის რისკების წინაშე დააყენოს.

8. მმართველობასთან და ფინანსურ აღრიცხვასთან/ანგარიშგებასთან დაკავშირებული რისკები:

8.1. თუ კომპანია ვერ უზრუნველყოფს ეფექტური შიდა კონტროლის სისტემას, ეს შესაძლოა უარყოფითად აისახოს ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების სიზუსტეზე;

დროული და ზუსტი ფინანსური ანგარიშგების მიწოდებისთვის საჭიროა შიდა ფინანსური და სააღრიცხვო პროცედურების მუდმივი მონიტორინგი და შეფასება. კომპანიამ, როგორც ანგარიშვალდებულმა სუბიექტმა, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნა აუდიტის კომიტეტი, რომელიც აკონტროლებს ემიტენტის ფინანსური ანგარიშგების სიზუსტეს და უზრუნველყოფს შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობას. აღსანიშნავია, რომ ყველა შვილობილისთვის, მათ შორის შპს „ჰიდროლეს“ შვილობილებისთვის ინდივიდუალურად მზადდება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დამოწმებული ანგარიშგება (გარდა მიმდინარე წელს დაარსებული შპს „ჯიარპისი თრეიდისა“). კომპანიას ასევე აქვს დამატებითი ანგარიშგების ვალდებულებები სს „საქართველოს კაპიტალთან“.

თუ კომპანია ვერ განახორციელებს გამჭვირვალე და სწორი შიდა კონტროლის პოლიტიკას, შეიძლება წარმოიშვას რისკები ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების სიზუსტის თვალსაზრისით, რამაც შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის საიმედოობაზე, ასევე ფინანსურ მდგომარეობასა და მუშაობის შედეგებზე.

8.2. კორპორატიული მართვის სტანდარტებთან დაკავშირებული რისკები;

საქართველოს კანონმდებლობა არ ავალდებულებს ქართულ კომპანიებს კორპორატიული მართვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით კომპანია ანგარიშვალდებული სუბიექტია, რომელშიც აუდიტის კომიტეტი, ჩვეულებრივ, ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. კომპანიის კორპორატიული მმართველობის სტრუქტურა განისაზღვრება კომპანიის წესდების და შესაბამისი კანონმდებლობის/მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესაბამისად. კერძოდ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებების შესაბამისად. გარდა ამისა, 2021 წლის 7 დეკემბერს სებ-ის პრეზიდენტის განკარგულებით გამოიცა კორპორაციული მმართველობის კოდექსი („მმართველობის კოდექსი“), რომელიც ძალაში შევიდა 2022 წლის იანვრიდან. ემიტენტებმა უნდა წარადგინონ მმართველობის კოდექსის შესაბამისად მომზადებული წლიური ფინანსური ანგარიშგებები 2023 წლის საანგარიშო წლისთვის. მმართველობის კოდექსი ეფუძნება მიდგომას: „შეასრულე ან განმარტე და წარმოადგინე ალტერნატივა“. აღნიშნული მიმართულია კორპორატიული მართვის საუკეთესო პრაქტიკის ფართო გამოყენების წახალისებაზე. არ არსებობს გარანტია, რომ კომპანიის კორპორატიული მართვის პოლიტიკა არის ან იქნება შესაბამისობაში საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ კომპანიაში გადაწყვეტილების მიღების პროცედურა შეიძლება არ შეესაბამებოდეს საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს

8.3. ემიტენტის აქციონერების ინტერესები გარკვეულ პირობებში შეიძლება განსხვავდებოდეს ობლიგაციების მფლობელთა ინტერესებისგან;

ემიტენტის მაკონტროლებელი აქციონერი არის სს „საქართველოს კაპიტალი“, რომელიც ირიბად (სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ჰოლდინგის“ მეშვეობით) ფლობს ემიტენტის აქციების 100 პროცენტს. შედეგად, სს „საქართველოს კაპიტალს“ შეუძლია გააკონტროლოს კომპანიის ისეთი ქმედებები, რომელიც საჭიროებს აქციონერთა თანხმობას. მას ასევე აქვს შესაძლებლობა დაამტკიცოს ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრი და ამით შეუძლია გავლენა მოახდინოს მის გადაწყვეტილებებზე. სს „საქართველოს კაპიტალის“ ინტერესები შეიძლება განსხვავდებოდეს ემიტენტის კრედიტორების, მათ შორის ობლიგაციების მფლობელების ინტერესებისგან.

9. პერსონალთან და თანამშრომლების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები:

9.1. ბაზარზე კვალიფიციური კადრების ნაკლებობამ შეიძლება შეაფერხოს კომპანიის განვითარება და ეფექტური საქმიანობა;

ემიტენტი დიდწილად დამოკიდებულია კვალიფიციური სამუშაო ძალის ხელმისაწვდომობაზე და პასუხისმგებელია მათ პროფესიულ ზრდაზე ზრუნვაზე. თუ კომპანია ვერ მოიზიდავს ან/და ინარჩუნებს კვალიფიციურ ტოპ მენეჯმენტს, გამოცდილ საშუალო მენეჯერებს, ინჟინრებს, სპეციალისტებს და დამხმარე პერსონალს, ამან შეიძლება შექმნას და გაზარდოს ოპერატიული და ადმინისტრაციული ხარჯები, შეაფერხოს ოპერაციების ეფექტიანი წარმართვა, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის საქმიანობასა და ფინანსურ შედეგებზე.

სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციების ბიზნესის“ წარმატება ნაწილობრივ დამოკიდებულია მისი ძირითადი მენეჯმენტისა და თანამშრომლების უწყვეტ მუშაობაზე. ასევე, კვალიფიციური პერსონალის მოზიდვის, შენარჩუნების, მომზადების, განვითარებისა და მოტივაციის უნარზე. მისი ბიზნესის ხასიათიდან გამომდინარე, კომპანიას ესაჭიროება მაღალკვალიფიციური თანამშრომლები, ინჟინრები და ტექნიკოსები, ამ თანამშრომლების დაქირავება და შენარჩუნება შეიძლება განსაკუთრებით რთული იყოს. გარდა ამისა, ემიტენტის ძირითად მენეჯმენტსა და სხვა პერსონალს აქვს მნიშვნელოვანი სამუშაო ურთიერთობები სემეკთან და აქვს დეტალური ცოდნა კომპანიის ბიზნესისა და ბაზრების შესახებ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დაარსების დღიდან კომპანიის მენეჯმენტში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. არ არსებობს იმის გარანტია, რომ კომპანია შეძლებს საკმარისი კვალიფიციური პერსონალის მოზიდვას და შენარჩუნებას. ამ მიმართულებით ნებისმიერმა წარუმატებლობამ შეიძლება მატერიალური უარყოფითი გავლენა მოახდინოს ემიტენტის ბიზნესზე, ოპერაციების შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

9.2. შრომითმა დავებმა და გაფიცებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის წარმოების დონესა და მომგებიანობაზე;

პროსპექტის გაცემის თარიღისთვის კომპანიას და მის შვილობილ კომპანიებს 71 თანამშრომელი ჰყავს. დასაქმებული პერსონალი მოიცავს ყველა თანამშრომელს - მენეჯერებს, ტექნიკურ მუშაკებს, ოპერატორებს და ა.შ. პერსონალი კომპანიის ოპერაციების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალაა. შრომითმა დავებმა ან/და გაფიცებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების შეფერხება, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მუშაობასა და ფინანსურ შედეგებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ემიტენტს ჯერ არ განუცდია რაიმე გაფიცვა ან სამართალწარმოება ან ნებაყოფლობითი უარი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაზე, არ არსებობს იმის გარანტია, რომ მსგავსი მოვლენები არ იქნება მომავალშიც. ნებისმიერ შრომით დავას ან შეფერხებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი გავლენა კომპანიის ბიზნესზე, ოპერაციების შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

10. მოულოდნელ მოვლენებთან დაკავშირებული რისკები:

10.1. მოულოდნელმა მოვლენებმა, როგორცაა ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო მდგომარეობა, პანდემია და ა.შ. შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე;

მოულოდნელმა მოვლენებმა, როგორცაა ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო მდგომარეობა და ა.შ. შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ოპერაციებზე, ზიანი მიაყენოს მის ქონებას ან სხვაგვარად, ნეგატიურად იმოქმედოს მის საქმიანობაზე.

2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ Covid-19-ის გავრცელება გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. არავინ იცის, როდის მოხდება ვირუსის აღმოფხვრა. ასევე, არ არსებობს შესადარისი ისტორიული მაგალითი, რაც ართულებს ეკონომიკის პროგნოზირებას. აღნიშნულმა კრიზისმა მსოფლიო მასშტაბით გამოიწვია როგორც მოთხოვნის ისე მიწოდების შემცირება (წარმოების შემცირების და მიწოდების ჯაჭვის შეფერხების გამო). პანდემიით გამოწვეულ კრიზისს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ტურიზმის სექტორზე, რომელიც საქართველოს ეკონომიკის შედარებით მაღალ წილს იკავებს. ამან თავის მხრივ გავლენა იქონია მთლიანად საქართველოს ეკონომიკაზე. საქსტატის მონაცემებით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 2019 წელთან შედარებით 6,8%-ით შემცირდა. რამაც, ბუნებრივია, უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკური სექტორების უმრავლესობაზე.

პანდემიის დაწყებისთანავე, 2020 წლის პირველ თვეებში, მკაცრმა „ლოქდაუნმა“ შეანელა ვირუსის გავრცელება; თუმცა, 2020 წლის გაზაფხულზე შეზღუდვების თანდათანობითი შემსუბუქებით, წლის მეორე ნახევარში საქართველოში პანდემიის მეორე ტალღა დაიწყო. 2020 წლის ნოემბრის ბოლოდან 2021 წლის თებერვლის დასაწყისამდე მთავრობამ შემოიღო ნაწილობრივი შეზღუდვები, მათ შორის კომენდანტის საათი 21:00 საათიდან 05:00 საათამდე, დახურა რესტორნები და კვების სხვა ობიექტები, შეაჩერა საზოგადოებრივი ტრანსპორტი და ა.შ. ამან შეამცირა ინფიცირების შემთხვევები, რამაც მთავრობას მისცა საშუალება ეტაპობრივად გაეხსნა ეკონომიკა 2021 წლის მარტიდან.

2021 წლის ივლისსა და აგვისტოში Covid-19-ის შემთხვევები კვლავ გაიზარდა. შედეგად, გამკაცრდა გარკვეული შეზღუდვები, მათ შორის სავალდებულო გახდა გარეთ ნიღბების ტარება, აიკრძალა ფართო შეკრები, შეჩერდა მუნიციპალური ტრანსპორტი და ა.შ. ივლისიდან, მოსახლეობის აცრის პროცესში შესამჩნევი შეიმჩნეოდა, ამასთან მთავრობას ჰქონდა საკმარისი რაოდენობის ვაქცინა. 2021 წლის ბოლოსთვის გაჩნდა კორონავირუსის ახალი ვარიანტი სახელწოდებით „ომიკრონი“, პროსპექტის წარდგენის მომენტისთვის საქართველოში აღნიშნული ვარიანტი საქართველოშიც დაფიქსირდა. Covid-19-ის ახალი ვარიანტების წარმოშობა წარმოადგენს ახალ რისკ ფაქტორებს და ზრდის ახალი შეზღუდვების დაწესების რისკს როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო დონეზე. 2022 წელს Covid-19 ინფიცირების შემთხვევების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა და მთავრობამ გააუქმა პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების უდიდესი ნაწილი.

თუმცა, აქვე უნდა გაესვას ხაზი იმ ფაქტსაც, რომ პანდემიას უშუალოდ სექტორის ან კომპანიის საქმიანობაზე დიდი გავლენა არ მოუხდენია, რადგან მიუხედავად ზოგადი მოთხოვნის კლებისა საქართველოს მაინც დიდი ენერგო დეფიციტი აქვს.

პანდემიასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობის შემცირების გამო 2020 წელს 5%-ით შემცირდა ელექტროენერჯის მოხმარება საქართველოში. ადგილობრივ ბაზარზე მოხმარების შემცირებას არ ჰქონია უარყოფითი გავლენა ელექტროენერჯის მწარმოებლებზე. შემცირებული მოხმარების მიუხედავად, ადგილობრივი გენერაცია კვლავ არ იყო საკმარისი მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად, რასაც თან დაერთო 2020 წელს ცუდი ჰიდროლოგიის გამო შემცირებული ადგილობრივი გამომუშავება. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს ელექტროენერჯის წმინდა იმპორტი წინა წლის ნიშნულზე დარჩა. ასევე, 2019 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად არ შეცვლილა ელექტროენერჯის გასაყიდი ფასიც (საშუალო შეწონილი ესკოს საბალანსო ფასი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 4%-ით). შესაბამისად, პანდემიას არ მოუხდენია გავლენა საქართველოში ელექტროენერჯის მწარმოებლებზე, როგორც გასაყიდი ელექტროენერჯის მოცულობის, ასევე გასაყიდი ფასის კუთხით.

10.2. კომპანიის საკუთრებაში არსებული აქტივების არასრულმა დაზღვევამ შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის მოგებაზე;

მენეჯმენტი თვლის, რომ კომპანია თავისი ბიზნესის ჭრილში ინარჩუნებს ადეკვატურ სადაზღვევო დაფარვას. ეს დაფარვა შესაბამისობაშია საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკასა და ინდუსტრიის სტანდარტებთან. კომპანიის დაზღვევაში, ქონების დაზღვევასთან ერთად, ასევე შედის ბიზნესის შეფერხებისა და პოლიტიკური ზეწოლის რისკების დაფარვა. მიუხედავად ამისა, ემიტენტის ოპერაციებზე შეიძლება გავლენა იქონიოს ისეთმა რისკებმა, რომლებზეც სრული სადაზღვევო დაფარვა საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი, ან არ არის ხელმისაწვდომი კომერციულად გონივრული პირობებით. გარდა ამისა, სხვადასხვა სადაზღვევო მოვლენამ, როგორცაა უბედური შემთხვევები, ბიზნესის შეწყვეტა ან მისი ობიექტების, ქონებისა და აღჭურვილობის პოტენციური დაზიანება, გამოწვეული უამინდობით, ადამიანური შეცდომით, დაბინძურებით, შრომითი დავებითა და ბუნებრივი კატასტროფებით, შეიძლება გამოიწვიოს დანაკარგები ან იმაზე მეტი ვალდებულების დაკისრება ვიდრე იფარება დაზღვევით. არ არსებობს იმის გარანტია, რომ კომპანიის სადაზღვევო დაფარვა იქნება ზარალის დასაფარად საკმარისი, ან რომ მას შეეძლება განაახლოს არსებული სადაზღვევო დაფარვა, მათ შორის კომერციულად გონივრული პირობებით.

გარდა ამისა, კომპანიის სადაზღვევო პოლისები კომერციული შეთანხმებით ექვემდებარება გამოქვითვას, გამონაკლისს და შეზღუდვას. ემიტენტი მიიღებს სადაზღვევო შემოსავალს მხოლოდ იმ პირობით, რომ მის მზღვეველებს აქვთ სახსრები გადახდისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის ყველა დაზღვევა მაღალი რეპუტაციის მქონე გამაზღვეველებთანაა გადაზღვეული. აქედან გამომდინარე, სადაზღვევო პოლისმა შეიძლება არ დაფაროს კომპანიის მიერ მიღებული ყველა ზარალი და არ არის იმის გარანტია, რომ კომპანია არ განიცდის ზარალს სადაზღვევო პოლისს გარეთ.

თუ მოხდა ისეთი შემთხვევა, რომლის მიმართაც კომპანიას არ აქვს სადაზღვევო დაფარვა ან ასეთი დაფარვა არ არის საკმარისი, ემიტენტმა შეიძლება დაკარგოს ინვესტირებული კაპიტალი და დაზიანებულ ქონებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი შემოსავალი. ზოგ შემთხვევაში დაზიანებულ ქონებასთან დაკავშირებულ ფინანსურ ვალდებულებებზე პასუხისმგებელი შეიძლება დარჩეს ემიტენტი. რომელიმე ამგვარ მოვლენას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი გავლენა კომპანიის ბიზნესზე, საოპერაციო შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

GRPO-ს შვილობილი კომპანიები ინარჩუნებენ საკმაოდ ყოვლისმომცველ სადაზღვევო დაფარვას თავიანთი ბიზნესის, ქონების, ვალდებულებებისა და თანამშრომლების ჯანმრთელობის/უსაფრთხოების მიმართ. დაფარვა შენარჩუნებულია ისეთ მოცულობაზე და პირობებით, რაც შეესაბამება ადგილობრივ საუკეთესო პრაქტიკას და ინდუსტრიის სტანდარტებს. GRPO-ს სადაზღვევო დაფარვა მოიცავს, მაგრამ არ შემოფარგლება, ქონების სრული, ბიზნესის უწყვეტობის, მანქანა-დანადგარების დაზიანება/ავარიის და მოგების დაკარგვის, პოლიტიკური ძალადობის

(ტერორიზმის ჩათვლით), ყოვლისმომცველი მესამე მხარისა და დამსაქმებლის პასუხისმგებლობის დაზღვევებს. დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ „სარეგისტრაციო დოკუმენტის“ ქვეთავი „ძირითადი საქმიანობა“.

შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკები

11. ობლიგაციების საბაზრო ფასთან, ლიკვიდურობასთან და სარგებელთან დაკავშირებული რისკები:

11.1. ობლიგაციების საბაზრო ფასი შეიძლება ცვალებადი იყოს;

ობლიგაციების საბაზრო ფასი შეიძლება მნიშვნელოვნად მერყეობდეს ისეთი მიმდინარე ან მოსალოდნელი ცვლილებების საპასუხოდ, როგორებიცაა: კომპანიის საოპერაციო შედეგების ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ცვლილებები; კომპანიის კონკურენტების საოპერაციო შედეგების ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ცვლილებები; ბიზნესის არასახარბიელო განვითარება; კომპანიის მარეგულირებელი გარემოს ცვლილება; ფასიანი ქაღალდების ანალიტიკოსის ფინანსური შეფასების ცვლილება; ობლიგაციების დიდი რაოდენობით გაყიდვა ან მოსალოდნელი გაყიდვა; ასევე ბევრი სხვა ფაქტორი, რომელიც კომპანიაზე ახდენს გავლენას, მათ შორის საქართველოს ეკონომიკური და საბაზრო პირობები. გარდა ამისა, ბოლო წლებში გლობალური ფინანსური ბაზრების ფასმა და მოცულობამ მნიშვნელოვანი რყევები განიცადა. თუ ასეთი რამ მომავალშიც განმეორდა, ეს, კომპანიის საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის და ოპერაციის შედეგების მიუხედავად, უარყოფითად იმოქმედებს ობლიგაციების საბაზრო ფასზე. თუ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება, არანაირი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ საქართველოში თუ სხვაგან განვითარებული მოვლენები არ გამოიწვევს ბაზარზე რყევებს ან ეს რყევები უარყოფით გავლენას არ მოახდენს ლიკვიდურობასა თუ ობლიგაციების ფასზე ან/და ეკონომიკური და საბაზრო პირობები რაიმე სხვა სახის უარყოფით გავლენას არ მოახდენს. თუ ობლიგაციებით ვაჭრობა მათი პირველადი გამოშვების შემდეგ ხდება, შესაძლოა ისინი შეთავაზების ფასთან შედარებით დისკონტირებულ ფასად გაიყიდოს იმ მომენტისათვის არსებული საპროცენტო განაკვეთის, მსგავსი ობლიგაციების ბაზრის, ზოგადი ეკონომიკური პირობების, კომპანიის ფინანსური პირობების ან სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს.

11.2. ობლიგაციებისთვის შესაძლოა არ არსებობდეს აქტიური სავაჭრო ბაზარი, რაზეც შესაძლოა დამატებით ახდენდეს გავლენას ის ფაქტი, რომ ობლიგაციები უზრუნველყოფილია;

არ არსებობს იმის გარანტია, რომ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება. არც იმის გარანტია არსებობს, რომ განვითარების შემთხვევაში ამგვარი ბაზარი შენარჩუნდება. თუ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი არ განვითარდება ან განვითარდება და არ შენარჩუნდება, ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების ბაზარზე ან სავაჭრო ფასსა და ლიკვიდურობაზე ბევრი ფაქტორის გამო, რომელთა გარკვეული ნაწილი შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს. თუ ობლიგაციებით ვაჭრობა მათი პირველადი გამოშვების შემდეგ ხდება, შესაძლოა ისინი გაიყიდოს შეთავაზების ფასთან შედარებით დისკონტირებულ ფასად იმ მომენტისათვის არსებული საპროცენტო განაკვეთის, მსგავსი ობლიგაციების ბაზრის, ზოგადი ეკონომიკური პირობებისა და კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოური ვალუტით დენომინირებული ობლიგაციების სეგმენტის მეორადი ბაზრის მაჩვენებელი ლარით დენომინირებულს მნიშვნელოვნად აჭარბებს, აქტიური სავაჭრო ბაზარი ობლიგაციებით სავაჭროდ შესაძლოა არ არსებობდეს, მითუმეტეს ისეთ განვითარებად ეკონომიკებში როგორც საქართველოა. 2021 წლის განმავლობაში, არაერთი გაუთვალისწინებელი გარემოების გათვალისწინებით, მეორადი ბაზრის აქტივობის

მაჩვენებელი 16%-მდეა გაზრდილი წინა წლის 8%-თან შედარებით (წლის განმავლობაში მეორადი ბაზრის გარიგებების მოცულობის ფასიანი ქაღალდების საშუალო წლიურ ნაშთებთან შეფარდება). მიუხედავად 8 პროცენტული პუნქტის ზრდისა, 2021 წლის მაჩვენებელი მაინც ჩამორჩება პანდემიამდელი პერიოდის, კერძოდ 2019 წლის 25%-იან მაჩვენებელს.

გარდა ზემოთ აღწერილი გარემოებებისა, ობლიგაციები უზრუნველყოფილია, რაც შესაძლოა დამატებით ახდენდეს ზეგავლენას მათ გასხვისებაზე მეორადი გარიგებების ფარგლებში, იმის გათვალისწინებით რომ აღნიშნული მოითხოვს პროსპექტითა და შესაბამისი ხელშეკრულებებით დადგენილი დამატებითი პროცედურების შესრულებას, მათ შორის უზრუნველყოფის ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანას აღნიშნულისთვის დადგენილი ფორმით (დეტალებისთვის იხ. „ობლიგაციების პირობები“).

11.3. ინვესტორებმა, რომელთა ფინანსური საქმიანობა დენომინირებულია ობლიგაციების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში ან ფულად ერთეულში, ობლიგაციებზე შესაძლოა მიიღონ ნაკლები პროცენტი ან ძირითადი თანხა, ვიდრე ელიან, გაცვლით კურსებში რყევების ან სავალუტო ოპერაციების რეგულირების შედეგად;

კომპანია ობლიგაციებზე პროცენტებსა და ძირითად თანხას გადაიხდის დოლარში. ეს წარმოშობს ვალუტის კონვერტაციასთან დაკავშირებულ გარკვეულ რისკებს, თუ ინვესტორის ფინანსური საქმიანობა ძირითადად დენომინირებულია დოლარისგან განსხვავებულ ვალუტაში ან ფულად ერთეულში (ინვესტორის ვალუტაში). ეს მოიცავს იმის რისკსაც, რომ ვალუტის კონვერტაციის კურსები შესაძლოა მნიშვნელოვნად შეიცვალოს (იგულისხმება ის ცვლილებებიც, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს ლარის დევალვაციამ ან ინვესტორის ვალუტის რევალვაციამ) და ასევე იმის რისკს, რომ ხელისუფლებამ, რომლის იურისდიქციაშიც არის კომპანიის ან ინვესტორის ვალუტა, შეიძლება დააწესოს ან შეცვალოს სავალუტო ოპერაციების რეგულირება. ინვესტორის ვალუტის გამყარება ლართან მიმართებით შეამცირებს (i) ობლიგაციებზე ინვესტორის ვალუტის ეკვივალენტურ შემოსავალს, (ii) ობლიგაციებზე გადასახდელი ინვესტორის ვალუტის ეკვივალენტური ძირითადი თანხის ოდენობას და (iii) ინვესტორის ვალუტის ეკვივალენტურ ობლიგაციების საბაზრო ღირებულებას.

ხელისუფლებამ და ფისკალურმა ორგანოებმა შეიძლება დააწესონ (მსგავსი გამოცდილება არსებობს სხვა ქვეყნებშიც) სავალუტო ოპერაციების იმგვარი რეგულირება, რომელიც უარყოფით ზეგავლენას მოახდენს შესაბამის გაცვლით კურსზე. შედეგად ინვესტორებმა ობლიგაციებზე შესაძლოა მიიღონ ნაკლები პროცენტები ან ძირითადი თანხა, ვიდრე ელიან.

12. ობლიგაციების უფლებებთან დაკავშირებული რისკები:

12.1. ობლიგაციების უზრუნველყოფაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს მესამე მხარის სასარგებლოდ არსებულმა ან საგადასახადო იპოთეკა/გირავნობამ

მიუხედავად იმისა, რომ ობლიგაციები უზრუნველყოფილია და ობლიგაციის მფლობელები დარეგისტრირდებიან მოგირავნეებად/იპოთეკარებად, არსებობს იმის რისკი, რომ ობლიგაციების მფლობელების უფლებებზე უარყოფითად აისახოს საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ დაწესებული საგადასახადო იპოთეკა/გირავნობა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 239-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, თუ ობლიგაციის მფლობელი არ არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი ან სებ-ის მიერ განვითარებულ ქვეყნად აღიარებული ქვეყნის მიერ

ლიცენზირებული ბანკი (ასეთი ქვეყნების ჩამონათვალი ძირითადად მოიცავს ევროპის ქვეყნებს და ჩრდ. ამერიკას), ასეთ შემთხვევაში საქართველოს შემოსავლების სამსახური სარგებლობს უპირატესი უფლებით და უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა (იმ შემთხვევაშიც, თუ აქტივი დაგირავებულია ობლიგაციების მფლობელების სასარგებლოდ) შესაძლოა მიიმართოს საგადასახადო ვალდებულების დასაკმაყოფილებლად.

თუ ობლიგაციის მფლობელი არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი ან სებ-ის მიერ განვითარებულ ქვეყნად აღიარებული ქვეყნის მიერ ლიცენზირებული ბანკი, ასეთ შემთხვევაში საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ დაწესებულ საგადასახადო გირავნობა/იპოთეკას ან ნებისმიერი მესამე მხარის მიერ დაწესებულ აკრძალვას, რომელიც დაწესდა როგორც წინასწარი აღსრულების მექანიზმი, შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა ობლიგაციის მფლობელთა უფლებებზე. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი შეზღუდვები არ სარგებლობს უპირატესი უფლებით ობლიგაციის მფლობელებთან მიმართებაში და უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა პირველ რიგში მიიმართება ობლიგაციების მფლობელების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ამ შეზღუდვებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის გადახდისუუნარობა/გაკოტრება და ობლიგაციების გამოსყიდვა მფლობელების კონტროლის გარეშე.

12.2. ობლიგაციების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულია სხვადასხვა რისკი, მათ შორის უზრუნველყოფის გაფორმებასა და ობლიგაციების გადაცემასთან დაკავშირებული რისკები

ობლიგაციები უზრუნველყოფილია ემიტენტის პირდაპირ ან შვილობილების მეშვეობით არაპირდაპირ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით და სახელმწიფო ან მუნიციპალურ მიწებზე გაცემული აღნაგობის უფლებებით და გარანტორების მიერ გაცემული სოლიდარული თავდებობით, რომლის საფუძველზეც გარანტორებს წარმოეშობათ ობლიგაციონერების ყველა ვადამოსული და გადაუხდელი ვალდებულების დაკმაყოფილების ვალდებულება სოლიდარულად, ამ პროსპექტით და შესაბამისი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს უზრუნველყოფილი ობლიგაციების შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩო და აღნიშნულთან მიმართებით, მოთხოვნები მაქსიმალურად განსაზღვრულია ამ პროსპექტითა და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობებით. ამის მიუხედავად, უზრუნველყოფების გაფორმება და ობლიგაციების გადაცემა შესაძლოა შეფერხდეს დადგენილი პროცესების ნაკლებად მოქნილი ფორმატის, გარიგების მონაწილე თუ სხვა არსებული ინვესტორების მხრიდან სათანადო ქმედებების განხორციელების თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

12.3. ობლიგაციების გასხვისება ექვემდებარება გარკვეულ ტერიტორიულ/სხვა ქვეყნის ინვესტორებზე დაწესებულ შეზღუდვებს

ობლიგაციები არ ყოფილა და არ იქნება რეგისტრირებული აშშ-ის 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის („აშშ-ის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი“) ან რომელიმე შტატის კანონმდებლობის საფუძველზე. პოტენციურ ინვესტორებს არ შეეძლებათ ობლიგაციების შეთავაზება ან რეალიზაცია გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც თავისუფლდება აშშ-ის ფასიანი ქაღალდების კანონის და რომელიმე შტატის ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგისტრაციის მოთხოვნებისგან ან/და იმ ოპერაციებში, რომლებიც არ ექვემდებარება აღნიშნულ მოთხოვნებს. პოტენციური ინვესტორების ვალდებულებაა, უზრუნველყონ, რომ მათ მიერ ობლიგაციების შეთავაზება და რეალიზაცია შეერთებულ შტატებსა თუ სხვა ქვეყნებში აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

12.4. მომავალში ობლიგაციების პირობები შეიძლება შეიცვალოს ან უარი ითქვას ობლიგაციების პირობების დარღვევიდან გამომდინარე უფლებებზე

ობლიგაციების პირობები მოიცავს ობლიგაციონერების კრების მოწვევის წესებს, რათა განხილული იქნეს ის საკითხები, რომლებიც ზოგადად გავლენას ახდენს ობლიგაციონერების ინტერესებზე. აღნიშნული პირობები უშვებს განსაზღვრული უმრავლესობის მიერ დანარჩენი ობლიგაციონერებისთვის სავალდებულო გადაწყვეტილების მიღებას, იმ ობლიგაციონერების ჩათვლით, რომლებიც არ ესწრებოდნენ კრებას და რომლებმაც ხმა მისცეს უმრავლესობის წინააღმდეგ. (იხილეთ პროსპექტის თავის „ობლიგაციების გამოშვების პირობები“ ქვეპუნქტი 11. „ობლიგაციონერების კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა“)

12.5. ობლიგაციებს გააჩნია გამოსყიდვის ოფცია (call option), რაც გარკვეული რისკების მატარებელია ინვესტორთათვის;

ობლიგაციებს აქვთ გამოსყიდვის ოფცია სხვადასხვა პირობებით, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მხრიდან აღნიშნული ოფციის გამოყენების შემთხვევაში, ობლიგაციონერები მიიღებენ პროსპექტის პირობებით განსაზღვრულ ფასს (პირობა 7, „ობლიგაციების გამოსყიდვა და შესყიდვა“), რაც შესაძლოა იყოს ნაკლები, ვიდრე ობლიგაციონერები მიიღებდნენ ობლიგაციების დაფარვის ვადამდე ფლობის/სრული ხანდაზმის შემთხვევაში.

არსებობს რისკი, რომ ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების შემთხვევაში, კომპანიამ შეიძლება აღნიშნული ოფცია გამოიყენოს. ასეთ შემთხვევაში, ობლიგაციონერებს უფრო მცირე საპროცენტო განაკვეთების პირობებში მოუწევთ თანხების რეინვესტირება, რაც გულისხმობს, რომ ისინი ნაკლებ უკუგებას მიიღებენ თავიანთ თანხებზე, ვიდრე მიიღებდნენ ობლიგაციების ობლიგაციების დაფარვის ვადამდე ფლობის/სრული ხანდაზმის შემთხვევაში.

13. ობლიგაციების, მათი ფლობის საკანონმდებლო/მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებული და სხვა რისკები:

13.1. საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციებზე, მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციაზე და ობლიგაციების ფლობიდან მიღებული სარგებელის დაბეგვრაზე;

ობლიგაციების პირობები და ვადები ეფუძნება წინამდებარე პროსპექტის გამოცემის თარიღისთვის მოქმედ საქართველოს კანონმდებლობას. არ არსებობს რაიმე გარანტია იმისა, თუ რა გავლენას იქონიებს მათზე საქართველოს რომელიმე სასამართლო განჩინება, ცვლილება კანონმდებლობაში ან ადმინისტრაციულ პრაქტიკაში წინამდებარე პროსპექტის შედგენის თარიღის შემდეგ.

მომავალში, ობლიგაციონერების მიერ ობლიგაციებიდან მიღებული შემოსავლის დაბეგვრის რეჟიმის ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციონერების მიერ მისაღებ წმინდა შემოსავლის ოდენობაზე.

ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს ცვლილებები, მათ შორის გამორიცხული არ არის შევიდეს ისეთი სახის ცვლილებებიც, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების ემისიებზე, მათ რეგისტრაციაზე, განთავსებებზე, საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებაზე, ასევე გარიგებების დადების და ანგარიშწორების პროცედურებზე როგორც საბირჟო ასევე არასაბირჟო მეორად ბაზარზე.

13.2. ინვესტორები უნდა დაეყრდნონ რეგისტრატორის, ობლიგაციონერების წარმომადგენლის და, შესაბამის შემთხვევებში, ობლიგაციების ნომინალური მფლობელის პროცედურებს;

კომპანია ობლიგაციებთან დაკავშირებულ გადასახდელებს გადაუხდის ობლიგაციონერებს და ობლიგაციების ნომინალურ მფლობელებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან რეგისტრატორის მიერ წარმოებულ რეესტრში (ობლიგაციების პირობებში განსაზღვრული თარიღისათვის). ობლიგაციებთან დაკავშირებული გადასახდელების მიღებისას ობლიგაციონერი უნდა დაეყრდნოს რეგისტრატორის და, შესაბამის შემთხვევებში, ნომინალური მფლობელის პროცედურებს. კომპანია არ კისრულობს არანაირ პასუხისმგებლობას ჩანაწერების სიზუსტეზე ან ობლიგაციების ბენეფიციარების მიერ თანხის მიღებაზე. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ანგარიშსწორების დროს ემიტენტი პასუხისმგებლობას არ იღებს სხვა პირის მიერ დაშვებულ შეცდომაზე. დამატებით, ობლიგაციების სტრუქტურა მოიაზრებს ობლიგაციონერების წარმომადგენლის არსებობას, რომლის შესაბამისი სრული საკანონმდებლო ან მარეგულირებელი ჩარჩო ამ ეტაპისთვის არ არსებობს და აღნიშნულთან მიმართებით, ობლიგაციონერთა უფლებები სრულად განსაზღვრულია ობლიგაციონერების წარმომადგენელთან შეთანხმებულ სახელშეკრულებო პირობებში და „ობლიგაციების პირობებში“;

13.3. ობლიგაციებში კაპიტალდაბანდება გულისხმობს ინვესტიციის კანონიერებასთან დაკავშირებული მოსაზრებების გათვალისწინებას;

ცალკეული ინვესტორების საინვესტიციო საქმიანობა ექვემდებარება ინვესტიციების კანონიერების მარეგულირებელ კანონმდებლობასა და ნორმატიულ აქტებს, ან ცალკეული უწყებების ზედამხედველობას ან რეგულირებას. ყველა პოტენციურმა ინვესტორმა კონსულტაციები უნდა გაიაროს საკუთარ იურიდიულ მრჩეველთან იმის გადასაწყვეტად, თუ რამდენად და რა მოცულობით (i) არის ობლიგაციები მათთვის კანონიერი კაპიტალდაბანდება, (ii) შეიძლება ობლიგაციების გამოყენება გიაროს სახით სხვადასხვა ტიპის კრედიტის უზრუნველსაყოფად და (iii) ეხება სხვა შეზღუდვები ობლიგაციების შექმნას ან დაგირავებას. ფინანსურმა ინსტიტუტებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ იურიდიულ მრჩეველებთან ან შესაბამის მარეგულირებლებთან იმის დასადგენად, თუ როგორ კლასიფიცირდება ობლიგაციები მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ან მსგავსი რეგულაციების მიზნებისათვის.

13.4. ობლიგაციის შესყიდვის შესახებ განაცხადი შეიძლება დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან ობლიგაციების შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი ობლიგაციის შექმნაზე, ვიდრე ამ პროსპექტით არის გათვალისწინებული, მაშინ განაცხადების დაკმაყოფილება მოხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ემიტენტის გადაწყვეტილებისამებრ. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ან გააგრძელოს ობლიგაციების შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვეთავში: „ობლიგაციის გამოშვების პირობები“.

შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება

ემიტენტი გეგმავს ჯამური 80,000,000 (ოთხმოცი მილიონ) აშშ დოლარამდე ნომინალური ღირებულების ობლიგაციების გამოშვებას, რომლიდან მიღებული წმინდა შემოსავალი მთლიანად მოხმარდება კომპანიის არსებული ვალდებულებების რეფინანსირებას. კომპანია ობლიგაციების ემისიას გეგმავს 2022 წლის ოქტომბრის ბოლომდე. მთლიანობაში კომპანია ელოდება, რომ ობლიგაციების გამოშვებიდან მიღებული წმინდა შემოსავალი იქნება არანაკლებ ემისიით მოზიდული სახსრების 98.5%-ისა.

საბოლოო ემისიის პირობებიდან გამომდინარე, კომპანიამ მოზიდული სახსრებით უნდა გადაფაროს მისი 100%-იანი არაპირდაპირი მესაკუთრისგან, სს „საქართველოს კაპიტალისგან“ დაახლოებით \$90 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით მიღებული დროებითი სუბორდინირებული სესხის უდიდესი ნაწილი (დამფუძნებლის სუბორდინირებული დაფინანსება), რის შედეგადაც მას დარჩება დაახლოებით \$10 მილიონის ოდენობის დამფუძნებლის სუბორდინირებული დაფინანსება. დაახლოებით \$90 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით დამფუძნებლის სუბორდინირებული დაფინანსება, თავის მხრივ, გამოყენებული იქნა ემიტენტის ყოფილი 100%-იანი აქციონერის, GGU-ს მიერ 2020 წლის 28 ივლისს გამოშვებული US\$ 250 მილიონის არსებული მწვანე ევრო-ობლიგაციის ვადამდელ გადაფარვისთვის 2022 წლის 7 სექტემბერს. კერძოდ, აღნიშნული US\$250 მილიონიდან, ემიტენტისა და მისი ჯგუფისთვის (განახლებადი ენერჯის საოპერაციო ბიზნესის წილის რეფინანსირებისთვის) მიკუთვნებული დაახლოებით \$ 95 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ვალდებულების გადაფარვა განხორციელდა დამფუძნებლის სუბორდინირებული დაფინანსებით დაახლოებით \$90 მილიონის ოდენობით და ემიტენტის ბალანსზე არსებული დაახლოებით \$5 მილიონის ნაღდი ფულის მეშვეობით (აქედან, ნაწილი ნაღდი ფული მიღებულ იქნა 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ემიტენტის მიერ სავაჭროდ ფლობილი ფინანსური აქტივების სრულად რეალიზაციის შედეგად);


კომპანიის კაპიტალიზაციისა და დავალიანების შესახებ ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ ქვეთავი „საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა, კაპიტალიზაცია და დავალიანება“. აღნიშნული ევროობლიგაციებიდან \$ 95.4 კომპანიაზე ალოცირება არ გულისხმობს მის სამართლებრივ გადაცემას. არსებული ობლიგაციებიდან გამომდინარე სამართლებრივი ვალდებულებები ეკისრებოდა ემიტენტ კომპანიას Georgian Global Utilities-ს. ვალდებულების კომპანიისთვის ალოკაცია მოხდა შინაარსობრივად და მოხდა მისი აღიარება curve out ფინანსურ ანგარიშგებებში.

მწვანე ობლიგაციის ჩარჩო

GRPO-მ შეიმუშავა მწვანე ობლიგაციების ჩარჩო, რომელიც ეფუძნება 2021 წელს გამოცემული მწვანე ობლიგაციების პრინციპებს, გამოქვეყნებულს მწვანე ობლიგაციების პრინციპების აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, კაპიტალის ბაზრის საერთაშორისო ასოციაციის (ICMA) მხარდაჭერით. მწვანე ობლიგაციების ჩარჩო გამოქვეყნებულია ემიტენტის ვებსაიტზე www.grpc.ge.

მწვანე ობლიგაციების ჩარჩო, სხვა დამატებით საკითხებთან ერთად აზუსტებს წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციებიდან მოზიდული სახსრების გამოყენებას და მდგრადობას GRPO-ს დონეზე. კერძოდ:

- მიღებული სახსრების გამოყენების მხრივ ადგენს, მწვანე ობლიგაციიდან მოზიდული წმინდა სახსრების ეკვივალენტური მოცულობა სრულად ან ნაწილობრივ გამოყენებული იქნება დასაშვები მწვანე პროექტების რეფინანსირებისთვის, როგორც ეს განსაზღვრულია ქვემოთ. ობლიგაციების გამოშვება გაათავისუფლებს მშობელი კომპანიის რესურებს და უზრუნველყოფს ლიკვიდურობას GRPC ჯგუფის დონეზე დაგეგმილი პროექტების კაპიტალის საჭიროებისათვის, რაც ხელს შეუწყობს სს „საქართველოს კაპიტალის“ განახლებადი ენერჯის სეგმენტის შემდგომ განვითარებას.

| | |
|--|---|
| დასაშვები მწვანე პროექტების კატეგორიები | განახლებადი ენერჯია |
| დასაშვებობის კრიტერიუმები | ჰიდროენერგეტიკული ან ქარის ელექტროენერჯის წარმოების აქტივები ნახშირბადის ინტენსივობით 100გრ CO2e/კვტ. სთ-ზე ნაკლები |
| შესაბამისი SDGS |  |

- GRPO-ს დონეზე მდგრადობის მხრივ, 2020 წელს განახლებადი ენერჯის ბიზნესის საოპერაციო აქტივებმა (ემიტენტი ჯგუფი) დაწერა გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის ჩარჩო, რომელიც შედგება გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის ანგარიშების კომბინაციისგან, სამართლებრივი და მარეგულირებელი მიმოხილვისგან და ა.შ. გარდა ამისა, ემიტენტმა ჯგუფმა შემოიღო გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა (ESMS). როგორც ჩარჩო, ასევე ESMS ხაზს უსვამს ემიტენტი ჯგუფის საბოლოო მიზანს, დაიცვას საერთაშორისო გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები.

მწვანე ობლიგაციების ჩარჩოსთან დაკავშირებით, Sustainalytics-მა გამოსცა მეორე მხარის მოსაზრება, რომელიც ხელმისაწვდომია მისამართზე www.grpc.ge¹. მოსაზრებაში ნათქვამია, რომ GRPO-ს საქმიანობა და მისი პროექტები შესაბამისობაშია მწვანე ობლიგაციების პრინციპებთან. ანგარიშის მიზანს წამოადგენს მწვანე ობლიგაციის ჩარჩოს შემდეგი ელემენტების განხილვა და შეფასება, რითაც დასტურდება მათი შესაბამისობა მწვანე ობლიგაციის პრინციპებთან:

¹ ასევე, უშუალოდ Sustainalytics-ის ვებ-გვერდზე: [https://www.sustainalytics.com/corporate-solutions/sustainable-finance-and-lending/published-projects/project/georgian-renewable-power-operations-jsc/georgian-renewable-power-operations-green-bond-framework-second-party-opinion-\(2022\)/georgian-renewable-power-operations-green-bond-framework-second-party-opinion-\(2022\)](https://www.sustainalytics.com/corporate-solutions/sustainable-finance-and-lending/published-projects/project/georgian-renewable-power-operations-jsc/georgian-renewable-power-operations-green-bond-framework-second-party-opinion-(2022)/georgian-renewable-power-operations-green-bond-framework-second-party-opinion-(2022))

- **მიღებული სახსრების გამოყენება:** მოზიდული სახსრების გამოყენების დასაშვები კატეგორია, განახლებადი ენერჯია, შეესაბამება მწვანე ობლიგაციების პრინციპებით აღიარებულს. მოსალოდნელია, რომ ინვესტიციები შესაბამის კატეგორიაში ხელს შეუწყობს განახლებადი ენერჯის წილის გაზრდას საქართველოში, რომელშიც ოპერირებს GRPO და ხელს შეუწყობს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს, კონკრეტულად SDG 7-ს.
- **პროექტის შეფასება/შერჩევა:** GRPO-ს მწვანე ობლიგაციის კომიტეტი (GBC) პასუხისმგებელი იქნება შესაბამისი პროექტების განხილვაზე და დამტკიცებაზე. GRPO-ს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემები გამოიყენება ჩარჩოს ფარგლებში მიღებული ყველა გადაწყვეტილების მიმართ. რისკის მართვის ეს სისტემები ადეკვატურია და შეესაბამება საბაზრო პრაქტიკას.
- **მიღებული სახსრების მართვა:** GRPO-ს ფინანსური დეპარტამენტი განახორციელებს წმინდა მიღებული სახსრების განაწილებას დადგენილი რეესტრის გამოყენებით. GRPO აპირებს მიაღწიოს სახსრების სრულ განაწილებას ობლიგაციების გამოშვებისას. ეს შეესაბამება საბაზრო პრაქტიკას.
- **ანგარიშგება:** GRPO იღებს პასუხისმგებლობას უზრუნველყოს განაწილებისა და ზეგავლენის ანგარიშგება, რომელიც გამოქვეყნდება კომპანიის ვებ-გვერდზე ყოველწლიურად შემოსავლების სრულ განაწილებამდე. ანგარიში მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: დასაშვები პროექტებისთვის გამოყოფილი მთლიანი თანხა, შესაბამისი პროექტების რეფინანსირებისთვის გამოყოფილი მიღებული სახსრების წილი და გამოუყენებელი სახსრების ბალანსი. გარდა ამისა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, GRPO პასუხისმგებლობას იღებს განახორციელოს შესაბამისი ზეგავლენის ინდიკატორების ანგარიშგება/რეპორტირება, მათ შორის, ინფორმაცია tCO_{2e}-ში თავიდან აცილებულ სათბურის გაზების ემისიებზე ზეგავლენის გამოთვლის მეთოდოლოგიასთან ერთად. GRPO-ს განაწილებისა და ზეგავლენის ანგარიშგება Sustainalytics-ის მიერ მიჩნეულია საბაზრო პრაქტიკასთან შესაბამისი.

GRPO ასევე გეგმავს ე.წ. „შესაბამისობის მიმოხილვას“ და მის გასაჯაროებას ამ პროსპექტის დამტკიცებიდან ერთი წლის განმავლობაში და შემდგომ ყოველწლიურად, სანამ ობლიგაციებიდან მიღებული შემოსავლები სრულად არ იქნება განაწილებული მოზიდული სახსრების გამოყენების შესაბამისად.

მწვანე ობლიგაციების ჩარჩოს ფარგლებში, ზემოთ აღწერილი ყველა დოკუმენტი მომზადებული და გასაჯაროებულია ინგლისურ ენაზე.

არცერთი მწვანე ობლიგაციების ჩარჩო ან მეორე მხარის მოსაზრება არ არის ჩართული ან წარმოადგენს ამ პროსპექტის ნაწილს ან არ წარმოადგენს რეკომენდაციას ობლიგაციების ყიდვის, გაყიდვის ან ფლობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ Georgia Global Utilities-ის მიერ 250,000,000 აშშ დოლარის ღირებულების 7.750%-იანი ევრო ობლიგაციები, გამოშვებული 2020 წლის 28 ივლისს, ასევე წარმოადგენდა მწვანე ობლიგაციებს, რომლის ფარგლებშიც შესაბამისი ჩარჩოს დანერგი ლ იქნა GGU-ს დონეზე, მეორე მხარის მოსაზრება მომზადდა და გამოქვეყნდა Sustainalytics-ის მიერ და ყოველწლიურად ხორციელდებოდა შესაბამისობის მიმოხილვები.

სარეგისტრაციო დოკუმენტი

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირები

ავთანდილ ნამიჩიშვილი – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ზურაბ გორდეზიანი – GRPO-ს გენერალური დირექტორი

ნანა მშვიდლობაძე – GRPO-ს ფინანსური დირექტორი

პასუხისმგებელი პირების განცხადება

პასუხისმგებელი პირები აცხადებენ, რომ: „სარეგისტრაციო დოკუმენტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია მათთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.

ემიტენტის ფინანსური აუდიტორი

ემიტენტის ფინანსური აუდიტორია შპს „EY“ (ს/ნ: 204441158), მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, N44 კოტე აფხაზის ქ. ელ-ფოსტა: info@ge.ey.com.

წარმოდგენილი პერიოდების მანძილზე არ მომხდარა კომპანიის ფინანსური აუდიტორის ცვლილება.

საკრედიტო რეიტინგი

კომპანიას და წინამდებარე პროსპექტით გამოშვებულ ობლიგაციას არ აქვს მინიჭებული საკრედიტო რეიტინგი.

„მეორე მხარის მოსაზრების“ გამცემი გარე ექსპერტი

„Sustainalytics“, „Morningstar“-ის კომპანია, რომელიც ასევე წარმოადგენს „Climate Bonds Initiative“-ის ფარგლებში დამტკიცებულ შემოწმებელს (<https://www.climatebonds.net/certification/approved-verifiers>, 2020 წელს სიდიდით პირველი გარე შეფასების მიმწოდებელი). ვებ-გვერდი: www.sustainalytics.com; ელ-ფოსტა: contact@sustainalytics.com

ინფორმაცია მატერიალური ხელშეკრულებების შესახებ

წინამდებარე პროსპექტის შედგენის თარიღისთვის ემიტენტის ჯგუფს ან მის წინამორბედს („GGU“-ს) ემიტენტის საქმიანობის მიზნებისთვის არ აქვს გაფორმებული მატერიალური ხელშეკრულებები, რაც არ არის დაკავშირებული კომპანიის ჩვეულ ბიზნეს საქმიანობასთან ან არ არის აღწერილი პროსპექტის შესაბამის თავებში.

ძირითადი საქმიანობა

მიმოხილვა & ისტორია

სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციების“ („GRPO“, „კომპანია“, „ემიტენტი“) ბიზნესი მართავს ჰიდროელექტროსადგურებისა და ქარის ელექტროსადგურის პლატფორმას ქვეყნის მასშტაბით. კომპანია ჯამურად ფლობს 71 მგვტ დადგმული სიმძლავრის მქონე განახლებადი ენერჯის აქტივებს, რომელთა საშუალო ეფექტიანობა 40%+-ია. კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ენერგეტიკული აქტივების ოპერირება (ელექტროენერჯის წარმოებისა და ვაჭრობის ჩათვლით) საქართველოში და აღნიშნულთან დაკავშირებით საინვესტიციო, საოპერაციო თუ სხვა საქმიანობა.. კომპანიის აქტივები და მათი სიმძლავრეებია: 21 მგვტ „ქართლის ქარის ელექტროსადგური“, 30 მგვტ „მესტიაჭალა 2-ისა“ და 20 მგვტ „ჰიდროლესა“ ჰიდროელექტროსადგურები. ჰესი „მესტიაჭალა 2“ სს „საქართველოს კაპიტალის“ მიერ აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა 2019 წელს, ხოლო დანარჩენი ორი აქტივი კომპანიამ ამავე წელს შეიძინა. ყველა ელექტროსადგური (გარდა ახმეტჰესისა, რომლის „ელექტროენერჯის შესყიდვის ხელშეკრულებასაც („PPA“)“ ვადა გაუვიდა) სარგებლობს „ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორთან“ („ესკო“) ჩამოყალიბებული გრძელვადიანი ელექტროენერჯის შესყიდვის ხელშეკრულებით („PPA“), რაც იწვევს დოლართან დაკავშირებულ ფულადი სახსრების პროგნოზირებად ნაკადებს, რადგან ელექტროენერჯის შესყიდვის ხელშეკრულებები ფიქსირდება აშშ დოლარში.


2021 წლის დეკემბერში, სს „საქართველოს კაპიტალმა“, რომელიც იმ დროს ფლობდა სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზს“ („GGU“), რომელიც აერთიანებდა წყალმომარაგებისა და განახლებადი ენერჯის ბიზნესებს, წყალმომარაგების ბიზნესში თავისი წილის 80% მიყიდა „FCC აქუალიას“ („აქუალია“) 180 მილიონი აშშ დოლარის სანაცვლოდ, ხოლო თვითონ შეინარჩუნა 100% წილი განახლებადი ენერჯის ბიზნესში. აღნიშნული ტრანზაქციით, წყალმომარაგების ბიზნესი შეფასდა 225 მილიონ აშშ დოლარად. გარდა ამისა, გამყიდველსა და მყიდველს მიენიჭათ გაყიდვის (Put) და გამოსყიდვის (Call) ოფციები, შესაბამისად, სს „საქართველოს კაპიტალის“ დარჩენილ 20%-იან წილზე წყალმომარაგების ბიზნესში.

ტრანზაქციის პირველი ეტაპი, რომელიც ითვალისწინებდა სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზის“ 65%-იანი წილის გაყიდვას (რაც წარმოადგენს 80%-იან ეკონომიკურ წილს წყალმომარაგების ბიზნესში), წარმატებით დასრულდა 2022 წლის 3 თებერვალს. შედეგად სს „საქართველოს კაპიტალმა“ მიიღო გაყიდვით შემოსავალი, ხოლო „აქუალიას“ გადაეცა კომპანიის აქციები.


გარიგების მეორე ეტაპი - განახლებადი ენერჯის ბიზნესის გამოყოფა - განხორციელდა 2022 წლის სექტემბერში და ტრანზაქციის ამ ეტაპის დასრულების შემდეგ, სს „საქართველოს კაპიტალი“ ირიბად ((სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ჰოლდინგის“ საშუალებით) გახდა ემიტენტის 100%-ის მფლობელი.

იურიდიული სტრუქტურა 2022 წლის ივლისამდე, სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებამდე და ობლიგაციების გამოშვების თარიღისთვის/მის შემდეგ მოცემულია ქვემოთ:

იურიდიული სტრუქტურა 2022 წლის ივლისამდე, სტრუქტურულ ცვლილებებამდე*



იურიდიული სტრუქტურა ობლიგაციების გამოშვების თარიღისა და მათი გამოშვების შემდეგ



* ემიტენტი, სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციები“ (ს/ნ: 404642892) იურიდიულად დაფუძნდა 2022 წლის 28 ივნისს;

დამატებითი ინფორმაცია წყალმომარაგების ბიზნესის გაყიდვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ სს „საქართველოს კაპიტალის“ 2022 წლის 6 იანვრით დათარიღებულ შეტყობინებაში (ცირკულარში):

https://georgiacapital.ge/sites/default/files/inline-files/Circular_0.pdf

დამატებითი ინფორმაცია ემიტენტის იურიდიულ სტრუქტურაში არსებული კომპანიებისთვის ობლიგაციების გამოშვების თარიღისთვის*:

- Georgia Capital PLC - ს/ნ: 10852406
- სს „საქართველოს კაპიტალი“ – ს/ნ: 404549690
- სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ჰოლდინგი“ – ს/ნ: 404647325
 - სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის კომპანია“ – ს/ნ: 404500857
 - ემიტენტი: სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციები“ – ს/ნ: 404642892

ემიტენტის შვილობილები:

- სს „სვანეთი ჰიდრო“ – ს/ნ: 405021275
- შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“ – ს/ნ: 404957338
- შპს „ჰიდროლუა“ – ს/ნ: 406073029
- შპს „გეოენერჯი“ – ს/ნ: 406062353
- შპს „ჰიდრო ჯორჯია“ – ს/ნ: 404943941
- შპს „კასლეთი 2“ – ს/ნ: 406107118
- შპს „ჯიარპისი თრედი“ – ს/ნ: 404637835

თითოეული ზემოაღნიშნული კომპანია, გარდა Georgia Capital PLC-ისა (დეტალებისთვის იხილეთ პროსპექტის ქვეთავი “პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა, ინფორმაცია ემიტენტის შესახებ, ემიტენტის აქციონერები“ და „სარეგისტრაციო დოკუმენტი, მმართველი ორგანო და მენეჯმენტი, აქციონერთა საერთო კრება“),

რეგისტრირებულია საქართველოში და წარმოადგენს სს „საქართველოს კაპიტალის“ 100%-იან შვილობილს. სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ჰოლდინგი“ გახდება სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის კომპანიის“ და ემიტენტის 100%-იანი აქციონერის. სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის კომპანია“ („GRPC“) 2015 წელს არის დაფუძნებული და ახორციელებს ჯგუფის განახლებადი ენერჯის პროექტების განვითარებას (ე.წ. pipeline პროექტების დეველოპმენტს), მაშინ როდესაც ემიტენტისა და მისი შვილობილების საქმიანობის სფეროს წარმოადგენს დასრულებული ენერგეტიკული აქტივების ოპერირება (ელექტროენერჯის წარმოებისა და ვაჭრობის ჩათვლით) საქართველოში და აღნიშნულთან დაკავშირებით საინვესტიციო, საოპერაციო თუ სხვა საქმიანობა (დეტალებისთვის იხილეთ პროსპექტის ქვეთავი „სარეგისტრაციო დოკუმენტი, სტრატეგია და ამოცანები“).

შპს „აკვალა საქართველო“ (ს/ნ: 404630645) ობლიგაციების გამოშვების თარიღისა და მათი გამოშვების შემდეგ, არ მონაწილეობს ემიტენტის იურიდიული სტრუქტურაში;

საოპერაციო საქმიანობა

კომპანიის განახლებადი ენერჯის აქტივების არსებული პორტფელი მოიცავს ოთხ ჰიდროელექტროსადგურს და ერთ ქარის ელექტროსადგურს (ჯერჯერობით საქართველოში ერთადერთი ექსპლუატაციაში შესული ქარის ელექტროსადგური). ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სადგურების შესახებ დეტალური ინფორმაცია:

| ელექტროსადგური | ადგილმდებარეობა | სიმძლავრე, მგვტ | გაშვების წელი | ეფექტურობის მაჩვენებელი, % | PPA ფასი, აშშ ცენტ/კვტსთ | PPA დაფარვა | PPA ვადის გასვლის თარიღი |
|----------------|-----------------|-----------------|---------------|----------------------------|--------------------------|-------------|--------------------------|
| მესტიაჭალა 2 | სვანეთი | 30.0 | 2019 | 40% | 5.50 | 8თვე/15წ | აპრ 2034 |
| ახმეტა | კახეთი | 9.1 | 2014 | 73% | 5.54 | n/a | თებ 2022 |
| დებედა | ქვემო ქართლი | 3.2 | 2015 | 71% | 5.54 | 8თვე/10წ | დეკ 2023 |
| კასლეთი 2 | სვანეთი | 8.1 | 2018 | 69% | 5.66 | 8თვე/10წ | სექ 2028 |
| ქართლი | შიდა ქართლი | 20.7 | 2016 | 47% | 6.50 | 12თვე/13წ | იან 2030 |

თითოეული ელექტროსადგურის გამომუშავება არის წარმოდგენილი ქვემოთ ცხრილში (მესამე მხარის რეპორტებზე დაყრდნობით):

| ელექტროსადგური | 2021 გამომუშავება (გგვტ/სთ) | საშუალო წლიური გამომუშავება, gross (გგვტ/სთ) | | |
|----------------|-----------------------------|--|-------|-------|
| | | P50 | P75 | P90 |
| მესტიაჭალა 2 | 103.6 | 105.8 | 102.8 | 101.5 |
| ქართლი | 83.4 | 84.9 | 79.8 | 75.3 |
| ახმეტა | 41.7 | 58.5 | 52.6 | 47.7 |
| კასლეთი 2 | 30.9 | 48.8 | 43.0 | 37.1 |
| დებედა | 8.7 | 19.9 | 17.7 | 15.5 |

„მესტიაჭალა 2“ ჰიდროელექტროსადგურისა და „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ დადგმული სიმძლავრეების გათვალისწინებით, სს „სვანეთი ჰიდროს“ და შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურს“ კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისგან მოპოვებული აქვთ ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზია (2019 წლის 27 მარტს და 2016 წლის 04 აგვისტოს, შესაბამისად).

მესტიაჭალა 2 ჰიდროელექტროსადგური. მესტიაჭალა 2-ის ჰესი არის მდინარის მოდინებაზე მომუშავე სადგური 30 მგვტ დადგმული სიმძლავრით, რომელიც მდებარეობს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. მისი მშენებლობა დაიწყო 2017 წლის მაისში და დასრულდა 2019 წლის აპრილში. მშენებლობის ფაქტობრივი ღირებულება ერთ მეგავატზე იყო დაახლოებით 1.2 მილიონი აშშ დოლარი. პროექტის მთლიანი ღირებულების დაახლოებით 70% დაფინანსდა გრძელვადიანი სესხის საშუალებით. ელექტროენერჯის გამომუშავების დაწყებიდან პირველი 15 წლის განმავლობაში, მესტიაჭალა 2 გაყიდის ელექტროენერჯიას საბაზრო ფასში მაისიდან აგვისტოს ჩათვლით, ხოლო სექტემბრიდან აპრილის ჩათვლით PPA-ის შესაბამისად ესკო-სთან ფიქსირებულ ფასში 0.055 აშშ დოლარი კვტ/სთ-ზე.

2019 წლამდე მესტიაჭალა შედგებოდა ორი ელექტროსადგურისგან, რომელთა საერთო სიმძლავრე იყო 50 მგვტ, თუმცა 2019 წლის ივლისში მესტიაჭალას ჰესები კლდის ზვავის შედეგად დაიტბორა და დაზიანდა, თუმცა რეაბილიტაციის პროცესის შემდეგ, 30 მეგავატის სიმძლავრის გენერატორი 2019 წლის დეკემბერში ხელახლა შევიდა ექსპლუატაციაში და ამჟამად ის ფუნქციონირებს თავდაპირველად დაგეგმილი სიმძლავრით. 2021 წელს, უვადოდ შეჩერდა მესტიაჭალა ჰესი 1-ის 20 მგვტ სიმძლავრის ელექტროსადგურის აღდგენის პროცესი და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადაწყდა მესტიაჭალა 1 ჰესის აქტივების გაუფასურება, რამაც გამოიწვია 36.6 მილიონი ლარის გაუფასურების ხარჯი.

2022 წლის ივნისში განხორციელდა მესტიაჭალა 1 ჰესის აქტივების და შესაბამისი უფლებების პირობითი გასხვისება.

ახმეტას ჰიდროელექტროსადგური. ახმეტაჰესი სს „საქართველოს კაპიტალმა“ შეიძინა 2019 წლის ოქტომბერში, შპს „ჰიდროლუას“ შესყიდვის ფარგლებში და შემდგომ გადასცა სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზს“ 2020 წლის ივლისში. ახმეტაჰესი აგებულია კახეთის რეგიონში მდებარე სარწყავ ინფრასტრუქტურაზე, ჰესი ექსპლუატაციაში შევიდა 2014 წელს. ახმეტაჰესის დადგმული სიმძლავრე 9,1 მეგავატია და 2022 წლის მარტიდან ელექტროენერჯიას საბაზრო ფასებში ყიდის.

დებედას ჰიდროელექტროსადგური. დებედაჰესი სს „საქართველოს კაპიტალმა“ შეიძინა 2019 წლის ოქტომბერში, შპს „ჰიდროლუას“ შესყიდვის ფარგლებში და შემდგომ გადასცა სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზს“ 2020 წლის ივლისში. ეს არის ქვემო ქართლის რეგიონში მდებარე სარწყავ ინფრასტრუქტურაზე აგებული ჰესი. ჰესი ექსპლუატაციაში შევიდა 2015 წელს. დებედაჰესი არის 3.2 მეგავატის დადგმული სიმძლავრის და 2023 წლამდე გაყიდის ელექტროენერჯიას საბაზრო ფასში მაისიდან აგვისტომდე პერიოდში, ხოლო სექტემბრიდან აპრილის ჩათვლით ესკო-სთან დადებული PPA-ს შესაბამისად ფიქსირებულ ფასში - 0.055 აშშ დოლარი კვტ/სთ-ზე.

კასლეთი 2 ჰიდროელექტროსადგური. კასლეთი 2 ჰესი სს „საქართველოს კაპიტალმა“ შეიძინა 2019 წლის ოქტომბერში, როგორც შპს „ჰიდროლუას“ შესყიდვის ნაწილი და შემდგომში გადაეცა სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზს“ 2020 წლის ივლისში. კასლეთი 2-ის ჰესი არის მდინარის მოდინებაზე მომუშავე სადგური, რომელიც მდებარეობს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. ექსპლუატაციაში შევიდა 2018 წელს და მისი დადგმული სიმძლავრე 8,1 მეგავატია. 2028 წლამდე, კასლეთი 2-ის ჰესი გაყიდის ელექტროენერჯიას საბაზრო ფასში მაისიდან აგვისტომდე პერიოდში, ხოლო სექტემბრიდან აპრილის ჩათვლით ესკო-სთან დადებული PPA-ის შესაბამისად ფიქსირებული ფასში 0.056 აშშ დოლარი კვტ/სთ-ზე.

ქართლის ქარის ელექტროსადგური. 2019 წლის ნოემბერში სს „საქართველოს კაპიტალმა“ გაიმარჯვა საჯარო აუქციონში, რომელიც გაიმართა „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდისა“ და „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ. აუქციონის ფარგლებში მან 14,4 მლნ აშშ დოლარად შეეძინა 100%-იანი წილი 20.7 მგვტ სიმძლავრის ექსტურბინიან ქართლის ქარის ელექტროსადგურზე. ქარის ელექტროსადგური შემდგომში გადაეცა სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზს“ 2020 წლის ივლისში. ქართლის ქარის ელექტროსადგური ერთადერთი მოქმედი ქარის ელექტროსადგურია საქართველოში და აწარმოებს ელექტროენერჯიას 2016 წლის ბოლოდან. PPA-ით დადგენილი ფასი ქართლის ქარის ელექტროსადგურსა და ესკო-ს შორის არის 0.065 აშშ დოლარი კვტ/სთ-ზე. ქარის ელექტროსადგურის PPA კონტრაქტი ძალაშია 2030 წლამდე და ესკო-სთან მისი PPA-ის შესაბამისად, რვა თვის განმავლობაში, სექტემბრიდან აპრილის ჩათვლით ქართლის ქარის ელექტროსადგური ვალდებულია მიჰყიდოს ელექტროენერჯია ესკო-ს, ხოლო დანარჩენ თვეებში შეუძლია თავად აირჩიოს გამყიდველი და მასზე გაყიდოს მის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია. მიუხედავად ამისა, ექსპლუატაციის პირველი 13 წლის განმავლობაში ქართლის ქარის

ელექტროსადგურის მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერგია უნდა გაიყიდოს ექსკლუზიურად საქართველოს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

ემიტენტმა, 2021 წლის გენერაციის დაახლოებით 61%-ის რეალიზაცია განახორციელა სახელმწიფოზე, PPA ხელშეკრულებების ფარგლებში და პირობებით. განახლებადი ენერჯის ბიზნესის გამოყოფამდე და ადგილობრივი ობლიგაციების ემისიამდე გარდამავალ პერიოდში, ემიტენტი ელექტროენერჯის ვაჭრობას ახორციელებდა და განახორციელებს შპს „საქართველოს ენერჯით ვაჭრობის კომპანიის“ მეშვეობით, რომელიც იყო და არის სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“-ის შვილობილი კომპანია, ხოლო ემისიის შემდეგ, აღნიშნულ როლს შეითავსებს შპს „ჯიარპისი ტრედი“ (“GRPC Trade“), რომელიც დაარსდა 2022 წელს ემიტენტის მიერ. გარიგებების და ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე, უშუალოდ ემიტენტის მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაციის იდენტიფიცირება ძირითადი მომხმარებლების მიხედვით ამ ეტაპისთვის არ არის შესაძლებელი, თუმცა, შეზღუდული მომხმარებლების რაოდენობიდან გამომდინარე, მოსალოდნელია მაღალი კონცენტრაცია.

დაზღვევა

GRPO-ს შვილობილი კომპანიები ინარჩუნებენ საკმაოდ ყოვლისმომცველ სადაზღვევო დაფარვას თავიანთი ბიზნესის, ქონების, ვალდებულებებისა და თანამშრომლების ჯანმრთელობის/უსაფრთხოების მიმართ. დაფარვა შენარჩუნებულია ისეთ მოცულობაზე და პირობებით, რაც შეესაბამება ადგილობრივ საუკეთესო პრაქტიკას და ინდუსტრიის სტანდარტებს. GRPO-ს სადაზღვევო დაფარვა მოიცავს, მაგრამ არ შემოფარგლება, ქონების სრული, ბიზნესის უწყვეტობის, მანქანა-დანადგარების დაზიანება/ავარიის და მოგების დაკარგვის, პოლიტიკური ძალადობის (ტერორიზმის ჩათვლით), ყოვლისმომცველი მესამე მხარისა და დამსაქმებლის პასუხისმგებლობის დაზღვევებს. დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ „სარეგისტრაციო დოკუმენტის“ ქვეთავი „ძირითადი საქმიანობა“.

ძლიერი მხარეები

ელექტროენერჯის ბაზრის პოზიტიური დინამიკა

GRPO სარგებლობს ელექტროენერჯის ბაზრის პოზიტიური დინამიკით, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია ელექტროენერჯის მზარდი მოთხოვნისა და გამომდინარე მიწოდების დეფიციტით და განახლებადი ელექტროსადგურების განვითარების ნელი ტემპით საქართველოში. ელექტროენერჯიაზე გაზრდილი მოთხოვნა იმპორტმა დააკმაყოფილა, რის შედეგადაც საქართველო თანდათან გახდა ელექტროენერჯის წმინდა იმპორტიორი.

მენეჯმენტი მოელის ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის ზრდის გაგრძელებას, ნაწილობრივ მშპ-ს ზრდის მოლოდინიდან გამომდინარე. ეს უკანასკნელი, მჭიდრო კავშირშია ელექტროენერჯის მოთხოვნასთან, საყოფაცხოვრებო ტექნიკის გაზრდილ მოთხოვნასთან და ასევე, სწრაფად მზარდ ტურისტულ სექტორთან. საყოფაცხოვრებო ტექნიკის გაჯერებულობის დონე საქართველოში დაბალია მის მსგავს ქვეყნებთან შედარებით და მოსალოდნელია, რომ გაიზრდება მშპ-ს ზრდის, ტექნიკის ფასების კლების და შინამეურნეობების საშუალო ზომის შემცირების შედეგად, რაც მოსალოდნელია, რომ გამოიწვევს ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის ზრდას.

იმპორტზე დამოკიდებული ელექტროენერჯის წილის გაზრდა ადგილობრივ მიწოდებაში დამატებით ზეწოლას ქმნის ელექტროენერჯის ფასებზე. ზოგადად, იმპორტზე დამოკიდებული ელექტროენერჯია (პირდაპირი იმპორტი, თბოსადგურების გამოიმუშავება) უფრო ძვირია, ვიდრე ადგილობრივი წარმოება. მიწოდება/მოთხოვნის ბალანსის შემდგომი გაუარესება დიდი ალბათობით გამოიწვევს გაძვირებული

ელექტროენერჯის დამატების საჭიროებას, რაც სავარაუდოდ უმეტეს თვეებში ზეგავლენას მოახდენს და განსაზღვრავს საბაზრო ფასს.

დაბალანსებული სავალუტო პოზიცია

GRPO-ს აქვს დაბალანსებული სავალუტო პოზიცია, რადგანაც PPA ხელშეკრულებებით ფასი განსაზღვრულია აშშ დოლარში და არ ექვემდებარება ცვლილებას საკონტრაქტო პერიოდზე. გარდა ამისა, ელექტროენერჯის საბაზრო ფასწარმოქმნა საქართველოშიც ხდება აშშ დოლარში, იქიდან გამომდინარე, რომ ფასების მამოძრავებელი ძირითადი ფაქტორები, როგორებიცაა იმპორტირებული ელექტროენერჯის ფასი და თბოელექტროსადგურების ზღვრული დანახარჯები ასევე დგინდება აშშ დოლარში. ეს ეფექტურად უზრუნველყოფს GRPO-ს ჰეჯირებას ლარის გაუფასურებისგან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აშშ დოლარი/ლარის კურსის ბოლო პერიოდების რყევების გათვალისწინებით. 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, შემოსავლების თითქმის 100% დენომინირებული იყო აშშ დოლარში.

სტაბილური და პროგნოზირებადი ფულადი ნაკადები, გამოწვეული PPA ხელშეკრულებების მოცულობითი დაფარვითა და დაბალი სარემონტო კაპიტალური დანახარჯებით

GRPO-ს აქვს სტაბილური და პროგნოზირებადი ფულადი ნაკადები, რაც დიდწილად გამოწვეულია მისი შემოსავლების მაღალი ხილვადობით (PPA ხელშეკრულებებიდან გამომდინარე), დაბალი სარემონტო კაპიტალური დანახარჯების თუ ტექნიკური დანაკარგებით. ყველა ჰესი, გარდა ახმეტაჰესისა, მათ მიერ გამომუშავებულ ელექტროენერჯის რეალიზაციას ახდენს PPA ხელშეკრულებებით, რომლის მიმდებარე ESCO წარმოადგენს. ქართლის ქარის ელექტროსადგურის გარდა (რომელზეც PPA ხელშეკრულება მოქმედებს მთელი წლის განმავლობაში), ეს PPA ხელშეკრულება მოქმედებს სექტემბრიდან აპრილის ჩათვლით პერიოდში, ხოლო მასიდან აგვისტომდე პერიოდში ამ სადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია საბაზრო ფასებში იყიდება. GRPO-ს PPA ხელშეკრულებები შეიცავს ფიქსირებულ ფასებს, რაც უზრუნველყოფს მისი შემოსავლის მნიშვნელოვანი წილის პროგნოზირებას. საპროგნოზო გენერაციის დაახლოებით 50% PPA ხელშეკრულებებით იფარება, შედეგად GRPO-ს გამომუშავების 85%-მდე სარგებლობს PPA მექანიზმით ან ვარდება დეფიციტის თვეებში (ივლისისა და აგვისტოს ჩათვლით).

სადგურების საშუალო ასაკის გათვალისწინებით (6 წელი), GGU-ს ელექტროსადგურების სარემონტო კაპიტალური დანახარჯების მოთხოვნები შედარებით დაბალია. ეს ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ ტექნიკური სამუშაოების უმეტესობა, მათ შორის ქართლის ქარის ელექტროსადგურის სრული ექსპლუატაციის და ტექნიკური დაფარვის ჩათვლით, და ჰესების ყველა შესაბამისი ტექნიკური სამუშაოები, უკვე შედის საოპერაციო ხარჯებში. გარდა ამისა, ჰესები, ექსპლუატაციის პირველი 30 წლის განმავლობაში, არსებითად არ საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს.

ხელსაყრელი მარეგულირებელი რეჟიმი, ელექტროენერჯის ბაზრის დერეგულირების შედეგად მოსალოდნელი დამატებითი შესაძლებლობებით

საქართველოს ელექტროენერჯის ბაზარი დერეგულირების პროცესშია ორივე, მოხმარებისა და გენერაციის მხრივ. დერეგულაციის პირველი დიდი ტალღა განხორციელდა 2018 წლის მაისში, როდესაც ელექტროენერჯის მსხვილი მომხმარებლები რეგულირებული ფასწარმოქმნის მექანიზმიდან საბაზრო ფასწარმოქმნაზე გადაერთვნენ. 2018 წლის შემდეგ, დერეგულირება შეეხო ყოველ ისეთ მომხმარებელს, რომელთა ყოველთვიური მოხმარებაც 0.4 გვტ.სთ-ს აღემატებოდა და გააჩნდა პირდაპირი წვდომა 35-110 კილოვატის მქონე გადაცემის ხაზზე. აღნიშნულმა ცვლილებებმა გამოიწვია დერეგულირებული ელექტროენერჯის ბაზრის მოცულობის გასამმაგება საქართველოში. უკვე დაგეგმილია დერეგულაციის შემდგომი ტალღებიც, რომლებიც გულისხმობს ყოველთვიურ მოხმარებისა და ქსელთან მიერთების ხაზის ძაბვის უფრო მკაცრი კრიტერიუმების შემოღებას. სამომავლოდ, 2026 წლიდან დაგეგმილია ყველა ტიპის მომხმარებლის დერეგულირება გარდა საცალო და მცირე კომერციული მომხმარებლებისა.

მიწოდების მხარეს რაც შეეხება, ყველა ჰიდრო ელექტროსადგური, რომელიც გაშვებულია 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, სრულად დერეგულირებულია და თანდათანობით მიმდინარეობს ძველი ელექტროსადგურების დერეგულირება. 2017 წლის ივნისში, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები შევიდა, რომლის ფარგლებშიც 40 მგვტ-ზე ნაკლები დადგმული სიმძლავრის ყველა ჰესი დერეგულირდა, რაც შემდგომში 65 მგვტ.-მდე გაიზარდა და პროცესის მიმდინარეობის პარალელურად, თანდათანობით განხორციელდება ელექტროსადგურების დიდი ნაწილის დერეგულირება.

მენეჯმენტი თვლის, რომ ენერგეტიკული ბაზრის დერეგულირება დადებითად იმოქმედებს ელექტროენერჯის გაყიდვის ფასებზე, ბაზრის ლიკვიდობის გაზრდისა და საბაზრო ფასებზე პირდაპირი ზეგავლენის ხარჯზე, რაც თავის მხრივ განპირობებული იქნება მოგებაზე ორიენტირებული ბაზრის მოთამაშეთა რაოდენობის ზრდით.

ლონდონის საფონდო ბირჟაზე დალისტული აქციონერი, უნიკალური გამოცდილებითა და კაპიტალზე/ინვესტორთა ბაზაზე ფართო წვდომით

ემიტენტის 100%-იანი საბოლოო მფლობელი, GCAP არის წამყვანი საინვესტიციო კაპიტალის მართვის კომპანია საქართველოში, რომელიც სავაჭროდ დაშვებულია ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ სეგმენტზე (Bloomberg-ის შესაბამისად, 2022 წლის 18 აგვისტოს მდგომარეობით GCAP-ის აქციების 92.5% არის თავისუფალ მიმოქცევაში), გააჩნია ძლიერი კორპორატიული მმართველობა, უპრეცედენტო გამოცდილება და ფართო წვდომა კაპიტალზე/ინვესტორთა ბაზაზე. GCAP წარმოდგენილია უმაღლესი დონის კომპანიებსა და საქართველოს ყველაზე მიმზიდველ სექტორებში.

მრავალწლიანი გამოცდილების მქონე სამეთვალყურეო საბჭო და მენეჯმენტი, საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე წვდომით

GRPO-ს მმართველი ორგანო ფლობს მრავალწლიან გამოცდილებას ბიზნესის სამომავლო განვითარების წარმატებით განხორციელებისთვის. ამისა გარდა, კომპანიის მმართველ ორგანოს საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე წვდომის უნიკალური გამოცდილება და ცოდნა გააჩნია, რამდენადაც მათ წარმატებით განხორციელეს საქართველოდან 250 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების სადებიუტო საერთაშორისო მწვანე ობლიგაციების გამოშვება ირლანდიის საფონდო ბირჟაზე.

ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარება

კაპიტალის ბაზრის საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი მთავარი განცხადებული პრიორიტეტია. 2016 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გამოაქვეყნა და მიიღო კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში განხორციელდა პირველადი რეფორმები და გადაიდგა არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ამ ეტაპზე, ახალი სტრატეგიული პრიორიტეტების შესამუშავებლად, აქტიური მსჯელობები მიმდინარეობს დაინტერესებულ მხარეებს შორის. გარდა ამისა, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის ერთ-ერთი წინაპირობა კაპიტალის ბაზრის განვითარება და შესაბამისი მარეგულირებელი და საკანონმდებლო ბაზაა. ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობამ უკვე განიცადა არსებითი დაახლოება ევროკავშირის შესაბამის ჩარჩოებთან.

ამის გარდა, არაერთი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი ხელს უწყობს კაპიტალის ბაზრის განვითარებაში პროგრესს სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის ხაზგასასმელია „კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის“ (CMS) პროგრამა, რომელშიც ემიტენტი პროსპექტის მომზადების თარიღისთვის რეგისტრირებულია ერთ-ერთ მონაწილედ. აღნიშნული პროგრამა დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება EBRD-ის კაპიტალისა და ფინანსური ბაზრის განვითარების გუნდების მიერ:

- პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარებას, საგანმანათლებლო აქტივობებისა და ადგილობრივი ემიტენტების თანადაფინანსების სქემის მეშვეობით;
- პროგრამის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ESG-ისთან დაკავშირებული ფასიანი ქაღალდების პოპულარიზაცია ადგილობრივ ბაზარზე პირველადი ემიტენტების მიერ.


აღსანიშნავია, რომ ემიტენტის ყოფილი 100%-იანი აქციონერის, GGU-ს მიერ 2020 წლის ივლისში განხორციელდა წყალმომარაგებისა და განახლებადი ენერჯის საოპერაციო/გაშვებულ აქტივებთან ერთად წარმატებით განხორციელა სადებიუტო US\$ 250 მილიონის მწვანე ევრო-ობლიგაციების ემისია ირლანდიის საფონდო ბირჟაზე, იმ პერიოდისთვის ხელსაყრელი ფასწარმოქმნით. აღნიშნული ობლიგაციები წარმოადგენდა პირველ მწვანე ობლიგაციებს საქართველოდან და COVID-19-ის მიუხედავად, მოთხოვნამ 1.5-ჯერ გადააჭარბა ემისიის მოცულობას. ემისიას დიდი ინტერესი მოჰყვა როგორც ინსტიტუციური ინვესტორების, ისე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან. აღნიშნული ევრო-ობლიგაციებისთვის ემიტენტმა მოიპოვა მეორე მხარის მოსაზრება Sustainalytics-ისგან, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი კვლევისა და ანალიზის წამყვანი მიმწოდებლისგან, მისი მწვანე ობლიგაციის ჩარჩოსთვის.

აღნიშნული ევრო-ობლიგაციების გამოშვებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა GGU-ს ფინანსური მოქნილობა და გააძლიერა მისი ლიკვიდურობის პროფილი ამორტიზირებადი გრაფიკისგან ე.წ. ბუღეტ დაფარვის სტრუქტურაზე გადასვლის გზით, რამაც ხელი შეუწყო ბიზნესის ჯანსაღ ზრდას და დივიდენდების განაწილების შესაძლებლობას.

GGU-ს ევრო-ობლიგაციების ემისიის მიმოხილვა:

| | |
|--|---|
| ობლიგაციები: | \$250 მლნ, 5NC2, 7.75% მწვანე ობლიგაციები |
| მიღებული სახსრების გამოყენება: | წყალმომარაგების კაპიტალური დანახარჯები და არსებული დავალიანების რეფინანსირება |
| ლისტინგი: | ირლანდიის საფონდო ბირჟა |
| რეიტინგი: | B+ (სტაბილური) Fitch / B (დადებითი) S&P |
| ერთადერთი Book-runner, მწვანე სტრუქტურის აგენტი, განვითარებაზე ორიენტირებული დაფინანსების აგენტი: | J.P. Morgan |
| თანა-მენეჯერი: | TBC Capital |
| მოთხოვნა: | 1.5-ჯერ გადააჭარბა ემისიის მოცულობას |
| სტრატეგიული (Anchor) ინვესტორები: | FMO, DEG, ADB & TBC ბანკი |

GGU-ს ევრო-ობლიგაციების განაწილება ინვესტორთა ადგილმდებარეობის მიხედვით:



ემიტენტის გადაწყვეტილება, მოეზიდა ახალი დაფინანსება \$80 მილიონის ოდენობით ადგილობრივი კორპორატიული ობლიგაციების მეშვეობით ნაწილობრივ განპირობებულია მისი სურვილით, წვლილი

შეიტანოს ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარებაში. პროსპექტის მომზადების თარიღისთვის, GRPO-ს ობლიგაციები მოიაზრება, როგორც საქართველოს კაპიტალის ბაზარზე პირველი მწვანე უზრუნველყოფილი ობლიგაციების ემისია და უმსხვილესი კორპორატიული ტრანზაქცია საქართველოს კაპიტალის ბაზარზე.

ემიტენტის შეფასებით, აღნიშნული გარიგება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარებაში.

ძირითადი ბაზრები

ელექტროენერჯის ბაზრის მოკლე შეჯამება

ძირითადი მაჩვენებლები 2021 წლის მდგომარეობით:

- ელექტროენერჯის მოხმარება: 14.7 TWh
- მოხმარების საშუალო 10 წლიანი ზრდა: 5.3%
- მთლიანი დადგმული სიმძლავრე: 4.5 GW
- მთლიანი განახლებადი სიმძლავრე: 3.3 GW
- მთლიანი განახლებადი თაობა: 10.7 GWh
- მთლიანი დეფიციტი, რომელიც ივსება იმპორტით და თბოწარმოებით: 4.0 TWh

ძირითადი ტენდენციები:

- ელექტროენერჯის იმპორტის საჭიროება გაორმაგდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში;
- ელექტროენერჯის მოხმარების ზრდა 2.4-ჯერ აღემატება წარმოების ზრდას, რაც ზრდის ელექტროენერჯის იმპორტისა და თბოწარმოების საჭიროებას (იმპორტირებულ გაზზე მუშაობა) (იხ. გრაფიკი 8);
- მოსალოდნელია, ელექტროენერჯის მოხმარება გააგრძელებს შემდგომ ზრდას გაზრდილი მოხმარების შესაბამისად. 2030 წლისთვის დეფიციტმა შეიძლება 10 ტვტ/სთ-ს მიაღწიოს, თუ განახლებადი გენერაცია არ ამოქმედდება. გასათვალისწინებელია, რომ : საშუალო მოხმარების ზრდის ტემპმა ბოლო 10 წლის მანძილზე 5.3% შეადგინა 4.9% საშუალო ეკონომიკური ზრდის ტემპთან მიმართებით (იხ. გრაფიკი 12);

ელექტროენერჯის ბაზრის განვითარება:

- ელექტროენერჯის ბაზრის რეფორმა 2019 წელს დაიწყო ენერჯეტიკის შესახებ ახალი კანონის მიღებით და დიდი ტრანსფორმაცია მოხდება ორგანიზებული ბაზრების ამოქმედების შემდეგ 2023 წლიდან².
- ბაზრის განვითარების დიაგრამა წარმოდგენილია ქვემოთ:

² არსებული და ახალი ბაზრის სტრუქტურები დეტალურად აღწერილია ქვემოთ;

დიაგრამა 1: ბაზრის განვითარების ფაზები წლების მიხედვით:



წყარო: გალტ & თაგარტი, ემიტენტის ინფორმაცია

ბაზრის სტრუქტურა და ფასების დადგენის პრინციპები:

არსებული ბაზრის მიხედვით, ESCO-ს საბალანსო ფასი, ელექტროენერჯის არსებული საორიენტაციო ფასი საქართველოში, არის იმპორტისა და არსებული PPA კონტრაქტების საშუალო შეწონილი ფასი.

- ESCO-ს საბალანსო ფასი გამოითვლება ყოველთვიურად, როგორც „სავალდებულო შესყიდვის მთლიანი ღირებულება (PPA+იმპორტი) აშშ დოლარი“ შეფარდებული „გაყიდული ელექტროენერჯის მთლიან მოცულობაზე (კვტ/სთ)“ და მის განმაპირობებელ ძირითად ფაქტორებს წარმოადგენს:
 - საბაზისო დატვირთვის იმპორტის ფასი
 - PPA ტარიფები და მოცულობა
 - რეგულირებადი ჰესებისა და იაფი ელექტროენერჯის შერევა
- ESCO-ს ისტორიული ფასები წარმოდგენილია ქვემოთ:

| ისტორიული ფასები | იან | თებ | მარ | აპრ | მაი | ივნ | ივლ | აგვ | სექ | ოქტ | ნოვ | დეკ |
|------------------|------|------|------|------|------|------|------|-----|-----|-----|-----|-----|
| ESCO 2021 | 4.7 | 4.7 | 4.9 | 4.9 | 3.9 | 4.4 | 3.6 | 5.1 | 5.4 | 5.5 | 5.5 | 5.4 |
| ESCO 2022 | 6.0 | 6.2 | 5.9 | 5.5 | 4.7 | 4.9 | 4.2 | 5.2 | | | | |
| 22' vs 21' | +27% | +33% | +21% | +12% | +20% | +12% | +17% | +2% | | | | |

რეფორმირებული ბაზრის პირობებში, მოსალოდნელი საბაზრო ფასები ჭარბი და დეფიციტის თვეების პირობებში (ახალი ბაზრის პირობებში გასატარებელი რეფორმებისა და მისაღები შესაბამისი რეგულაციების გათვალისწინებით):

- **5.0-10.0 US ც./კვტ სთ დეფიციტის თვეებში:** დეფიციტის თვეებში ელექტროენერჯის საბაზრო ფასი განისაზღვრება თბოსადგურების ზღვრული ღირებულებით და ელექტროენერჯის იმპორტის ფასით (რომელიც 2022 წლის იანვარ-თებერვალში 7.5 აშშ დოლარს/კვტ/სთ-ს გადააჭარბა);
- **5.0 US ც./კვტ სთ-მდე ჭარბი თვის განმავლობაში:** ელექტროენერჯის ფასებმა შეიძლება მიაღწიოს 5.0 აშშ დოლარს/კვტ/სთ-მდე ჭარბი თვის განმავლობაში, განსაკუთრებით მიმზიდველი საექსპორტო ტარიფების გათვალისწინებით.

ელექტროენერჯის ბაზრის ამჟამინდელი სტრუქტურა და ძირითადი მონაწილეები

ელექტროენერჯის ბაზარი მოიცავს ორ სეგმენტს: საბითუმო და საცალო.


ელექტროენერჯეტიკული ბაზარი იყოფა ორ ნაწილად - საცალო ბაზარი და საბითუმო ბაზარი. საცალო ბაზარზე მომხმარებლები არიან: საყოფაცხოვრებო სექტორი, მცირე და საშუალო საწარმოები და გარკვეული სახელმწიფო ორგანიზაციები. საცალო მომხმარებლის ელექტროენერჯის ტარიფს არეგულირებს და ადგენს სემეკი. საცალო ბაზარზე ელექტროენერჯის მიმწოდებლები არიან შპს „თელმიკო“ და სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“. ელექტროენერჯის ისინი საბითუმო ბაზარზე ყიდულობენ და საცალო მომხმარებლებს აწვდიან. ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარზე ელექტროენერჯის ფასს არ არეგულირებს „სემეკი“, გარდა „თელმიკოს“ და სს „ეპ ჯორჯიას“ არეალში არსებული მოწყვლადი მომხმარებლებისთვის (საყოფაცხოვრებო

სექტორი და მცირე ბიზნესი), რისთვისაც ბაზრის ფასსა და “სემეკის“ დაგენილ ფასს შორის არსებულ სხვაობაზე ფორმდება ფასებს შორის სხვაობის ხელშეკრულება. საცალო ბაზარზე ანგარიშსწორება ხდება თვეში ერთხელ.


ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარი უფრო დივერსიფიცირებულია ბაზრის მოთამაშეების თვალსაზრისით. ამ ბაზარზე გამყიდველები არიან ელექტროსადგურები (ჰიდრო, თბო, მზის ან ქარის), იმპორტიორები ან საბითუმო მიმწოდებლები (იგივე ელექტროენერჯის „მოვაჭრეები“ ან ტრეიდერები). საბითუმო ბაზარზე ელექტროენერჯის ყიდულობენ ელექტროენერჯის მიმწოდებლები („თელმიკო“ და „ეკ ჯორჯია მიწოდება“), პირდაპირი მომხმარებლები (დიდი სამრეწველო კომპანიები - 46 კომპანია 2022 წლის თებერვლის მდგომარეობით), ექსპორტიორები (40 რეგისტრირებული კომპანია, საიდანაც 2021 წელს მხოლოდ 5 იყო აქტიურად ჩაბმული ვაჭრობაში) ან მოვაჭრეები (თებერვლის მდგომარეობით 20 რეგისტრირებული კომპანია, საიდანაც 5 ვაჭრობდა 2021 წელს). საბითუმო ბაზრის ყველა მონაწილე თავისი კონტრაქტორის არჩევანში თავისუფალია. ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარზე მიწოდების მხარეს არის 100-ზე მეტი ელექტროენერჯის მწარმოებელი, 29 იმპორტიორი (თუმცა 2020-21 წლებში მხოლოდ 5 იყო აქტიური) და 20 მოვაჭრე (მხოლოდ 5 იყო 2020 და 2021 წლებში აქტიურად ჩართული ელექტროენერჯის ვაჭრობაში). საქართველოში ელექტროსადგურები ელექტროენერჯის ყიდვიან ESCO-ზე PPA-ს პირობებით (თუ ასეთი ხელშეკრულება არსებობს), ან თავისუფალ ბაზარზე ორმხრივი ხელშეკრულებებით. თუ ბაზრის მონაწილე ვერ პოულობს კონტრაქტორს ან არ აქვს PPA, ESCO ყიდულობს მისგან ნებისმიერი უკონტრაქტო, მაგრამ გამომუშავებულ ან მოხმარებულ ენერჯის. ორმხრივი ხელშეკრულებები განსაზღვრავს ელექტროენერჯის მიწოდების პირობებს, მოცულობას, ტარიფს და პერიოდს. მათი პირობები კომერციული საიდუმლოებაა და საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი. 2021 წელს, საბითუმო ბაზარზე ნავაჭრი ელექტროენერჯის 76% გაიყიდა ორმხრივი ხელშეკრულებების გზით, ხოლო დანარჩენი ენერჯია გაიყიდა ესკოს გავლით.

დღევანდელ ბაზარზე ანგარიშსწორება ხდება ყოველთვიურად. ეს შეიცვლება 2023 წლის მარტიდან, როდესაც საქართველოში განხორციელდება საბითუმო ბაზრის რეფორმა და ანგარიშსწორების ვადა შემცირდება ყოველი დღის გარკვეულ (შეთანხმებულ) საათამდე. დღეს მოქმედი წესებით და არსებული პრაქტიკის მიხედვით, ორმხრივი ხელშეკრულებების ფასი ხშირად დაკავშირებული ESCO-ს გასაყიდ ფასთან (მაგ. ხელშეკრულების ფასი შეიძლება დაფიქსირებული იყოს, როგორც ესკოს გასაყიდ ფასსზე 5%-ით ნაკლები) სწორედ ამიტომ ESCO-ს ფასი მიიჩნევა ელექტროენერჯის საორიენტაციო ფასად საქართველოში. ESCO-ს გასაყიდი ფასი დაიანგარიშება როგორც იმპორტის, PPA-ების და ნებისმიერი დაუკონტრაქტებელი გასაყიდი ელექტროენერჯის საშუალო შეწონილი ფასი. მომავალი ბაზრის მოდელში, რომელიც ძალაში შევა 2023 წლის მარტიდან, ელექტროენერჯის ბაზრის ამჟამინდელი მოდელი შეწყვეტს ფუნქციონირებას. ამიტომ ESCO-ს ფასი აღარ იქნება საბითუმო ბაზრის საორიენტაციო ფასი საქართველოში და მისი ფორმირება დამოკიდებული იქნება ბევრ სხვადასხვა ფაქტორზე.

დიაგრამა 2: ელექტროენერჯის ბაზრის სტრუქტურა საქართველოში



გრაფიკი 1: ელექტროენერჯის გაყიდვა ხელშეკრულების ტიპის მიხედვით, 2021 წ



წყარო: ESCO, GNERC, Galt & Taggart-ის კვლევა [იენისი, 2022]

წყარო: ESCO, GNERC, Galt & Taggart-ის კვლევა [იენისი, 2022]

ელექტროენერჯის წარმოების ბაზარი ნაწილობრივ დერეგულირებული და თითქმის სრულად პრივატიზებულია. მომავალშიც, სავარაუდოდ, მხოლოდ ენგური და ვარდნილი დარჩებიან სახელმწიფო საკუთრებაში, რადგან ისინი ნაწილობრივ მდებარეობენ აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. გარდაბანი-1 და გარდაბანი-2 თბოელექტროსადგურები ასევე ეკუთვნის სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ კომპანიას - „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“. ყველა სხვა ელექტროსადგური კერძო საკუთრებაშია. 2008 წლის აგვისტომდე აშენებული ჰიდროელექტროსადგური, რომლებსაც 65 მგვტ-ზე მეტი სიმძლავრე აქვთ, და ყველა თბოელექტროსადგური რეგულირდება GNERC-ის მიერ. რეგულირებული სადგურებისთვის დაწესებულია გასაყიდი ტარიფის ზედა ზღვარი. ეს ზღვარი არ მოქმედებს კომპანიის არც ერთ ელექტროსადგურზე, რადგან არც-ერთის სიმძლავრე არ აღემატება 65მგვტ.-ს.

ელექტროენერჯიკული სექტორი რეფორმის პროცესშია და მოსალოდნელია ბაზრის ახალ მოდელზე გადასვლა უახლოეს მომავალში. რეფორმით გამოწვეული ცვლილებები ახსნილია რეგულირებული გარემოს ქვეთავში

ელექტროენერჯის შესყიდვის ხელშეკრულებები და განახლებადი ენერჯის პროექტების მხარდაჭერის სქემები

განახლებადი ენერჯის პროექტებში ინვესტიციების მოსაზიდად, საქართველოს მთავრობას ბოლო ათწლეულის განმავლობაში სხვადასხვა მხარდაჭერის მექანიზმი ჰქონდა. ამასთან, ყველაზე გავრცელებული მხარდაჭერის სქემა იყო ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (PPA). ეს არის ელექტროენერჯის გაყიდვის გრძელვადიანი ხელშეკრულება ელექტროსადგურის მფლობელსა და სს ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს (ს/ნ: 205170036, შემდგომში „ESCO“ ან „ესკო“) შორის. PPA პირობები წინასწარ განსაზღვრულია ურთიერთგაგების მემორანდუმით (MoU), რომელიც ფორმდება მთავრობასა და ელექტროსადგურების მესაკუთრეთა შორის.

მთავრობამ 2008 წლის შემდეგ რამდენჯერმე შეცვალა PPA პოლიტიკა. შესაბამისად, სხვადასხვა ჰიდროელექტროსადგურები PPA-ის სხვადასხვა პირობებით სარგებლობენ. PPA-ები ძირითადად განსხვავდება ხელშეკრულების ხანგრძლივობის, ელექტროენერჯის შექმნის პერიოდისა და ფასის მიხედვით. PPA-ის ყველაზე გავრცელებული პირობაა 10 წლის განმავლობაში სექტემბრიდან აპრილის ჩათვლით წარმოებული ელექტროენერჯის სრული მოცულობის შესყიდვა ესკოს მიერ. გვხვდება სხვადასხვა ვარიაციებიც, როგორცაა 15 წლიანი ხელშეკრულება, შესყიდვა მთელი წლის განმავლობაში (და არა მხოლოდ რამდენიმე თვის), ტარიფიც შესაძლოა მერყეობდეს სხვადასხვა პროექტისთვის. აღსანიშნავია, რომ იმ თვეებში, როდესაც PPA-ით არაა განსაზღვრული ელექტროენერჯის შესყიდვა ესკოს მიერ, PPA-ს მფლობელი

ელექტროსადგურებიცმოქმედებენ ისე, როგორც ნებისმიერი სხვა მიმწოდებელი, რაც ნიშნავს, რომ ისინი ელექტროენერგიას ყიდნიან ორმხრივი ხელშეკრულებებით ან/და საბითუმო ბაზარზე.

მთავრობის პოზიცია PPA-ს მიმართ შეიცვალა 2017 წლიდან. ენერგეტიკის სექტორში პროექტების წარმატებით განვითარების მიუხედავად, PPA-ები განიხილებოდა, როგორც კონკურენტული ბაზრებისათვის შემზღვეველი ფაქტორი. უფრო მეტიც, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა უკმაყოფილება გამოხატა PPA-ს მიმართ (წყარო: “Review under the extended fund facility arrangement (IMF Country Report No. 21/79)”), IMF-ის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტი, რომლებიც ფარავს ამ საკითხებს), რადგან მათი მოსაზრებით PPA მთავრობისთვის პირობითი პასუხისმგებლობისა და ფისკალური რისკების შემქმნელია. ამ ორმა ფაქტორმა განაპირობა PPA-ს დე-ფაქტო მორატორიუმი 2016 წლიდან. საბოლოოდ, 2018 წელს ახალი კანონით გამკაცრდა პროცედურები PPA-ს მინიჭების შესახებ. შედეგად, 2017-2022 წლების განმავლობაში არცერთი ახალი PPA-იანი მემორანდუმი არ დადებულა.

2020 წელს, მთავრობამ შემოიღო ახალი მხარდამჭერი მექანიზმი, სახელწოდებით „პრემიალური ტარიფი“ (Feed-in Premium - "FIP"), როგორც იმ ელექტროსადგურების დამხმარე სქემა, რომლებიც ბაზრის რეფორმირების დასრულების შემდეგ დღით ადრე ბაზარზე (დეტალურად იხ. ქვემოთ) ივაჭრებენ. პრემიალური ტარიფი მოქმედებს 5მგვტ-ზე მეტი დადგმული სიმძლავრის მქონე განახლებადი ენერჯის პროექტებზე. ოპერირების პირველი 10 წლის განმავლობაში, ESCO დაეხმარება ასეთ ექტროსადგურებს საბაზრო რისკების დაზღვევაში სექტემბერი - აპრილის პერიოდისთვის. თუ ნებისმიერი საათის განმავლობაში საბაზრო ფასი ჩამოცდება 5.5 აშშ. ცენტს კვტ.სთ-ზე, ESCO დაფარავს სხვაობას საბაზრო ფასსა და 5.5 აშშ ცენტი/კვტ.სთ-ზე შორის. ამ დახმარების / სხვაობის მაქსიმალური მოცულობა იქნება 1.5 აშშ ცენტი/კვტ.სთ-ზე. ასეთ მექანიზმი ზღუდავს სახელმწიფოს ფისკალურ რისკს კვტ.სთ-ზე 1.5 აშშ.ცენტის ოდენობით, ხოლო ინვესტორისთვის უზრუნველყოფს შემოსავალს კვტ.სთ-ზე 5.5 აშშ ცენტის მოცულობით, იმის გათვალისწინებით, რომ საბაზრო ფასების კვტ.სთ-ზე 4.0 აშშ ცენტზე დაბლა ჩამოსვლა არაა მოსალოდნელი. მექანიზმი იმუშავებს მხოლოდ იმ პროექტებისთვის, რომელსაც მემორანდუმი გაუფორმდათ 2020 წლის ივნისის შემდეგ, ანუ ამ დადგენილების შემოღების შემდეგ. ინვესტორების მხრიდან ინტერესი ამ ახალი მექანიზმის მიმართ დაბალი იყო, რეალურად 2021 წელს მხოლოდ 5 მემორანდუმი გაფორმდა ამ პირობით, მაშინ როდესაც PPA-იანი მემორანდუმი ბევრად მეტია. სავარაუდოდ, ეს იმით აიხსნება, რომ მხარდაჭერის დონე მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე არსებული PPA-ების შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება ინვესტორებისთვის ახალი, უფრო ძლიერი მხარდაჭერის მექანიზმის შემოთავაზება, მოსალოდნელია ადგილობრივი გამოიმუშავების ზრდის ტემპის შემცირება, რაც გამოიწვევს ელექტროენერჯის საბაზრო ფასების ზრდას.


მთავრობა განიხილავს PPA პოლიტიკის გადახედვას 2022 წელს. მოხმარების მაღალი ზრდის ტემპისა და ადგილობრივი წარმოების ზრდის მნიშვნელოვნად დაბალი მაჩვენებლის გათვალისწინებით, ახალი სიმძლავრეების დამატების აუცილებლობა კრიტიკული გახდა. ამრიგად, მთავრობა განიხილავს PPA-ს შესახებ დე-ფაქტო მორატორიუმის გადახედვას და განახლებადი ენერჯის პროექტებისთვის ასეთი მხარდაჭერის სქემის შემოღებას, როგორც ვიგებთ პრემიერმინისტრის და ეკონომიკის მინისტრის განცხადებებიდან. (<https://bm.ge/ka/article/energetikashi-ppa-meqanizmis-dabrunebas-vapirebt---premeri/111595>)

ელექტროენერჯის მიწოდება - მოთხოვნის ტენდენციები

ელექტროენერჯის მოხმარება მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული მშპ-ს ზრდასთან. საშუალო მოხმარების ზრდის ტემპმა 2010-2021 წლებში შეადგინა 5.1%. 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, ელექტროენერჯის მოხმარება შემცირდა 4.9%-ით, ეკონომიკური საქმიანობის Covid-19 პანდემიით გამოწვეული შემცირების გამო. 2021 წელს მოხმარება გაიზარდა 13.1%-ით და გადააჭარბა პანდემიამდელ დონეს 7.6%-ით (2021 და 2019 წლების შედარება). ელექტროენერჯის მოხმარება, სავარაუდოდ, გაიზრდება ყოველწლიურად 5%-ით, როგორც ეს მითითებულია ქსელის განვითარების 10-წლიანი გეგმის საბაზისო სცენარში, ეკონომიკისა და მდგრადი


განვითარების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დოკუმენტის მიხედვით. ამავე შეფასებით, ელექტროენერჯის მოხმარება გაორმაგდება მომდევნო ათწლეულში.

გრაფიკი 2: ელექტროენერჯის მოხმარების ზრდა და მშპ-ს რეალური ზრდა



წყარო: ესკო, ჯეოსტატი, გალტ & თაგარტი


გრაფიკი 3: ელექტროენერჯის მოხმარების დინამიკა, TWh




წყარო: ესკო, გალტ & თაგარტი

ელექტროენერჯის მომხმარებლები საბითუმო დონეზე არიან აფხაზეთი, პირდაპირი მომხმარებლები და საცალო მიმწოდებლები. პირდაპირი მომხმარებლები არიან ის იურიდიული პირები ვინც ნებაყოფლობით ან კანონის ძალით მიიღეს ეს სტატუსი. მათ შეუძლიათ პირდაპირ ჰესისგან ელექტროენერჯის შესყიდვა. პირდაპირი მომხმარებლების რაოდენობის ზრდამ ბოლო წლებში, რაც ძირითადად საკანონდებლო ცვლილებებით იყო გამოწვეული, გაზარდა პოტენციური შემსყიდველების რაოდენობა ემიტენტისთვის. თელასი და ენერგო-პრო ჯორჯია შეისყიდინდნენ ელექტროენერჯიას საბითუმო დონეზე და ყიდდნენ საცალო მომხმარებელზე, როგორცაა მოსახლეობა, მცირე ბიზნესი და ა.შ. 2021 წელს კანონმდებლობაში შესული ცვლილებიდან გამომდინარე, რაც მიზნად ისახავდა მიწოდების და დისტრიბუციის საქმიანობების გამიჯვნას, თელასის საქმიანობა გაიყო ორ ლიცენზიად, თელასს დარჩა დისტრიბუციის ლიცენზია (ანუ ფიზიკური მიწოდების ვალდებულება), ხოლო მიწოდების (ანუ ელექტროენერჯის საცალო მომხმარებელზე გაყიდვის) ლიცენზიის მფლობელი თელასის არეალში გახდა „თელმიკო“. თელმიკო არის თელასის აფილირებული კომპანია - მისი აქციონერთა სტრუქტურა თელასის ანალოგიურია. იგივე ტიპის ცვლილება მოხდა ენერგო-პრო ჯორჯიასა და ეპ ჯორჯიას შემთხვევაშიც.

გრაფიკი 4: ელექტროენერჯის მოხმარების დინამიკა საბითუმო გრაფიკი 5: პირდაპირი მომხმარებლების რიცხვი და მოხმარების ჯგუფების მიხედვით, ტვტ.სთ



წყარო: ესკო, გალტ & თაგარტი




წყარო: ესკო, გალტ ენდ თაგარტი

შენიშვნა: გრაფიკზე ენერგო-პრო ჯორჯიას მოხმარებაში შეყვანილია აგრეთვე ეპ ჯორჯიას მოხმარებას, ხოლო თელასის მოხმარებაში თელმიკოს მოხმარება. აღნიშნული კომპანიები ჩაენაცვლნენ თელასს და ენერგო-პრო ჯორჯიას მიწოდების ლიცენზიით, საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე


საქართველოში ელექტროსადგურების ჯამურმა დადგმულმა სიმძლავრემ 2021 წელს შეადგენდა 4.5 გვტ-ს, ხოლო 2010 წელს შეადგენდა 3.3 გვტ-ს. 2010 წლიდან დადგმული სიმძლავრე გაიზარდა 1.2 გვტ-ით, აქედან მხოლოდ 0.7 გვტ იყო ჰიდრო და ქარის პროექტები, ხოლო დანარჩენი 0.5 გვტ მოდიოდა თბოელექტროსადგურებზე, რომლებიც იმპორტირებულ ბუნებრივ გაზზე მუშაობენ. 2021 წლის ბოლოსთვის, საქართველოს ჰქონდა 103 ჰიდრო (3.3 გვტ), 6 თერმულიგაზზე მომუშავე თბოსადგური (1.2 გვტ) და 1 ქარის ელექტროსადგური (20.7 მგვტ). 2010 წლიდან ელექტროენერჯის მიწოდება გაიზარდა 10.1 ტვტ.სთ- დან 14.4 ტვტ.სთ-მდე (ელექტროენერჯის ტრანზიტის გარდა). მიწოდების ზრდის 80% (3.5 ტვტ.სთ) მოდიოდა იმპორტზე დამოკიდებული წყაროების (ელექტროენერჯის პირდაპირი იმპორტი და გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურები). მიწოდების მხარის ზრდის მხოლოდ 20% მოდიოდა ადგილობრივ რესურსზე მომუშავე ობიექტებზე (ქარისა და ჰიდრო ელექტროსადგურებზე). სწორედ ადგილობრივ რესურსზე მომუშავე განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარების დაბალმა ტემპმა გამოიწვია თბოელექტროსადგურების გამომუშავებისა და ელექტროენერჯის პირდაპირი იმპორტის გაზრდილი წილი მიმწოდებლებში. ელექტროენერჯის მოხმარებისა და ჰიდრო გამომუშავების ურთიერთსაპირისპირო სეზონურობა წარმოქმნის სიჭარბეს მაისისა და ივნისის თვეებში, რა დროსაც ხდება ელექტროენერჯის ექსპორტი მეზობელ ქვეყნებში, ხოლო დანარჩენ თვეებში წარმოიქმნება დეფიციტი. კონდიციონების გაზრდილი გამოყენების გამო, ელექტროენერჯის მოხმარება ხდება ნაკლებად სეზონური, აღნიშნული ზღუდავს ექსპორტის თვეებს მხოლოდ მაისსა და ივნისზე (როგორც 2019-21 წლებში) და ქმნის იმპორტის საჭიროებას წლის დანარჩენ პერიოდში. ჰიდროელექტროსადგურების გამომუშავების დიდი ნაწილი, საშუალოდ 40%, მოდის მაისიდან აგვისტომდე პერიოდში, განსაკუთრებით დიდია ისეთი სადგურების გამომუშავების სეზონურობა, რომელთაც არ გააჩნიათ წყლის შემნახველი რეზერვუარი.

გრაფიკი 6: ელექტროენერჯის წარმოება და იმპორტი, ტვტ.სთ.



წყარო: ესკო, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 7: დადგმული სიმძლავრის დინამიკა, გვტ




წყარო: ესკო, სსე

ელექტროენერჯის გამომუშავების ზრდა მოხმარების ზრდას ჩამორჩება, რაც ზრდის ქვეყნის სავაჭრო დეფიციტს. 2021 წელს, საქართველომ შემოიტანა 2.0 ტვტ.სთ ელექტროენერჯია და ექსპორტზე გაიტანა მხოლოდ 0.4 ტვტ.სთ, რის შედეგადაც წმინდა იმპორტი 1.6 ტვტ.სთ (+ 10.9% წ/წ) იყო. ამას გარდა, იმპორტირებულ ბუნებრივ გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურების წარმოებამ 2021 წელს მიაღწია 2.4 გვტ საათს. მთლიანობაში, ელექტროენერჯის მოთხოვნის 30% 2021 წელს იმპორტირებულმა წყაროებმა შეავსეს. 2010-2021 წლების განმავლობაში ელექტროენერჯის სექტორის იმპორტზე დამოკიდებულება სამჯერ


გაიზარდა. 2020 წელსაც კი, როდესაც პანდემიის გამო დაკლებული იყო ელექტროენერგიაზე მოთხოვნა, იმპორტი არ შემცირებულა. ეს ძირითადად იმით იყო გამოწვეული, რომ 2020 წელს ჰიდროლოგია იყო არასახარბიელო და მოხმარების შემცირების პარალელურად შემცირდა ჰესების გამომუშავებაც.

გრაფიკი 8: ელექტროენერგიის საგარეო ვაჭრობა, ტვტ.სთ.



წყარო: ესკო, გალტ & თავარტი


გრაფიკი 9: ელექტროენერგიის სექტორის იმპორტზე დამოკიდებულება, გვტ.სთ.



წყარო: ესკო, გალტ & თავარტი


ურთიერთდაკავშირებული შესაძლებლობების გაძლიერება საშუალებას აძლევს საქართველოს იმპორტიორები 4 მეზობელ ქვეყანას შორის კომერციული პირობების საფუძველზე აირჩიოს. ისტორიულად, რუსეთი იყო ელექტროენერგიის იმპორტის ძირითადი წყარო საქართველოში. მდგომარეობა შეიცვალა 2017 წლიდან, როდესაც 2017-2020 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა აზერბაიჯანიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის წილი, ხოლო 2021-ში დაუბრუნდა ძველ ნიშნულს და იმპორტირებული ელექტროენერგიის 60%-ზე მეტი რუსეთიდან შემოვიდა. 2020 და 2021 წლებში, თურქეთიდან იმპორტი განხორციელდა მნიშვნელოვნად დაბალ ფასად, (აშშ დოლარის ცენტი 4.3 / კვტ.სთ) ვიდრე კონკურენტი ქვეყნებიდან. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანთან ახალი 500კვ (კილოვოლტი)-იანი ხაზის ექსპლუატაციის შემდეგ, რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი თანდათანობით ჩანაცვლდა აზერბაიჯანიდან იმპორტით, 2013 წლიდან 2018 წლამდე რუსეთის წილი 95% -დან 13.7% -მდე შემცირდა. 2019 წელს რუსეთი კვლავ გახდა მნიშვნელოვანი მომწოდებელი, ის კონკურენციას უწევდა აზერბაიჯანს ფასებსა და ელექტროენერგიის მიწოდებაში აფხაზეთის რეგიონში.

გრაფიკი 10: ელექტროენერგიის იმპორტი ქვეყნების მიხედვით, ტვტ.სთ



წყარო: ესკო, გალტ & თავარტი

გრაფიკი 11: ელექტროენერგიის მოხმარების ზრდა დაახლოებით 4.5%, ტვტ.სთ



წყარო: ესკო, გალტ & თავარტი

მაკროეკონომიკური გარემოს ბოლო პერიოდის მნიშვნელოვანი ტენდენციები და მაჩვენებლები

აღნიშნულ ქვეთავში წარმოდგენილია საქართველოს მაკროეკონომიკურ გარემოსთან დაკავშირებული ბოლო პერიოდის მნიშვნელოვანი ტენდენციები და პოზიტიური განვითარებები. მაკროეკონომიკურ გარემოსთან დაკავშირებით, დამატებითი ინფორმაციისა და რისკების შესახებ დეტალებისთვის იხ. პროსპექტის ზოგადი მიმოხილვის ქვეთავი „რისკის ფაქტორები, ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რისკები“

საქართველოს და მისი მსგავსი განვითარებადი ქვეყნების მაკროეკონომიკურ გარემოსთან დაკავშირებული არაერთი რისკის გათვალისწინებით და მიუხედავად, საქართველო წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ ეკონომიკას რეგიონში ხელსაყრელი პერსპექტივით, 2022 წლის 4 თვის პერიოდისთვის ორნიშნა ეკონომიკური ზრდით, ოპტიმისტური ეკონომიკური პერსპექტივით, გარე შოკების მიუხედავად ძლიერი სავალუტო პოზიციებით და ძლიერი გარე შემოდინებით.

ძირითადი მაჩვენებლები:

- 2021 მშპ ერთ სულ მოსახლეზე: \$ 5,015
- 10-წლიანი საშუალო რეალური მშპ-ის ზრდა: 3.9%
- 10-წლიანი საშუალო ინფლაცია: 3.6%
- 10-წლიანი საშუალო პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (მშპ-ის %): 8.2%

საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგები:

- Fitch Ratings – BB (Stable Outlook);
- Moody’s – Ba2 (Negative Outlook);
- S&P Global Ratings – BB (Stable Outlook);

პოზიციები რეგიონში:


- ბიზნესის კეთების სიმარტივე: მე-7 ადგილი, მსოფლიო ბანკი, 2020
- ბიზნესის დაწყება: მე-2 ადგილი, მსოფლიო ბანკი, 2020
- ქონების რეგისტრაცია: მე-5 ადგილი, მსოფლიო ბანკი, 2020
- ბიზნესის მექრთამეობის რისკი: 29-ე ადგილი, TRACE International, 2021

ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები:

- ძლიერ საგარეო მოთხოვნას დაემატა მიგრაციის ეფექტი, რაც მიმდინარე წლის პირველ შვიდ თვეში ფულადი გზავნილების წლიურად 62%-ით ზრდაში აისახა რუსეთიდან შემოდინების ზრდის ფონზე. ამავე პერიოდში საქონლის ექსპორტი წლიურად 36%-ით გაიზარდა, რაშიც დადებითი წვლილი შეიტანა საექსპორტო ფასების ზრდამ და, შესაბამისად, სავაჭრო პირობების გაუმჯობესებამ. ამასთან, მიმდინარე წლის პირველ შვიდ თვეში ტურიზმის შემოსავლებმა 2019 წლის დონის 87%-ს მიაღწია. ივლისში ტურიზმის შემოსავლების აღდგენამ 120% შეადგინა;
- ფისკალური პოზიცია ექსპანსიური რჩება, მიუხედავად უარყოფითი ფისკალური იმპულსისა (ნაკლებად ექსპანსიური პოზიცია). მიმდინარე წლის პირველ შვიდ თვეში ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები წლიურად 9%-ით გაიზარდა, კაპიტალური ხარჯების წლიურმა ზრდამ კი 8% შეადგინა, რასაც ხელი შეუწყო ამავე პერიოდში ბიუჯეტის შემოსავლების 30%-იანმა წლიურმა ზრდამ;
- მიუხედავად გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკისა, ძლიერი საკრედიტო აქტივობა ნარჩუნდება როგორც საცალო, ისე ბიზნეს სექტორში (ივლისში საბანკო დაკრედიტების წლიურმა ზრდამ 16.3% შეადგინა, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით).


საქართველომ ეკონომიკური ზრდის კუთხით გაუსწრო მსგავს ქვეყნებს და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზის მიხედვით საშუალოვადიან პერსპექტივაში ლიდერად დარჩება. რუსეთ-უკრაინის ომის გამო გეოპოლიტიკური მდგომარეობის არსებითი გაუარესების მიუხედავად, ეკონომიკური ზრდა მდგრადი დარჩა საბაზო ეფექტის გათვალისწინებითაც კი, და მოსალოდნელია, რომ ძლიერი დარჩება მთელი წლის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ გაურკვეველობა უკიდურესად მაღალია, წინასწარი მონაცემები ეკონომიკის შენელების ნიშნებს არ აჩვენებს. მიგრანტების რაოდენობის ზრდა და გაზრდილი მოთხოვნა სატრანსპორტო მომსახურებაზე, ისევე, როგორც მომხმარებელთა და ბიზნესის ძლიერი განწყობები, ხელს უწყობს ხარჯვასა და საინვესტიციო აქტივობას.

გრაფიკი 12: რეალური მშპ წლიური ზრდა*: წინასწარი შეფასებები



წყარო: Geostat

გრაფიკი 13: რეალური მშპ ზრდის პროგნოზი



წყარო: IMF - World Economic Outlook, აპრილი 2022

*რეალური მშპ წ/წ ზრდა:

| რეალური მშპ | 2Q21 | 3Q21 | 4Q21 | 2021 | 1Q22 | 2Q22 |
|-------------|-------|------|------|-------|-------|------|
| წ/წ ზრდა | 28.9% | 9.1% | 8.8% | 10.4% | 14.9% | 7.2% |

მაკროპოლიტიკის მოკლე მიმოხილვა:

2022 წლის აგვისტოში წლიურმა ინფლაციამ 10.9% შეადგინა (მიმდინარე წლის პირველ რვა თვეში საშუალო ინფლაცია 12.6%-ია). მოსალოდნელია, რომ ინფლაცია გააგრძელებს ნელი ტემპით შემცირებას 2022 წლის დარჩენილ თვეებში, რასაც ივლისიდან მაღალი ბაზის ეფექტიც ეხმარება.


მაღალი ინფლაცია ძირითადად გამოწვეულია საქონლისა და სურსათის მსოფლიო ფასების მატებით. ლარის გამყარების მიუხედავად იმპორტირებული საქონლის ფასები ინფლაციის ყველაზე მნიშვნელოვანი მამოძრავებელია. ამასთან, მიწოდების მხრიდან ფასებზე ზეწოლა აღარ ბალანსდება სუსტი შიდა მოთხოვნით სწრაფი ეკონომიკური აღდგენის გამო.

ინფლაციური მოლოდინების მოსათოკად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2022 წლის მარტში სათანადოდ გაზარდა რეფინანსირების განაკვეთი 0.5 პროცენტული პუნქტით 11%-მდე და პირობა დადო, რომ შეინარჩუნებს გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის რეჟიმს ინფლაციური ზეწოლის ჩაცხრობამდე.

ფისკალური დისციპლინა ხაზგასმულია კრიზისის შემდეგ სწრაფი კორექტირებით. კერძოდ, სახელმწიფო ვალი-მშპ-ის თანაფარდობა 2021 წელს 10 პროცენტული პუნქტით (pp) დაეცა და 50%-იან ნიშნულს ჩამოსცდა, ხოლო ფისკალური დეფიციტი შემცირდა 3 პროცენტული პუნქტით 6.3%-მდე;


მიმდინარე წლის პირველ შვიდ თვეში ფისკალური დეფიციტი წლიურად 76%-ზე მეტით შემცირდა, რაც შემოსავლების არაორდინალურმა შესრულებამ და ხარჯების შერბილებამ განაპირობა. ფისკალური დეფიციტი 2023 წელს 3%-მდე დაბრუნდება, როგორც ეს ფისკალური წესით არის დადგენილი. საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია როგორც დეფიციტის, ასევე ვალის მატარებლის გაუმჯობესდება.

გრაფიკი 14: მონეტარული პოლიტიკა და ინფლაცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გრაფიკი 15: ფისკალური მდგომარეობა




წყარო: MoF


სავალუტო ნაკადები და მონეტარული პოლიტიკა: ბოლო პერიოდის ტენდენციები

- ლარის კურსს დაეხმარა ძალიან ძლიერი სავალუტო შემოდინებები, რომელიც გამოწვეულია მრავალი ფაქტორით, მათ შორის: ვაჭრობის პირობების გაუმჯობესება, მსოფლიო მოგზაურობის აღდგენა, მიგრანტების გავლენა და მეზობელი ქვეყნების უფრო ძლიერი მოთხოვნა;
- რეკორდულად მაღალი ფულადი გზავნილების შემოდინება - წლიურად გაიზარდა 62%-ით შვიდ თვეში (მათ შორის, სამჯერ გაიზარდა რუსეთიდან \$850 მლნ აშშ დოლარამდე), წლის დასაწყისში ძლიერი მატარებლებით და მნიშვნელოვანი დაჩქარებით მიგრაციის ეფექტის გამო;
- საქონლის ექსპორტის აღდგენის გაგრძელება - პირველ შვიდ თვეში წლიურმა ზრდამ 36% შეადგინა;
- შემოსავალი ტურიზმიდან 2022 წლის ივლისში 2019 წლის 120%-ზე მეტს აღწევდა (და 2019 წლის 87%-ს პირველ შვიდ თვეში), რაც ასახავს მოგზაურობის გლობალურ აღდგენას და ასევე მიგრაციის ეფექტს;
- მკაცრი მონეტარული პოლიტიკა (კუმულაციური ზრდა 300 საბაზისო პუნქტით 2021-2022 წლებში 11%-მდე 2022 წლის ივნისისთვის), ლარის გამლიერების მხარდაჭერა და უარყოფითი მოლოდინების შეზღუდვა;
- ეკონომიკური აქტივობის აღდგენამ და საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანმა დიფერენციალმა დააჩქარა დაკრედიტება უცხოურ ვალუტაში, რადგან სავალუტო სესხები სტაბილურად იზრდება 2021 წლის აპრილიდან, როგორც საცალო, ისე ბიზნეს სექტორში;

გრაფიკი 16: ვალუტის მოძრაობა აშშ დოლარის მიმართ, 2022 წლის გრაფიკი 17: ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი („რეგ“) იანვარი - აპრილი



წყარო: Bloomberg, NBG
შენიშვნა: +/- ნიშნავს აფასება/ჩამოფასებას



წყარო: Bloomberg, NBG
შენიშვნა: +/- ნიშნავს აფასება/ჩამოფასებას

| | 2Q21 | 3Q21 | 4Q21 | 1Q22 | 2Q22 | ივლ-აგვ 22 |
|---|------|------|------|-------|-------|------------|
| ლარი დოლარის მიმართ ცვლილება საანგარიშო პერიოდების მიხედვით | 8.0% | 1.2% | 0.8% | -0.1% | -3.6% | -6.2% |

ემიტენტის ბიზნეს საქმიანობის განვითარებაში მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერა

კომპანიის ბიზნეს საქმიანობის განვითარების ბოლო პერიოდის მნიშვნელოვანი მოვლენები წლების მიხედვით არმოდგენილია ქვემოთ:

- 2022: 80 მილიონი აშშ დოლარამდე მწვანე უზრუნველყოფილი ობლიგაციების დაგეგმილი ემისია ადგილობრივ ბაზარზე GRPO-ს მიერ;
- 2022: GGU-ს გამიჯვნა, ევროობლიგაციების წინასწარ გამოსყიდვა და განახლებადი ენერჯის ბიზნესის ცალკე გამოყოფა;
- 2020: 250 მილიონი აშშ დოლარის მწვანე ევროობლიგაციების გამოშვება GGU-ს მიერ - პირველი მწვანე ობლიგაციები საქართველოდან (აქედან, განახლებადი ენერჯის ბიზნესის მიმართ განაწილებულმა დავალიანებამ შეადგინა 95.4 მილიონი აშშ დოლარი)
- 2019: 20.7 მგვტ „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ შექმნა - ერთადერთი ქარის ელექტროსადგური საქართველოში;
- 2019: 20.4 მგვტ 20 „ჰიდროლეს“ ჰიდროელექტროსადგურები [ახმეტა, დებედა, კასლეთი 2 ჰიდროელექტროსადგურები)
- 2019: 30 მგვტ „მესტიაჭალა 2-ის“ გაშვება

სტრატეგია და ამოცანები

GRPO უშუალოდ ახორციელებს განახლებადი ენერჯის ბიზნესის აქტივების მოქმედი და სრულად ოპერირებადი აქტივების მართვას. დაგეგმილი განახლებადი ენერჯის ბიზნესის პროექტების განვითარებას, მართვას და ოპერირებას სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ჰოლდინგი“ ცალკე საწარმოს - სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის კომპანიის“ მეშვეობით გეგმავს (ემიტენტის და კომპანია). ამ ეტაპისთვის, ემიტენტი არ მოელის მის საქმიანობაში რაიმე ტიპის არსებითი ცვლილებების განხორციელებას. ამის გარდა, ემიტენტის დაფინანსებასთან, კაპიტალიზაციასა და დავალიანებასთან დაკავშირებით იხილეთ პროსპექტის ქვეთავი „სარეგისტრაციო დოკუმენტი, კაპიტალიზაცია და დავალიანება“.

დამატებით, GRPO-ს ბიზნეს სტრატეგიის ძირითადი ელემენტები შემდეგია:

ელექტროენერჯის ბაზრის ხელსაყრელ პირობებზე კაპიტალიზაცია

განახლებადი ენერჯის ბიზნესი ელექტროენერჯიას გამოიმუშავებს განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენებით. საქართველოში არსებობს მრავალი დადგენილება და მხარდაჭერის მექანიზმი მზის, ქარის და ჰიდრო ენერჯის წარმოებისთვის, როგორც საქართველოს 2030 წლის კლიმატის ცვლილების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის (CCSAP) ნაწილი. განახლებადი ენერჯის წყაროები განიხილება, როგორც ენერჯის მომავალი და მეტად ღირებულია ვიდრე ელექტროენერჯის წარმოების ტრადიციული წყაროები.

განახლებადი ენერჯის ბიზნესი საქართველოში ელექტროენერჯის ბაზრის ხელსაყრელ პირობებზე კაპიტალიზაციას ისახავს მიზნად. ენერგეტიკული ბაზრის სტრუქტურის ევროკავშირის დირექტივებთან თანდათანობითი ჰარმონიზაციის ფონზე იქმნება უფრო ლიკვიდური, კონკურენტუნარიანი და გამჭვირვალე ბაზარი. 2020 წელს, წინა წელს ელექტროენერჯის ბაზრის დერეგულირების შემდეგ, საქართველოს მთავრობამ მიიღო ელექტროენერჯის ბაზრის ახალი მოდელის კონცეფცია. საერთო ჯამში, საქართველოს განახლებადი

ენერჯის ბიზნესში მოსალოდნელია ელექტროენერჯის ბაზარზე დაგეგმილი რეფორმების მიღება, რაც კიდევ უფრო დადებით გავლენას მოახდენს ელექტროენერჯის ფასებზე.

გარემოსდაცვითი, სოციალური და მდგრადი განვითარების ("ESG") საკითხები ჯგუფის სტრატეგიის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად

GCAP-ის მიდგომა ESG საკითხებთან მიმართებით ასახულია საინვესტიციო კომპანიების სტრატეგიებსა და მართვის პრინციპებში, რომელთაგანაც ყველა მიჰყვება და შეესაბამება საკმაოდ მაღალი დონის ESG სტანდარტებს, ჩარჩოებსა და რეგულაციებს. განახლებადი ენერჯის ბიზნესი ხელს უწყობს კლიმატის ცვლილებების შეჩერებას (მიტიგაციას), ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას და მწვანე პროექტებით ხელს უშლის დაბინძურებას, რაც ერთობლივად ეხმარება საქართველოს გარდაქმნას უფრო მდგრად და დაბალი ნახშირბადის მოხმარების დონის მქონე ეკონომიკად. 2022 წლის თებერვალში, GCAP გახდა UN Global Compact-ის ხელისმომწერი, რომლის შედეგადაც ევალუბა მისი 10 პრინციპის შესრულება. აქედნა, განახლებადი ენერჯის ბიზნესი ემსახურება შემდეგ მდგრადი განვითარების მიზნებს („SDGs“):

- მიზანი 7: ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერჯის საყოველთაო ხელმისაწვდომობა.
- მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა.
- მიზანი 12: მდგრადი მოხმარება და წარმოება.
- მიზანი 13: კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება.

საქართველომ 2021 წლის ნოემბერში, გლაზგოში გამართულ კლიმატის ცვლილების 26-ე კონფერენციაზე განაცხადა მისი მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის (Nationally determined contribution, NDC) შესახებ. გეგმა ემსახურება ქვეყნის მდგრად და ბალანსირებულ განვითარებას, რაც თანაბრად მიიღებს მხედველობაში კლიმატის ცვლილებას, გარემოსდაცვით და სოციო-ეკონომიკურ გამოწვევებს. განახლებადი ბიზნესი მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს მდგრადობის გაუმჯობესებაში. 2021 წელს, ბიზნესმა გამოიმუშავა 268.3 GWh ელექტროობა, რამაც 120.8 CO2 ტონის ეკვ. გამონაბოლქვი ჩაანაცვლა. სამომავლოდ, განახლებადი ენერჯის ბიზნესი კიდევ უფრო გაზრდის მის წვლილს მწვანე ენერჯის წარმოების განვითარებაში და შეამცირებს საქართველოს ნეგატიურ ზეგავლენას გარემოზე.

მშობელი კომპანიის სასესხო დავალიანების შემცირების სტრატეგია

GRPO-ს საბოლოო მშობელი კომპანიის, "Georgia Capital PLC" განახლებული კაპიტალის მართვის პოლიტიკაში მცირდება ჯგუფის (GCAP და მისი პორტფელის კომპანიები, „GCAP ჯგუფი“) სასესხო დავალიანებები. მნიშვნელოვანი პოტენციური ეკონომიკური და რეგიონალური არასტაბილურობის დროს, სასესხო დავალიანების შემცირების სტრატეგია პორტფელის დაცვის მთავარ პრიორიტეტად დასახელდა. აღნიშული საშუალებას მისცემს GCAP ჯგუფს ისარგებლოს მიმზიდველი საინვესტიციო შესაძლებლობებით, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მოსალოდნელი ეკონომიკური და რეგიონალური არასტაბილურობის შედეგად.

GCAP ჯგუფმა ცოტა ხნის წინ მნიშვნელოვნად შეამცირა მისი სასესხო დავალიანებები და კაპიტალის წმინდა ვალდებულების (NCC – Net Capital Commitment) პროფილი. NCC წარმოადგენს მთლიანი დადასტურებული, შეთანხმებული და პოტენციური კაპიტალის გადინებას ჯგუფის დონეზე. 2022 წლის 31 მარტს, ჯგუფის NCC, როგორც მთლიანი პორტფელის ღირებულების პროცენტული მაჩვენებელი³(NCC თანაფარდობა) 28% იყო, გასული წლის უმაღლეს მაჩვენებელთან შედარებით - 57%, 2020 წლის 30 ივნისს. ჯგუფმა შემოიღო NCC თანაფარდობის სანავიგაციო ინსტრუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ჯგუფის წილის გამოსყიდვისა და ინვესტირების პოლიტიკას; NCC თანაფარდობა 15-40% შორის გამოიწვევს წილის გამოსყიდვას / ინვესტირებას,

³ NCC შეფარდებული მთლიანი პორტფელის სამართლიან ღირებულებასთან.

ხოლო NCC თანაფარდობა 15% ქვემოთ, სავარაუდოდ, წარმოქმნის უფრო მნიშვნელოვანი ოდენობით წილის გამოსყიდვას / ინვესტირებას.

გარდა ამისა, GCAP ჯგუფის პორტფელის ყველა კერძო კომპანიას, მათ შორის განახლებადი ენერჯის ბიზნესს, ექნება ლევერიჯის ინდივიდუალური სამიზნე დიაპაზონი. განახლებადი ენერჯის ბიზნესისთვის, მიზნობრივი დონე, რომელიც განისაზღვრება, როგორც წმინდა დავალიანების თანაფარდობა EBITDA-სთან, არის <6.0x.

მიუხედავად ამისა, ამ ობლიგაციების პირობები წმინდა დავალიანების თანაფარდობას EBITDA-სთან ზოგად შეთანხმებაზე კიდევ უფრო დაბალ მიზნობრივ მაჩვენებელზე განსაზღვრავს. კერძოდ, შეზღუდული გადახდების და დამატებითი დავალიანების პირობებში მაჩვენებელი ობლიგაციების გამოშვებიდან სამი წლის განმავლობაში <5.5x დონეს უნდა აკმაყოფილებდეს (დეტალებისთვის გაეცანით პირობებს, მუხლი 5. კოვენანტები).

GRPO-ს შეფასებით მისი EBITDA ზრდის განმაპირობებელი ფაქტორები შეიძლება იყოს მოთხოვნის ძლიერი ზრდა მოახლოებულ საბაზრო რეფორმებთან ერთად, რაც გამოიწვევს ელექტროენერჯის ფასის მნიშვნელოვან ზრდას და ჰიდროლოგიური პირობების ნორმალიზება, რომელიც იწვევს დამახასიათებელი (inherent) გენერაციის დონის მიღწევას, თითოეულის შემთხვევაში უხეში 10%-მდე საორიენტაციო ზეგავლენის შეფასებით. შედეგად, EBITDA-ს ზრდის პოტენციალი, სესხის მომსახურების კომფორტული დონეები EBITDA-სთან მიმართებით და ფინანსური პოლიტიკა შესაძლოა დელევერიჯის განმაპირობებელ მნიშვნელოვან ფაქტორებს შეადგენდეს.

ინვესტიციები

განახლებადი ენერჯის ბიზნესი არის საქართველოს მამულებით ჰიდრო და ქარის ელექტროსადგურების განვითარების პლატფორმა. 2019 წელი GGU-სთვის მნიშვნელოვანი ზრდის წელი იყო:

- 2019 წლის პირველ ნახევარში ექსპლუატაციაში შევიდა პირველი ჯგუფის მიერ აშენებული ჰიდროელექტროსადგური;
- კომპანია შპს „ჰიდროლექს“ ჰესების შესყიდვა, საერთო ჯამში, 20.4 მგვტ სიმძლავრის;
- 20.7 მგვტ სიმძლავრის ქართლის ქარის ელექტროსადგურის შესყიდვა, ერთადერთი მოქმედი ქარის ელექტროსადგური საქართველოში.

2020 წლამდე GCAP არაპირდაპირ ფლობდა 65%-იან წილს სს „სვანეთი ჰიდროში“, ხოლო დანარჩენ 35%-ს ავსტრიული კომპანია RP Global - აღნიშნული კომპანია ელექტროენერჯის დამოუკიდებელი მწარმოებელია, რომელსაც აქვს განახლებადი ელექტროსადგურების განვითარების, მშენებლობისა და საერთაშორისოდ ფლობისა თუ ექსპლუატაციის 30 წლიანი გამოცდილება. 2020 წლის 25 თებერვალს აქციონერთა უმცირესობის წილის შეძენის შემდეგ, GCAP სს „სვანეთი ჰიდროს“ 100% მფლობელი გახდა. ამჟამად კომპანია ამუშავებს სამ, სრულ საკუთრებაში მყოფ განახლებად ენერჯიაზე მომუშავე აქტივს: 30მგვტ-იანი „მესტიაჭალის“, 20 მგვტ-იანი „ჰიდროლექს“ და 21მგვტ-იანი „ქართლის ქარის“ ელექტროსადგურები.

2019 წლის პირველ ნახევარში GCAP-ის განახლებადი ენერჯის ბიზნესმა მიაღწია პირველ მნიშვნელოვან ეტაპს და ექსპლუატაციაში გაუშვა მესტიაჭალის ჰესი. მშენებლობის ჯამური ხარჯი დაახლოებით \$1.2 მილიონი იყო მეგავატზე, მთლიანი პროექტის ღირებულების დაახლოებით 70% დაფინანსდა გრძელვადიანი სესხის საშუალებით.

2019 წელს GCAP-მა განაგრძო ინვესტირება განახლებადი ენერჯის ბიზნესში, წარმატებით შეისყიდა 100%-იანი წილი მაღალი ხარისხის აქტივებში: 2019 წლის 29 ოქტომბერს „ჰიდროლექს“ ჰესი (საწარმოს ღირებულება

38.0 მილიონი აშშ დოლარი) და 2019 წლის 30 დეკემბერს ქართლის ქარის ელექტროსადგური (საწარმო ღირებულება 31.0 მილიონი აშშ დოლარი).

კონკურენტუნარიანი პოზიციონირება ბაზარზე

GRPO–ს ძირითადი ფინანსური ინფორმაცია ბაზრის სხვა მოთამაშეებთან მიმართებაში მოცემულია ამ სექციაში. ქვემოთ მოყვანილია იმ სამი კომპანიის მაჩვენებლები, რომლებიც კომპანიის მსგავსია ოპერაციებისა და მასშტაბის შესადარისობის საფუძველზე:

- შპს ენერგია– ლარსი და შილდა ჰესი
- აჭარა ენერგია - 2007 – კირნათი და ხელვაჩაური ჰესი
- საქართველოს ურბანული ენერგია – ფარავანი ჰესი

მაჩვენებლები წარმოდგენილია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS-ის) შესაბამისად.

| ძირითადი მაჩვენებლები | 2021 GRPO | 2020 GRPO | 2020 ენერგია | 2020 აჭარა ენერგია 2007 | 2020 საქართველოს ურბანული ენერგია |
|---|--------------|--------------|-----------------|----------------------------------|--|
| მოგება-ზარალი | | | | | |
| შემოსავალი | 43,951 | 42,510 | 14,822 | 54,199 | 42,685 |
| EBITDA | 34,078 | 33,047 | 13,035 | 20,892 | 34,345 |
| EBITDA მარჟა | 77.5% | 77.7% | 87.9% | 38.5% | 80.5% |
| EBIT | 21,498 | 20,407 | 11,982 | -10,734 | 24,016 |
| EBIT მარჟა | 48.9% | 48.0% | 80.8% | -19.8% | 56.3% |
| საბალანსო უწყისი | | | | | |
| მიმდინარე აქტივები | 51,805 | 70,085 | 8,611 | 21,189 | 10,226 |
| LT აქტივები | 302,994 | 366,615 | 96,777 | 357,028 | 243,937 |
| მიმდინარე ვალდებულებები | 12,576 | 13,058 | 13,307 | 57,810 | 53,655 |
| LT ვალდებულებები | 299,389 | 311,161 | 81,893 | 700,907 | 274,416 |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება | | | | | |
| CFO | 22,710 | 47,550 | -612 | 659 | 34,433 |
| CFI | -6,012 | 22,888 | -247 | - | 1,617 |
| CCF | -41,460 | -30,565 | 7,873 | -1,383 | -35,260 |
| კოეფიციენტები | | | | | |
| წმინდა ვალი/EBITDA | 7.97 | 7.77 | 6.70 | 33.49 | 9.49 |
| მიმდინარე კოეფიციენტი | 4.12 | 5.37 | 0.65 | 0.37 | 0.19 |
| ICR | 1.43 | 1.63 | 2.25 | 1.28 | 1.44 |

ზოგადი შენიშვნა: ზემოთ წარმოდგენილი ძირითადი მაჩვენებლების გამოთვლის მეთოდოლოგია და განმარტებები შეესაბამება პროსპექტის „ზოგადი მიმოხილვის“ „ძირითადი ფინანსური კოეფიციენტების“ ქვეთავში გამჟღავნებულ მიდგომებს.

წყარო: SARAS „reportal“ (<https://reportal.ge/>)

ოპერაციული და ფინანსური მიმოხილვა

პროსპექტში წარმოდგენილი ინფორმაცია 2021 და 2020 წლებისთვის ეფუძნება ემიტენტის ცალკე გამოყოფილ (Carved Out) აუდიტირებულ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას 2021 წლისთვის და 2022 და 2021 წლების 6 თვის მდგომარეობით - 2022 წლის ნახევარი წლის ფინანსურ ანგარიშგებას. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS-ის) შესაბამისად. 2022 ნახევარი წლის ანგარიშგება შესადარისი 2021 წლის პერიოდით ასევე შედგენილია carve out პრინციპით;

2021 წლისთვის მომზადებული ემიტენტის ცალკე გამოყოფილი (Carved Out) აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის აუდიტორის დასკვნის ტიპი არის უპირობო. ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და დამატებითი დეტალები შესაბამისად მითითებულია თანდართულ ანგარიშგებაში.

ფინანსური მდგომარეობა

| საბალანსო უწყისი, ათასი ლარი | 30.06.2022 არააუდ. | 31.12.2021 აუდ. | 31.12.2020 აუდ. |
|---|-----------------------|--------------------|--------------------|
| აქტივები | | | |
| გრძელვადიანი აქტივები | | | |
| ძირითადი საშუალებები | 278,212 | 300,597 | 364,349 |
| გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული აქტივები | 1,211 | 1,254 | 1,279 |
| გაცემული გრძელვადიანი სესხები | 874 | 13 | 39 |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | 1087 | 1130 | 948 |
| მთლიანი გრძელვადიანი აქტივები | 281,384 | 302,994 | 366,615 |
| მიმდინარე აქტივები | | | |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგი | 480 | 406 | 365 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 3,206 | 2,366 | 1,762 |
| გაცემული სესხები | 7,160 | 14 | 164 |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები, გარდა საშემოსავლო გადასახადისა | 2,726 | 1,262 | 1,440 |
| ანაზღაურებადი აქტივები | 2,192 | 2,318 | 2,808 |
| სავაჭროდ ფლობილი ფინანსური აქტივები | 10,938 | 8,122 | 0 |
| ავანსები | 842 | 369 | 284 |
| ნაღდი ფული ბანკში | 18,923 | 36,948 | 63,262 |
| მთლიანი მიმდინარე აქტივები | 46,467 | 51,805 | 70,085 |
| მთლიანი აქტივები | 327,851 | 354,799 | 436,700 |
| კაპიტალი | | | |
| სააქციო კაპიტალი | 84,664 | 84,664 | 104,664 |
| გაუნაწილებელი მოგება | -64,128 | -60,135 | -14,617 |
| სხვა რეზერვები | 17,418 | 18,305 | 22,434 |
| კაპიტალი, რომელიც მიეკუთვნება მშობელი საწარმოს მესაკუთრებს | 37,954 | 42,834 | 112,481 |
| უმცირესობის წილი | - | - | - |
| კაპიტალი სულ | 37,954 | 42,834 | 112,481 |
| ვალდებულებები | | | |
| გრძელვადიანი ვალდებულებები | | | |
| ნასესხები სახსრები და გამოშვებული ობლიგაციები | 275,372 | 297,648 | 308,549 |
| საიჯარო ვალდებულებები | 1,225 | 1,191 | 1,140 |
| სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები | 520 | 550 | 1,472 |

| მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები | 277,117 | 299,389 | 311,161 |
|---|----------------|----------------|----------------|
| მიმდინარე ვალდებულებები | | | |
| ნასესხები სახსრები და გამოშვებული ობლიგაციები | 9,067 | 9,680 | 10,098 |
| სავაჭრო და სხვა გადასახდელები | 1,129 | 972 | 1,814 |
| საიჯარო ვალდებულებები | 112 | 118 | 97 |
| სხვა მიმდინარე ვალდებულებები | 0 | 1,185 | 0 |
| საგადასახადო ვალდებულება, მოგების გადასახადის გარდა | 2,472 | 621 | 1,049 |
| სულ მიმდინარე ვალდებულებები | 12,780 | 12,576 | 13,058 |
| მთლიანი ვალდებულებები | 289,897 | 311,965 | 324,219 |
| მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი | 327,851 | 354,799 | 436,700 |

მთლიანი აქტივები

2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით აქტივები 27 მლნ ლარით, ანუ 7.6%-ით შემცირდა და გახდა 327.9 მლნ ლარი (2021 წლის 31 დეკემბერს 354.8 მლნ ლარიდან). მთლიანი აქტივების შემცირება გამოიწვია როგორც გრძელვადიანი, ისე მიმდინარე აქტივების შემცირებამ, შესაბამისად 7.1% და 10.3%-ით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანი აქტივები შემცირდა 81.9 მილიონი ლარით, ანუ 18.8%-ით 354.8 მილიონ ლარამდე, 2020 წლის 31 დეკემბრის მაჩვენებელთან - 436.7 მილიონთან შედარებით. მთლიანი აქტივების შემცირება განპირობებულია – გრძელვადიანი აქტივებისა და მიმდინარე აქტივების შემცირებით, 17.4%-ითა და 26.1%-ით, შესაბამისად.

გრძელვადიანი აქტივები

2022 წლის პირველ 6 თვეში გრძელვადიანი აქტივები 21.6 მლნ ლარით, ანუ 7.1%-ით შემცირდა 302.9 მლნ ლარიდან და 281.4 მლნ ლარი გახდა. შემცირება გამოიწვია ძირითადი საშუალებების 22.4 მლნ ლარით (7.4%-ით) შემცირებამ 278.2 მლნ ლარამდე, რისი მიზეზიც გახდა 16.4 მლნ ლარის საკურსო სხვაობა - 2021 წლის 31 დეკემბერთან შედარებით ლარი დოლართან მიმართებაში 5.4%-ით გამყარდა.

ძირითადი საშუალებების ჩაშლა აქტივების ტიპების მიხედვით:

| ათასი ლარი | 30.06.2022 | 31.12.2021 | 31.12.2020 |
|---------------------------------------|----------------|----------------|----------------|
| | არააუდ. | აუდ. | აუდ. |
| მიწის ნაკვეთები | 1,187 | 1,225 | 1,327 |
| შენობა-ნაგებობები | 64,169 | 69,146 | 75,883 |
| ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის აქტივები | 205,251 | 223,752 | 283,934 |
| სატრანსპორტო საშუალებები | 792 | 755 | 782 |
| ინვენტარი და აღჭურვილობა | 1,164 | 1,248 | 1,315 |
| დაუმთავრებელი მშენებლობა | 5,649 | 4,441 | 1,108 |
| ძირითადი საშუალებები | 278,212 | 300,597 | 364,349 |

2021 წელს 2020 წელთან შედარებით გრძელვადიანი აქტივები შემცირდა 17.4%-ით - 366.6 მილიონი ლარიდან 302.9 მილიონ ლარამდე. გრძელვადიანი აქტივების შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების შემცირებით 300.6 მილიონამდე (17.5%-ით). ძირითადი საშუალებების შემცირება გამოწვეული იყო მესტიაჭალა 1 ჰიდროელექტროსადგურის გაუფასურებით და სავალუტო გადაფასებით. მესტიაჭალის 36.6 მილიონიანი გაუფასურება გამოწვეული იყო მენეჯმენტის

გადაწყვეტილებით არ აღედგინათ მესტიაჭალა 1. 22.3 მილიონ ლარიანი საკურსო სხვაობა გამოწვეული იყო ლარის 5.5%-ანი გამყარებით დოლართან მიმართებაში წინა წელთან შედარებით.

მიმდინარე აქტივები

2022 წლის 30 ივნისს მიმდინარე აქტივებმა შეადგინა 46.5 მლნ ლარი, რაც 2021 წლის ბოლოს 51.8 მლნ-თან შედარებით 10.3%-იანი კლება იყო. შემცირება გამოიწვია ფულადი სახსრების ნაშთის კლებამ, რადგან 2022 წელს მოხდა ობლიგაციების ძირის ნაწილის (7 მლნ ლარი) და კუპონის (11.5 მლნ ლარი) დაფარვა. თანხის გადინება ნაწილობრივ დააკომპენსირა ელექტროენერჯის გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა

2021 წელს მიმდინარე აქტივებმა შეადგინა 51.8 მილიონი ლარი, რაც წარმოადგენს 26.1%-იან კლებას 2020 წლის 70.1 მილიონ ლართან შედარებით. მიმდინარე აქტივების შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო ბანკში არსებული ფულადი სახსრების 26.3 მილიონი ლარით შემცირებით. 2021 წელს ფულადი სახსრების შემცირება ძირითადად გამოწვეულია კაპიტალის შემცირებით (20.0 მილიონი ლარი) და ასევე მოკლევადიანი ინვესტიციებით ფასიანი ქაღალდებში, კერძოდ ობლიგაციებში (საბალანსო უწყისის სავაჭროდ ფლობილი ფინანსური აქტივები). 2021 წელს სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნები გაიზარდა 34.3%-ით, 2.4 მილიონ ლარამდე, რაც გამოწვეულია 2021 წლის დეკემბერში ელექტროენერჯის გაზრდილი წარმოებითა და რეალიზაციით.

მთლიანი კაპიტალი

2022 წლის 6 თვეში საკუთარი კაპიტალი 4.9 მლნ ლარით, ანუ 11.4%-ით შემცირდა 42.8 მლნ ლარიდან 38.0 მლნ ლარამდე. შემცირება გამოიწვია 4.9 მლნ ლარის სრულმა ზარალმა, საიდანაც 4 მლნ ლარი იყო მიმდინარე წლის ზარალი, ხოლო 0.9 მლნ ლარი სხვა რეზერვების ზარალი. ეს უკანასკნელი დოლარის მიმართ ლარის გამყარებამ გამოიწვია

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანი კაპიტალი შემცირდა 69.6 მილიონი ლარით, ანუ 61.9%-ით 42.8 მილიონამდე წინა წლის 112.5 მილიონ ლართან შედარებით. შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული 49.6 მილიონი ლარის ოდენობის სრული ზარალით, რაც მოიცავდა 45.5 მილიონს მიმდინარე წლის ზარალს და 4.1 მილიონს სხვა რეზერვების დანაკარგს. წლის ძირითადი ზარალი 36.6 მილიონი ლარის ოდენობით უმეტესად გამოწვეული იყო მესტიაჭალა 1 ჰიდროელექტროსადგურის გაუფასურებით, აგრეთვე, 6.8 მილიონის ოდენობის არასაოპერაციო ხარჯებით. სხვა რეზერვების ზარალი გამოწვეული იყო ეროვნული ვალუტის კურსის ზრდით აშშ დოლართან მიმართებით. ზემოაღნიშულთან ერთად, 2021 წელს კომპანიამ შეამცირა სააქციო კაპიტალი 20 მილიონი ლარის ოდენობით.

სესხები

2022 წლის 30 ივნისისთვის მთლიანი სესხები 22.9 მლნ ლარით შემცირდა და შეადგინა 284.4 მლნ ლარი, რაც 2021 წლის ბოლოსთან შედარებით 7.4%-იანი შემცირება იყო. სესხების 16.7 მლნ ლარით შემცირება გამოწვეული იყო ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით, ასევე 7 მლნ ლარის ობლიგაციის ძირის ნაწილის დაფარვით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანი სესხები შემცირდა 11.3 მილიონი ლარით, ანუ 3.6%-ით, 307.3 მლნ ლარამდე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული 318.6 მილიონ ლართან შედარებით. სესხების 17.7 მილიონი ლარით შემცირება გამოწვეული იყო ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით, რომელიც ძირითადად ანაზღაურდა 2.6 მილიონი ლარით პარტნიორის სესხის ზრდით (შპს დარჩი).

შპს დარჩის პარტნიორის სესხის გარდა, არსებული სესხები მოიცავდა 2020 წელს ობლიგაციების გამოშვების შედეგად მოზიდულ თანხებს. 2021 წლის ბოლოსთვის, ობლიგაციების ნაშთმა შეადგინა 304.6 მილიონი ლარი.

კაპიტალიზაცია და დავალიანება

კაპიტალის სტრუქტურა 2022 წლის 30 ივნისის (მათ შორის, კორექტირების გათვალისწინებით) და 2021 და 2020 წლების ბოლოს მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

| კაპიტალიზაცია და დავალიანება, ათასი ლარი | 30.06.2022 კორექტ. ⁽¹⁾ | 30.06.2022 არააუდ. | 31.12.2021 აუდ. | 31.12.2020 აუდ. |
|---|--------------------------------------|-----------------------|--------------------|--------------------|
| დავალიანება | | | | |
| მიმდინარე სესხები | 1,505 | 9,067 | 9,680 | 10,098 |
| მიმდინარე საიჯარო ვალდებულება | 109 | 112 | 118 | 97 |
| მიმდინარე დავალიანება | 1,614 | 9,179 | 9,798 | 10,195 |
| გრძელვადიანი სესხები | 258,432 | 275,372 | 297,648 | 308,549 |
| გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება | 1,201 | 1,225 | 1,191 | 1,140 |
| გრძელვადიანი დავალიანება | 259,633 | 276,597 | 298,839 | 309,689 |
| საკუთარი კაპიტალი | | | | |
| საწესდებო სააქციო კაპიტალი | 84,664 | 84,664 | 84,664 | 104,664 |
| გაუნაწილებელი მოგება | -64,128 | -64,128 | -60,135 | -14,617 |
| სხვა რეზერვები | 17,418 | 17,418 | 18,305 | 22,434 |
| კაპიტალი, რომელიც მიეკუთვნება მშობელი საწარმოს მესაკუთრებს | 37,954 | 37,954 | 42,834 | 112,481 |
| უმცირესობის წილი | - | - | - | - |
| სულ საკუთარი კაპიტალი | 37,954 | 37,954 | 42,834 | 112,481 |
| სულ კაპიტალიზაცია⁽²⁾ | 297,587 | 314,551 | 341,673 | 422,170 |

შენიშვნა:

(1) 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კორექტირებული მონაცემები ითვალისწინებს შემდეგი მოვლენების ეფექტს ემიტენტის ვალდებულებებზე (კაპიტალის მუხლები დატოვებულია უცვლელად, რამდენადაც პროსპექტის მომზადების თარიღისთვის აღნიშნული განახლებული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი/შეუძლებელია მათი შეფასება):

- GGU-ის მიერ 2020 წლის 28 ივლისს გამოშვებული \$250 მილიონის ევრო-ობლიგაციების და შესაბამისად, ემიტენტსა და მის ჯგუფზე მიკუთვნილი დაახლოებით \$95 მილიონის გადაფარვის ეფექტს;
- ემიტენტის 100%-იანი არაპირდაპირი მესაკუთრისგან, სს „საქართველოს კაპიტალისგან“ მიღებული დაახლოებით \$90 მილიონის დამფუძნებლის სუბორდინირებული დაფინანსების და ემიტენტის ბალანსზე არსებული დაახლოებით \$5 მილიონის ნაღდი ფულის მეშვეობით;
- წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული \$80 მილიონის ობლიგაციების ემისიის ეფექტს, რომლითაც განხორციელდება ემიტენტის არაპირდაპირი მესაკუთრის მიმართ არსებული დაახლოებით \$90 მილიონის დამფუძნებლის სუბორდინირებული დაფინანსების რეფინანსირება (რეფინანსირების შემდეგ დარჩენილი დამფუძნებლის სუბორდინირებული დაფინანსება: დაახლოებით \$10 მილიონი).

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული კორექტირების ეფექტი არ ეფუძნება ზუსტ IFRS მონაცემებს, არამედ წარმოადგენს პროსპექტის მომზადების თარიღისთვის ემიტენტისთვის ხელმისაწვდომ მაქსიმალურად დაზუსტებულ ინფორმაციას.

(2) გრძელვადიანი დავალიანება კლუს საკუთარი კაპიტალი

2022 წლის 30 ივნისის და შესადარისი პერიოდებისთვის, კომპანიის დავალიანებას შეადგენდა Georgia Global Utilities-ის 2020 წლის 28 ივლისს გამოშვებული 5 წლიანი 250,000,000 აშშ დოლარის 7.750%-იანი ევრო-ობლიგაციებიდან განახლებადი ენერჯის ბიზნესის წილს - დაახლოებით 95 მლნ აშშ დოლარს. აღნიშნული ევრო-ობლიგაციებიდან 95.4 მლნ აშშ დოლარის კომპანიაზე ალოცირება არ გულისხმობს მის სამართლებრივ გადაცემას. არსებული ობლიგაციებიდან გამომდინარე სამართლებრივი ვალდებულებები ეკისრება ემიტენტ კომპანიას Georgian Global Utilities-ს. ვალდებულების კომპანიისთვის ალოკაცია მოხდა შინაარსობრივად და მოხდა მისი აღიარება carve out ფინანსურ ანგარიშგებებში.

როგორც აღწერილია ქვეთავში „შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება“, კომპანიამ ადგილობრივი ობლიგაციებით მოზიდული სახსრებით უნდა გადაფაროს მისი 100%-იანი არაპირდაპირი მესაკუთრისგან, სს „საქართველოს კაპიტალისგან“ დაახლოებით \$90 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით მიღებული დროებითი სუბორდინირებული სესხის უდიდესი ნაწილი (დამფუძნებლის სუბორდინირებული დაფინანსება), რის შედეგადაც მას დარჩება დაახლოებით \$10 მილიონის ოდენობის დამფუძნებლის სუბორდინირებული დაფინანსება. დაახლოებით \$90 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით დამფუძნებლის სუბორდინირებული დაფინანსება, თავის მხრივ, გამოყენებული იქნა ემიტენტის ყოფილი 100%-იანი აქციონერის, GGU-ს მიერ 2020 წლის 28 ივლისს გამოშვებული US\$ 250 მილიონის არსებული მწვანე ევრო-ობლიგაციის ვადამდელ გადაფარვისთვის 2022 წლის 7 სექტემბერს. კერძოდ, აღნიშნული US\$250 მილიონიდან, ემიტენტისა და მისი ჯგუფისთვის (განახლებადი ენერჯის საოპერაციო ბიზნესის წილის რეფინანსირებისთვის) მიკუთვნებული დაახლოებით \$ 95 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ვალდებულების გადაფარვა განხორციელდა დამფუძნებლის სუბორდინირებული დაფინანსებით დაახლოებით \$90 მილიონის ოდენობით და ემიტენტის ბალანსზე არსებული დაახლოებით \$5 მილიონის ნაღდი ფულის მეშვეობით (აქედან, ნაწილი ნაღდი ფული მიღებულ იქნა 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ემიტენტის მიერ სავაჭროდ ფლობილი ფინანსური აქტივების სრულად რეალიზაციის შედეგად);

დამფუძნებლის დაახლოებით \$90 მილიონის სუბორდინირებული დაფინანსების პირობები პროსპექტის მომზადების თარიღისთვის შემდეგია:

- წლიური საპროცენტო განაკვეთი: 7.50%;
- დაფარვის ვადა: 2028 წლის ივნისი;
- გადახდის გრაფიკი: მოქნილი;
- დამატებითი არასტანდარტული შეზღუდვები და ფინანსური კოვენანტები/უზრუნველყოფის მოთხოვნა: არ არსებობს;

ჯამში, 2022 წლის 30 ივნისის კორექტირებული მონაცემებით, კომპანიის დავალიანება მოიცავს:

- დაახლოებით \$10 მილიონის დამფუძნებლის სუბორდინირებულ დაფინანსებას (იმ დაშვებით, რომ ადგილობრივი ობლიგაციების მეშვეობით მოხდება არსებული დაახლოებით \$90 მილიონიდან \$80 მილიონის გადაფარვა);
- \$80 მილიონის ადგილობრივ ობლიგაციებს;
- სხვა საპროცენტო ვალდებულებებს, რომლებიც აღწერილია ქვემოთ:

გრძელვადიანი ვალდებულებები ობლიგაციებით მოზიდული სახსრების და დამფუძნებლის სუბორდინირებული დაფინანსების გარდა ასევე მოიცავს შპს დარჩის მიერ მოზიდულ სესხს დაკავშირებული მხარისაგან 2.6 მილიონი ლარის მოცულობით, რაც ამ ეტაპისთვის კომპანიისთვის არ არის არსებითი. სამომავლოდ იგეგმება შპს დარჩის გამოყოფა (spin-off) GRPO-სგან.

საიჯარო ვალდებულებები მოიცავს შვილობილი კომპანიების მფლობელობაში არსებული მიწების აღნაგობებს. 2022 წლის 30 ივნისისთვის აღნიშნული ვალდებულება შეადგენს 1,225 ათას ლარს და არ არის არსებითი

კომპანიისთვის. ბოლო და პროსპექტში წარმოდგენილი ფინანსური პერიოდებისთვის, ასევე ბოლო ფინანსური პერიოდიდან პროსპექტის შედგენამდე პერიოდის განმავლობაში არ ჰქონია ადგილი სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის ან/და ძირის გადაუხდელობას, ან/და ემიტენტის ან მისი შვილობილების მხრიდან, ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში კოვენანტების დარღვევას.

ემიტენტის დამატებითი სასესხო საჭიროებების აღწერა:

გარდა ობლიგაციების ემისიიდან მოზიდული სახსრებისა, ამ ეტაპისთვის არსებული ინფორმაციით, კომპანიას არ გააჩნია დაზუსტებული ინფორმაცია ან/და შეფასება სამომავლო დაფინანსების საჭიროებასთან დაკავშირებით.

ლიკვიდურობის პროფილი

ლიკვიდურობის პროფილის შესაფასებლად, ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების საფუძველზე.

| | <i>1 წელზე ნაკლები</i> | <i>1-3 წელი</i> | <i>3-5 წელი</i> | <i>5 წელზე მეტი</i> | <i>სულ</i> |
|--|----------------------------|-----------------|-----------------|-------------------------|----------------|
| 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | | | | | |
| გრძელვადიანი და მოკლევადიანი ნასესხები სახსრები და გამოშვებული ობლიგაციები | 32,454 | 45,816 | 318,497 | – | 396,767 |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები | 972 | – | – | – | 972 |
| საიჯარო ვალდებულებები | 118 | 224 | 224 | 3,648 | 4,214 |
| სულ მომავალი გადახდები | 33,544 | 46,040 | 318,721 | 3,648 | 401,953 |
| 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | | | | | |
| გრძელვადიანი და მოკლევადიანი ნასესხები სახსრები | 10,098 | 73,472 | 360,330 | – | 443,900 |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები | 1,814 | – | – | – | 1,814 |
| საიჯარო ვალდებულებები | 97 | 193 | 193 | 3,960 | 4,443 |
| სულ მომავალი გადახდები | 12,009 | 73,665 | 360,523 | 3,960 | 450,157 |

ლიკვიდურობის რისკის მართვისას ემიტენტის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ემიტენტი შეძლებს ვადადამდგარი ვალდებულებების დაფარვას განაწილებულ ევრო ობლიგაციებზე მომავალ კუპონურ გადახდებთან მიმართებით განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებული ფულადი ამონაგების გამოყენებით.

საოპერაციო შედეგები

| მოგება და ზარალის ანგარიშგება, ათასი ლარი | 2022 HY არააუდ. | 2021 HY არააუდ. | 2021 აუდ. | 2020 აუდ. |
|---|--------------------|--------------------|-----------------|-----------------|
| შემოსავალი ელექტროენერჯის გაყიდვიდან | 19,244 | 20,432 | 43,309 | 38,258 |
| ბიზნესის შეფერხების ანაზღაურება | - | - | 587 | 4,252 |
| სხვა შემოსავალი | - | - | 55 | - |
| სულ ამონაგები და შემოსულობა | 19,244 | 20,432 | 43,951 | 42,510 |
| ელექტროენერჯის და გადაცემის ხარჯები | (338) | (275) | (524) | (221) |
| ხელფასები და თანამშრომლების სხვა სარგებელი | (576) | (444) | (929) | (1,063) |
| გადასახადები, გარდა საშემოსავლო გადასახადისა | (1,159) | (1,360) | (2,480) | (2,536) |
| სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | (190) | (161) | (329) | (376) |
| პროფესიული საფასური | (361) | (286) | (732) | (677) |
| ნედლეული, საწვავი და სხვა სახარჯი მასალები | (96) | (25) | (285) | (55) |
| მოვლის ხარჯები | (1,218) | (1,367) | (2,631) | (2,801) |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | (843) | (1,042) | (1,963) | (1,734) |
| EBITDA | 14,463 | 15,472 | 34,078 | 33,047 |
| ფინანსური შემოსავალი | 646 | 581 | 1,293 | 355 |
| ფინანსური ხარჯები | (11,706) | (12,734) | (24,873) | (23,772) |
| წმინდა საკურსო მოგება / (ზარალი) | (27) | 22 | (25) | (1,301) |
| ამორტიზაცია და ცვეთა | (5,585) | (6,564) | (12,580) | (12,640) |
| ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ზარალი | - | - | - | (10,002) |
| ძირითადი საშუალებების გაუფასურება | - | - | (36,595) | - |
| ევრობონდის რეფინანსირებასთან დაკავშირებული ხარჯები | - | - | (2,766) | - |
| არარეგულირებული ხარჯები | (1,783) | (1,328) | (4,050) | (575) |
| ზარალი დაბეგვრამდე | (3,992) | (4,551) | (45,518) | (14,888) |
| საშემოსავლო გადასახადის ხარჯი | - | - | - | - |
| სუფთა ზარალი | (3,992) | (4,551) | (45,518) | (14,888) |
| მიეკუთვნება: | | | | |
| სათავო საწარმოს მესაკუთრეები | (3,992) | (4,551) | (45,518) | (14,152) |
| არამაკონტროლებელი წილები | - | - | - | (736) |
| სხვა სრული შემოსავალი | | | | |
| მოგება სავალუტო გადაფასებებიდან | (888) | (2,676) | (4,129) | 15,298 |
| სულ საანგარიშო პერიოდის წმინდა სრული შემოსავალი/ზარალი | (4,880) | (7,227) | (49,647) | 410 |
| მიეკუთვნება: | | | | |
| სათავო საწარმოს მესაკუთრეები | (4,880) | (7,227) | (49,647) | 2,604 |
| არამაკონტროლებელი წილები | - | - | - | (2,194) |

შემოსავალი

დოლარში 2022 წლის პირველ ნახევარში შემოსავლები 3.6%-ით გაიზარდა, რაც გამოწვეული იყო ელექტროენერჯის საშუალო ტარიფის წლიური 9.1%-იანი ზრდით. თუმცა ლარში შემოსავლები 5.8%-ით შემცირდა, რაც ასახავს დოლარის მიმართ ეროვნული ვალუტის დაახ. 10%-იან გამყარებას.

ელექტროენერჯის საშუალო გასაყიდი ფასმა 2022 წელს თითო მგვტ.სთ-ზე 52.1 აშშ დოლარს მიაღწია, 2021 წელს ეს მაჩვენებელი 47.8 აშშ დოლარი იყო. არასამთავრობო კონტრაქტებით საშუალო საბაზრო ფასი ერთ მგვტ.სთ-ზე 38.1%-ით 44.1 აშშ დოლარამდე გაიზარდა.

2021 წლის შემოსავლები ელექტროენერჯის გაყიდვიდან წინა წელთან შედარებით გაიზარდა 3.4%-ით, რაც არ მოიცავს ბიზნესის შეფერხებიდან მიღებულ ანაზღაურებას. ძირითადი მიმართულების ზრდა გამოწვეული იყო ჰიდროლოგიური პირობების გაუმჯობესებით ელექტროენერჯის აქტივებში, რამაც გამოიწვია მთლიანი წარმოების დონის 16%-იანი ზრდა. ასევე, განახლებადი ენერჯის ბიზნეს დადებითად აისახა ელექტროენერჯის გაყიდვის ხელსაყრელი საშუალო ფასები, რამაც შეადგინა თითო მგვტ.სთ-ზე 50.7 აშშ დოლარი. ყველა ჰიდრო და ქარის ელექტროსადგურმა ისარგებლა 2021 წელს მთავრობასთან PPA-ს გრძელვადიანი კონტრაქტით.

შემოსავლის განაწილება სხვადასხვა ჭრილში წარმოდგენილია ქვემოთ:

| შემოსავალი, ათასი ლარი | 2022 HY | 2021 HY | 2021 | 2020 |
|---|---------------|---------------|---------------|---------------|
| | არააუდ. | არააუდ. | აუდ. | აუდ. |
| ელექტროენერჯის გაყიდვიდან შემოსავალი კომერციულ მომხმარებლებზე | 7,397 | 5,656 | 11,499 | 9,808 |
| ელექტროენერჯის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი ESCO დან | 11,847 | 14,776 | 31,810 | 28,450 |
| ელექტროენერჯის გაყიდვიდან მთლიანი შემოსავალი | 19,244 | 20,432 | 43,309 | 38,258 |

| შემოსავალი და გამომუშავება | 2022 HY | 2021 HY | 2021 | 2020 |
|----------------------------------|---------|---------|-------|-------|
| | არააუდ. | არააუდ. | აუდ. | აუდ. |
| შემოსავლები (მილიონი ლარი) | 19.24 | 20.43 | 43.95 | 42.51 |
| შემოსავლები (მილიონი აშშ დოლარი) | 6.30 | 6.20 | 13.60 | 13.70 |
| გამომუშავება (გგვტ/სთ) | 123 | 129 | 266 | 229 |

| შემოსავლები და გამომუშავება ელექტროსადგურებისთვის | 2021 | | 2020 | |
|---|------------------------|----------------------------------|------------------------|----------------------------------|
| | გამომუშავება (გგვტ/სთ) | შემოსავლები (მილიონი აშშ დოლარი) | გამომუშავება (გგვტ/სთ) | შემოსავლები (მილიონი აშშ დოლარი) |
| „ჰიდროლექს“ ჰიდროელექტროსადგურები | 81 | 3.82 | 48 | 2.28 |
| „ქართლის ქარის ელექტროსადგური“ | 83 | 5.42 | 91 | 5.95 |
| ჰესი „მესტიაჭალა 2“ | 104 | 4.19 | 92 | 4.05 |

2021 წელს, შემოსავლების 73% წარმოადგენდა PPA ფარგლებში მიღებულ შემოსავალს, ხოლო ელექტროსადგურების მიხედვით, შემოსავლები შემდეგნაირად ნაწილდება: ჰიდროლექს ჰესები (28%), ქართლის ქარის ელექტროსადგური (40%), მესტიაჭალა 2-ის ჰესი (32%);

2022 წლის პირველ ნახევარში ელექტროენერჯის გაყიდვების 62%-მდე მოდიოდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოებთან გაფორმებულ გრძელვადიან კონტრაქტებზე. ახმეტის ჰიდროელექტროსადგურის კონტრაქტის ამოწურვის გამო ამ კონტრაქტებიდან შემოსავალი 19.8%-ით შემცირდა.

EBITDA

2022 წლის პირველ ნახევარში საოპერაციო ხარჯები მეტ-ნაკლებად სტაბილური იყო 4.8 მლნ ლარზე, 2021 წლის პირველ ნახევართან შედარებით უმნიშვნელო - 3.7%-იანი შემცირებით. შედეგად, დოლარში EBITDA 5.3%-ით გაიზარდა, ხოლო ლარში ეროვნული ვალუტის დოლართან მიმართებაში ~10%-იანი გამყარების გამო 14.5 მლნ ლარამდე, 6.5%-ით შემცირდა

2021 წელს საოპერაციო ხარჯები შენარჩუნდა სტაბილურ დონეზე - 9.9 მილიონზე, მხოლოდ უმნიშვნელო 4.3%-იანი ნაზრდით 2020 წელთან შედარებით.

2021 წელს EBITDA გაიზარდა 3.1%-ით 34.1 მილიონ ლარამდე, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ელექტროენერჯის აქტივების გაუმჯობესებული გამომუშავებით.

წმინდა ფინანსური ხარჯი და ცვეთა

2022 და 2021 წლების პირველ ნახევარში წმინდა ფინანსურმა ხარჯმა შესაბამისად 11.1 მლნ ლარი და 12.2 მლნ ლარი შეადგინა. ხოლო 2020 და 2021 წლების საპროცენტო ხარჯებმა შეადგინა შესაბამისად 23.6 და 23.4 მილიონი ლარი. ფინანსური ხარჯები ძირითადად დაკავშირებული იყო არსებულ ობლიგაციებზე დარიცხულ პროცენტის ხარჯებთან.

2022 და 2021 წლების პირველ ნახევარში ცვეთის ხარჯი შესაბამისად 5.6 მლნ და 6.6 მლნ ლარი იყო, სხვაობა გამოწვეულია ძირითადი საშუალებების ბალანსის შემცირებით, რაც თავის მხრივ 2021 წლის ბოლოს მესტიჭალა 1 ჰესის გაუფასურებამ გამოიწვია.

2020 და 2021 წლების ცვეთამ და ამორტიზაციამ შეადგინა 12.6 მილიონი ლარი.

არარეგულირებული და სხვა ხარჯები

კომპანია შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია საკურსო ცვლილებებთან და მოვლენებთან, და იმგვარ ხარჯებთან, რომლებიც არ მეორდება ძირითადი საქმიანობის პროცესებში, (შესაბამისად შეუძლებელია მოსალოდნელი ოდენობის სანდო შეფასება) ერთბაშად აღიარებს. შესაბამისად, აღნიშნული ხარჯები მიიღება მხედველობაში მომავალი შედეგების პროგნოზირებაში.

სხვა ხარჯები მოიცავს ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ზარალს, ძირითადი საშუალებების გაუფასურებას, ევროზონდის რეფინანსირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

2021 წელს არარეგულირებული და სხვა ხარჯები გაიზარდა 32.8 მილიონი ლარით და შეადგინა 43.4 მილიონი ლარი. ზრდა ძირითადად დაკავშირებული იყო მესტიჭალის ჰიდროელექტროსადგურის 36.6 მილიონი ლარის ოდენობით გაუფასურებასთან და მესტიჭალის ჰიდროელექტროსადგურის სადაზღვევო ზარალის 2.3 მილიონი ლარით კორექტირებასთან.

2020 წელს არარეგულირებული და სხვა ხარჯები შეადგენდა 10.6 მილიონ ლარს, საიდანაც 10.0 მილიონი ლარი იყო ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან მიღებული სესხების ვადაზე ადრე დაფარვის საკომისიო, იმ სესხებთან დაკავშირებით, რომლებიც შემდგომში რეფინანსირდა ევრო ობლიგაციის საშუალებით.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების მიმოხილვა

| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება, ათასი ლარი | 2022 HY არააუდ. | 2021 HY არააუდ. | 2021 აუდ. | 2020 აუდ. |
|---|----------------------------|----------------------------|----------------------|----------------------|
| <i>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან სავაჭრო ფასიან ქაღალდებში ინვესტიციამდე</i> | 12,076 | 9,529 | 31,018 | 47,550 |
| <i>წმინდა ინვესტიცია სავაჭრო ფასიან ქაღალდებში</i> | -3,064 | -8,308 | -8,308 | - |
| ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან | 9,012 | 1,221 | 22,710 | 47,550 |
| ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაზე | -7,476 | -3,952 | -6,012 | 22,888 |
| ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან | -18,584 | -19,881 | -41,460 | -30,565 |
| უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე | -977 | -507 | -1,552 | 3,171 |
| წმინდა ცვლილება ფულადი სახსრები | -18,025 | -23,119 | -26,314 | 43,044 |
| ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისისთვის | 36,948 | 63,262 | 63,262 | 20,218 |
| ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს | 18,923 | 40,143 | 36,948 | 63,262 |

ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

2022 წლის პირველ ნახევარში საოპერაციო საქმიანობიდან ფულადმა ნაკადმა ფასიან ქაღალდებში ინვესტიციამდე შეადგინა 12.1 მლნ ლარი, რაც 2.5 მლნ-ით მეტია ვიდრე წინა წლის ანალოგიურ პერიოდში- 9.6 მლნ ლარი. ზრდა დაკავშირებული იყო „მესტიაჭალა“ და „ჰიდროლეა“ ჰესების ელექტროენერჯის გაყიდვებიდან მიღებული ავანსების ზრდასთან, ასევე 2021 დეკემბერი-2022 თებერვლის პერიოდში შედარებით მაღალი გენერაციით. ფულადი სახსრების ამოღების მაჩვენებელი 100% იყო.

2021 წელს საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების ნაკადმა ფასიან ქაღალდებში ინვესტიციამდე შეადგინა 31.0 მილიონი. წლის საოპერაციო ფულადი ნაკადების ზრდამ შეადგინა 4.4%, თუ არ გავითვალისწინებთ ერთჯერად მოვლენებს, როგორებიცაა 2020 წელს სადაზღვევო კომპანიისგან ბიზნესის შეფერხების ერთჯერად ანაზღაურებას 11.2 მილიონი ლარის ოდენობით და project finance-ის ფარგლებში DSRA (debt services reserve account)-ის გამოთავისუფლება შესაბამისი სესხის დაფარვის გამო 6.6 მილიონი ლარის ოდენობით . ფულადი სახსრების ამოღების მაჩვენებელი დაახლოებით 100%-იან ნიშნულს აღწევდა როგორც 2021, ასევე 2020 წელს.

2022 და 2021 წლების 6 თვის განმავლობაში განხორციელდა 8.3 მილიონი და 3.1 მილიონი ლარის ინვესტიცია ფასიან ქაღალდებში, შესაბამისად. ტრანზაქციის მიზანი იყო ფულადი სახსრების ოპტიმალური განაწილება მოკლევადიან ფინანსურ ინსტრუმენტებში.

წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან

2022 წლის პირველ ნახევარში საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების გადინებამ 7.5 მლნ ლარი შეადგინა. 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი იყო 4.0 მლნ ლარი. 2022 წელს კომპანიამ დაკავშირებულ მხარეებზე გასცა 7.9 მლნ ლარის სესხები.

2021 წლის პირველ ნახევარში საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების გადინება 4.0 მლნ ლარი იყო, საიდანაც ინვესტიციების ძირითადი ნაწილი დარჩის ჰესის განვითარებას მოხმარდა.

2021 წელს საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების გადინებამ შეადგინა 6.0 მილიონი ლარი, განსხვავებით 2020 წლისაგან, როდესაც თანხის შემოდინებამ შეადგინა 22.9 მილიონი ლარი. 2021 წელს კომპანიამ განხორციელა 7.1 მილიონი ლარის კაპიტალდაბანდება, საიდანაც 2.3 მილიონი ლარი

მიეკუთვნებოდა დარჩის ჰიდროელექტროსადგურის განვითარებას. დარჩენილი 4.8 მილიონი ლარის კაპიტალდაბანდება უკავშირდება ჰესებზე ჩატარებულ ერთჯერად სამუშაოებს.

2020 წელს, ფულადმა ნაკადმა საინვესტიციო საქმიანობიდან შეადგინა 22.9 მილიონი ლარი. აღნიშნული ძირითადად მიეკუთვნებოდა მესტიაჭალა 1 ჰიდროელექტროსადგურის ქონებრივი ზიანის სადაზღვევო ანაზღაურებას 40.9 მილიონი ლარით. აღნიშნული რომელიც ნაწილობრივ გადაფარულ იქნა შპს „ჰიდროლეს“ შემენის გადავადებული გადახდით (6.0 მილიონი ლარი).

წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან

2022 წლის პირველ ნახევარში საფინანსო საქმიანობიდან ფულადი სახსრების გადინებამ 18.6 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 7 მლნ ლარი მიიმართა ობლიგაციების ძირის შესამცირებლად, 11.5 მლნ ლარი კუპონის გადასახდელად. 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში ფულადი სახსრების გადინება იყო 19.9 მლნ ლარი, საიდანაც 9.5 მლნ ლარის იყო სააქციო კაპიტალის შემცირება, 12.2 მლნ ლარი პროცენტის გადახდა.

მთლიანობაში ფულადი სახსრების ბალანსი 2022 წლის პირველ ნახევარში 18 მლნ ლარით შემცირდა და 18.9 მლნ ლარი შეადგინა. გარდა ამისა, კომპანია ფლობდა 10.3 მლნ ლარის ფასიან ქალაქებს.

2021 წელს წმინდა ფულადი სახსრების გადინებამ საფინანსო საქმიანობიდან შეადგინა 41.5 მილიონი ლარი (35.6%-იანი ზრდა). ეს ზრდა ძირითადად გამოწვეული იყო სააქციო კაპიტალის შემცირებით. სააქციო კაპიტალის შემცირება შესაძლებელი გახდა ბიზნესის კარგი შედეგებითა და წინა წლებში დაგროვილი ფულადი სახსრების ბალანსით. სააქციო კაპიტალის შემცირებამ 2021 წელს 20.0 მილიონი ლარი შეადგინა.

მთლიანობაში, 2021 წელს კომპანიის ფულადი სახსრების ბალანსი შემცირდა 26.3 მილიონი ლარით და 37.0 მილიონი ლარი შეადგინა.

მარეგულირებელი გარემო

ენერგეტიკის სექტორის ძირითადი წესები და დებულებები

ელექტროენერჯის სექტორი რეგულირდება საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონებით, ხოლო მეორადი კანონმდებლობა შედგება სხვადასხვა ნორმატიული აქტისაგან. მაგალითად, ასეთი ნორმატიული აქტებია მთავრობის დადგენილებები, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბრძანებები („ეკონომიკის სამინისტრო“ ან „MoESD“) და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის („სემეკი“ ან „GNERC“) დადგენილებები. პირველადი კანონი, რომელიც განსაზღვრავს ბაზრის მუშაობის ძირითად პრინციპებს, არის საქართველოს კანონი ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ. აღნიშნული კანონი დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის დეკემბერში („კანონი ენერჯის შესახებ“). ეს კანონი განსაზღვრავს ბაზრის ამჟამინდელ და სამომავლო სტრუქტურას, აღწერს დაგეგმილ რეფორმებს და განსაზღვრავს მეორადი კანონმდებლობის მიღების ვადებს და მის მიღებაზე პასუხისმგებელ პირებს.

ენერგეტიკის სექტორის ძირითად პოლიტიკას, სამიზნე ინდიკატორებსა და მათი მიღწევის საშუალებებს განსაზღვრავს ეკონომიკის სამინისტრო - ეს არის სახელმწიფო ორგანო, რომელიც მართავს ენერგეტიკის სექტორს. მას ევალება ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა ბაზრის ეფექტური რეგულირების გზით, სტრატეგიული პროექტების დამტკიცებაში მონაწილეობის გზით და ა.შ. MoESD ასევე ამტკიცებს სტრატეგიული განვითარების სხვადასხვა გეგმას, როგორცაა ქსელის განვითარების 10 წლიანი გეგმა („TYNDP“), წლიური ელექტროენერჯის ბალანსი და სხვა სტრატეგიული დოკუმენტები.

მთავრობის დადგენილებებში განსაზღვრულია ენერგეტიკული ბაზრის მოდელი (მაგ. ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფცია, რომელიც მიღებულია 2020 წლის 16 აპრილს), ხოლო, სხვადასხვა საბაზრო სემენტებში მონაწილეობის კრიტერიუმები და მათი მიღწევის პირობები განსაზღვრულია MoESD-ის მიერ. მთავრობა ასევე ადგენს ეროვნული მიზნებს საქართველოსთვის განახლებადი ენერჯისა თუ ენერგოეფექტურობისთვის და ახორციელებს სხვადასხვა ქმედებებს მათი მიღწევისკენ. დამატებით, „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას განახლებადი ენერჯის წყაროების წახალისების შესახებ კანონით განსაზღვრული მექანიზმების ფარგლებში.

„სემეკი“ არის სექტორის მარეგულირებელი ორგანო, რომელიც დეტალურად შეიმუშავებს ბაზრის მუშაობის წესებს, ადგენს ტარიფებს და ამტკიცებს ინვესტიციების გეგმებს რეგულირებული ბაზრის მონაწილეობისთვის. „სემეკი“ ადგენს ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის და წყალმომარაგების სექტორების ტექნიკური მუშაობის წესებს- იგივე ქსელის წესებს; ადგენს ტარიფებს რეგულირებული სექტორისთვის; გასცემს ლიცენზიებს და აკონტროლებს ლიცენზირებული საქმიანობის შესრულებას. „სემეკი“ ერთგვარი შუამავალია სადისტრიბუციო კომპანიებს, მომხმარებლებსა და მომწოდებლებს შორის. კომისია მოიცავს ხუთ წევრს, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტის მიერ ექვსი წლის ვადით. „სემეკი“ არის დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, რომელიც არ ექვემდებარება უშუალო ზედამხედველობას სხვა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან, მაგრამ ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე. „სემეკის“ დამოუკიდებლობა გარანტირებულია იურიდიულად, ასევე საკუთარი შემოსავლის ნაკადით. კომისიის ბიუჯეტი დაფინანსებულია ძირითადად ენერგეტიკული ბაზრის ყველა მონაწილის მიერ გადახდილი მარეგულირებელი გადასახადიდან (კომპანიის შემოსავლის 0.2%), რაც უზრუნველყოფს იმას, რომ კომისია არ იყოს დამოკიდებული სახელმწიფო ბიუჯეტის სუბსიდიებზე. აღნიშნული ხელს უწყობს მისი, როგორც დამოუკიდებელი რეგულატორის სანდოობას. ასეთი დამოუკიდებლობა ევროკავშირის ენერგეტიკულ ბაზარზე სინქრონიზაციის უმთავრესი მოთხოვნაა და ასახულია ენერგეტიკული ბაზრის რეგულირების საუკეთესო პრაქტიკებში. „სემეკის“ ყველა პროცედურა, მათ შორის სალიცენზიო და სატარიფო

ანგარიშსწორების მექანიზმი, წინასწარ განსაზღვრულია "სემეკის" ბრძანებებით და საჯაროდ არის ხელმისაწვდომი გამჭვირვალების, თანამიმდევრულობისა და სანდოობის მიზნით.

ცხრილი: ძირითადი საკანონმდებლო დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს ენერგეტიკული ბაზრის მიმდინარე და მომავალ სტრუქტურას:

| დოკუმენტის სახელი | მიღებული | მიღების თარიღი | დოკუმენტი # |
|--|----------------------------------|----------------|------------------|
| საქართველოს კანონი ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ | საქართველოს პარლამენტი | 20 / 12 / 2019 | 5646 - RS |
| განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემის დამტკიცების შესახებ | საქართველოს მთავრობა | 02 / 07 / 2020 | დადგენილება N403 |
| საქართველოს კანონი „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ | საქართველოს პარლამენტი | 20 / 12 / 2019 | 5652 - RS |
| საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ | საქართველოს პარლამენტი | 24 / 06 / 2005 | 1775 |
| ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ | საქართველოს მთავრობა | 16 / 04 / 2020 | დადგენილება N246 |
| ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ: 1) ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიური ბაზრის წესები 2) ელექტროენერჯის საბალანსო და დამხმარე მომსახურების ბაზრის წესები | „სემეკი“ | 11 / 08 / 2020 | დადგენილება N46 |
| ელექტროენერჯის საცალო ბაზრის წესები | „სემეკი“ | 13 / 08 / 2020 | დადგენილება N47 |
| | | | |
| ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესები | საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი | 30 / 08 / 2006 | ბრძანება N77 |
| ლიცენზირების წესები | „სემეკი“ | 05 / 27 / 2020 | დადგენილება N22 |
| ელექტროენერგეტიკის სექტორში ტარიფებისა და საფასურის გაანგარიშების მეთოდოლოგია | „სემეკი“ | 15 / 12 / 2020 | დადგენილება N68 |
| | | | |

| | | | |
|---|----------|----------------|-----------------|
| განკარგულება ელექტროენერჯის მოქმედი ტარიფების შესახებ | „სემეკი“ | 04 / 12 / 2008 | დადგენილება N33 |
| ქსელის წესები | „სემეკი“ | 17 / 04 / 2014 | დადგენილება N10 |
| ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესები | „სემეკი“ | 30 / 03 / 2021 | დადგენილება N7 |
| ელექტროენერჯის სექტორში განსახორციელებელი გარდამავალი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ | „სემეკი“ | 12 / 11 / 2020 | დადგენილება N58 |

ენერგეტიკული ბაზრის რეფორმა საქართველოში

ენერგეტიკის სექტორის აქტიური რეფორმა დაიწყო მაშინ, როდესაც საქართველო გახდა ენერგეტიკული საზოგადოების წევრი. 2016 წლის ოქტომბერში, საქართველომ ხელი მოაწერა ოქმს, რომელიც ეხება საქართველოს გაწვერიანებას ევროკავშირის ენერგეტიკული გაერთიანების ხელმძღვანელ ოქმში. აღნიშნული რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის გაზაფხულზე. ამ ხელშეკრულებით, საქართველომ აიღო ენერგეტიკის სექტორში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან სინქრონიზაციის ვალდებულება მოკლე დროში. იმის გამო, რომ საქართველო პირდაპირ არ უკავშირდება ენერგეტიკული გაერთიანების წევრ ქვეყნებს გადამცემი ხაზის მეშვეობით, იგი თავისუფლდება რამდენიმე დირექტივის შესრულების ვალდებულებისგან. მნიშვნელოვანი ცვლილებები ეხება ბაზრის სტრუქტურას ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის სექტორებში, ენერგოეფექტურობისა და გარემოსდაცვითი სამართლის სფეროში. ენერგეტიკული გაერთიანების რეგულაციები საქართველოში უფრო კონკურენტუნარიან და გამჭვირვალე ბაზრის მოდელის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

რეფორმირების პროცესში პირველი ნაბიჯი საქართველოს პარლამენტის მიერ ახალი კანონების მიღება იყო. აღნიშნულს მოგვიანებით მთავრობისა და „სემეკის“ რამდენიმე ბრძანება მოჰყვა, სადაც მითითებულია ბაზრის ორგანიზების დეტალები. რეფორმები გავლენას ახდენს მრავალ სექტორზე, მათ შორის ელექტროენერჯისა და ბუნებრივ გაზზე, განახლება ენერჯიაზე, ენერგოეფექტურობაზე, მშენებლობაზე, გარემოსდაცვით კანონმდებლობაზე და ა.შ.

„ენერჯის შესახებ“ კანონი საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის დეკემბერში მიიღო. ენერგეტიკის შესახებ კანონი განსაზღვრავს ბაზრის ორგანიზაციის ზოგად პრინციპებს, მთავარ მონაწილეებს და მათ შორის როლების განაწილებას. „ენერჯის შესახებ“ კანონის თანახმად, საბაზრო რეფორმა ითვალისწინებს როგორც საბითუმო, ისე საცალო ბაზრების რეფორმას. შედეგად, კონკურენციის გასაძლიერებლად და რეგულირების შესუსტების მიზნით ორივე ბაზარზე ახალი მოთამაშეები გამოჩნდებიან.

ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციამ, რომელიც საქართველოს მთავრობამ მიიღო 2020 წლის აპრილში, განსაზღვრა ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის ორგანიზების დეტალები. თავდაპირველი დოკუმენტის მიხედვით, როგორც დღით ადრე ბაზარი, ასევე საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზარს მოქმედება უნდა დაეწყო 2021 წლის ივლისში, ხოლო დღიურ ბაზარს ერთი წლის დაგვიანებით. ბაზრის დაწყება რამდენჯერმე გადაიდო. ბოლო რედაქციის მიხედვით, დღით ადრე და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების უნდა გაეშვას 2023 წლის მარტის ბოლოდან.

ელექტროენერჯის ბაზარი საქართველოში მნიშვნელოვან რეფორმებს ითვალისწინებს. 2022 წლის სექტემბრიდან გაეშვა - საბალანსო და დამხმარე მომსახურების ბაზარი, უბალანსობის ანგარიშსწორების მექანიზმთან ერთად. დღიური (IDM) დაემატება ერთი წლის შემდეგ. DAM და IDM ორგანიზდება სს

საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის მიერ, რომელიც იყენებს NordPool პლატფორმას. ორმხრივი ხელშეკრულებებით ვაჭრობა კვლავ დაიშვება, მაგრამ კონტრაქტორებს ექნებათ უზალანსობაზე პასუხისმგებლობის აღების ვალდებულება, განსხვავებით დღევანდელი ბაზრისაგან. რეფორმის შედეგად მოჰყვება უფრო გამჭვირვალე და ბაზარზე - ორიენტირებული ფასები. ფასები დღით ადრე ბაზარზე განისაზღვრება მოთხოვნა- მიწოდების მრუდის საფუძველზე თითოეული საათისთვის. დღით ადრე ბაზრის ფასები უნდა გახდეს ახალი საორიენტაციო ფასები საქართველოში საბითუმო ბაზრის ფასისთვის.

დღით ადრე ბაზარი (DAM) არის ორგანიზებული აუქციონი, რომელიც ტარდება მიწოდებამდე ერთი დღით ადრე. ბაზრის მონაწილეები დაასახელებენ ელექტროენერჯის სასურველ მოცულობას და ფასს, რომლის გაყიდვა ან ყიდვა სურთ მომდევნო დღის თითოეული საათისთვის. სავაჭრო პლატფორმაზე, სპეციალური ალგორითმის მეშვეობით, მიღებული განაცხადებით გაკეთდება მოთხოვნა-მიწოდების მრუდების, ხოლო ამ მრუდების გადაკვეთის წერტილით დადგინდება საბაზრო ფასი კონკრეტული საათისთვის. აღნიშნული ფასის ალგორითმი უზრუნველყოფს ბაზრის მონაწილეთა მოგების მაქსიმიზებას. DAM აუქციონები დაიხურება ყოველდღე წინასწარ განსაზღვრულ დროს და განსაზღვრავს ფასს მომდევნო დღის ყოველ 24 საათში. DAM-ის გაშვების ოფიციალური თარიღია 2023 წლის 31 მარტი (იხ. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 აგვისტოს N438 დადგენილება „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე).

დღიური ბაზარი (IDM) არის ბაზარი, სადაც შესყიდვისა და გაყიდვის განაცხადები განთავსდება ნებისმიერ დროს, მათ შორის დღით ადრე აუქციონის დასრულების შემდეგაც. ამ ბაზარზე მყიდველი და გამყიდველი თავად განსაზღვრავენ ფასს ან ეთანხმებიან პლატფორმაზე უკვე გაკეთებულ განაცხადს. ბაზრის ოპერატორი ახორციელებს მხარეთა ანგარიშსწორებას და გადახდას, რაც უზრუნველყოფს კონტრაქტის რისკის მინიმიზირებას. IDM-სარ აქვს წინადადების განთავსების დროის შეზღუდვა და ელექტროენერჯის ვაჭრობა შესაძლებელია რეალურ წარმოებამდე / მოხმარებამდე ერთი საათით ადრე.

საბალანსო და დამხმარე მომსახურების ბაზარი სისტემის ოპერატორს დაეხმარება სისტემის ოპტიმალურ მენეჯმენტში. ამ ბაზრის პროდუქტები შექმნის სარეზერვო შესაძლებლობებს საგანგებო სიტუაციებისა და დისბალანსის დროს გამოსაყენებლად. აღნიშნული სისტემის ოპერატორს დაეხმარება სისტემის ოპტიმალურად (იაფი, ეფექტური, დროული) დაბალანსებაში ნებისმიერ სიტუაციაში. ამ ბაზარზე მყიდველი არის სისტემის ოპერატორი, ხოლო გამყიდველები ელექტროენერჯის მწარმოებლები არიან. ამ ბაზარზე შესასვლელად ელექტროსადგური უნდა აკმაყოფილებდეს წინასწარ განსაზღვრულ მოთხოვნებს და უნდა შემოწმდეს სისტემის ოპერატორის მიერ. მოთხოვნები ძირითადად ეხება ელექტროსადგურის ტექნიკურ მახასიათებლებს, მაგალითად, ელექტროენერჯის გენერაციის დრო და ამპლიტუდა, მოქნილობა და ა.შ. დამხმარე მომსახურება შეიძლება იყოს საჭიროების შემთხვევაში წინასწარ კონტრაქტით შეძენილი. სისტემის ოპერატორი აფასებს სარეზერვო შესაძლებლობების საჭიროებას და განსაზღვრავს დაბალანსებული თუ დამხმარე სერვისების პროდუქტების ჩამონათვალს, მათი შეძენის თანმიმდევრობას და მოთხოვნებს ბაზრის მონაწილეებისთვის. ამ ბაზრის გაშვება მოხდება DAM-ის პარალელურად 2023 წლის მარტის ბოლოდან.

უზალანსობის ანგარიშსწორების მექანიზმი. როდესაც ბაზრის მონაწილე ვერ ახერხებს კონკრეტულ საათში შეასრულოს თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები, მას პასუხისმგებლობა ეკისრება გამოწვეულ დისბალანსზე და უნდა გადაიხადოს შესაბამისი საფასური. უზალანსობის ღირებულების გაანგარიშება ხდება სისტემის ოპერატორის მიერ გააქტიურებული ენერჯის ღირებულების საფუძველზე. უზალანსობის ხარჯის გაანგარიშების წესები გაწერილია ბაზრის წესებში. ეს წესები განსაზღვრავს სისტემის ოპერატორს, როგორც პასუხისმგებელ ორგანოს უზალანსობის ხარჯის გაანგარიშებისა და ინვოისების მისაღებად. უზალანსობის ხარჯის ინვოისი გამოიწერება ყოველთვიურად, წინა თვის თითოეულ საათში გამოწვეული უზალანსობების კუმულაციურ თანხაზე. უზალანსობის ანგარიშსწორების მექანიზმი ამოქმედდება, როგორც კი DAM დაიწყებს ფუნქციონირებას 2023 წლის მარტის ბოლოდან.

ახალი ბაზარი მიზნად ისახავს ფასების დადგენის გამჭვირვალობას. სახელმწიფოს სურს ჰქონდეს გამჭვირვალე და საიმედო ბაზარი ელექტროენერგიით ვაჭრობისთვის, რათა ინვესტორებს შეეძლოს დაეყრდნონ საბაზრო ფასებს. ამრიგად, სახელმწიფოს სურს შექმნას ისეთი გარემო სექტორში, რომელიც ინვესტორებს აძლევს სანდოობას და შემოსავლის გარანტიას PPA-ს გარეშე. სახელმწიფოს, გარდა საბაზრო ფასებისა, შეიძლება ჰქონდეს განსაზღვრული დამატებითი პრემიები, რაც დამატებით კომფორტს შეუქმნის ინვესტორებს.

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა („ესკო“ ან „ESCO“) მომავალ ბაზარზე იქნება საბითუმო საჯარო მომსახურების მიმწოდებელი (“WPSO”), რაც ნიშნავს, რომ იგი ივაჭრებს გარკვეული ტიპის ენერგიით ბაზარზე ან იქნება ხელშემწყობი მხარე გარკვეული ბაზრის მონაწილეებისთვის. კერძოდ:

- ესკო დარჩება იმ ელექტროენერგიის შესყიდველად, რომელიც გამომუშავებულია იმ ელექტროსადგურების მიერ, რომელთაც აქვთ არსებული PPA-ები მთავრობასთან;
- ესკო გადაუხდის ნებისმიერ პრემიალურ ტარიფს შესაბამის ელექტროსადგურებს;
- ესკოს ექნება ფასთა შორისი სხვაობის ხელშეკრულება (Contract for difference – CFD) რეგულირებულ ელექტროსადგურებთან, რაც ნიშნავს, რომ თუ საბაზრო ფასი იქნება მეტი კომისიის მიერ ამ სადგურებისთვის დადგენილ ტარიფზე, ეს სადგურები ვალდებული არიან ესკოს ჩაურიცხონ დამატებით მიღებული სარგებელი (ყველაზე მაღალი ალბათობის სცენარი), ხოლო თუ საბაზრო ფასი იქნება კომისიის მიერ დადგენილზე დაბალი, ესკო გადაუხდის ამ სადგურებს არსებულ სხვაობას (ნაკლებად სავარაუდო სცენარი).*
- ესკო პასუხისმგებელია ელექტროენერგიის შეძენაზე აფხაზეთის რეგიონისთვის (ამჟამად მიწოდება ენგურჰესიდან), ხოლო შემდგომ ამ ენერგიას მიწვდის რეგიონს უფასოდ;
- ESCO-ს ექნება CFD უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლებთან (თელმიკო და ეპ ჯორჯიასთან) საცალო მომხმარებლების მოწყვლადი ჯგუფებისთვის ელექტროენერგიის მიწოდების ნაწილში).

**ემიტენტის საქმიანობიდან გამომდინარე, აღნიშნული არ ეხება ემიტენტის არც ერთ სადგურს;*

ESCO-ს მომავალი პორტფელი საშუალებას იძლევა დაბალანსდეს ყველა ხარჯები და შემოსავალი. თუ ესკოს ფულადი სახსრები არასაკმარისი იქნება ყველა ხარჯის დასაფარად, “სემეკი“ გაზრდის ესკო მომსახურების საფასურს, დაამატებს განახლებადი ენერგიის ტარიფებს, ან მთავრობა ესკოს პირდაპირ მიაწოდებს სახსრებს აღნიშნული ხარჯების დასაფარად. მისი მიზნის შესასრულებლად ესკო ივაჭრებს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრებზე, მათ შორის ორგანიზებულ ბაზრებზე. მიუხედავად იმისა, რომ ESCO-ს სავაჭრო ელექტროენერგიის მოცულობა მნიშვნელოვანი იქნება ქართული ენერგეტიკული ბაზრისთვის, ESCO აღარ იქნება ფასების დამდგენი, არამედ ის გახდება ფასების მიმღები.

ახალი ბაზრის მოდელი მონაწილეებისთვის ისეთ დამატებით ხარჯებს მოიტანს, როგორცაა DAM-ის, IDM-ის, საბალანსო და დამხმარე მომსახურების ბაზარზე ვაჭრობის საფასური, ასევე უბალანსობის ხარჯები. მეორეს მხრივ, ბაზრის მონაწილეების მიერ სწორი დაგეგმვა, და სავაჭრო ტაქტიკა შეიძლება იყოს დადებითად ანაზღაურებული ფინანსური თვალსაზრისით.

მმართველი ორგანო და მენეჯმენტი

მიმოხილვა

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის, რომელიც მიღებულია 2021 წლის 2 აგვისტოს (“კანონი მეწარმეთა შესახებ”), და ემიტენტის წესდების მიხედვით, ემიტენტის კონტროლი და მართვა გამიჯნულია აქციონერებს, სამეთვალყურეო საბჭოსა და გენერალურ დირექტორს შორის. ამ უკანასკნელს ევალება კომპანიის ყოველდღიური მენეჯმენტი და მისი წარმომადგენლობა.

აქციონერთა საერთო კრება

აქციონერთა საერთო კრების მოწვევის თარიღისათვის აქციათა რეესტრში რეგისტრირებულ ყველა აქციონერს უფლება აქვს, დაესწროს და ხმა მისცეს (თუ ამის უფლება აქვს) კრებას. პროსპექტის თარიღისათვის ემიტენტი სრულად არის სს GRPC ჯგუფის საკუთრებაში. ეს უკანასკნელი ეკუთვნის სს „საქართველოს კაპიტალს“, რომელიც თავის მხრივ ეკუთვნის „Georgia Capital PLC“-ს, გაერთიანებული სამეფოში რეგისტრირებულ ჰოლდინგურ კომპანიას, რომელიც დალისტულია ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ სეგმენტზე. მეწარმეთა შესახებ კანონი ითვალისწინებს, რომ პრივილეგირებული აქციების მფლობელებს არ აქვთ ხმის მიცემის უფლება აქციონერთა საერთო კრებაში, თუ წესდება ან შესაბამისი წილის გამოცემის პროსპექტი არ ადგენს ამ ხმის უფლებას. წესდების თანახმად, პრივილეგირებული აქციების მფლობელებს არ აქვთ ხმის მიცემის უფლება აქციონერთა საერთო კრებაზე. ამ პროსპექტის გამოშვების თარიღისთვის ემიტენტს არ გამოუშვია პრივილეგირებული აქციები. აქციონერები შეიძლება წარმოდგენილი იყვნენ აქციონერთა საერთო კრებაზე წარმომადგენლის მიერ.

მეწარმეთა შესახებ კანონის და წესდების თანახმად, აქციონერები უფლებამოსილი არიან მიიღონ გადაწყვეტილებები სხვა საკითხებთან ერთად, აქციონერთა საერთო კრებაზე შემდეგ საკითხებზე:

- ემიტენტის სააქციო კაპიტალის შეცვლა;
- წესდებაში ცვლილებების დამტკიცება;
- ემიტენტის ლიკვიდაცია;
- ემიტენტის ნებისმიერი შერწყმა, დაყოფა ან სხვა იურიდიულ პირად გადაქცევა;
- წინასწარი ან ნაწილობრივი გაუქმება წინასწარი - დაცვითი უფლებების შესახებ სააქციო კაპიტალის გაზრდის დროს;
- სამეთვალყურეო საბჭოს ან / და გენერალური დირექტორის მიერ წინადადებების დამტკიცება მოგების გადანაწილებასთან დაკავშირებით;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და თანამდებობიდან განთავისუფლება და მისი წევრების უფლებამოსილების ვადის განსაზღვრა;
- სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელი დირექტორის მოხსენებების დამტკიცება;
- შექმნა, გაყიდვა, გადაცემა, გაცვლა (თუ არა ერთი გარიგების ან მასთან დაკავშირებული გარიგების სერიის მეშვეობით) ემიტენტის აქტივებით, ღირებულება აღემატება 20,000,000 (ოცი მილიონი) ლარს;
- ემიტენტის წლიური ანგარიშების დამტკიცება;
- გარე აუდიტორის არჩევა ან / და თანამდებობიდან გათავისუფლება; და
- მეწარმეთა შესახებ კანონისა და წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

ემიტენტის აქციონერთა უფლებებს არეგულირებს წესდება. ემიტენტი იმართება წესდებისა და მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო შედგება მინიმუმ სამი წევრისგან, რომელთაგან თითოეულს ირჩევენ აქციონერთა საერთო კრებაზე აქციონერები. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს მოვალეობის შესრულებისას მოეთხოვებათ იმოქმედონ მისი ბიზნესის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.

სამეთვალყურეო საბჭოს ვალდებულებები სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს შემდეგს:

- გენერალური დირექტორის დანიშვნა და თანამდებობიდან განთავისუფლება და მისი საქმიანობის კონტროლი;
- ემიტენტის პოლიტიკის და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტაციის დამტკიცება და შესწორება;
- ემიტენტის ანგარიშებისა და ქონების შემოწმება, პირადად ან მოწვეული ექსპერტების დახმარებით;
- ემიტენტის საქმიანობის შესახებ ანგარიშების მოთხოვნა აღმასრულებელი დირექტორისგან (მათ შორის, დაკავშირებული კომპანიების და შვილობილი კომპანიების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით და შიდა აუდიტის ან გარე ინსპექციების მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადახედვა;
- საჭიროების შემთხვევაში რიგგარეშე ზოგადი შეხვედრების მოწვევა;

- წლიური ანგარიშების განხილვა და წინადადებები მოგების განაწილების შესახებ;
- წლიური ბიუჯეტის დამტკიცება;
- მეწარმეთა შესახებ კანონითა და წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

შემდეგი საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი თანხმობით:

- სხვა კომპანიებში აქციების შეძენა და განკარგვა, თუ ასეთი აქციების ოდენობა აღემატება 50.0%-ს თუ ასეთი კომპანიის მთლიანი კაპიტალი ან გარიგების ღირებულება აღემატება 1,000,000 (ერთ მილიონ) ლარს;
- ბიზნესის სტრატეგიისა და ემიტენტის ბიზნეს გეგმის ზოგადი პრინციპების მიღება და წლიური ბიუჯეტის და გრძელვადიანი დამტკიცება;
- ვალდებულებების აღება და უზრუნველყოფა (ერთი გარიგების ან მასთან დაკავშირებული გარიგებების მეშვეობით) რომლის ღირებულება აღემატება GEL 1,000,000 (ერთ მილიონს) (სამეთვალყურეო საბჭოს წევრების და გენერალური დირექტორის ვალდებულებების უზრუნველყოფას ამტკიცებს აქციონერთა სართო კრება);
- ქონების და საკუთრების უფლების შეძენა, გაყიდვა, გაცვლა, დაქვემდებარება ან სხვაგვარად განკარგვა, თუ ასეთი გარიგების ღირებულება (ერთი გარიგების ან მასთან დაკავშირებული გარიგებების მეშვეობით) აღემატება 1,000,000 (ერთი მილიონი) ლარს;
- სესხებისა და კრედიტების აღებას ან გაცემას, თუ ასეთი გარიგების ღირებულება (ერთი გარიგების ან მასთან დაკავშირებული გარიგებების მეშვეობით) აღემატება 1,000,000 (ერთი მილიონი) ლარს;
- რაიმე ხელშეკრულების ან გარიგების დადების შემთხვევაში, თუ ასეთი გარიგების ღირებულება (ერთი გარიგების ან მასთან დაკავშირებული გარიგებების მეშვეობით) აღემატება 1,000,000 (ერთი მილიონი) ლარს;
- ახალი ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან არსებული საქმიანობის შეწყვეტა;
- სავაჭრო წარმომადგენლების დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება;
- ახალი აქციების გამოშვება / გამოყოფა დამტკიცებული სააქციო კაპიტალის ფარგლებში და ემიტენტის ფასიანი ქაღალდების განთავსება საფონდო ბაზარზე;
- ემიტენტის აქციების გამოსყიდვა მოქმედი კანონებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სახაზინო აქციების გამოსყიდვის ჩათვლით;
- ანაზღაურების ან / და დამატებითი სარგებელის დადგენა ემიტენტის უფროსი მენეჯმენტისთვის (აღმასრულებელი დირექტორი, აღმასრულებელი მენეჯმენტის გუნდის სხვა წევრებისთვის) და მისი წარდგენა აქციონერთა საერთო კრებაზე დასამტკიცებლად; და
- მეწარმეთა შესახებ კანონითა და წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული ამჟამინდელი წევრი დაინიშნა ერთადერთი აქციონერის მიერ. სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრის სამსახურეობრივი მისამართი არის ემიტენტის რეგისტრირებული მისამართი. ინტერესთა პოტენციური კონფლიქტი არ არსებობს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მოვალეობებსა და მათ პირად ინტერესებსა თუ სხვა მოვალეობებს შორის.

ემიტენტი ასევე შესაბამისობაშია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 214-ე მუხლის 1-ელი პუნქტის მოთხოვნასთან, რომლის მიხედვითაც „სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წევრი.“

ქვემოთ მოცემულია დეტალები სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან დაკავშირებით:

| სახელი | ასაკი | პოზიცია | უფლებამოსილების ვადის გასვლა / ხელახლა დანიშვნა |
|----------------------|-------|--------------------------|---|
| ავთანდილ ნამიჩიშვილი | 48 | თავმჯდომარე | 3 წელი დანიშნვიდან (28.06.2022) |
| ია გაბუნია | 35 | თავმჯდომარის მოადგილე | 3 წელი დანიშნვიდან (28.06.2022) |
| ლევან დადიანი | 45 | წევრი | 3 წელი დანიშნვიდან (28.06.2022) |
| გედევან გელბახიანი | 38 | წევრი (დამოუკიდებელი) | 3 წელი დანიშნვიდან (21.09.2022) |

ავთანდილ ნამიჩიშვილი არის ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და ამასთანავე 2018 წლის მაისიდან დღემდე იკავებს გენერალური დირექტორის მოადგილის პოზიციას GCAP-ში. იგი შეუერთდა GGU- ს 2016 წელს და ეკავა GGU-ს დროებითი აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობა 2019 წლის იანვრიდან 2020 წლის მარტამდე. ავთანდილ ნამიჩიშვილი, სს საქართველოს კაპიტალის დაფუძნების დღიდან დღემდე, იკავებდა და იკავებს სს საქართველოს კაპიტალის ჯგუფში შემავალ კომპანიებში სხვადასხვა მენეჯერულ პოზიციებს, მათ შორის: 2022 წლის აგვისტოდან დღემდე არის სს საქართველოს განახლებადი ენერჯის ჰოლდინგის გენერალური დირექტორი, 2019 წლის დეკემბრიდან დღემდე არის სს ჯორჯიან ბევერიჯის ჰოლდინგის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, 2018 წლის ივლისიდან დღემდე არის სს სადაზღვევო კომპანია ალდაგის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, 2015 წლის დეკემბრიდან დღემდე არის სს საქართველოს უძრავი ქონების (ყოფილი მ2 უძრავი ქონება) სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და 2022 წლის სექტემბრის მდგომარეობით, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, 2015 წლის სექტემბრიდან არის სს საქართველოს განახლებადი ენერჯის კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და 2022 წლის სექტემბრის მდგომარეობით, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. ნამიჩიშვილი იყო BGEO ჯგუფის გენერალური მრჩეველი 2015-დან 2018 წლამდე და გენერალური მრჩეველი საქართველოს ბანკში 2007-2015 წლებში. მანამდე იგი იყო პარტნიორი საქართველოს წამყვან იურიდიულ კომპანიაში. ნამიჩიშვილს აქვს გარიგებებზე მუშაობის ფართო გამოცდილება. მათ შორის მას უმუშავია 25-ზე მეტი შერწყმისა და შესყიდვის გარიგებაზე, ასევე რიგ ტრანზაქციებზე კაპიტალის ბაზრებზე. იგი ფლობს LLM საერთაშორისო ბიზნესის სამართლის ხარისხს ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტიდან, უნგრეთი.

ია გაბუნია არის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. იგი 2017 წელს შეუერთდა BGEO- ს, როგორც საინვესტიციო დირექტორი, ხოლო 2022 წლის თებერვლიდან იკავებს სტრატეგიის მთავარი ოფიცრის (Chief Strategy Officer) პოზიციას. 2022 წლის აგვისტოდან დღემდე ია ასევე იკავებს სს საქართველოს განახლებადი ენერჯის ჰოლდინგის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოზიციას. იას ათ წელზე მეტი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროსა და ინვესტიციების მენეჯმენტში. BGEO-ში მუშაობის დაწყებამდე ის იყო კორპორატიული საბანკო სექტორის ხელმძღვანელი ბანკ რესპუბლიკაში, Société Générale Group. მანამდე მას რამდენიმე აღმასრულებელი თანამდებობა ეკავა წამყვან ქართულ კომპანიებში. ია ფლობს ბაკალავრის ხარისხს ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერების სკოლიდან, დიდი ბრიტანეთი.

ლევან დადიანი არის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. იგი შეუერთდა BGEO-ს 2012 წელს. 2018 წლის მაისიდან დღემდე არის სს საქართველოს კაპიტალის ჯგუფის მთავარი იურისტი (General Counsel). ლევანი იკავებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პოზიციებს შემდეგ კომპანიებში: სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (2022 წლის აგვისტოდან დღემდე), სს საქართველოს განახლებადი ენერჯის ჰოლდინგი (2022 წლის აგვისტოდან დღემდე). ლევანს აქვს დიდი გამოცდილება კომერციული სამართლის, კაპიტალის ინვესტირების, კორპორატიული პროექტების დაფინანსებისა და ენერჯეტიკის პროექტებში. ადრე ლევანი იყო პარტნიორი წამყვანი ქართული იურიდიული ფირმის BLC Law Office-ში. ლევანი ფლობს საერთაშორისო ბიზნესის სამართლის მაგისტრის ხარისხს ტეხასის უნივერსიტეტიდან.

გედევან გელბახიანი არის ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე, დამოუკიდებელი წევრი). 2017 წლიდან გედევანი არის იურიდიული ფირმის - „Gelbakhiani Legal Services მმართველი დირექტორი. 2012 წლიდან 2017 წლამდე გედევანი იკავებდა სს „რესპუბლიკა ბანკის“ მთავარი იურიდიული ოფიცრისა (Chief Legal Officer) და კორპორატიული მდივნის (Corporate Secretary) პოზიციებს. მანამდე იგი იყო სს „საქართველოს ბანკის“ ჯგუფის იურისტი, ძირითადად მისი საქმიანობა უკავშირებოდა შერწყმისა და შექმნის და საერთაშორისო ფინანსირების ტრანზაქციებს. წარსულში, გედევანი ასევე იკავებდა მენეჯერულ პოზიციებს ისეთ კომპანიებში, როგორებიცაა სს „გაერთიანებული ტელეკომი“ (შემდგომ სს „სილკნეტი“), სს „გალტ ენდ თაგარტ კაპიტალი“, შპს „ბეგიაშვილი და კომპანია“ და ა.შ. ამჟამად გედევანი ასევე არის სს „ჰიუნდაი ავტო ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე. გედევანი ფლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის ბაკალავრის ხარისხს.

აუდიტის კომიტეტი

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-91 მუხლის შესაბამისად ემიტენტს, როგორც ანგარიშვალდებულ საწარმოს, მოეთხოვება შექმნას აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოში, რომელიც დაკომპლექტებულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებით და სულ მცირე 1 დამოუკიდებელი წევრით (რის მოთხოვნებსაც დამატებით ადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლი).

ემიტენტი პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის შესაბამისობაშია აღნიშნულ მოთხოვნასთან. კერძოდ, მან 2022 წლის 23 სექტემბრიდან, შექმნა აუდიტის კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეც არის ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი - გედევან გელბახიანი და დაკომპლექტებულია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარითა და საბჭოს სხვა ყველა წევრით.

აუდიტის კომიტეტის ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვრება კანონმდებლობითა და ემიტენტის მიერ დადგენილი შიდა კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციით, მათ შორის აუდიტის კომიტეტის დებულებით.

აღმასრულებელი დირექტორი

აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს მიერ არის დანიშნული, პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიურ მენეჯმენტსა და მის წარმომადგენლობაზე მესამე პირების მიმართ (ის მტკიცდება აქციონერთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, როგორც ამას მოითხოვს წესდება და „მეწარმეების შესახებ“ კანონი).

აღმასრულებელი დირექტორის პასუხისმგებლობები მოიცავს შემდეგს:

- ემიტენტის ყოველდღიური საქმიანობის განხორციელება;
- აქციონერთა საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების დღის წესრიგის საკითხების განხილვა, ყველა საჭირო ინფორმაციის მოპოვება, წინადადებების მომზადება
- სამეთვალყურეო საბჭოს მოსამზადებლად და დასამტკიცებლად წარუდგენს მომდევნო წლის ბიზნეს გეგმას (ასეთი ბიზნეს გეგმა მოიცავს ბიუჯეტის, მოგებისა და ზარალის პროგნოზს და ემიტენტის ინვესტიციების გეგმას);
- აქციონერთა საერთო კრების მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების უზრუნველყოფა და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების ორგანიზება;
- პოლიტიკის შემუშავება, მათ შორის კანონქვემდებარე აქტები და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც უნდა დაამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭომ და უზრუნველყოს ასეთი პოლიტიკის დაცვა, - კანონებითა და მარეგულირებელი დოკუმენტებით;
- პერსონალის დანიშვნის, თანამდებობიდან გათავისუფლების, ტრენინგის და შრომის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა, აგრეთვე აქციონერთა საერთო კრების ან / და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინება
- რიგგარეშე ზოგადი შეხვედრების მოწვევა; და
- ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელიც შეიძლება გადასცეს გენერალურ დირექტორს სამეთვალყურეო საბჭომ ან / და აქციონერთა საერთო კრებამ.

შემდეგი ქმედებები შეიძლება განხორციელდეს აღმასრულებელი დირექტორის მიერ:

- ემიტენტის ოპერაციების კოორდინაცია და მართვა;

- მოქმედებს ემიტენტის სახელით, მინდობილობის გარეშე და მხოლოდ და დამოუკიდებლად წარმოადგენს ემიტენტს ნებისმიერი საკითხის, მესამე მხარის და ნებისმიერი სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე, აგრეთვე გასცემს მინდობილობას
- ემიტენტის სახელით გარიგების დაწყება, ექვემდებარება აქციონერთა საერთო კრების ან / და სამეთვალყურეო საბჭოს ყველა საჭირო თანხმობას ან თანხმობას;
- ემიტენტის თანამშრომლებისთვის სტიმულირების ან / და სანქციების გამოყენება სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით, შიდა რეგულაციებისა და დებულებების შესაბამისად;
- პერსონალის დანიშვნა და
- თანამდებობიდან განთავისუფლება;
- საჭირო მასალების / მოხსენებების მომზადება და მათი დასამტკიცებლად წარდგენა აქციონერთა საერთო კრებისთვის ან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებზე;
- აქციონერთა საერთო კრების ან / და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების უზრუნველყოფა;
- ემიტენტის ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის განხორციელება; და
- ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რომელიც საჭიროდ მიიჩნევა ემიტენტის მიზნების მისაღწევად, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც სპეციალურად საჭიროებს აქციონერთა საერთო კრების ან / და სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას.

აღმასრულებელი მენეჯმენტის გუნდი

აღმასრულებელი მენეჯმენტის გუნდს ხელმძღვანელობს აღმასრულებელი დირექტორი.

აღმასრულებელი მენეჯმენტის გუნდი ანგარიშვალდებულია აღმასრულებელი დირექტორის, სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერების წინაშე. სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს ანაზღაურებას და დასაქმების სხვა მატერიალურ პირობებს აღმასრულებელი მართვის ჯგუფის თითოეული წევრისთვის. აღმასრულებელი მენეჯმენტის ჯგუფის გარკვეული გადაწყვეტილებები ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარ დამტკიცებას.

ქვემოთ მოცემულია დეტალები აღმასრულებელი მენეჯმენტის გუნდის წევრებთან დაკავშირებით:

| სახელი | ასაკი | პოზიცია |
|------------------|-------|----------------------|
| ზურაბ გორდეზიანი | 45 | გენერალური დირექტორი |
| ნანა მშვიდლობაძე | 32 | ფინანსური დირექტორი |
| ლუკა ჩაჩიბაია | 50 | ტექნიკური დირექტორი |

ზურაბ გორდეზიანი შეუერთდა GGU-ს 2015 წლის იანვარში. გორდეზიანი შეუერთდა BGEO-ს 2013 წელს ჰიდრო პროექტების განსახორციელებლად. მანამდე ის 14 წლის განმავლობაში იყო ჩართული საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში და იმ გუნდის შემადგენლობაში იყო, რომელმაც შეიმუშავა საქართველოში ენერგეტიკის სექტორისთვის არსებული საკანონმდებლო ჩარჩო. იგი ასევე მსახურობდა აღმასრულებელ თანამდებობებზე Energo-Pro Georgia JSC, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის სს და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში. გორდეზიანი ფლობს სამართლისა და ეკონომიკის ხარისხს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

ნანა მშვიდლობაძე შეუერთდა GCAP- ის განახლებადი ენერჯის ბიზნესს 2017 წელს. მანამდე ის მუშაობდა BGEO ჯგუფის ფინანსების გუნდში 2016 წლიდან. ადრე იგი მუშაობდა PricewaterhouseCoopers (PWC) - ში 6 წლის განმავლობაში. PWC-

ში ნანა მუშაობდა თბილისისა და ბრიუსელის ოფისებში, სადაც სხვადასხვა სექტორში სხვადასხვა კლიენტებისთვის აუდიტის პროექტებს მართავდა. იგი ფლობს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხს ფინანსებში, კავკასიის უნივერსიტეტიდან და არის ACCA-ს წევრი.

ლუკა ჩაჩიბაია 2019 წლიდან GGU-ს აღმასრულებელი მენეჯმენტის გუნდის წევრია. ბატონი ჩაჩიბაია GGU-ს შეუერთდა 2017 წელს. მანამდე ის მუშაობდა ოპერაციების ვიცე-პრეზიდენტად Tethys Petroleum- ში 9 წლის განმავლობაში. მანამდე, ბატონმა ჩაჩიბაიას ეკავა რამდენიმე მნიშვნელოვანი პოზიცია Schlumberger -ში, მათ შორის ჩრდილოეთ ევროპისა და ბიზნეს მენეჯერის ოპერაციების მენეჯერის თანამდებობა ჩრდილოეთ აფრიკაში. მას აქვს ინჟინერის ბაკალავრის ხარისხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და MBA ხარისხი Hult-ის საერთაშორისო ბიზნესის სკოლიდან.

აღმასრულებელი მენეჯმენტის გუნდის თითოეული წევრის საქმიანი მისამართია ემიტენტის რეგისტრირებული მისამართი.

კორპორატიული მმართველობა

ემიტენტი სრულად აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, რომელიც განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული კორპორატიულ მმართველობის მარეგულირებელ წესებში. დამატებით, 2021 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანებით გამოქვეყნდა კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელიც ამოქმედდება 2022 წლის იანვრიდან, თუმცა აღნიშნული კოდექსით ანგარიშგების პირველად წარდგენა ემიტენტებს დაევალებათ 2023 წლის წლიური ანგარიშგების თარიღისთვის. აღნიშნული კოდექსი კოდექსი ეფუძნება მიდგომას: „შეასრულე ან განმარტე და წარმოადგინე ალტერნატივა“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის ფართოდ გამოყენებას.

GRPO-ს და მის შვილობილ კომპანიებს ჯამურად ჰყავთ 71 თანამშრომელი.

ინტერესთა კონფლიქტი

არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ან/და აღმასრულებელი მენეჯმენტის წევრთა პირად ინტერესებს ან/და სხვა მოვალეობებს შორის. ასევე, არ არსებობს ნათესაური კავშირები ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან/და აღმასრულებელი მენეჯმენტის წევრებს შორის .

საჩივრის შესახებ განცხადება

ამ პროსპექტის თარიღისათვის, ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს არცერთი წევრი და აღმასრულებელი მენეჯმენტის არცერთი წევრი არანაკლებ წინა ხუთი წლის განმავლობაში:

- არ არის ნასამართლევი თაღლითობის, ეკონომიკური დანაშაულის ან ფულის გათეთრების ფაქტებთან დაკავშირებით;
- არ ჰქონია აღმასრულებელი ფუნქცია, მმართველი ან საზედამხედველო ორგანოების წევრის სახით ნებისმიერ კომპანიაში გაკოტრების ან ლიკვიდაციის დროს (ნებაყოფლობითი ლიკვიდაციის გარდა); ან
- არ ექვემდებარება რაიმე ოფიციალურ ინკრიმინაციას ან/და სანქციას ნებისმიერი სახელმწიფო ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ (ნებისმიერი პროფესიული ორგანოს ჩათვლით) და სასამართლოს მიერ არასოდეს მომხდარა მისი

დისკვალიფიკაცია რომელიმე კომპანის მმართველი ან საზედამხედველო ორგანოს წევრის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

პენსიები

ემიტენტი ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო საპენსიო სქემას, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონით. 2018 წლის 21 ივლისს მიღებული კანონი ითვალისწინებს 6%-მდე ინვესტიციას პირის შემოსავლიდან მის პირად საპენსიო ანგარიშზე, სქემაში 2-2%-ით მონაწილეობს თითოეული თანამშრომელი და დამსაქმებელი, ხოლო დამატებითი შენატანი განსხვავდება თანამშრომლის შემოსავლის მიხედვით. ამჟამად, მთავრობა საპენსიო სქემის მონაწილის სასარგებლოდ ყოველწლიურად ანაზღაურებს, დასაქმებულის დასაბეგრი შემოსავლის ოდენობა 2%-ს, (ისეთი თანამშრომლის შემთხვევაში რომლის მთლიანი წლიური შემოსავალი არ აღემატება 24,000 ლარს) და დასაქმებულის დასაბეგრი შემოსავლის 1%-ს, (ისეთი თანამშრომლის შემთხვევაში რომლის მთლიანი წლიური შემოსავალი მერყეობს 24,000–დან 60,000–მდე). მთავრობას არ შეაქვს რაიმე შენატანი, თუ დასაქმებულის წლიური დასაბეგრი შემოსავალი აღემატება 60 000-ს.

ძირითადი აქციონერები

2022 წლის სექტემბერში, GCAP–მა GGU–სგან გამოყო განახლებადი ენერჯის ბიზნესი და ახლა კომპანიას არაპირდაპირი გზით - GRPC ჯგუფის მეშვეობით (სრულად) ფლობს GCAP. თავის მხრივ, GRPO არის შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“, შპს „ჰიდროლექს“, სს „სვანეთი ჰიდროსა“ და შპს „ჯიარპისი თრედი“ (“GRPC Trade“)-ის 100%-იანი მშობელი კომპანია. 100%-იანი მფლობელი კომპანია.

GCAP წარმოადგენს წამყვან საინვესტიციო მენეჯმენტ კომპანიას საქართველოში, რომელიც დალისტულია ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ სეგმენტზე. მისი სტრატეგია ფოკუსირებულია - მასშტაბური ინვესტიციის შესაძლებლობებზე საქართველოში. შესაძლებლობებზე, რომელთაც აქვთ პოტენციალი მიაღწიოს მინიმუმ 300 მილიონ ლარის კაპიტალურ ღირებულებას 3-5 წელში საწყისი ინვესტიციის შემდეგ. კომპანიის ძირითადი სტრატეგია იძლევა უპირატეს წვდომას კაპიტალზე, კარგ მენეჯმენტზე და მძლავრ კორპორატიულ მმართველობას.

GCAP-ის შერჩეული ძირითადი მაჩვენებლები 30 ივნისის მდგომარეობით:


- საბაზრო კაპიტალიზაცია: GBP 271 მილიონი (თითო აქციის საბაზრო ფასი: GBP 6.06)
- პორტფელის ჯამური ღირებულება: GEL 2.7 მილიარდი, საიდანაც:
 - o 23% დალისტული და დაკვირვებადი პორტფელი;
 - o 51% კერძო დიდი ზომის ინვესტიციების პორტფელი;
 - o 16% კერძო საინვესტიციო ეტაპზე არსებული პორტფელი;
 - o 10% კერძო სხვა პორტფელი;
- წმინდა აქტივების ღირებულება (NAV): GEL 2.3 მილიარდი ლარი
- წმინდა აქტივების ღირებულება ერთეულ აქციაზე (NAV per share): GEL 52.71

GCAP-ის საინვესტიციო პორტფელის ჩაშლა ბიზნეს მიმართულებებით/კომპანიებით 30 ივნისის მდგომარეობით:

- დალისტული და დაკვირვებადი პორტფელი
 - o ფინანსური მომსახურება: საქართველოს ბანკი – წამყვანი უნივერსალური ბანკი საქართველოში
- მსხვილი პორტფელის კომპანიები
 - o წყალმომარაგება: GWP – უმსხვილესი, კერძოდ ფლობილი წყალმომარაგების კომპანია, რომელიც ემსახურება ქ. საქართველოს მოსახლეობის 1/3
 - o ჯანდაცვა: GHG - უმსხვილესი ჯანდაცვის და ფარმაცევტული ჯგუფები საქართველოში

- დაზღვევა: ალდაგი - წამყვანი P&C და სამედიცინო სადაზღვევო კომპანია
- **საინვესტიციო ეტაპის კომპანიები**
 - განათლება: Portfolio of private schools - K12 განათლების სექტორის ყველაზე დიდი მოთამაშე საქართველოში
 - ენერგეტიკის ბიზნესი: GRP Holding – ერთ-ერთი წამყვანი ენერგეტიკული პლატფორმა საქართველოში
- **სხვა პორტფელის კომპანიები**
 - უძრავი ქონების წამყვანი დეველოპერი საქართველოში
 - სასტუმროებისა და კომერციული RE-ს მსხვილი მოთამაშე საქართველოში
 - ღვინის, ლუდის და სადისტრიბუციო ბიზნესის ერთ- ერთი უდიდესი მოთამაშე საქართველოში
 - PTI, მანქანის მომსახურება და ნაწილები, მეორადი
 - ვაჭრობა
 - ციფრული მარკეტინგის წამყვანი სააგენტო საქართველოში

სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციები“ იურიდიული სტრუქტურა ობლიგაციების გამოშვების თარიღისა და მათი გამოშვების შემდეგ:



* 2022 წლის ივლისამდე, ემიტენტს განსხვავებული სტრუქტურა ჰქონდა (იხ. პროსპექტის ქვეთავი „სარეგისტრაციო დოკუმენტი, ძირითადი საქმიანობა, მიმოხილვა & ისტორია“). ემიტენტი, სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციები“ (ს/ნ: 404642892) იურიდიულად დაფუძნდა 2022 წლის 28 ივნისს;

GCAP ძირითადი აქციონერები 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით:

| რანგი | აქციონერის სახელი | წილი |
|-------|--------------------------------------|---------------|
| 1 | Gemsstock Ltd | 10.18% |
| 2 | Allan Gray Ltd | 6.54% |
| 3 | Coeli Frontier Markets AB | 4.38% |
| 4 | Lazard Asset Management LLC | 4.14% |
| 5 | M&G Investment Management Ltd | 3.79% |
| 6 | BlackRock Investment Management (UK) | 3.40% |
| 7 | RWC | 3.11% |
| 8 | Firebird Management LLC | 2.68% |
| 9 | GLG Partners LP | 2.64% |
| 10 | Van Eck Associates Corporation | 2.21% |
| | სულ | 43.07% |

დაკავშირებული მხარის გარიგებები

ბასს 24-ის შესაბამისად, დაკავშირებული მხარის განმარტებების თანახმად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს შესაძლებლობა გააკონტროლოს ან ერთობლივად გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარეზე ფინანსური ან ოპერაციული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის უერთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება გამახვილებულია უერთიერთობის არსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

დაკავშირებული მხარეები შეიძლება შევიდნენ ისეთ გარიგებებში, რომლებშიც შეიძლება არ შევიდნენ არადაკავშირებული მხარეებს, და დაკავშირებული მხარეებს შორის გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც არადაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებები. ყველა გარიგება, რომელიც განხორციელებულია დაკავშირებულ მხარეებთან, მოცემულია ქვემოთ და შესრულებულია გაშლილი მკლავის პრინციპით.

დაკავშირებული მხარის გარიგების მოცულობა, წლის ბოლოს არსებული ნაშთები და წლის ხარჯები და შემოსავალი შემდეგია:

| | <i>2022 წლის 30 ივნისი</i> | | <i>2021 წლის 31 დეკემბერი</i> | | <i>2020 წლის 31 დეკემბერი</i> | |
|---|----------------------------|---|-------------------------------|---|-------------------------------|---|
| | <i>მშობელი</i> | <i>საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები</i> | <i>მშობელი</i> | <i>საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები</i> | <i>მშობელი</i> | <i>საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები</i> |
| აქტივები | | | | | | |
| ანაზღაურებადი აქტივი | 2,192 | - | - | 2,318 | - | 2,808 |
| სავაჭრო ფინანსური აქტივები (a) | 7,902 | - | 8,122 | - | - | - |
| სესხები 1 იანვრის მდგომარეობით | - | 2,704 | - | 159 | 35,691 | - |
| წლის განმავლობაში შემოსავლები სესხებიდან და დარიცხული პროცენტიდან | - | 628 | - | 2,545 | 2,580 | 159 |
| წლის განმავლობაში სესხის დაფარვა პროცენტის ჩათვლით | - | - | - | - | (38,271) | - |
| სესხები 31 დეკემბრის მდგომარეობით | - | 3,332 | - | 2,704 | - | 159 |

2021 წლის მარტში ჯგუფმა შეიძინა 2,493 ობლიგაცია, რომლის ღირებულება 2,500 ათასი აშშ დოლარია, აღნიშნული მშობლის მიერ გამოშვებულია ირლანდიის საფონდო ბირჟაზე 2018 წელს. ობლიგაციებს ყოველწლიურად 6.125% ერიცხება და ისინი ვადამოსული ხდება 2024 წელს. ფინანსური აქტივები შეფასებულია რეალური ღირებულებით (მოგების ან ზარალზე გატარების მეშვეობით). 2022 წლის 6 თვის და 2021 წლის განმავლობაში ჯგუფმა შესაბამისად აღიარა 390 ათასი ლარი და 231 ათასი ლარი ფინანსური შემოსავალი ობლიგაციებიდან.

| | <i>2022 HY</i> | <i>2021</i> | <i>2020</i> |
|---|----------------|-------------|-------------|
| შემოსავალი და ხარჯები - საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები | | | |
| შემოსავალი ელექტროენერჯის გაყიდვიდან ¹ | 27 | 7,339 | 7,223 |
| ბიზნესის შეფერხების ანაზღაურება ² | - | 587 | 4,252 |
| ფინანსური ხარჯი | | - | (1,897) |
| ფინანსური შემოსავალი | 231 | 390 | - |
| სხვა საოპერაციო ხარჯები ³ | 641 | (2,421) | - |

¹ GGU-ს შვილობილ კომპანიებზე ელექტროენერჯის მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი.

² ბიზნესის შეფერხების ანაზღაურების შემოსავალს 2021 და 2020 წლებში, წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურებას სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ბიზნესის შეფერხების შედეგად.

³ სხვა საოპერაციო ხარჯები ძირითადად მოიცავს დაზღვევის ხარჯს წლის განმავლობაში.

მენეჯმენტის ანაზღაურებამ შეადგინა:

| | <i>2022 HY</i> | <i>2021</i> | <i>2020</i> |
|---------------------------------|----------------|-------------|-------------|
| ხელფასი | 55 | 110 | 72 |
| ფულადი ბონუსი | 22 | 55 | 18 |
| თანამშრომლობის შეწყვეტის ბონუსი | - | 1,185 | - |

მოცემულ ცხრილში არ შედის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურება, რამდენადაც პროსპექტის მომზადების თარიღისთვის საბჭოს წევრებს არ მიუღიათ მსგავსი ანაზღაურება.

ფინანსური ინფორმაცია ემიტენტის აქტივებისა და ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და მოგებისა და ზარალის შესახებ

პროსპექტში წარმოდგენილი ინფორმაცია 2021 და 2020 წლებისთვის ეფუძნება ემიტენტის ცალკე გამოყოფილ (Carved Out) აუდიტირებულ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას 2021 წლისთვის და 2022 და 2021 წლების 6 თვის მდგომარეობით - 2022 წლის ნახევარი წლის ფინანსურ ანგარიშგებას. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS-ის) შესაბამისად. 2022 ნახევარი წლის ანგარიშგება შესადარისი 2021 წლის პერიოდით ასევე შედგენილია carve out პრინციპით.

2021 წლისთვის მომზადებული ემიტენტის ცალკე გამოყოფილი (Carved Out) აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის აუდიტორის დასკვნის ტიპი არის უპირობო. ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და დამატებითი დეტალები შესაბამისად მითითებულია თანდართულ ანგარიშგებაში.

საბალანსო უწყისი

| საბალანსო უწყისი, ათასი ლარი | 30.06.2022 არააუდ. | 31.12.2021 აუდ. | 31.12.2020 აუდ. |
|---|-----------------------|--------------------|--------------------|
| აქტივები | | | |
| გრძელვადიანი აქტივები | | | |
| ძირითადი საშუალებები | 278,212 | 300,597 | 364,349 |
| გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული აქტივები | 1,211 | 1,254 | 1,279 |
| გაცემული გრძელვადიანი სესხები | 874 | 13 | 39 |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | 1,087 | 1,130 | 948 |
| მთლიანი გრძელვადიანი აქტივები | 281,384 | 302,994 | 366,615 |
| მიმდინარე აქტივები | | | |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგი | 480 | 406 | 365 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 3,206 | 2,366 | 1,762 |
| გაცემული სესხები | 7,160 | 14 | 164 |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები, გარდა საშემოსავლო გადასახადისა | 2,726 | 1,262 | 1,440 |
| ანაზღაურებადი აქტივები | 2,192 | 2,318 | 2,808 |
| სავაჭროდ ფლობილი ფინანსური აქტივები | 10,938 | 8,122 | 0 |
| ავანსები | 842 | 369 | 284 |
| ნაღდი ფული ბანკში | 18,923 | 36,948 | 63,262 |
| მთლიანი მიმდინარე აქტივები | 46,467 | 51,805 | 70,085 |
| მთლიანი აქტივები | 327,851 | 354,799 | 436,700 |
| კაპიტალი | | | |
| სააქციო კაპიტალი | 84,664 | 84,664 | 104,664 |
| გაუნაწილებელი მოგება | -64,128 | -60,135 | -14,617 |
| სხვა რეზერვები | 17,418 | 18,305 | 22,434 |
| კაპიტალი, რომელიც მიეკუთვნება მშობელი საწარმოს მესაკუთრებს | 37,954 | 42,834 | 112,481 |
| უმცირესობის წილი | - | - | - |
| კაპიტალი სულ | 37,954 | 42,834 | 112,481 |
| ვალდებულებები | | | |
| გრძელვადიანი ვალდებულებები | | | |

| | | | |
|--|----------------|----------------|----------------|
| ნასესხები სახსრები და გამოშვებული ობლიგაციები | 275,372 | 297,648 | 308,549 |
| საიჯარო ვალდებულებები | 1,225 | 1,191 | 1,140 |
| სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები | 520 | 550 | 1,472 |
| მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები | 277,117 | 299,389 | 311,161 |
| მიმდინარე ვალდებულებები | | | |
| ნასესხები სახსრები და გამოშვებული ობლიგაციები | 9,067 | 9,680 | 10,098 |
| სავაჭრო და სხვა გადასახდელები | 1,129 | 972 | 1,814 |
| საიჯარო ვალდებულებები | 112 | 118 | 97 |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 0 | 1,185 | 0 |
| საგადასახადო ვალდებულება, მოგების გადასახადის გარდა | 2,472 | 621 | 1,049 |
| სულ მიმდინარე ვალდებულებები | 12,780 | 12,576 | 13,058 |
| მთლიანი ვალდებულებები | 289,897 | 311,965 | 324,219 |
| მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი | 327,851 | 354,799 | 436,700 |

მოგება და ზარალის უწყისი

| მოგება და ზარალის ანგარიშგება, ათასი ლარი | 2022 HY არააუდ. | 2021 HY არააუდ. | 2021 აუდ. | 2020 აუდ. |
|--|--------------------|--------------------|-----------------|-----------------|
| შემოსავალი ელექტროენერჯის გაყიდვიდან | 19,244 | 20,432 | 43,309 | 38,258 |
| ბიზნესის შეფერხების ანაზღაურება | - | - | 587 | 4,252 |
| სხვა შემოსავალი | - | - | 55 | - |
| სულ ამონაგები და შემოსულობა | 19,244 | 20,432 | 43,951 | 42,510 |
| ელექტროენერჯის და გადაცემის ხარჯები | (338) | (275) | (524) | (221) |
| ხელფასები და თანამშრომლების სხვა სარგებელი | (576) | (444) | (929) | (1,063) |
| გადასახადები, გარდა საშემოსავლო გადასახადისა | (1,159) | (1,360) | (2,480) | (2,536) |
| სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | (190) | (161) | (329) | (376) |
| პროფესიული საფასური | (361) | (286) | (732) | (677) |
| ნედლეული, საწვავი და სხვა სახარჯი მასალები | (96) | (25) | (285) | (55) |
| მოვლის ხარჯები | (1,218) | (1,367) | (2,631) | (2,801) |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | (843) | (1,042) | (1,963) | (1,734) |
| EBITDA | 14,463 | 15,472 | 34,078 | 33,047 |
| ფინანსური შემოსავალი | 646 | 581 | 1,293 | 355 |
| ფინანსური ხარჯები | (11,706) | (12,734) | (24,873) | (23,772) |
| სავალუტო მოგება / (ზარალი) | (27) | 22 | (25) | (1,301) |
| ამორტიზაცია და ცვეთა | (5,585) | (6,564) | (12,580) | (12,640) |
| ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ზარალი | - | - | - | (10,002) |
| ძირითადი საშუალებების გაუფასურება | - | - | (36,595) | - |
| ვერობონდის რეფინანსირებასთან დაკავშირებული ხარჯები | - | - | (2,766) | - |
| არარეგულირებული ხარჯები | (1,783) | (1,328) | (4,050) | (575) |
| ზარალი დაბეგრამდე | (3,992) | (4,551) | (45,518) | (14,888) |
| საშემოსავლო გადასახადის ხარჯი | - | - | - | - |
| სუფთა ზარალი | (3,992) | (4,551) | (45,518) | (14,888) |

მიეკუთვნება:

| | | | | |
|---|----------------|----------------|-----------------|------------|
| სათავო საწარმოს მესაკუთრეები | (3,992) | (4,551) | (45,518) | (14,152) |
| არამაკონტროლებელი წილები | - | - | - | (736) |
| სხვა სრული შემოსავალი | | | | |
| მოგება სავალუტო გადაფასებებიდან | (888) | (2,676) | (4,129) | 15,298 |
| სულ საანგარიშო პერიოდის წმინდა სრული შემოსავალი/ზარალი | (4,880) | (7,227) | (49,647) | 410 |
| მიეკუთვნება: | | | | |
| სათავო საწარმოს მესაკუთრეები | (4,880) | (7,227) | (49,647) | 2,604 |
| არამაკონტროლებელი წილები | - | - | - | (2,194) |

ფულადი სახსრების მოძრაობა

| ფულადი ნაკადის განცხადება, ათასი ლარი | 2022 HY არააუდ. | 2021 HY არააუდ. | 2021 აუდ. | 2020 აუდ. |
|---|----------------------------|----------------------------|----------------------|----------------------|
| ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან | | | | |
| ზარალი დაბეგვრამდე | (3,992) | (4,551) | (45,518) | (14,888) |
| ცვლილებები: | | | | |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 5,585 | 6,564 | 12,580 | 12,640 |
| ვალუტის კურსით გამოწვეული წმინდა ზარალი | 27 | (22) | 25 | 1,301 |
| ფინანსური შემოსავალი | (646) | (581) | (1,293) | (355) |
| ფინანსური ხარჯები | 11,706 | 12,734 | 24,873 | 23,772 |
| ფინანსური ვალდებულებების ჩაქრობის ზარალი | - | - | - | 10,002 |
| შემოსულობა საქმიანობის შეწყვეტით გამოწვეული ანაზრაურებიდან | - | - | (587) | (4,252) |
| ძირითადი საშუალებების გაუფასურება | - | - | 36,595 | - |
| არარეგულირებული ხარჯები | 1,783 | 976 | 3,381 | 575 |
| აქტივების ერთდჯერადი ჩამოწერა | - | - | (568) | - |
| ევრობონდების რეფინანსირებასთან დაკავშირებული შეფასებების გადახედვა | - | - | 2,766 | - |
| ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო კაპიტალის ცვლილებებამდე | 14,463 | 15,120 | 32,254 | 28,795 |
| ცვლილება მარაგებში | (74) | (97) | (41) | (236) |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების ცვლილება | (840) | (3,082) | (604) | 305 |
| წინასწარი გადასახადის ცვლილება საშემოსავლო გადასახადის გარდა | (1,464) | (555) | 178 | 724 |
| ავანსების ცვლილება | (473) | 22 | (85) | (182) |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებების ცვლილება | 157 | (846) | (842) | 941 |
| დაზღვევის აღსადგენ აქტივში ცვლილებები | - | - | 586 | 11,246 |
| სხვა საგადასახადო ვალდებულებების ცვლილება | 307 | (1,033) | (428) | (624) |
| შეზღუდული ფულადი სახსრების ცვლილება | - | - | - | 6,581 |
| ფულადი სახსრების მოძრაობა კაპიტალის ცვლილების შემდეგ | 12,076 | 9,529 | 31,018 | 47,550 |
| გადახდილი საშემოსავლო გადასახადი | - | - | - | - |
| ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან სავაჭრო ფასიან ქაღალდებში ინვესტიციამდე | 12,076 | 9,529 | 31,018 | 47,550 |
| წმინდა ინვესტიცია სავაჭრო ფასიან ქაღალდებში | (3,064) | (8,308) | (8,308) | - |
| ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან | 9,012 | 1,221 | 22,710 | 47,550 |
| ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან | | | | |

| | | | | |
|---|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|
| ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივების შექმნა | (1,285) | (4,533) | (7,055) | (12,280) |
| ქონების ზიანის ანაზღაურება | - | - | - | 40,892 |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვა | 2,456 | - | - | - |
| ბონუსის შეწყვეტა | (1,306) | - | - | - |
| შვილობილი კომპანიების შექმნა | - | - | - | (6,008) |
| გაცემული სესხები | (7,883) | - | 146 | (71) |
| მიღებული პროცენტი | 542 | 581 | 897 | 355 |
| საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები | (7,476) | (3,952) | (6,012) | 22,888 |
| ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან | | | | |
| საიჯარო ვალდებულებების ძირითადი ნაწილის გადახდა | (174) | (117) | (231) | (246) |
| ამონაგები ნასესხები სახსრებიდან და გამოშვებული ობლიგაციებიდან | - | 1,899 | 2,525 | 294,709 |
| ნასესხები სახსრების და სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა, მათ შორის სესხის წინსწრებით დაფარვისთვის გადახდილი საკომისიოს ჩათვლით | (6,889) | - | - | (298,537) |
| გადახდილი პროცენტი | (11,521) | (12,192) | (23,754) | (20,238) |
| გადახდილი ობლიგაციების გამოშვების საკომისიოები და ხარჯები | - | - | - | (4,435) |
| საკომისიო სესხის გადახდაზე | - | - | - | - |
| შენატანები მშობელი საწარმოდან | - | - | - | 3,108 |
| მშობელ საწარმოებზე განაწილება | - | (9,471) | (20,000) | (4,926) |
| ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან | (18,585) | (19,881) | (41,460) | (30,565) |
| სავალუტო კურსის ცვლილება | (977) | (507) | (1,552) | 3,171 |
| ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა შემცირება | (18,025) | (23,119) | (26,314) | 43,044 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში | 36,948 | 63,262 | 63,262 | 20,218 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს | 18,923 | 40,145 | 36,948 | 63,262 |

დივიდენდების პოლიტიკა

კომპანიას არ აქვს განცხადებული და წერილობით გაფორმებული დივიდენდების პოლიტიკა. 2022 წლის 6 თვის მდგომარეობით, 2021 და 2020 წლებისთვის, კომპანიას არ გაუცია დივიდენდები. დივიდენდების გადახდასთან დაკავშირებით, პროცესები და გარკვეული შეზღუდვები მოცემულია კომპანიის წესდებაში და მოცემული პროსპექტის შესაბამის ნაწილებში.

არსებული პროსპექტისა და სესხის შეთანხმების თანახმად, კომპანიას გარკვეული შეზღუდვები ეკისრება დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ თავებში "შემოთავაზების პირობები – შეთანხმებები" და "კაპიტალიზაცია და დავალიანება – ფინანსური შეთანხმებების განხილვა".

სამართალწარმოება და სხვა წარმოება

პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის, ემიტენტი არ არის მხარე (მოსარჩელე, მოპასუხე ან მესამე პირი) სასამართლო წარმოებაში (ადმინისტრაციული, სასამართლო ან საარბიტრაჟო). გარდა ამისა, სულ მცირე უკანასკნელი 12 თვის მანძილზე, არ არსებობს მიმდინარე ან სავარაუდო სამთავრობო, იურიდიული ან საარბიტრაჟო წარმოება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ან უკვე გამოიწვია მატერიალური ვალდებულება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ან უკვე მოახდინა ემიტენტის ან / და რომელიმე გარანტორის (ცალკე ან ჯგუფურად) ფინანსურ მდგომარეობაზე ან მომგებიანობაზე.

ემიტენტის ფინანსურ ან კომერციულ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების აღწერა

2021 წლის დეკემბერში, სს „საქართველოს კაპიტალმა“, რომელიც იმ დროს ფლობდა სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზს“ (“GGU”), რომელიც აერთიანებდა წყალმომარაგებისა და განახლებადი ენერჯის ბიზნესებს, წყალმომარაგების ბიზნესში თავისი წილის 80% მიყიდა „FCC აქუალიას“ („აქუალია“) 180 მილიონი აშშ დოლარის სანაცვლოდ, ხოლო თვითონ შეინარჩუნა 100% წილი განახლებადი ენერჯის ბიზნესში. აღნიშნული ტრანზაქციით, წყალმომარაგების ბიზნესი შეფასდა 225 მილიონ აშშ დოლარად. გარდა ამისა, გამყიდველსა და მყიდველს მიენიჭათ გაყიდვის (Put) და გამოსყიდვის (Call) ოფციები, შესაბამისად, სს „საქართველოს კაპიტალის“ დარჩენილ 20%-იან წილზე წყალმომარაგების ბიზნესში.

ტრანზაქციის პირველი ეტაპი, რომელიც ითვალისწინებდა სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზის“ 65%-იანი წილის გაყიდვას (რაც წარმოადგენს 80%-იან ეკონომიკურ წილს წყალმომარაგების ბიზნესში), წარმატებით დასრულდა 2022 წლის 3 თებერვალს. შედეგად სს „საქართველოს კაპიტალმა“ მიიღო გაყიდვით შემოსავალი, ხოლო „აქუალიას“ გადაეცა კომპანიის აქციები. გარიგების მეორე ეტაპი - განახლებადი ენერჯის ბიზნესის გამოყოფა - განხორციელდა 2022 წლის სექტემბერში და ტრანზაქციის ამ ეტაპის დასრულების შემდეგ, სს „საქართველოს კაპიტალი“ ირიბად (სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ჰოლდინგის“ საშუალებით) გახდა ემიტენტის 100%-ის მფლობელი.

დამატებითი ინფორმაცია წყალმომარაგების ბიზნესის გაყიდვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ სს „საქართველოს კაპიტალის“ 2022 წლის 6 იანვრით დათარიღებულ შეტყობინებაში (ცირკულარში):

https://georgiacapital.ge/sites/default/files/inline-files/Circular_0.pdf

სააქციო კაპიტალი

2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ემიტენტის სააქციო კაპიტალი შეადგენს 84,663,563 ლარს.

ემიტენტის ისტორიული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნებაში სააქციო კაპიტალის ოდენობა შეესაბამება შერწყმის რეზერვს, როგორც წარმოდგენილია კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ (carved out) ფინანსურ ანგარიშგებაში.

საზოგადოების გაცხადებული (ნებადართული) სააქციო კაპიტალი შეადგენს 200 მლნ ლარს, რომელიც იყოფა 200 მლნ ჩვეულებრივ აქციად. ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 ლარი. აქციონერთა საერთო კრებაზე თითოეული ჩვეულებრივი აქცია მფლობელს ანიჭებს 1 ხმის უფლებას. აქციონერებს აქვთ უპირატესი შესყიდვის უფლება ემიტირებულ ახალ აქციებზე, აღნიშნული აქციების გამოშვებამდე არსებული წილის პროპორციულად. საზოგადოებას უფლება აქვს, გამოუმშვას პრივილეგირებული აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები კანონით გათვალისწინებული ფორმით.

აქციონერთა უფლებამოსილებისა და საერთო კრებების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხ. ქვეთავი „მართველი ორგანო და მენეჯმენტი“, „აქციონერთა საერთო კრება“.

სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებული დოკუმენტების ჩამონათვალი

სარეგისტრაციო დოკუმენტში დამატებით მითითებულია შემდეგი დოკუმენტები (გარდა პროსპექტში მითითებული წყაროებისა):

- კომპანიის წესდება (გამოქვეყნებულია საჯარო რეესტრის პორტალზე napr.gov.ge: NAPR სისტემაში ძებნის განაცხადის ნომერი: [**B22079876**]);
- ხელშეკრულება განთავსების აგენტებსა და ემიტენტს შორის;
- ხელშეკრულება კალკულაციისა და გადახდის აგენტსა და ემიტენტს შორის;
- ხელშეკრულება ობლიგაციონერების წარმომადგენელსა და ემიტენტს შორის;
- იპოთეკის ხელშეკრულება;
- თავდებობის ხელშეკრულება;

ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები, გარდა კომპანიის წესდებისა წარმოადგენს კონფიდენციალურ დოკუმენტებს, რომელთა გამოქვეყნებასაც ემიტენტი არ გეგმავს, თუმცა აღნიშნული დოკუმენტების გაცნობა არსებული და პოტენციურ ინვესტორებისთვის ფიზიკური ფორმით შესაძლებელია ემიტენტის პროსპექტში მითითებულ მისამართზე, ისევე როგორც ელექტრონული ფორმით, პროსპექტში მითითებული ელექტრონული ფოსტიდან გამოთხოვის შემთხვევაში. არსებული ინვესტორებისთვის აღნიშნული დოკუმენტების ბოლო ხელმისაწვდომი ვერსიის გაზიარება ელექტრონული ფორმით უნდა განხორციელდეს მოთხოვნის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

ზემოთ ჩამოთვლილი ხელშეკრულებები გაფორმებულია/გაფორმდება ინგლისურად, თუმცა ობლიგაციების გამოშვებამდე ემიტენტი უზრუნველყოფს მათი ქართული თარგმანის ხელმისაწვდომობასაც. პროსპექტისა და ხელშეკრულებების დებულებებს შორის რაიმე კონფლიქტის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება პროსპექტის დებულებებს. აღსანიშნავია, რომ „იპოთეკის ხელშეკრულების“ და „თავდებობის ხელშეკრულების“ ფარგლებში კომუნიკაციის ძირითად ენად განსაზღვრულია ინგლისური ენა.

ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

განაცხადი საბრუნავი კაპიტალის შესახებ

კომპანიის საბრუნავი კაპიტალი (მოკლევადიან აქტივებს დაკლებული მოკლევადიანი ვალდებულებები) 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით იყო 33.7 მილიონი ლარი (31 დეკემბერი 2021: 40.4 მილიონი ლარი, 31 დეკემბერი 2020: 57.0 მილიონი ლარი), კომპანიის ორივე მიმდინარე და სწრაფი კოეფიციენტი ორივე შემთხვევაში შეადგენდა 3.6-ს (31 დეკემბერი 2021: 4.5, 31 დეკემბერი 2020: 5.3). კომპანიის შეფასებით, მომავალი დაფინანსება (ობლიგაციებიდან მიღებული შემოსავლის ჩათვლით) და კომპანიის მომგებიანობა საკმარისი იქნება მომავალი ერთი წლის განმავლობაში მისი საქმიანობის დასაფინანსებლად.

მონაწილე მხარეთა ინტერესის აღწერა შეთავაზებაში

ემიტენტი და განთავსების აგენტი 1, რომელიც ასევე მოქმედებს როგორც კალკულაციისა და გადამხდელი აგენტი (გალტ & თაგარტი) დაკავშირებულები არიან არაპირდაპირ. ემიტენტი წარმოადგენს „Georgia Capital PLC“-ის 100%-იან შვილობილ კომპანიას („საბოლოო მშობელი“), რომელიც ასევე არაპირდაპირ ფლობს 19.90%-იან წილს (ხმის მიცემის უფლების გარეშე) „Bank of Georgia Group PLC“-ში, რომელიც, თავის მხრივ, ფლობს სს „გალტ ენდ თაგარტის“ 100%-ს. მიუხედავად იმისა, რომ პოტენციური ინვესტორების პერსპექტივიდან ასეთი კავშირი შეიძლება ჩაითვალოს გარკვეულ რისკ ფაქტორად, ემიტენტი მიიჩნევს, რომ ამგვარი რისკი არაარსებითია, იმის გათვალისწინებით, რომ მას გააჩნია წილი „გალტ ენდ თაგარტში“ ხმის მიცემის უფლების გარეშე. ასევე, აღნიშნული კომპანიების მმართველ ორგანოთა წევრები ერთმანეთისგან სრულად განცალკევებულია და მოცემულ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ყველა ხელშეკრულება დადებულია არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, კომერციულ საფუძველზე ემიტენტი და განთავსების აგენტი 2 (შპს თიბისი კაპიტალი), ემიტენტის აუდიტორები და მესამე მხარეები ან ექსპერტები, რომლებიც მონაწილეობენ პროსპექტის მომზადებაში, არ არიან დაკავშირებული მხარეები და მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

ემიტენტს არ აქვს ინფორმაცია შეთავაზებასთან დაკავშირებული რაიმე სხვა არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

ემიტენტისთვის ჯერ არ არის ცნობილი, მიიღებენ თუ არა ემიტენტის მენეჯმენტი, დირექტორთა საბჭოს წევრები ან სამეთვალყურეო საბჭო და / ან მნიშვნელოვანი აქციონერები (პარტნიორები) მონაწილეობას ობლიგაციების შეთავაზებაში. ასევე, ემიტენტს არ აქვს ინფორმაცია ამ პარაგრაფის პირველ წინადადებაში მითითებული ნებისმიერი პირის შესახებ, რომელსაც სურს შეისყიდოს ობლიგაციების შეთავაზების 5% -ზე მეტი (ხუთი პროცენტი).

ინფორმაცია ემიტენტის რეგისტრატორის შესახებ, შეთავაზებაში ჩართული სხვა მესამე პირებისა და ობლიგაციების პირობების შესახებ მოცემულია ობლიგაციების "შეთავაზების პირობების" დოკუმენტში.

ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების კაპიტალის სტრუქტურაში ცვლილებისა და გადახდისუნარიანობის / გაკოტრების შემთხვევის შესახებ

ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის უზრუნველყოფილ ვალდებულებებს. შესაბამისად, ობლიგაციებით კომპანიის მიმართ ნებისმიერი მოთხოვნა იქნება უზრუნველყოფილი მოთხოვნა. საქართველოს კანონის "რეაბილიტაციისა და

კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების” თანახმად, უზრუნველყოფილ კრედიტორებს უპირატესობა ენიჭება არაუზრუნველყოფილ კრედიტორებთან მიმართებაში.

ასეთი მოთხოვნები რეგულირდება რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონის 105-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც პირველი რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორი უფლებამოსილია გაკოტრების მმართველს მიმართოს უზრუნველყოფილი ქონების იპოთეკის/გირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გზით რეალიზაციის მოთხოვნით. გაკოტრების მმართველი უზრუნველყოფს აღნიშნული ქონების რეალიზაციას პირველი რიგის იპოთეკარის/მოგირავნის მოთხოვნის შესაბამისად. თუ უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ნივთის რეალიზაციის შემთხვევაში მისი რეალიზაციით ამონაგები თანხა პირველი რიგის კრედიტორის მოთხოვნას აღემატება, ნამეტი თანხით დაკმაყოფილდება ამავე ნივთზე რეგისტრირებული ყოველი მომდევნო რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით, ხოლო დარჩენილი თანხა გადახდისუუნარობის მასაში მიიმართება. თუ უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდა უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციით ამონაგები თანხის არასაკმარისი ოდენობის გამო, მოთხოვნის დაუკმაყოფილებელი ნაწილი აისახება არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების რიგში.

ზემოაღნიშნული კანონის თანახმად, ემიტენტის გაკოტრების შემთხვევაში, გადახდისუუნარობის ქონება განაწილდება შემდეგი წესით:

- 1) გაკოტრების რეჟიმის ხარჯები (რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავში გათვალისწინებული პროცედურის ხარჯებს; გაკოტრების მენეჯერის ანაზღაურება და საქმესთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დროს შრომითი ურთიერთობიდან წარმოქმნილი ხარჯები, ქონების მართვის ხარჯები, აგრეთვე მენეჯმენტის გადაწყვეტილებით შეძენილი სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები);
- 2) დავალიანება, რომელიც წარმოიშვა ემიტენტთან მიმართებაში, სასამართლოს განჩინების მიტანის შემდეგ, აღნიშნული ითვალისწინებს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანას და გაკოტრების რეჟიმის დაწყებას მათ შორის საგადასახადო ვალდებულებების ჩათვლით, რომლებიც წარმოიქმნება ემიტენტთან მიმართებაში, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ;
- 3) პრივილეგირებული მოთხოვნები - მოიცავს 3 თვის ხელფასების ხარჯებს და შვებულებას (გარდა მოვალის დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ხელფასებისა და შვებულების ხარჯებისა, ასევე მათი ოჯახის წევრებისთვის), რომლებიც გადასახდელი იქნება სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის გამოცხადების შემდეგ. პროფესიული დაზიანების გამო გადასახდელი თანხები (არაუმეტეს 1,000 ლარის ოდენობით თითოეულ კრედიტორზე);
- 4) პრივილეგირებული საგადასახადო მოთხოვნები - საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული არაპირდაპირი გადასახადები, რომლებიც წარმოიშვა შესაბამისი წინა 3 საგადასახადო წლის პერიოდში, სანამ სასამართლო მიიღებდა განაცხადს გადახდისუუნარობის შესახებ;
- 5) არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადასახდელი თანხების ჩათვლით, რომლებიც წარმოიქმნება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების მიღებამდე, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კრედიტორთა რეაბილიტაციის და კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონის 104-ე მუხლის - პუნქტის სხვა ქვეპუნქტებით.

მენეჯმენტის ფუნქციების მქონე და მათთან დაკავშირებულმა პირებმა, არც პირადად და არც სხვა პირთა სასარგებლოდ, არ უნდა განახორციელონ ისეთი ტრანზაქციები, რომლებიც დაკავშირებული იქნება ემიტენტის ფასიან ქალაქობთან ან/და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან, ემიტენტის მიერ სავალდებულო ნახევარწლიური ან წლიური ანგარიშის გამოქვეყნებამდე არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე.

ობლიგაციების პირობები

„ობლიგაციები“ ისარგებლებენ ქვემოთ მოცემული პირობებით:

„ობლიგაციები“ (როგორც განმარტებულია წინამდებარე „პროსპექტში“), რომელთა საერთო ძირი თანხა და ნომინალური ღირებულება „პროსპექტისა“ და „შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ შესაბამისად შეადგენს \$ 80,000,000-ს. „ობლიგაციები“ გამოშვებულია „კომპანიის“/„ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს 2022 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებების საფუძველზე.

„ობლიგაციების“ პირობები და „ობლიგაციონერთა“ უფლებები განისაზღვრება: წინამდებარე „პროსპექტით“, მათ შორის, წინამდებარე „ობლიგაციების გამოშვების პირობებით“ (შემდგომში - „ობლიგაციების გამოშვების პირობები“ ან „პირობები“), „შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ და „ემიტენტსა“ და „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით (შემდგომში „ხელშეკრულება“). „ხელშეკრულება“ გაფორმებულია ინგლისურად, თუმცა „ობლიგაციების“ გამოშვებამდე „ემიტენტი“ უზრუნველყოფს მისი ქართული თარგმანის ხელმისაწვდომობასაც. „პროსპექტისა“ და „ხელშეკრულების“, ასევე „იპოთეკის ხელშეკრულების“ ან/და „თავდებობის ხელშეკრულების“ დებულებებს შორის რაიმე კონფლიქტის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება „პროსპექტის“ დებულებებს. აღსანიშნავია, რომ „იპოთეკის ხელშეკრულების“ და „თავდებობის ხელშეკრულების“ ფარგლებში კომუნიკაციის ძირითად ენად განსაზღვრულია ინგლისური ენა.

ზემოაღნიშნული „ხელშეკრულების“ ასლები ხელმისაწვდომია ინვესტორთათვის გასაცნობად ჩვეულებრივ სამუშაო საათებში „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ და „ემიტენტის“ ოფისებში, როგორც მითითებულია „პროსპექტში“. „ემიტენტმა“ და „ობლიგაციონერების წარმომადგენელმა“ უნდა უზრუნველყონ მათთან არსებული და ინვესტორთათვის გადაცემული „ხელშეკრულების“ ასლების იდენტურობა. წინამდებარე „პროსპექტის“ (მათ შორის, „პირობების“) გარდა, „ობლიგაციონერებს“ (ამ ტერმინის ქვემოთ განსაზღვრული მნიშვნელობით) და „ობლიგაციების“ „ნომინალურ მფლობელებს“ (თუ და როდესაც ეს გათვალისწინებულია „პროსპექტით“, მათ შორის „პირობებით“) უფლებები და ვალდებულებები წარმოეშობათ ასევე „ხელშეკრულების“ საფუძველზე და იგულისხმება, რომ „ობლიგაციონერები“ (და „პროსპექტით“, მათ შორის, „პირობებით“ გათვალისწინებულ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ „ნომინალურ მფლობელები“) ექვემდებარებიან „ხელშეკრულების“ შესაბამის პირობებს და ამგვარი პირობები ვრცელდება და მოქმედებს მათთან მიმართებაში.

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა განხორციელდება „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ შესახებ ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად, რომელიც გაფორმებულია „კომპანიისა“ და სს „გალტ ენდ თაგარტს“ - როგორც კალკულაციისა და გადახდის აგენტს - შორის (შემდგომში „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“). თითოეული „ობლიგაციონერი“ უფლებამოსილია გაეცნოს/შეისწავლოს „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ შესახებ ხელშეკრულების“ ასლი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მითითებულ მისამართზე (ასევე ელექტრონულად, „კალკულაციის და გადახდის აგენტისა“ და „ემიტენტის“ „პროსპექტში“ მითითებული ელექტრონული ფოსტებიდან გამოთხოვის შემთხვევაში, როგორც დაზუსტებულია „პროსპექტის“ ქვეთავში „სარეგისტრაციო დოკუმენტი, სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებული დოკუმენტების ჩამონათვალი“), და შესაბამისად, ითვლება, რომ თითოეული „ობლიგაციონერი“ სათანადოდ იქნა ინფორმირებული/გაეცნო „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ შესახებ ხელშეკრულებას“. შესაბამისად, „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ შესახებ ხელშეკრულების“ ყველა იმ შესაბამის პირობას, რაც ვრცელდება „ობლიგაციონერებზე“, აქვს „ობლიგაციონერებისთვის“ სავალდებულო ძალა.

შეთავაზების პერიოდი: „შეთავაზების პირობების“ დოკუმენტის შესაბამისად განსაზღვრული პერიოდი (შემდგომში „შეთავაზების პერიოდი“).

ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევა: ამ „პროსპექტით“ წარმოდგენილი/შესათავაზებული ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევა არ არის შეზღუდული.

1. ფორმა, ნომინალური ღირებულება, საკუთრების უფლება და უზრუნველყოფა

„ობლიგაციები“ გამოშვებულია დემატერიალიზებული ფორმით, ელექტრონული ჩანაწერის სახით. ერთი „ობლიგაციის“ ნომინალური ღირებულებაა: 10,000 აშშ დოლარი.

საკუთრების უფლება „ობლიგაციებზე“ დასტურდება რეგისტრაციით: (i) ფასიანი ქაღალდების რეესტრში (შემდგომში „ფასიანი ქაღალდების რეესტრი“), რომლის წარმოებასაც უზრუნველყოფს „ემიტენტი“ „შეთავაზების პირობების დოკუმენტში“ მითითებული რეგისტრატორის (შემდგომში „რეგისტრატორი“) მეშვეობით ემიტენტსა და „რეგისტრატორს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად; ან/და (ii) სხვა რეესტრებში/ჩანაწერებში, რომელსაც აწარმოებს „ობლიგაციების“ ნებისმიერი „ნომინალური მფლობელი“. „ფასიანი ქაღალდების რეესტრი“ და (ii) ქვეპუნქტში მითითებული სხვა რეესტრები/ჩანაწერები შემდგომში მოიხსენიება, როგორც „რეესტრი“.

„ობლიგაციები“ უზრუნველყოფილია „ემიტენტის“ პირდაპირ ან „შვილობილების“/„მესაკუთრეთა“ (ამ ტერმინის ქვემოთ განსაზღვრული მნიშვნელობით) მეშვეობით არაპირდაპირ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით და სახელმწიფო ან მუნიციპალურ მიწაზე „მესაკუთრეთა“ სასარგებლოდ გაცემული აღნაგობის უფლებებით, როგორც განსაზღვრულია „პირობების“ შესაბამისად და „იპოთეკის ხელშეკრულებით“, და „გარანტიორების“ მიერ გაცემული სოლიდარულ თავდებობით, რომლის საფუძველზეც „გარანტიორებს“ წარმოეშობათ „ობლიგაციონერების“ ყველა ვადამოსული და გადაუხდელი ვალდებულების დაკმაყოფილების ვალდებულება სოლიდარულად, ამ „პროსპექტითა“ და შესაბამისი „თავდებობის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული წესით.

„იპოთეკის ხელშეკრულების“ პირობების თანახმად, შესაბამისი „მესაკუთრეები“ პირველი რიგის იპოთეკის უფლებით ტვირთავენ ქვემოთ აღწერილ აქტივებს „ობლიგაციონერების“ სასარგებლოდ: (i) უძრავ ქონებას - მიწის ნაკვეთებს, რომლებიც დეტალურად აღწერილია „იპოთეკის ხელშეკრულებაში“ („ქონება“); და (ii) აღნაგობის უფლებას უძრავ ქონებაზე, რომელიც დეტალურად აღწერილია „იპოთეკის ხელშეკრულებაში“; (iii) მასზე არსებულ ყველა გაუმჯობესებას, ნებისმიერ და ყველა შენობას, კონსტრუქციასა და ქონების სხვა შემადგენელ ნაწილს (კონსტრუქციები) ახლა თუ მომავალში; (iv) ნებისმიერ მოძრავ ნივთს, რომელიც განკუთვნილია ქონებისა და აღნაგობის უფლების სამსახურისთვის და მასთან დაკავშირებულია საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც იგი სივრცობრივ კავშირშია საკუთრებასთან ან/და აღნაგობის უფლებასთან და მის ნაწილთან, რომელიც დაკავშირებულია საკუთრებასთან ან/და აღნაგობის უფლებასთან, როგორც მთავარ ნივთთან, საკუთრების/აღნაგობის უფლების ან/და ქონების/აღნაგობის უფლების გაერთიანების შემდეგ, რომელიც წარმოიქმნება ასეთი აქტივების გაყოფის შედეგად.

პირველი რიგის იპოთეკა თავისთავში გულისხმობს „ობლიგაციონერების“ უფლებას, სხვა კრედიტორებთან შედარებით უპირატესად დაიკმაყოფილონ მოთხოვნა ამ „პროსპექტით“ გათვალისწინებული „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომისას. აღსრულების შემთხვევაში, ქონების რეალიზაციით მიღებულ თანხა განაწილდება „ობლიგაციონერებს“ შორის „ემიტენტის“ მიმართ თითოეული მათგანის მოთხოვნის პროპორციულად.

რაც შეეხება სოლიდარულ თავდებობას, ზემოაღნიშნული „თავდებობის ხელშეკრულებით“, „გარანტიორები“ „ობლიგაციონერების“ წინაშე პასუხს აგებენ „ემიტენტის“ ვალდებულებებისათვის მთელი თავიანთი ქონებით (და არა მხოლოდ იპოთეკის საგნად გამოყენებული აქტივების ფარგლებში). გარდა ამისა, სოლიდარული თავდებობა თავის თავში მოაზრებს „ობლიგაციონერების“ უფლებას, თითოეულ ან ყველა „გარანტორს“ წაუყენონ მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე, თუ ძირითადად მოვალემ („ემიტენტმა“) გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ან/და მისი გადახდის უუნარობა აშკარაა.

2. „ობლიგაციების“ შეთავაზებისა და განთავსების პროცედურა, „იპოთეკის ხელშეკრულების“ დადება და რეგისტრაცია, „თავდებობის ხელშეკრულების“ დადება, შეთავაზებაში ცვლილებების შეტანა და „ობლიგაციების“ შემდგომი გასხვისება

(ა) „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცედურა

„ობლიგაციების“ შეთავაზებას „ემიტენტის“ სახელით და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების (მანდატის წერილის) საფუძველზე განახორციელებენ „განთავსების აგენტები“ (როგორც განმარტებულია წინამდებარე „პროსპექტში“). საჯარო შეთავაზების დაწყებამდე, „ობლიგაციებით“ დაინტერესების მიზნით, „განთავსების აგენტებს“ ან/და მის უფლებამოსილ შუამავალს/შუამავლებს უფლება აქვთ დააგზავნონ დამტკიცებული „პროსპექტი“ პოტენციურ ინვესტორებთან ან/და სხვა მასალები, კანონმდებლობით დაშვებულ შემთხვევებში შესაბამის მოთხოვნათა დაცვით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ „პროსპექტის“ დამტკიცების შემდეგ, „ემიტენტი“ მოახდენს „ობლიგაციების“ საჯარო შეთავაზებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პოტენციური ინვესტორების კატეგორიები, რომელთათვისაც ხდება „ობლიგაციების“ შეთავაზება, შეზღუდული არ არის. „ემიტენტი“, განთავსების აგენტები, ან/და განთავსების პროცესში ჩართული ფინანსური შუამავალი/შუამავლები პოტენციურ ინვესტორებს, მათი სურვილის შესაბამისად, მიაწვდიან „პროსპექტის“ ელექტრონულ ბმულს, ან დასკანერებულ ვარიანტს ან „პროსპექტის“ დაბეჭდილ ასლს. „საბოლოო პროსპექტი“ მიეწოდება პოტენციურ ინვესტორებს საჯაროდ შეთავაზებული „ობლიგაციების“ გაყიდვის თარიღამდე, დაწყებისთანავე ან/და გაყიდვის პროცესში. ასევე, „საბოლოო პროსპექტში“ იქნება ასახული შეთავაზების (book-building-ის) შედეგად განსაზღვრული საბოლოო საპროცენტო განაკვეთი.

პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ „ობლიგაციების“ შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ შესყიდვის შესახებ განაცხადის / შეტყობინების მიწოდებით „განთავსების აგენტებთან“. „ობლიგაციების“ ყიდვის სურვილის შეტყობინება დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის ან/და „განთავსების აგენტების“ მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებებით. „ობლიგაციების“ შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების ბოლო ვადას ცალმხრვად განსაზღვრავენ „განთავსების აგენტები“. თუ განაცხადების მიღების საბოლოო თარიღს დაემთხვა დასვენების დღე, მაშინ ასეთი თარიღის წინა „სამუშაო დღე“ ჩაითვლება „ობლიგაციების“ შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების საბოლოო თარიღად.

„ობლიგაციის“ შეთავაზება ხორციელდება აშშ დოლარში დენომინირებული სასესხო ფასიან ქაღალდებში ინვესტირებით დაინტერესებულ ინვესტორთა ფართო წრისთვის.

„ობლიგაციების“ ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი დგინდება პოტენციური ინვესტორებისათვის „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში, „ობლიგაციების“ შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად). ასეთი საბოლოო საპროცენტო განაკვეთი ვარდება „წინასწარ პროსპექტში“ მითითებული საპროცენტო განაკვეთის ფარგლებში და აისახება „საბოლოო პროსპექტში“. ამასთან, წინასწარი „შეთავაზების პირობების დოკუმენტში“ მითითებულ ფარგლებში საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონის) ფორმირება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას და საჭიროებს მხოლოდ და მხოლოდ საბოლოო „შეთავაზების პირობების დოკუმენტში“ ასახვას.

თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შემენაზე, ვიდრე ამ „პროსპექტით“ არის გათვალისწინებული, მაშინ განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, „ემიტენტის“ გადაწყვეტილებისამებრ. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ან გააგრძელოს „ობლიგაციების“ შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე „განთავსების აგენტებს“ უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს მომდევნო „სამუშაო დღის“ 14.00 საათამდე (თბილისის დროით) მას შემდეგ, რაც

ინვესტორს ეცნობება მისი განაცხადის კორექტირების („ობლიგაციების“ ოდენობის თვალსაზრისით) შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, „განთავსების აგენტები“ უფლებამოსილი არიან, თავისი შეხედულებისამებრ, კვლავ განიხილოს ინვესტორის საწყისი განაცხადი (მოთხოვნილი „ობლიგაციების“ სრულ ოდენობაზე), ან უარი განაცხადოს მასზე.

საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) დასრულების შემდგომ „განთავსების აგენტები“ აცხადებენ შეთავაზების დასრულების შესახებ და იმ ინვესტორებს, რომელთა განაცხადებიც (მათ შორის, შეცვლილი რაოდენობით) დაკმაყოფილდა, აწვდიან შესაბამის შეტყობინებას (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად). შეტყობინებაში მითითებულ უნდა იქნას „ობლიგაციებზე“ დასარიცხი საპროცენტო განაკვეთის საბოლოო ოდენობა და „ობლიგაციების“ ის ოდენობა, რომლის ფარგლებშიც დაკმაყოფილდა პოტენციურ ინვესტორის განაცხადი. პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია დაადასტუროს დაკმაყოფილებული განაცხადი ან უარი განაცხადოს „ობლიგაციების“ შეძენაზე ამგვარი შეტყობინების მიღებიდან 2 (ორი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორი არ იტყვის უარს „ობლიგაციების“ შეძენაზე აღნიშნულ ვადაში, „ობლიგაციების“ შეძენის განაცხადი ითვლება ინვესტორის მიერ დადასტურებულად. ამგვარი შეტყობინების მიღებამდე და ინვესტორის მიერ მისთვის დაკმაყოფილებული განაცხადის დადასტურებამდე, ინვესტორს არ აქვს შესაძლებლობა დაიწყოს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა. იმ ინვესტორთა განაცხადებს, რომლებიც დაკმაყოფილდა და რომლებიც დადასტურებულია ინვესტორების მიერ ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად (შემდგომში „ხელმომწერი ინვესტორები“), აქვთ გამოუთხოვადი და მავალდებულებელი ძალა „ხელმომწერი ინვესტორისათვის“. „ემიტენტი“ ან/და „განთავსების აგენტები“ უფლებამოსილი არიან მოახდინონ „ობლიგაციების“ განთავსება „გადავადებული განთავსების ფასით“ „გამოშვების თარიღიდან“ „შეთავაზების პერიოდის“ დასრულებამდე (ამ უკანასკნელი თარიღის ჩათვლით). დეტალები იხ. „პირობების“ 2(ე) ქვეპუნქტში.

„ობლიგაციების“ განთავსების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ „პირობების“ ქვეთავი სახელწოდებით „განთავსება“.

„ემიტენტისთვის“ ჯერჯერობით არ არის ცნობილი მიიღებს თუ არა შეთავაზებაში მონაწილეობას „ემიტენტის“ მენეჯმენტი, დირექტორთა ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან/და მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები (პარტნიორები). ასევე, „ემიტენტს“ არ აქვს ინფორმაცია ამ ქვეპუნქტის პირველი წინადადებით განსაზღვრული რომელიმე პირის შესახებ, რომელსაც სურს გამოიწეროს შეთავაზების 5 (ხუთი) პროცენტზე მეტი; ამავდროულად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „ემიტენტის“ მმართველობითი ფუნქციის მქონე პირებმა და მათთან დაკავშირებულმა პირებმა, თავის ან სხვა პირის სასარგებლოდ არ უნდა განახორციელონ გარიგებები ამ „ემიტენტის“ ფასიან ქაღალდებზე ან/და „ემიტენტის“ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე აღნიშნული „ემიტენტის“ მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ნახევარი წლის ან წლიური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე სულ მცირე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე.

განმცხადებლების მიერ გადახდილი ზედმეტი თანხის შემთხვევაში გადახდილი ნამეტი ინახება განმცხადებლის საბროკერო ანგარიშზე. ამ თანხის დაბრუნება ხდება „განთავსების აგენტების“ სტანდარტული პროცედურით.

საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) საფუძველზე დადგენილი შეთავაზების საბოლოო პირობები გასაჯაროვდება „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ მეშვეობით, რომელიც დამტკიცდება ეროვნული ბანკის მიერ და წარმოადგენს „საბოლოო პროსპექტის“ განუყოფელ ნაწილს.

(ბ) „ობლიგაციების“ შეძენა სტრატეგიული ინვესტორების მიერ

„პროსპექტის“ მომზადების თარიღისთვის, „ემიტენტი“ აწარმოებს მოლაპარაკებებს რამდენიმე სტრატეგიულ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტთან და განვითარების ბანკთან (შემდგომში ერთობლივად, „IFI“), რომლებთანაც თითოეულთან გეგმავს საინვესტიციო ხელშეკრულებების გაფორმებას. აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში თითოეულმა ინვესტორმა შეიძლება შეიძინოს „ობლიგაციები“ ხელშეკრულებების შესაბამისად განსაზღვრული

პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში. სხვა საკითხებთან ერთად, აღნიშნული საინვესტიციო ხელშეკრულებები მოიაზრებს „ემიტენტის“ მიერ კონკრეტული IFI-ების პოლიტიკა-პროცედურების მოთხოვნებთან შესაბამისობას, რაც მათ შორის მოიცავს გარემოსდაცვით და სოციალურ ფაქტორებს, ჯარიმებს, მოთხოვნებს ფულის გათეთრებას, ანტი-კორუფციულ ღონისძიებებსა და თაღლითობასთან მიმართებით. იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნულ IFI-ებთან გაფორმდება საინვესტიციო ხელშეკრულებები, არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ IFI-ს არ გააჩნია „ობლიგაციების“ შექმნის ვალდებულება.

„პროსპექტის“ მომზადების თარიღისთვის, აღნიშნულ სტრატეგიულ ინვესტორ IFI-ებს წარმოადგენენ:

- FMO (Dutch Development Bank, Nederlandse Financierings-Maatschappij voor Ontwikkelingslanden N.V);
- ADB (The Asian Development Bank, a regional development bank with its headquarters located in Manila, the Philippines);
- IFC (The International Finance Corporation)*.

FMO და ADB სტრატეგიული ინვესტორები იყვნენ „ემიტენტის“ „ავილირებული პირის“ (GGU/ „ემიტენტის“ ყოფილი 100%-იანი აქციონერი) წინა ევრო-ობლიგაციებშიც.

**„პროსპექტის“ მომზადების თარიღისთვის, IFC-ს მიღებული აქვს წინასწარი საკრედიტო დასტური „ობლიგაციების“ შექმნაზე, რაც „ობლიგაციების“ შექმნაზე მზადყოფნის დადასტურებამდე ექვემდებარება საბჭოს დასტურს.*

(გ) საჯარო შეთავაზების პერიოდში ცვლილების შეტანის პროცედურა

საჯარო შეთავაზების პერიოდში (საჯარო შეთავაზების დაწყებიდან „გამოშვების თარიღამდე“) „ობლიგაციების“ შესახებ ინფორმაციის ცვლილებისთვის, „ემიტენტი“ მიმართავს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცედურას.

იგივე წესები და პროცედურა გავრცელდება „იპოთეკის ხელშეკრულების“ და „თავდებობის ხელშეკრულების“ პირობებში ნებისმიერ არსებით ცვლილებებზე, რომელიც განხორციელდება შეთავაზების დაწყებიდან იმ თარიღამდე, სანამ თითოეული „ობლიგაციონერის“ სასარგებლოდ შეუზღუდავად და სრულად გავრცელდება შესაბამისი უზრუნველყოფა.

(დ) „იპოთეკის ხელშეკრულების“ და „თავდებობის ხელშეკრულების“ დადება, იპოთეკის რეგისტრაცია

„გამოშვების თარიღიდან“ 30 (ოცდაათი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში, „ემიტენტი“ ან/და „განთავსების აგენტები“ დაუკავშირდებიან ყველა „ობლიგაციონერს“ და უზრუნველყოფენ „პირობების“ პირველი პუნქტით განსაზღვრული „იპოთეკის ხელშეკრულების“ და „თავდებობის ხელშეკრულების“ დადებას.

„იპოთეკის ხელშეკრულებას“ და „თავდებობის ხელშეკრულებას“ ხელი მოეწერება ერთდროულად „ემიტენტის“ მიერ განსაზღვრულ დღეს, რომელიც უნდა იყოს „გამოშვების თარიღიდან“ 30 (ოცდაათი) „სამუშაო დღის“ ვადაში. ისინი დადასტურდება სანოტარო წესით (სადაც ნოტარიუსი დაამოწმებს არა მხოლოდ ხელმოწერების ვინაობას, არამედ მათ უფლებამოსილებასაც) და შესაბამისად, გათვალისწინებული იქნება უზრუნველყოფის აღსრულება სანოტარო სააღსრულებო ფურცლის მეშვეობით, რაც „ობლიგაციონერებს“ საშუალებას მისცემს, ეფექტურად აღასრულონ ნებისმიერი უზრუნველყოფა „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომისას. „იპოთეკის ხელშეკრულება“ ასევე დარეგისტრირდება სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ (შემდგომში „საჯარო რეესტრი“).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თითოეული „ობლიგაციონერი“ ვალდებულია უზრუნველყოს, თავად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით გამოცხადდეს ნოტარიუსის წინაშე „ემიტენტის“ მიერ განსაზღვრულ დღეს და ხელი მოაწეროს „იპოთეკის ხელშეკრულებას“ და „თავდებობის ხელშეკრულებას“.

იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციონერი“ ხელს აწერს უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, შესაბამისი უფლებამოსილება უნდა დასტურდებოდეს სათანადო წესით გაცემული და დამოწმებული უფლების დამდგენი დოკუმენტის (ამონაწერი, წესდება და ა.შ.) მეშვეობით ან/და ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობით („მინდობილობა“), რომლის სანოტარო აქტიც ადასტურებს არა მხოლოდ „მინდობილობის“ გამცემის ვინაობას, არამედ „ობლიგაციონერების“ სანაცვლოდ ხელის მოწერის უფლებამოსილებას. თუკი „მინდობილობა“ გაცემულია საზღვარგარეთ, ის ან უნდა იყოს აპოსტილით დამოწმებული (თუ აღნიშნული ქვეყანა წარმოადგენს „უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნის გაუქმების შესახებ“ ჰააგის კონვენციის წევრ ერთ-ერთ სახელმწიფოს) ან ლეგალიზებული იქ მდებარე საქართველოს საკონსულოს მიერ. დოკუმენტების ორიგინალი ვერსიები მიეწოდება „ემიტენტსა“ და „განთავსების აგენტებს“ და აღნიშნული დოკუმენტების სათანადო წესით წარდგენა წარმოადგენს შესაბამისი „ობლიგაციების“ „ობლიგაციონერზე“ განთავსების წინაპირობას.

უზრუნველყოფის შექმნასთან დაკავშირებული ყველა ტიპის ფორმალობა და იპოთეკის რეგისტრაცია უნდა დასრულდეს „გამოშვების თარიღიდან“ არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) „სამუშაო დღისა“.

ზემოაღნიშნულ პროცედურასთან დაკავშირებით დამატებითი კითხვების შემთხვევაში, „ობლიგაციონერებს“ პირდაპირ შეუძლიათ დაუკავშირდნენ „განთავსების აგენტებსა“ და „ემიტენტს“.

(ე) „ობლიგაციების“ გასხვისება

„ობლიგაციების“ გასხვისება ხდება საქართველოს კანონმდებლობით (მათ შორის, „ფასიანი ქაღალდების კანონით“) დადგენილი წესით საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. „ობლიგაციების“ გასხვისება და საკუთრების უფლების გადაცემა მხოლოდ მაშინ არის ძალაში მყოფი, თუ ამგვარი გასხვისების შედეგად „ობლიგაცი(ებ)ზე“ საკუთრების უფლების ცვლილება დარეგისტრირდება შესაბამის „რეესტრში“. „ობლიგაციების“ განთავსების შემდგომ „ემიტენტს“ აქვს უფლება მიმართოს საქართველოს საფონდო ბირჟას განაცხადით „ობლიგაციების“ სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე. სავაჭრო სისტემაში დაშვების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება „ობლიგაციებით“ გარიგებების დადება საქართველოს საფონდო ბირჟაზე საფონდო ბირჟის წესებისა და ბირჟაზე დაშვებული „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის“ მოთხოვნების შესაბამისად. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „ობლიგაციების“ საქართველოს საფონდო ბირჟის ოფიციალურ ლისტინგში დაშვების შესახებ გადაწყვეტილება არ საჭიროებს რაიმე ტიპის თანხმობას ან დამოწმებას „ობლიგაციონერების“ ან „ობლიგაციონერთა წარმომადგენლის“ მიერ.

ინდივიდუალური „ობლიგაციონერების“ მფლობელობაში არსებული „ობლიგაციების“ სრულად ან ნაწილობრივ გასხვისება დაშვებულია იმის გათვალისწინებით, რომ (1) მსგავსი გადაცემის შესახებ შეტყობინება შესაბამისად მიეწოდებათ „რეესტრატორს“ ან „ნომინალურ მფლობელს“, (2) გადაცემის შედეგად განახლებული ინფორმაცია იპოთეკარის ჩანაცვლების შესახებ უნდა აისახოს „საჯარო რეესტრში“. აღნიშნული სრულდება „იპოთეკის ხელშეკრულების“ მარტივი ცვლილებით, რომელიც ფორმდება და რეგისტრირდება „ობლიგაციების“ გამყიდველისა და მყიდველის მიერ; და (3) გადაცემის შედეგად უნდა მოხდეს მხარეების ჩანაცვლება ან დამატება „თავდებობის ხელშეკრულებაშიც“, რაც გაფორმდება იმავე ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული ფორმით. ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც „იპოთეკის ხელშეკრულების“, ასევე „თავდებობის ხელშეკრულების“ მიერთების აქტი უნდა გაფორმდეს იმავე ნოტარიუსთან, რომლის მიერაც მოხდება უზრუნველყოფის ხელშეკრულებების დამოწმება.

თითოეული „ობლიგაციონერი“ აცნობიერებს, რომ „ობლიგაციების“ გასხვისება და მათზე საკუთრების გადაცემა ძალაში იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი „ობლიგაციების“ შემძენი გახდება „იპოთეკის ხელშეკრულების“ და „თავდებობის ხელშეკრულების“ დანართების - მიერთების შეთანხმების (deed of accession-ის) მხარე და „იპოთეკის ხელშეკრულები“ შემთხვევაში, აღნიშნული შეთანხმება დარეგისტრირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

„ობლიგაციონერები“ აქვე აცნობიერებენ, რომ „ობლიგაციების“ ნაწილობრივი გასხვისების შემთხვევაში იპოთეკის შემძენზე რეგისტრაციისთვის შესაძლოა „საჯარო რეესტრში“ მოითხოვოს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა. ასეთ შემთხვევაში, სხვა „ობლიგაციონერებიც“ ვალდებული იქნებიან გამოცხადდნ „საჯარო რეესტრში“, ხელი მოაწერონ „იპოთეკის ხელშეკრულების“ ცვლილებას და სრულად შეასრულონ ყველა საჭირო ფორმალთა, რომლის ხარჯების ანაზღაურებაც ეკისრება „ობლიგაციების“ გამსხვისებელს. აღნიშნული უფლებამოსილების შესრულების უზრუნველსაყოფად, თითოეული „ობლიგაციონერი“, რომელიც არ არის ინსტიტუციონალური ინვესტორი (საცალო ობლიგაციონერი) მინდობილობას გასცემს „იპოთეკის ხელშეკრულების“ და „თავდებობის ხელშეკრულების“ ხელმოწერასთან ერთად „ობლიგაციონერების წარმომადგენელზე“ და უზრუნველყოფს, რომ აღნიშნული მინდობილობა (რომელიც „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ უფლებამოსილებას მიანიჭებს ხელი მოაწეროს „იპოთეკის ხელშეკრულების“ / „თავდებობის ხელშეკრულების“ ისეთ ცვლილებას, რომელიც უკავშირდება ხელშეკრულების მხარეების ცვლილებას) ძალაში იქნება „ობლიგაციების“ მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე. ინსტიტუციონალური ინვესტორები იმავე სახის მინდობილობას გასცემენ მათ წარმომადგენელზე, რომელიც მუდმივად იქნება საქართველოში.

იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდა „ობლიგაციონერების“ გამოცხადება „საჯარო რეესტრში“ და „იპოთეკის ხელშეკრულების“ ცვლილებაზე ხელმოწერა „ობლიგაციების“ გასხვისების შემთხვევაში და რომელიმე „ობლიგაციონერი“ ვერ უზრუნველყოფს მისი წარმომადგენლის გამოცხადებას შესაბამისი მინდობილობის გამოხმობის, ვადის გასვლის ან სხვა ნებისმიერი მიზეზის გამო, ასეთ „ობლიგაციონერს“ დაერიცხება დღიური ჯარიმა მის საკუთრებაში არსებულ „ობლიგაციებზე“ დარიცხული საპროცენტო სარგებლის 0.05%-ის ოდენობით, თუმცა არანაკლებ 100 (ასი) აშშ დოლარისა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე და „ემიტენტი“ უფლებამოსილი იქნება აღნიშნული საჯარიმო თანხა დააკავოს წინამდებარე „პროსპექტის“ საფუძველზე გადასახდელი თანხებიდან.

„ობლიგაციები“ შესაძლოა გასხვისდეს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (მათ შორის, „ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის“ შესაბამისად). „ობლიგაციების“ საკუთრების უფლების გადაცემა ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული რეგისტრირდება „საჯარო რეესტრში“.

(ვ) ფასის დადგენა

პოტენციური ინვესტორებისათვის შეთავაზების საბოლოო მოცულობა დგინდება „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში, „ობლიგაციების“ შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად) „ობლიგაციების“ „პირობების“ 2(ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.

(ზ) განთავსება

„ემიტენტი“ ან/და „განთავსების აგენტები“ უფლებამოსილი არიან მოახდინონ „ობლიგაციების“ განთავსება „გადავადებული განთავსების ფასით“ „გამომგების თარიღიდან“ „შეთავაზების პერიოდის“ დასრულებამდე (ამ უკანასკნელი თარიღის დასრულების დღის ჩათვლით). „ობლიგაციების“ გადავადებული განთავსება მოხდება

„გადავადებული განთავსების ფასით“. ინვესტორებს შეუძლიათ გადავადებით გამოსაშვები „ობლიგაციების“ შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ შესყიდვის შესახებ განაცხადის / შეტყობინების მიწოდებით „განთავსების აგენტთან“. „ობლიგაციების“ ყიდვის სურვილის შეტყობინება დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის ან/და „განთავსების აგენტების“ მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებებით.

„ხელმოწერი ინვესტორები“ და ის ინვესტორები, რომლებიც შეისყიდიან „ობლიგაციებს“ „გადავადებული განთავსების თარიღზე“ (შემდგომში ერთობლივად „**ინვესტორ(ებ)ი**“), ვალდებული არიან შესაბამისი ოდენობის „ობლიგაციების“ შესასყიდი თანხები სრულად განათავსონ საბროკერო ანგარიშზე „გამოშვების თარიღამდე“ ან „გადავადებული განთავსების თარიღამდე“ არანაკლებ 2 (ორი) „სამუშაო დღით“ ადრე. „ინვესტორის“ მიერ აღნიშნული საბროკერო ანგარიში გახსნილი უნდა იქნას „განთავსების აგენტთან“. ამავე ანგარიშზე მოხდება „ინვესტორის“ მიერ შესყიდული „ობლიგაციების“ მიწოდება „ემიტენტის“ მიერ შესაბამისად „გამოშვების თარიღზე“ ან „გადავადებული განთავსების თარიღზე“. გამონაკლის შემთხვევებში, „განთავსების აგენტებს“ შეუძლიათ თავიანთი დისკრეციის ფარგლებში დართონ ნება „ინვესტორს“ „ობლიგაციების“ გამოსასყიდი თანხები, ნაცვლად „განთავსების აგენტთან“ გახსნილი საბროკერო ანგარიშისა, მიმართოს „ემიტენტის“ ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე „განთავსების აგენტთან“. ასეთ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ მიწოდება „ინვესტორისათვის“ მოხდება „რეგისტრატორთან“ ან სხვა უფლებამოსილ „ნომინალურ მფლობელთან“ არსებულ „ინვესტორის“ ანგარიშზე.

„ობლიგაციების“ განთავსების შემდეგ „ობლიგაციონერებს“ შეუძლიათ ფლობდნენ „ობლიგაციებს“ სხვა „ნომინალურ მფლობელთან“ გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე ან „რეგისტრატორში“ ჩანაწერის სახით.

„ემიტენტი“ არ მოახდენს წინამდებარე „პროსპექტში“ აღწერილი შეთავაზებით გათვალისწინებული „ობლიგაციების“ გამოშვებას ან/და გააუქმებს ყველა გამოშვებულ „ობლიგაციას“ (თუ კი ასეთი იარსებებს) „ობლიგაციონერებისათვის“ „ობლიგაციების“ შესაძენად გადახდილი თანხის დაბრუნებით, თუ „გამოშვების თარიღზე“ არ მოხდება განთავსების მინიმალური ოდენობის განთავსება.

თუ „საბოლოო პროსპექტით“ გათვალისწინებული „ობლიგაციების“ სრული რაოდენობა არ იქნება განთავსებული შეთავაზების დასრულების თარიღზე, განუთავსებელი „ობლიგაციები“ ჩაითვლება გაუქმებულად (გაუქმდება) და „ემიტენტი“ „ობლიგაციების“ განთავსებული რაოდენობის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის საქართველოს ეროვნულ ბანკს, საფონდო ბირჟას – თუ ფასიანი ქაღალდი დაშვებულია საფონდო ბირჟაზე და აგრეთვე გამოაცხადებს მას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

(თ) ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვება ბირჟაზე

„ემიტენტს“ გამოზნული აქვს „ობლიგაციების“ განთავსების შემდგომ მიმართოს საქართველოს საფონდო ბირჟას განაცხადით „ობლიგაციების“ სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე.

3. სტატუსი

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „ემიტენტის“ უზრუნველყოფილ ვალდებულებას. ყველა „ობლიგაციას“ აქვს თანაბარი, იდენტური სამართლებრივი სტატუსი, ერთმანეთთან რაიმე უპირატესობის გარეშე. შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, „ობლიგაციებს“ ექნებათ „ემიტენტის“ ყველა სხვა უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნის თანაბარი სტატუსი გადახდის უფლებასთან (პრიორიტეტულობასთან) მიმართებაში („პირობების“ 5(ა) ქვეპუნქტის გათვალისწინებით).

4. „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ დანიშვნა

(I) „ობლიგაციების“ შექმნით (პირველადი განთავსებისას ან მეორად ბაზარზე შექმნისას) თითოეული „ობლიგაციონერი“ ან/და „ნომინალური მფლობელი“ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებულ ყველა იმ საკითხთან

მიმართებაში, რაც რეგულირდება წინამდებარე „პირობების“ მე-5 პუნქტით და „ხელშეკრულებით“ (გარდა „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადების და სააღსრულებო პროცედურების დაწყებისა), თავის წარმომადგენლად ნიშნავს „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“, რომელსაც ენიჭება (რაიმე წინასწარი თანხმობის მიღების გარეშე, თუ ამგვარი თანხმობის მიღება პირდაპირ არ არის გათვალისწინებული „პირობებით“, „ხელშეკრულებით“ ან/და კანონმდებლობით) თითოეული „ობლიგაციონერისა“ ან/და „ნომინალური მფლობელის“ სახელით მოქმედების უფლებამოსილება ამ „ობლიგაციონერებისა“ ან/და „ნომინალური მფლობელების“ მფლობელობაში არსებულ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი სამართლებრივი საქმის წარმოებისას.

(II) თითოეულმა „ობლიგაციონერმა“ ან/და „ნომინალურმა მფლობელმა“, მოთხოვნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ ნებისმიერი ისეთი დოკუმენტაცია, მათ შორის, წერილობითი მინდობილობა („ობლიგაციონერების წარმომადგენლისთვის“ მისაღები ფორმითა და შინაარსით), რომელიც ამ უკანასკნელს აუცილებლად მიაჩნია „პირობებით“ ან/და „ხელშეკრულებით“ დაკისრებული უფლებებისა ან/და ვალდებულებების შესასრულებლად და „ობლიგაციონერთა“ ინტერესების დასაცავად „პროსპექტისა“ (მათ შორის, „პირობების“) და „ხელშეკრულების“ შესაბამისად (გარდა „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადების და სააღსრულებო პროცედურების დაწყებისა). „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ არ გააჩნია ვალდებულება წარმოადგინოს ის „ობლიგაციონერი“, რომელიც (ან რომლის „ნომინალური მფლობელიც“) არ შეასრულებს წინამდებარე ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

(III) „ობლიგაციონერები“ (ან მისი სახელით მოქმედი „ნომინალური მფლობელი“) უფლებამოსილნი არიან პირდაპირ (უშუალოდ) იმოქმედონ „ემიტენტის“ წინააღმდეგ „პირობების“ ან/და შესაბამისად. აღნიშნული არ ცვლის ან აუქმებს „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ უფლებას, მიიღოს ამ „პროსპექტით“ გათვალისწინებული ნებისმიერი ინფორმაცია და გასცეს აქ გათვალისწინებული თანხმობები/უფლებაზე უარის თქმის წერილები, იმის გათვალისწინებით, რომ თუ დადგება „დეფოლტის შემთხვევა“, „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ იმოქმედებს მხოლოდ „სპეციალური გადაწყვეტილების“ საფუძველზე და მისით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

5. დათქმები

(ა) „უზრუნველყოფის ღონისძიების“ წარმოშობის შეზღუდვა:

„ობლიგაციების“ „დაფარვამდე“ „ემიტენტმა“ არ უნდა მოახდინოს მის რომელიმე აქტივზე და არ უნდა დაუშვას, რომ მისმა რომელიმე „მნიშვნელოვანმა შვილობილმა“ მოახდინონ მათ რომელიმე არსებულ ან სამომავლო აქტივზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ რაიმე „უზრუნველყოფის ღონისძიების“ (ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვის) წარმოშობა ან არსებობა (გარდა „ნებადართული უზრუნველყოფისა“) რაიმე „ვალდებულების“ უზრუნველსაყოფად. აღნიშნული აკრძალავს არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე „ემიტენტის“ ვალდებულებებს ამასთანავე გააჩნიათ ამგვარი სხვა „ვალდებულების“ სულ მცირე თანაბარი უზრუნველყოფები, ან ასეთი უზრუნველყოფა ხელსაყრელია ან სხვაგვარად არიან უზრუნველყოფილნი „ობლიგაციონერების წარმომადგენლისათვის“ მისაღები ან „ობლიგაციონერების“ „სპეციალური გადაწყვეტილებით“ დამტკიცებული სხვა უზრუნველყოფის საშუალებებით და პირობებით.

(ბ) საქმიანობის გაგრძელება, უფლებამოსილების შენარჩუნება და იურიდიული ძალა:

(I) „ემიტენტმა“ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, და უნდა უზრუნველყოს, რომ მისი ყველა „მნიშვნელოვანი შვილობილი“ მიიღებს ყველა აუცილებელ ზომას, რათა შენარჩუნებულ იქნას მისი და მათი, როგორც სამეწარმეო იურიდიული პირების, განგრძობადი არსებობა (გარდა „პირობების“ 5(გ) ქვეპუნქტით („შერწყმა“) გათვალისწინებული შემთხვევებისა) და ბიზნეს საქმიანობა და აგრეთვე ყველა ის მნიშვნელოვანი ინტელექტუალური საკუთრება, ყველა

საჭირო ნებართვა, ლიცენზია, თანხმობა და უფლებამოსილება, რაც დაკავშირებულია ან/და აუცილებელია მისი (მათი) საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისათვის.

(II) „ემიტენტმა“ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, მოიპოვოს და შეინარჩუნოს ყველა ის უფლებამოსილება, ნებართვა, ლიცენზია და განახორციელოს და უზრუნველყოს ყველა იმ საჭირო პროცედურების განხორციელება, რაც საქართველოს კანონმდებლობით სავალდებულოა „ობლიგაციებით“ და „იპოთეკის ხელშეკრულებით“ ნაკისრი მისი ვალდებულებების კანონიერად შესრულებისათვის და საქართველოში „ობლიგაციების“ ნამდვილობის, აღსრულებადობისა და მტკიცებულებად დასაშვებობისათვის.

(გ) შერწყმა:

(I) „ემიტენტი“ უზრუნველყოფს, რომ იმ „ობლიგაციონერების“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ნომინალური მფლობელობის“ საშუალებით) ინდივიდუალურად ან ჯამურად, „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ არანაკლებ 67%-ს (სამოცდაშვიდ პროცენტს), არ განახორციელოს შემდეგი: (გ.1) რეორგანიზაცია (იქნება ეს სხვა იურიდიულ პირთან შერწყმის, გაყოფის თუ გარდაქმნის სახით) ან რაიმე სხვა სახის კორპორატიული ცვლილება, ან (გ.2) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, კონსოლიდაცია ან შერწყმა, „ემიტენტის“ მთლიანი კონსოლიდირებული ქონების ან აქტივების ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილის გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი განკარგვა,

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

(i) ზემოთხსენებული (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციის შემდეგ დაუყოვნებლივ:

(ა) რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული „პირი“ ან ქონების ან აქტივების მიმღები (შემდგომში „სამართალმემკვიდრე“) არის კვლავ „ემიტენტი“, ან, თუ „სამართალმემკვიდრე“ არ არის „ემიტენტი“, მაშინ ეს „სამართალმემკვიდრე“ ცალსახად იკისრებს „ობლიგაციებიდან და „იპოთეკის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ყველა არსებით უფლებას და ვალდებულებას „ობლიგაციონერების წარმომადგენლისათვის“ მისაღები ფორმითა და პირობებით, რომელსაც განსაზღვრავს „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ და რომლის სათანადოდ გაფორმებულ ფორმასაც „სამართალმემკვიდრე“ მიაწვდის „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ იმ აუცილებელი პირობების/სტანდარტების გათვალისწინებით, რაც საჭიროა ამგვარი უფლებებისა და ვალდებულებების „სამართალმემკვიდრისთვის“ გადაკისრების ნამდვილობისთვის; და

(ბ) „სამართალმემკვიდრე“ (თუ ის არ არის „ემიტენტი“) უნდა ინარჩუნებდეს ან იყოს „ემიტენტის“ უფლებამონაცვლე ყველა მნიშვნელოვან სამთავრობო ნებართვასთან, ლიცენზიასთან, თანხმობასთან და უფლებამოსილებასთან მიმართებაში და უნდა აკმაყოფილებდეს ყველა სახის მნიშვნელოვან მარეგულირებელ მოთხოვნას იმ იურისდიქციაში, სადაც ის ოპერირებს;

(ii) არცერთი „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ არ დამდგარა, და არ დადგება ამგვარი რეორგანიზაციის ან მსგავსი ტრანზაქციის შედეგად; და

(iii) ზემოთხსენებულ (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციები არ გამოიწვევს „არსებითად უარყოფით გავლენას“.

(II) „ემიტენტი“ უზრუნველყოფს, რომ იმ „ობლიგაციონერების“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ნომინალური მფლობელობის“ საშუალებით) ინდივიდუალურად ან ჯამურად, „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ არანაკლებ 67%-ს (სამოცდაშვიდ პროცენტს), „მნიშვნელოვანმა შვილობილმა“ არ უნდა განახორციელოს შემდეგი: (გ.1) რეორგანიზაცია (იქნება ეს სხვა იურიდიულ პირთან შერწყმის, გაყოფის თუ გარდაქმნის სახით) ან რაიმე სხვა სახის კორპორატიული ცვლილება, ან (გ.2) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, კონსოლიდაცია ან შერწყმა, შესაბამისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მთელი ან

არსებითად მთელი ქონების ან აქტივების გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი განკარგვა; გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

(i) ზემოთხსენებული (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციის შემდეგ დაუყოვნებლივ:

- (ა) „მნიშვნელოვანი შვილობილი“ არის „სამართალმემკვიდრე“; ან
- (ბ) „სამართალმემკვიდრე“ (თუ ის არ არის „მნიშვნელოვანი შვილობილი“) უნდა ინარჩუნებდეს ან იყოს შესაბამისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ უფლებამონაცვლე ყველა მნიშვნელოვან სამთავრობო ნებართვასთან, ლიცენზიასთან, თანხმობასთან და უფლებამოსილებასთან მიმართებაში და უნდა აკმაყოფილებდეს ყველა სახის მნიშვნელოვან მარეგულირებელ მოთხოვნას იმ იურისდიქციაში, სადაც ის ოპერირებს;

(ii) არცერთი „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ არ დამდგარა, და არ დადგება ამგვარი რეორგანიზაციის ან მსგავსი ტრანზაქციის შედეგად; და

(iii) ზემოთხსენებულ (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციები არ გამოიწვევს „არსებითად უარყოფით გავლენას“.

(III) მიუხედავად ზემოთქმულისა, ნებისმიერი „მნიშვნელოვან შვილობილი“ უფლებამოსილია „ემიტენტთან“ ან „შვილობილთან“ (რომელიც ამ პუნქტში აღწერილი ტრანზაქციის შედეგად ჩაითვლება „მნიშვნელოვან შვილობილად“ ამ „პროსპექტის“ მიზნებისთვის) მიმართებაში, მოახდინოს კონსოლიდირება ან შერწყმა (რეორგანიზაციის ნებისმიერი ფორმით) ან ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მთელი ან არსებითად მთელი ქონების ან აქტივების გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი განკარგვა.

(IV) მიუხედავად ზემოთქმულისა, წინამდებარე 5(გ) ქვეპუნქტი არ შეეხება (i) ტრანზაქციებს „ემიტენტსა“ და ნებისმიერ მის 100%-იან „შვილობილს“ შორის, (ii) მისი ქონების ლიზინგით გაცემას, გაყიდვას ან სხვაგვარად განკარგვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, ან (iii) ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივს ან შემოსავალს, ასევე მათ ნაწილს, რაც ექვემდებარება სექიურითიზაციას, მისაღები თანხებით, აქტივებით გამყარებული დაფინანსებას ან მსგავსი ტიპის დაფინანსებას, სადაც ყველა ვალდებულება დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან, იმ პირობით, რომ ამგვარი აქტივების ან შემოსავლების ღირებულება და შემოსავლების ღირებულების ჯამური ოდენობა, არ უნდა აღემატებოდეს უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ემიტენტის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 10%-ს (ათ პროცენტს).

(დ) გასხვისება:

(I) მიუხედავად წინამდებარე „პირობებში“ რაიმე საპირისპიროს არსებობისა, და „პირობების“ 5(გ) ქვეპუნქტის („შერწყმა“) და 5(ე) ქვეპუნქტის („აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები“) დებულებების შეუზღუდავად და გათვალისწინებით, „ემიტენტი“, არც თავად და არც რომელიმე მისი „შვილობილის“ საშუალებით, არ არის უფლებამოსილი გაყიდოს, გაასხვისოს, იჯარით გასცეს ან სხვაგვარად განკარგოს თავისი აქტივები ან შემოსავლები, მთლიანად ან ნაწილობრივ, ერთი ან რამდენიმე (დაკავშირებული ან დამოუკიდებელი) ტრანზაქციით სხვა რომელიმე „პირზე“, გარდა „ემიტენტისა“ ან მისი „შვილობილისა“. აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც:

- (1) ყველა ასეთი ტრანზაქცია ხორციელდება გაშლილი ხელის პრინციპით, „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“; და
- (2) ნებისმიერ იმ ტრანზაქციასთან მიმართებით, როდესაც ხდება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“

კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ემიტენტის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 10%-ზე (ათი პროცენტზე) მეტის გასხვისება, გასხვისებამდე „ემიტენტი“ ვალდებულია „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ მიაწოდოს „დამოუკიდებელი შემფასებლის“ წერილობითი დასკვნა იმის შესახებ, რომ ტრანზაქცია განხორციელდა „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“; და

(3) ანაზღაურების სულ მცირე 75% (სამოცდათხუთმეტი პროცენტი) მიღებულია ფულისა და „ფულის ეკვივალენტების“ სახით „ემიტენტის“ ან მისი შესაბამისი „შვილობილის“ მიერ; ან

(4) თუკი სრულდება მე-5 (დ) ქვეპუნქტის მხოლოდ (დ)(1) და (დ)(2) ნაწილებით განსაზღვრული პირობები, „ემიტენტი“ უზრუნველყოფს იმ „ობლიგაციონერების“ წინასწარი წერილობითი თანხმობის მოპოვებას, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ნომინალური მფლობელობის“ საშუალებით) ინდივიდუალურად ან ჯამურად, „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ არანაკლებ 51%-ს (ორმოცდათერთმეტ პროცენტს);

(II) ამავედროულად, წინამდებარე 5(დ) ქვეპუნქტი არ შეეხება შემდეგს:

(i) ტრანზაქციებს „ემიტენტსა“ და ნებისმიერ მის 100%-იან „შვილობილს“ შორის;

(ii) „ემიტენტის“ ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის პროცესში ქონების ლიზინგით გაცემას, გაყიდვას ან სხვაგვარ განკარგვას;

(iii) ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივს ან შემოსავალს, ასევე მათ ნაწილს, რაც ექვემდებარება სექიურითიზაციას, მისაღები თანხებით, აქტივებით გამყარებული დაფინანსებას ან მსგავსი ტიპის დაფინანსებას, სადაც ყველა ვალდებულება დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან იმ პირობით, რომ ამგვარი აქტივების ან შემოსავლების ღირებულება და შემოსავლების ღირებულების ჯამური ოდენობა, არ უნდა აღემატებოდეს უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ემიტენტის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 10%-ს (ათ პროცენტს);

(iv) ნებისმიერ გასხვისების გარიგებას, რომლისგან მიღებული წმინდა შემოსულობის ჯამური ოდენობაც არ აღემატება შემდეგი ორი მაჩვენებელიდან უმაღლესს: უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ჯგუფის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 10%-სა (ათ პროცენტს) ან 8 (რვა) მილიონ აშშ დოლარს (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში).

(ე) აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები

(I) არც „ემიტენტი“ და არც მისი რომელიმე „მნიშვნელოვანი შვილობილი“ პირდაპირ ან არაპირდაპირ არ განხორციელებს და არ დაუშვებს რაიმე საქმიანობას ან ტრანზაქციას (მათ შორის ქონების ან მომსახურების შექმნა, გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა, გადაცემა ან გაცვლა) „აფილირებულ პირთან“ ან მათ სასარგებლოდ (შემდგომში „აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქცია“), მათ შორის, სესხების გაცემას/მიღებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი გარიგების პირობები (შესაბამისი „აფილირებული პირის“ მდგომარეობის გათვალისწინებით) აკმაყოფილებს გაშლილი ხელის პრინციპს და არ არის ნაკლებად ხელსაყრელი „ემიტენტისთვის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილისთვის“, ვიდრე „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ განხორციელებული გარიგებები იქნებოდა იმ „პირთან“, რომელიც არ არის/არაიან „ემიტენტთან“ ან მის „მნიშვნელოვან შვილობილთან“ „აფილირებული პირ(ებ)ი“.

(II) იმ „აფილირებულ პირთან განხორციელებული ტრანზაქციის“ შემთხვევაში, სადაც გარიგების ან დაკავშირებული გარიგებების საერთო ღირებულება ნებისმიერ 12 თვიან პერიოდში აღემატება 2 (ორი) მილიონ აშშ დოლარს ან უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ჯგუფის“ „კონსოლიდირებული მთლიანი აქტივების“ 2%-ს (ორ პროცენტს) შორის უმაღლესს, „ემიტენტმა“ ასეთი „აფილირებულ პირთან განხორციელებული ტრანზაქციის“ განხორციელებამდე „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ უნდა მიაწოდოს „დამოუკიდებელი შემფასებლის“ წერილობითი დასკვნა იმის თაობაზე, რომ „აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქცია“ (ან

ტრანზაქციების სერია) განხორციელდა „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ და არის სამართლიანი „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ფინანსური გადმოსახედიდან, გარემოებების გათვალისწინებით.

(III) შემდეგი გარიგებები არ იქნება მიჩნეული „აფილირებულ პირებთან განხორციელებულ ტრანზაქციებად“ და ამდენად, არ ექვემდებარება (I) და (II) ქვეპუნტებში განსაზღვრულ დათქმებს:

(ა) „ჯგუფის“ წევრის მიერ მისი საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში გაფორმებული შრომითი კონტრაქტი, რომელიც შეესაბამება „ჯგუფის“ წევრის წარსულში განხორციელებულ პრაქტიკას;

(ბ) „ემიტენტსა“ და მის 100%-იან „შვილობილს“ შორის განხორციელებული ტრანზაქციები;

(გ) გონივრული ოდენობის ანაზღაურების გადახდა მმართველი ორგანოების წევრებისათვის, რომლებიც „ემიტენტთან“ სხვაგვარად „აფილირებული პირები“ არ არიან;

(დ) „ემიტენტის“ ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი დამფუძნებლის/აქციონერისგან „ემიტენტის“ საქმიანობის დასაფინანსებლად გაცემული ნებისმიერი სესხი ან სხვა დაფინანსების საშუალება;

(ე) დროდადრო დადებული „ჰეჯირების ვალდებულებები“ კეთილსინდისიერი ჰეჯირების მიზნებისთვის და არა „ემიტენტის“ და „მნიშვნელოვანი შვილობილების“ სპეკულაციური მიზნებისთვის და ნებისმიერი „ჰეჯირების ვალდებულებების“ შეწყვეტის მიზნით;

(ვ) ტრანზაქციები მომხმარებლებთან, კლიენტებთან, მომწოდებლებთან, ერთობლივი საწარმოს პარტნიორებთან ან მყიდველებთან ან გამყიდველებთან ან საქონლის ან მომსახურების სხვა მიმწოდებლებთან, ან ქონების გამქირავებელთან ან მოიჯარესთან, თითოეულ შემთხვევაში ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის პროცესში და სხვაგვარად „პირობების“ შესაბამისად, რომლებიც სამართლიანია „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილებისთვის“ ან დადებულია ისეთივე ხელსაყრელი პირობებით „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილებისთვის“, როგორც შეიძლება გონივრულად ყოფილიყო მიღწეული ამ დროს არააფილირებულ მხარესთან (თითოეულ შემთხვევაში, როგორც ეს კეთილსინდისიერად არის განსაზღვრული „ემიტენტის“ პასუხისმგებელი ბუღალტრის ან ფინანსური ოფიცრის მიერ);

(ზ) „გამოყოფის ტრანზაქცია“ („Spin-Off“) და ნებისმიერი დამხმარე ან დაკავშირებული ტრანზაქცია.

(გ) „გადასახადების“ და სხვა მოთხოვნების გადახდა:

„ემიტენტმა“ და მისმა „მნიშვნელოვანმა შვილობილმა“ დროულად უნდა გადაიხადონ „გადასახადები“, რომელიც ეკისრებათ მათ ან დაკისრებულია მათ შემოსავალზე, მოგებაზე ან ქონებაზე, იმ პირობით, რომ „ემიტენტს“ ან მის „მნიშვნელოვან შვილობილს“ ამ „პროსპექტის“ მიზნებისათვის არ მოეთხოვებათ „გადასახადების“ ან მსგავსი მოთხოვნების გადახდა, თუ (ა) დაკისრებული თანხის ოდენობა ან დაკისრების მართებულობა კეთილსინდისიერად არის გასაჩივრებული შესაბამისი წესით და ამ თანხაზე შექმნილია ადეკვატური რეზერვი „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ ან სხვა რელევანტური მოთხოვნების შესაბამისად, ან (ბ) ამგვარი თანხა, სხვა ასეთ დარიცხულ „გადასახადებთან“ ან სხვა მსგავს მოთხოვნებთან ერთად, არ აღემატება 2 (ორი) მილიონ აშშ დოლარს (ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტა(ებ)ში).

(ზ) აკრძალული გადახდები:

(I) „ემიტენტმა“ არ უნდა, და ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ არცერთმა მისმა „შვილობილმა“: (ზ.1) განაცხადოს დივიდენდების გაცემის თაობაზე, ან გასცეს დივიდენდი ფულადი ან სხვა სახით, ან მოახდინოს მსგავსი განაწილება (მათ შორის, აქციების გამოსყიდვის ან სხვა სახით) მათ შორის „დამფუძნებლის სუბორდინირებული დაფინანსების“ ფარგლებში, გარდა „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილის“ სასარგებლოდ დივიდენდების გაცემისა და მათი

განაწილებისა (ხოლო, თუ „შვილობილი“ არ არის „ემიტენტის“ 100%-იანი „შვილობილი“, სხვა აქციონერების სასარგებლოდაც მათი წილის პროპორციულად); ან (ზ.2) პირდაპირ ან არაპირდაპირ ნებაყოფლობით შეიძინოს, გამოისყიდოს ან სხვაგვარად მოახდინოს „ემიტენტის“ სააქციო კაპიტალის ან აქციების შეძენა (ნებისმიერი ამგვარი ქმედება რომელიც განსაზღვრულია ქვეპუნქტებით (ზ.1) ან (ზ.2) მიიჩნევა „აკრძალულ გადახდად“), გარდა თუ „აკრძალული გადახდის“ განხორციელებისას და მის შემდეგ ამგვარი გადახდის განხორციელების დროისთვის არ დამდგარა და გრძელდება, ან ამ გადახდის განხორციელების შემთხვევაში არ დადგება „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“; და ასეთი „აკრძალული გადახდა“ არ გამოიწვევს (პრო-ფორმა საფუძველზე) გადახდის უშუალო წინა თარიღის მდგომარეობით, უკანასკნელი 4 (ოთხი) სრული კვარტლის „ფისკალური პერიოდისთვის“, რომელზეც ხელმისაწვდომია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები (ასეთი „აკრძალული გადახდის“ ეფექტის პრო-ფორმა საფუძველზე ასახვის შემდგომ), ქვემოთ მოცემული „კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტის“ შესაბამისი ზღვრული ლიმიტის გადაჭარბებას:

- (i) ამგვარი „ვალდებულების“ 2023 წლის 12 ოქტომბრამდე აღების შემთხვევაში, კოეფიციენტის 6.5/1.0 ზღვრული ლიმიტი;
- (ii) ამგვარი „ვალდებულების“ 2023 წლის 12 ოქტომბრის (და მისი ჩათვლით) 2024 წლის 12 ოქტომბრამდე აღების შემთხვევაში, კოეფიციენტის 6.0/1.0 ზღვრული ლიმიტი;
- (iii) ამგვარი „ვალდებულების“ 2024 წლის 12 ოქტომბრის (და მისი ჩათვლით) 2025 წლის 12 ოქტომბრამდე აღების შემთხვევაში, კოეფიციენტის 5.5/1.0 ზღვრული ლიმიტი;
- (iv) ამგვარი „ვალდებულების“ 2025 წლის 12 ოქტომბრის (და მისი ჩათვლით) 2026 წლის 12 ოქტომბრამდე აღების შემთხვევაში, კოეფიციენტის 5.25/1.0 ზღვრული ლიმიტი;
- (v) ამგვარი „ვალდებულების“ 2026 წლის 12 ოქტომბრის შემდეგ აღების შემთხვევაში, კოეფიციენტის 5.0/1.0 ზღვრული ლიმიტი,

და

„გამოშვების თარიღის“ შემდგომ განხორციელებული ასეთი „აკრძალული გადახდის“ თანხობრივი მოცულობების ჯამი არ აღემატება შემდეგი ორი კომპონენტის ჯამს:

- ა) „ემიტენტის“ „კონსოლიდირებული წმინდა მოგების“ 50%-ს (ორმოცდაათ პროცენტს) იმ პერიოდისათვის, რომელიც იწყება 2021 წლის 1 ივნისს და სრულდება განვლილი ფისკალური წლის, ან 6 თვიანი ფინანსური პერიოდის ბოლო დღეს; და
- ბ) „ემიტენტის“ მიერ „გამოშვების თარიღის“ შემდეგ აქციების გამოშვებიდან ან რეალიზაციიდან და „ემიტენტის“ ნებისმიერი „ვალდებულების“ „ემიტენტის“ კაპიტალში კონვერტაციიდან ან აქციებში გაცვლიდან მიღებული მთლიანი წმინდა შემოსავლების 100%-ს (ას პროცენტს).

(II) ზემოაღნიშნული, 5(ზ)(I) ქვეპუნქტით განსაზღვრული შეზღუდვები არ გავრცელდება:

ა) „ობლიგაციებით“ მოზიდული სახსრების გამოყენებაზე, განკარგვაზე ან მათი მეშვეობით განხორციელებულ ნებისმიერ გადახდაზე, ამ „პროსპექტის“ „შეთავაზების მიზეზებისა და მოზიდული სახსრების გამოყენების“ ქვეთავის შესაბამისად განსაზღვრული ნებისმიერი მიზნობრიობის შესაბამისად;

ბ) ნებისმიერ გადახდაზე, რაც დაკავშირებულია „ობლიგაციების“ შექმნასთან ან გამოსყიდვასთან „ემიტენტის“ ან/და „შვილობილების“ მიერ ან მათი სახელით, ან მათ სასარგებლოდ;

გ) „აკრძალულ გადახდაზე“ „გამოშვების თარიღის“ შემდგომ პერიოდში, რომლის ჯამური მოცულობა არ აღემატება 10 (ათი) მილიონ აშშ დოლარს (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტა(ებ)ში) და ამგვარი გადახდის განხორციელების დროისთვის არ დამდგარა და გრძელდება, ან ამ გადახდის განხორციელების შემთხვევაში არ დადგება „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ და კმაყოფილდება შემდეგი პირობები:

- გ.1) ამგვარი „აკრძალული გადახდის“ თანხობრივი მოცულობების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს ქვემოთ ჩამოთვლილი ორი კომპონენტის ჯამს:

- i) „ემიტენტის“ „კონსოლიდირებული წმინდა მოგების“ 100%-ს (ას პროცენტს) იმ პერიოდისათვის, რომელიც იწყება 2021 წლის 1 ივნისს და სრულდება განვლილი ფისკალური წლის, ან 6 თვიანი ფინანსური პერიოდის ბოლო დღეს; და
 - ii) „ემიტენტის“ მიერ „გამოშვების თარიღის“ შემდეგ აქციების გამოშვებიდან ან რეალიზაციიდან და „ემიტენტის“ ნებისმიერი „ვალდებულების“ „ემიტენტის“ კაპიტალში კონვერტაციიდან ან აქციებში გაცვლიდან მიღებული მთლიანი წმინდა შემოსავლების 100%-ს (ას პროცენტს). და
- გ.2) ამგვარი „აკრძალული გადახდა“ არ უნდა დაფინანსდეს „ვალდებულებით.“

(კონტენტის მიზნებისთვის, „აკრძალული გადახდების“ დათქმის დაზუსტება ინგლისურად:

Restricted Payments

(I) The Issuer shall not, and shall procure and ensure that each of its Subsidiaries will not, (g.1) declare or pay any dividend in cash or otherwise or make any other distribution (whether by way of redemption, acquisition or otherwise) in respect of its share capital including such for Subordinated Shareholder Funding, other than dividends or distributions payable to the Issuer or any of its Subsidiaries (and, if a Subsidiary is not a wholly-owned Subsidiary of the Issuer, to the other holders of its share capital on a pro rata basis); or (g.2) directly or indirectly voluntarily purchase, redeem or otherwise retire for value any shares or share capital of the Issuer (any such action in (g.1) or (g.2) being, a "Restricted Payment"), unless, at the time of and after giving effect to such Restricted Payment at the time of such payment no Event of Default or Potential Event of Default has occurred and is continuing or would result therefrom; and such Restricted Payments would not result in the Consolidated Net Leverage Ratio for the Issuer's most recently ended 4 (four) full fiscal quarters for which consolidated financial statements prepared in accordance with IFRS are available immediately preceding the date on which such payment occurs (on a pro forma basis after giving effect to any such Restricted Payment) exceeding the thresholds outlined below:

- (a) 6.5 to 1.0 for any such incurrence or issuance on or before 12 October 2023;*
- (b) 6.0 to 1.0 for any such incurrence or issuance after 12 October 2023 and on or before 12 October 2024;*
- (c) 5.5 to 1.0 for any such incurrence or issuance after 12 October 2024 and on or before 12 October 2025;*
- (d) 5.25 to 1.0 for any such incurrence or issuance after 12 October 2025 and on or before 12 October 2026;*
- (e) 5.0 to 1.0 for any such incurrence or issuance after 12 October 2026;*

and

such Restricted Payment, when aggregated with all other Restricted Payments previously made since the Issue Date, do not exceed the sum of:

- (a) 50% (fifty percent) of the Issuer's Consolidated Net Income for the period beginning on 1 June 2021 and ending on the last day of the preceding fiscal year or semi-annual financial period; and*
- (b) 100% (one hundred percent) of the aggregate net proceeds received by the Issuer since the Issue Date from the issuance or sale of its shares and the conversion or exchange of any Indebtedness of the Issuer into or for shares of the Issuer.*

(II) Condition 5(g)(I) above will not prohibit:

- (a) Usage or disposal of proceeds from the Bond issuance or making payments with them in accordance with the section 'Reasons for the Offer and Use of Proceeds' of this Prospectus;*
- (b) Any payment related to the repurchasing or redemption of the Bonds, by, on behalf of, or for the benefit of the Issuer and/or Subsidiaries;*

(c) So long as no Potential Event of Default or Event of Default has occurred and is continuing, the Restricted Payments, which in an aggregate amount do not exceed US\$ 10 (ten) million (or an equivalent amount in any other currency or currencies) since the Issue Date, provided that

(A) no Restricted Payment hereunder can be paid in excess of the sum of:

(i) 100% of the Issuer's Consolidated Net Income for the period beginning on 1 June 2021 and ending on the last day of the preceding fiscal year or semi-annual financial period, and

(ii) 100% (one hundred percent) of the aggregate net proceeds received by the Issuer since the Issue Date from the issuance or sale of its shares and the conversion or exchange of any Indebtedness of the Issuer into or for shares of the Issuer; and

(B) no Restricted Payment hereunder can be financed from the Indebtedness.)

(თ) ვალდებულება

(I) „ემიტენტს“ ეკრძალება, იკისროს, ან სხვა სახით, თავად ან მისმა „შვილობილებმა“, პირდაპირ ან არაპირდაპირ, შექმნან, აიღონ, გამოუშვან, იკისრონ, გარანტია გასცენ ან სხვა მხრივ პირდაპირ ან არაპირდაპირ იკისრონ პირობითი ან სხვა ტიპის (შემდგომში ერთობლივად, „აღება“) ნებისმიერი სახის „ვალდებულება“ (მათ შორის, „შექმნილი ვალდებულება“) ან გამოუშვან „დისკვალიფიცირებული აქციები“ და, „ემიტენტმა“ არ უნდა, და არ უნდა მისცეს ნება რომელიმე მის „შვილობილს“, გამოუშვას „პრივილეგირებული აქციები“, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი „ვალდებულების“ „აღება“ არ გამოიწვევს (პრო-ფორმა საფუძველზე) „აღების“ უშუალო წინა თარიღის მდგომარეობით, უკანასკნელი 4 (ოთხი) კვარტლის სრული „ფისკალური პერიოდისთვის“, რომელზეც მომზადებული და ხელმისაწვდომია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები, ქვემოთ მოცემული „კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტის“ შესაბამისი ზღვრული ლიმიტის გადაჭარბებას:

- (i) ამგვარი „ვალდებულების“ 2023 წლის 12 ოქტომბრამდე აღების შემთხვევაში, კოეფიციენტის 6.5/1.0 ზღვრული ლიმიტი;
- (ii) ამგვარი „ვალდებულების“ 2023 წლის 12 ოქტომბრიდან (და მისი ჩათვლით) 2024 წლის 12 ოქტომბრამდე აღების შემთხვევაში, კოეფიციენტის 6.0/1.0 ზღვრული ლიმიტი;
- (iii) ამგვარი „ვალდებულების“ 2024 წლის 12 ოქტომბრიდან (და მისი ჩათვლით) 2025 წლის 12 ოქტომბრამდე აღების შემთხვევაში, კოეფიციენტის 5.5/1.0 ზღვრული ლიმიტი;
- (iv) ამგვარი „ვალდებულების“ 2025 წლის 12 ოქტომბრიდან (და მისი ჩათვლით) 2026 წლის 12 ოქტომბრამდე აღების შემთხვევაში, კოეფიციენტის 5.25/1.0 ზღვრული ლიმიტი;
- (v) ამგვარი „ვალდებულების“ 2026 წლის 12 ოქტომბრის შემდეგ აღების შემთხვევაში, კოეფიციენტის 5.0/1.0 ზღვრული ლიმიტი.

(II) ზემოაღნიშნული, 5(თ)(I) ქვეპუნქტით განსაზღვრული შეზღუდვა არ გავრცელდება შემდეგი ვალდებულებების „აღებაზე“ (შემდგომში ერთობლივად, „ნებადართული ვალდებულებები“): ამგვარი „ვალდებულების“ „აღების“ დროისთვის არ დამდგარა და გრძელდება, ან ამ „ვალდებულების“ „აღების“ შემთხვევაში არ დადგება, „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ და „ემიტენტის“ ან მისი ნებისმიერი „შვილობილის“ „ვალდებულება“ (მათ შორის, „ობლიგაციებთან“ მიმართებით სახელშეკრულებო დონეზე სუბორდინირებული „ვალდებულებები“, იმ პირობით, რომ მსგავსი „ვალდებულების“ საბოლოო დაფარვის ვადა აღემატება „ობლიგაციების“ „დაფარვის თარიღს“), რომელთა ჯამური ძირი თანხის დაუფარავი მოცულობა ნებისმიერი თარიღისთვის არ აჭარბებს 8 (რვა) მილიონ აშშ დოლარს (ან ეკვივალენტს სხვა ვალუტა(ებ)ში). ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, აღნიშნული „ნებადართული ვალდებულება“ არ ზღუდავს „დამფუძნებლის სუბორდინირებულ დაფინანსებას“.

(თ.1) ნებადართული შეძენა

(I) „ემიტენტს“ ეკრძალება განავითაროს, იყიდოს ან სხვაგვარად შეიძინოს ქონება (გარდა, ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში ინვენტარის, მასალებისა და დანადგარების შეძენისა), გარდა „ნებადართული შეძენისა“. „ნებადართული შეძენა“ ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის წარმოადგენს „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილის“ მიერ ისეთი ბიზნესის შეძენას, რომლის საქმიანობაც მსგავსია „ემიტენტის“ საქმიანობისა, არ არის ჩართული მშენებარე ელექტროსადგურის პროექტ(ებ)ის განვითარებაში, და ასეთი „ნებადართული შეძენის“ განხორციელება არ გამოიწვევს (პრო-ფორმა საფუძველზე) „ემიტენტისა“ და შეძენილი ბიზნესის „კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტის“ ამგვარი „ნებადართული შეძენის“ განხორციელების უშუალო წინა თარიღის მდგომარეობით, უკანასკნელი 4 (ოთხი) კვარტლის სრული „ფისკალური პერიოდისთვის“, რომელზეც ხელმისაწვდომია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები, ქვემოთ მოცემული „კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტის“ შესაბამისი ზღვრული ლიმიტის გადაჭარბებას:

- (i) ამგვარი „ნებადართული შეძენის“ 2023 წლის 12 ოქტომბრამდე განხორციელების შემთხვევაში, კოეფიციენტის 6.5/1.0 ზღვრული ლიმიტი;
- (ii) ამგვარი „ნებადართული შეძენის“ 2023 წლის 12 ოქტომბრიდან (და მისი ჩათვლით) 2024 წლის 12 ოქტომბრამდე განხორციელების შემთხვევაში, კოეფიციენტის 6.0/1.0 ზღვრული ლიმიტი;
- (iii) ამგვარი „ნებადართული შეძენის“ 2024 წლის 12 ოქტომბრიდან (და მისი ჩათვლით) 2025 წლის 12 ოქტომბრამდე განხორციელების შემთხვევაში, კოეფიციენტის 5.5/1.0 ზღვრული ლიმიტი;
- (iv) ამგვარი „ნებადართული შეძენის“ 2025 წლის 12 ოქტომბრიდან (და მისი ჩათვლით) 2026 წლის 12 ოქტომბრამდე განხორციელების შემთხვევაში, კოეფიციენტის 5.25/1.0 ზღვრული ლიმიტი;
- (v) ამგვარი „ნებადართული შეძენის“ 2026 წლის 12 ოქტომბრის შემდეგ განხორციელების შემთხვევაში, კოეფიციენტის 5.0/1.0 ზღვრული ლიმიტი.

ამ 5.თ.1 ქვეპუნქტის მიზნებისთვის, „მშენებარე ელექტროსადგურის პროექტი“ გულისხმობს პროექტს, რომელიც „ემიტენტის“ მიერ მის შეძენამდე არ გაშვებულა ან ოპერირებს უკანასკნელ 12 თვეზე ნაკლები პერიოდის მანძილზე.

(ი) ინფორმაციის გამჟღავნება

(I) „ემიტენტი“ კისრულობს ვალდებულებას:

- (i) ფინანსური წლის დასრულების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 15 მაისისა, „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა“ და „ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის“ მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს და გაამჟღავნოს „ემიტენტის“ აუდირებული წლიური ანგარიშგება;
- (ii) ყოველი ფინანსური წლის მეორე კვარტლის დასრულების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 15 აგვისტოსი, „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ სტანდარტებისა და „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის“ მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს და გაამჟღავნოს განვლილი 6 (ექვსი) თვის „ემიტენტის“ არააუდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება;
- (iii) დაიცვას „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონმდებლობით“ განსაზღვრული სხვა მიმდინარე თუ პერიოდული საანგარიშგებო ვალდებულებები.

(II) ამ 5(ი)(I) ქვეპუნქტის მიზნებისთვის, ჩაითვლება, რომ „ემიტენტმა“ „ობლიგაციონერებს“ მიაწოდა შესაბამისი ინფორმაცია, თუკი აღნიშნულ ინფორმაცია გასაჯაროვდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

(III) თუ „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ ან „ობლიგაციონერები“, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ნომინალური მფლობელების“ საშუალებით) „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ არანაკლებ 25%-ზე მეტს, გონივრულობის ფარგლებში ჩათვლიან, რომ დადგა „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“, მათ შეუძლიათ „ემიტენტისაგან“ წერილობით მოითხოვონ, და „ემიტენტი“ ვალდებულია ამ „ობლიგაციონერებს“ დაუყოვნებლივ

მიაწოდოს ინფორმაცია, რაც პირდაპირ უკავშირდება აღნიშნულ „დეფოლტის შემთხვევას“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევას“. წერილობით მოთხოვნა შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს „ობლიგაციონერების“ ან/და „ნომინალური მფლობელების“ მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის, ან რამდენიმე ერთნაირი შინაარსის მქონე დოკუმენტის სახით. ამგვარი მოთხოვნა შესაძლოა ასევე მიღებულ იქნას „ობლიგაციონერთა კრების“ გადაწყვეტილების სახით.

(კ) დაზღვევა:

„ემიტენტი“ უზრუნველყოფს თავისი და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილების“ ისეთი ქონების დაზღვევას, რომელიც ექვემდებარება დაზღვევას და ისეთ მზღვევებთან, რომელთაც „ემიტენტისა“ და შესაბამისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ შეხედულებით გააჩნიათ კარგი რეპუტაცია, დაზიანებისა და განადგურების რისკისაგან იმ ფარგლებში, რომელშიც ჩვეულებრივ ახდენენ დაზღვევას მსგავსი ქონებისა და მდგომარეობის მქონე კომპანიები საქართველოში.

(ლ) კანონთან შესაბამისობა:

„ემიტენტი“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ იგი და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილები“ ნებისმიერ დროს არსებითად ასრულებენ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, მათ შორის, ხელისუფლების ორგანოების სამართლებრივ აქტებს.

(მ) საქმიანობის ცვლილება:

„ემიტენტი“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ „ჯგუფის“ მიერ განხორციელებული საქმიანობის ძირითადი მიმართულება, მთლიანობაში, არ შეიცვალოს „ობლიგაციების“ „გამოშვების თარიღისათვის“ არსებულ მდგომარეობასთან შედარებით.

6. საპროცენტო სარგებელი

თუ არ იქნა ვადაამდე გამოსყიდული/გაუქმებული/დაფარული წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრული პირობების შესაბამისად, თითოეულ „ობლიგაციას“ ერიცხება 6 (ექვს) თვეში ერთხელ (პერიოდის ბოლოს) გადასახდელი საპროცენტო სარგებელი, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს „შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ შესაბამისად განსაზღვრულ კონკრეტულ თარიღებში. ამ „პირობებში“ გათვალისწინებული თითოეული პროცენტის გადახდის თარიღი შემდგომში მოიხსენიება, როგორც „პროცენტის გადახდის თარიღი“.

„ობლიგაციებზე“ საპროცენტო სარგებლის დარიცხვა მოხდება მათი „დაფარვის თარიღამდე“ / გამოსყიდვის თარიღამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც „ობლიგაციონერს“ ამ მომენტისათვის არ დაუბრუნდა ძირითადი თანხა. ასეთ შემთხვევაში საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გაგრძელდება არსებული განაკვეთით მანამ, სანამ ამგვარი „ობლიგაციაზე“ გადასახდელი თანხა სრულად იქნება გადახდილი შესაბამისი „ობლიგაციონერის“ ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლისათვის.

თუ პროცენტის დათვლა ხდება „საპროცენტო პერიოდზე“ (ქვემოთ მოცემული განმარტების შესაბამისად) ნაკლები პერიოდისათვის, შესაბამისი დარიცხული (დასარიცხი) საპროცენტო სარგებლის დაანგარიშება მოხდება წელიწადში 365 დღის საფუძველზე.

პერიოდი „ობლიგაციების“ „გამოშვებისთარიღიდან“ (ამ თარიღის ჩათვლით), პირველი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის ჩათვლელად), და ყოველი შემდგომი პერიოდი წინა „პროცენტის გადახდის თარიღიდან“

(ამ თარიღის ჩათვლით) მომდევნო „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის ჩათვლელად) მიიჩნევა „საპროცენტო პერიოდად“.

7. „ობლიგაციების“ გამოსყიდვა და შექენა

(ა) გამოსყიდვა:

„ემიტენტს“ უფლება აქვს “დაფარვის დათქმულ თარიღამდე“ შესთავაზოს „ობლიგაციონერ(ებ)ს“ გადაუხდეელი ძირითადი თანხისა და გამოსყიდვის თარიღისათვის დარიცხული და გადაუხდეელი პროცენტის თანხის გადახდის გზით „ობლიგაციების“, შესაბამისი ოდენობის (შესაძლოა ნაწილობრივადაც), გამოსყიდვა. აღნიშნულ შემთავაზებაზე „ობლიგაციონერ(ებ)ის“ თანხმობის მიღების შემთხვევაში, „ობლიგაციები“, შესაბამის ნაწილში, ჩაითვლება გამოსყიდულად „ემიტენტის“ მიერ გამოსყიდვის თარიღისათვის გადაუხდეელი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდეელი პროცენტის თანხის გადახდის შედეგად. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „ობლიგაციები“, შესაბამის ნაწილში, ჩაითვლება გამოსყიდულად მხოლოდ „ემიტენტის“ შეთავაზებაზე შესაბამისი „ობლიგაციონერ(ებ)ის“ თანხმობის მიღების შემთხვევაში და აღნიშნულ შეთავაზებაზე დათანხმება ან უარის გაცხადება წარმოადგენს შესაბამისი „ობლიგაციონერ(ებ)ის“ აბსოლუტურ და უპირობო დისკრეციას. თუ „ობლიგაციები“ მანამდე არ იქნა გამოსყიდული, შექენილი ან გაუქმებული, „ობლიგაციების“ გამოსყიდვა მოხდება ”დაფარვის დათქმულ თარიღზე“, როგორც განსაზღვრულია „შეთავაზების პირობების დოკუმენტით“. დაუშვებელია „ობლიგაციების“ განაღდება ემიტენტის“ შეხედულებისამებრ, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც მოცემულია „პროსპექტში“ (მათ შორის, წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად).

(ბ) გამოსყიდვა საგადასახადო მიზეზით:

„ემიტენტის“ შეხედულებით, „ობლიგაციების“ ვადამდე გამოსყიდვა შესაძლოა მოხდეს სრული ოდენობით (მაგრამ არა ნაწილობრივ) „ფასიანი ქაღალდების რეესტრში“ რეგისტრირებული „ობლიგაციონერების“ და „ნომინალური მფლობელებისათვის“ არანაკლებ 30 (ოცდაათი) და არაუმეტეს 60 (სამოცი) დღით ადრე გაგზავნილი გამოუთხოვადი შეტყობინების გაგზავნითა და ძირითადი თანხის (გამოსყიდვის თარიღისათვის დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად) გადახდით, იმ შემთხვევაში, თუ: (ბ.1) შეტყობინების გაგზავნამდე „ემიტენტი“ დაარწმუნებს „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“, რომ მას უწევს, ან მოუწევს „გადასახადების“ სახით დამატებითი თანხების გადახდა „ობლიგაციებთან“ მიმართებაში, რაც გამოწვეულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებით, ან ამგვარი კანონმდებლობის სხვაგვარი ოფიციალური განმარტებით „გამოშვების თარიღის“ შემდგომ პერიოდში; და (ბ.2) ამგვარი დამატებითი თანხების გადახდის ვალდებულება ვერ იქნებოდა თავიდან აცილებული მიუხედავად „ემიტენტის“ მიერ გონივრული ზომების მიღებისა.

(გ) შექენა:

„ემიტენტსა“ და მის „შვილობილ(ებ)ს“ უფლება აქვთ ნებისმიერ დროს შეიძინონ „ობლიგაციები“ ნებისმიერ ფასად ღია საბაზრო ოპერაციის მეშვეობით ან სხვაგვარად. „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილის“ მიერ ან მათი სახელით შექენილი ამგვარი „ობლიგაციები“ არ სარგებლობენ ხმის უფლებით „ობლიგაციონერთა კრებაზე“ და არ მიიღებიან მხედველობაში (არ ჩაითვლება “დაუფარავად”) „პირობების“ 10(ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიზნით, ან „ობლიგაციონერთა კრების“ ქვორუმის დადგენის მიზნით.

(დ) გამოსყიდვის უფლება სრული მოცულობით

2024 წლის 12 ოქტომბრამდე ნებისმიერ დროს მონაკვეთში, „ემიტენტს“ უფლება აქვს „ობლიგაციონერებისთვის“ არანაკლებ 15 (თხუთმეტი) და არაუმეტეს 60 (სამოცი) დღით ადრე გაგზავნილი გამოუთხოვადი შეტყობინების საფუძველზე (შემდგომში “გამოსყიდვის ოფციის შეტყობინება”) გამოისყიდოს „ობლიგაციები“ სრულად, თუმცა არა ნაწილობრივ ქვემოთ მითითებული ფასით:

(ა) „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ჯამური ძირითადი თანხის ოდენობას; დამატებული

- (ბ) გამოსყიდვის უფლების განგარიშსწორების თარიღისთვის (შემდგომში „გამოსყიდვის ანგარიშსწორების თარიღი“) დარიცხული და გადაუხდელი პროცენტისა და სხვა თანხების ოდენობას; დამატებული
- (გ) „სრული მოცულობის გამოსყიდვის პრემია.“
- „გამოსყიდვის ოფციის შეყობინება“ დააზუსტებს „გამოსყიდვის ანგარიშსწორების თარიღს“.

(ე) „ობლიგაციონერების“ არჩევანით გამოსყიდვა „კონტროლის ცვლილების“ შემთხვევაში

„კონტროლის ცვლილების“ დადგომისას (როგორც ეს განსაზღვრულია ქვემოთ), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „ემიტენტმა“ განახორციელა წინასწარი შეტყობინება „ობლიგაციების“ სრულად გამოსყიდვის შესახებ, „პირობების“ მე-7 პუნქტის შესაბამისად, თითოეულ „ობლიგაციონერს“ უფლება აქვს, მოითხოვოს „ემიტენტისაგან“ „ობლიგაციების“ სრულად ან ნაწილობრივ გამოსყიდვა ნაღდი ფულით, გამოსყიდვის თარიღისთვის „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის/ნომინალური ღირებულების 101%-ად (ას ერთ პროცენტად), და გამოსყიდვის თარიღამდე (მისი გამოკლებით) დარიცხული და გადაუხდელი პროცენტით, ასეთის არსებობის შემთხვევაში („სააღრიცხვო თარიღზე“ რეგისტრირებული „ობლიგაციონერების“ შესაბამის „პროცენტის გადახდის თარიღზე“ პროცენტის მიღების უფლების უპირატესობის გათვალისწინებით).

ამ 7(ე) ქვეპუნქტის მიზნებისათვის, „კონტროლის ცვლილება“ ნიშნავს: (ა) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციით შემდეგის პირდაპირ ან არაპირდაპირ მიყიდვას, იჯარას, განკარგვას ან გადაცემას ნებისმიერი ფორმით (მათ შორის, შერწყმის ან გაერთიანების გზით): (1) „ემიტენტის“ და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილების“ ყველა ან არსებითად ყველა ქონების ან აქტივის (მთლიანად აღებული), „GCAP“-ის ან მისი „აფილირებული პირ(ებ)ის“ გარდა ნებისმიერი სხვა „პირისთვის“, ან (2) (i) „ემიტენტის“ გამოშვებული „სააქციო კაპიტალის“ 50.0%-ის ან მეტის, ან (ii) „ემიტენტის“ ხმის უფლებების 50.0%-ის ან მეტის (მათ შორის, მინდობით, ხელშეკრულებით ან სხვაგვარად), თითოეულ შემთხვევაში „GCAP“-ის ან მისი „აფილირებული პირ(ებ)ის“ გარდა ნებისმიერი სხვა „პირისთვის“, ან (3) „ემიტენტის“ გამოშვებული ნებისმიერი ოდენობის „სააქციო კაპიტალის“ ან „ემიტენტის“ ნებისმიერი ოდენობის ხმის უფლებების (მათ შორის, მინდობით, ხელშეკრულებით ან სხვაგვარად), თითოეულ შემთხვევაში „აკრძალული პირისთვის“, ან (ბ) „GCAP“-ის ან მისი „აფილირებული პირ(ებ)ის“ გარდა ნებისმიერი სხვა „პირის“ მიერ „ემიტენტის“ ერთპიროვნული დირექტორის, ან დირექტორების საბჭოში უმრავლესობის, არჩევის უფლების მოპოვებას.

(ვ) გამოსყიდვის ოფცია შეზღუდული გამოსყიდვის პერიოდის შემდეგ:

2024 წლის 12 ოქტომბერს ან მას შემდეგ, „ემიტენტს“ შეუძლია ერთ ან რამდენიმე ჯერზე „ობლიგაციები“ გამოისყიდოს სრულად ან ნაწილობრივ არანაკლებ 15 (თხუთმეტი) და არა უმეტეს 60 (სამოცი) დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ქვემოთ მითითებული გამოსყიდვის ფასებით (გამოხატული ძირითადი თანხის პროცენტებში), რომლებსაც ემატება გამოსყიდულ „ობლიგაციებზე“ გამოსყიდვის შესაბამის თარიღამდე დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, თუ გამოსყიდვა ხორციელდება ქვემოთ მითითებულ თარიღებზე ან მათ შემდეგ („სააღრიცხვო თარიღზე“ რეგისტრირებული „ობლიგაციონერების“ შესაბამის „პროცენტის გადახდის თარიღზე“ პროცენტის მიღების უფლების უპირატესობის გათვალისწინებით).

| თარიღები | გამოსყიდვის ფასი |
|-------------------|------------------|
| 12 ოქტომბერი 2024 | 102.00% |
| 12 ოქტომბერი 2025 | 101.00% |
| 12 ოქტომბერი 2026 | 100.00% |

გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „ემიტენტი“ ვერ გადაიხდის გამოსყიდვის ფასს, პროცენტის დარიცხვა შეწყდება „ობლიგაციებზე“ ან მის იმ ნაწილზე, რომლებთან დაკავშირებითაც განხორციელდა გამოსყიდვის უფლება შესაბამისი გამოსყიდვის თარიღებისთვის.

ნებისმიერი გამოსყიდვა და შეტყობინება, „ემიტენტის“ შეხედულებისამებრ, შეიძლება დაექვემდებაროს ერთ ან რამდენიმე წინაპირობას (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, „ვალდებულების“ წარმოშობას, რომლიდან შემოსავალიც გამოყენებული იქნება „ობლიგაციების“ გამოსასყიდად). გარდა ამისა, თუ ასეთი გამოსყიდვა ან შეტყობინება ექვემდებარება ერთი ან რამდენიმე წინაპირობის დაკმაყოფილებას, ასეთ შეტყობინებაში შეიძლება აღინიშნოს, რომ „ემიტენტის“ შეხედულებისამებრ, გამოსყიდვის თარიღი შეიძლება გადაიდოს მანამ, სანამ რომელიმე ან ყველა ეს პირობა დაკმაყოფილდება, ან ასეთი გამოსყიდვა შეიძლება არ მოხდეს და ასეთი შეტყობინება შეიძლება გაუქმდეს, თუ რომელიმე ან ყველა ასეთი პირობა არ იქნება დაკმაყოფილებული გამოსყიდვის თარიღისთვის ან ამგვარად გადავადებული გამოსყიდვის თარიღისთვის.

(ზ) ნაწილობრივი გამოსყიდვა

თუ ნებისმიერ მომენტისთვის ხდება „ობლიგაციების“ ნაწილობრივ და არა სრულად გამოსყიდვა, გამოსასყიდი „ობლიგაციების“ შერჩევა განხორციელდება შესაბამისი წესების მიხედვით, მათ შორის ლისტინგის/სავაჭროდ დაშვების შემთხვევაში, შესაბამისი საფონდო ბირჟის წესების მიხედვით, ან თუ ასეთი „ობლიგაციები“ არ არის დალისტული/სავაჭროდ დაშვებული ან არ არსებობს ასეთი მოქმედი წესები, „ობლიგაციების“ შერჩევა განხორციელდება სამართლიანი და გონივრული მიდგომით, არსებული საბაზრო პრაქტიკის გათვალისწინებით. როდესაც ხდება „ობლიგაციების“ ნაწილობრივ და არა სრულად გამოსყიდვა, შესაბამისი „გამოსყიდვის შესახებ შეტყობინებაში“ უნდა მოხდეს გამოსასყიდი „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის მითითება.

(თ) გამოსყიდვის სამართლებრივი შედეგები

„ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების“ ნაწილობრივ ან სრულად გამოსყიდვის შემთხვევაში, ისინი ჩაითვლება სახაზინო ფასიან ქალაქებად, რაც ნიშნავს, რომ (ა) „ემიტენტს“ არ ექნება „ობლიგაციონერის“ სტატუსი და ვერ განახორციელებს „ობლიგაციონერის“ წინამდებარე „პროსპექტით“ გათვალისწინებულ რომელიმე უფლებას; და (ბ) მას არ ექნება „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ფინანსური მოთხოვნა და შესაბამისად, არ ჩაითვლება „იპოთეკის ხელშეკრულების“ იპოთეკარად ან/და „თავდებობის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ „ობლიგაციონერად“.

8. ანგარიშსწორება და გადახდები

(ა) ანგარიშსწორება:

(I) „ობლიგაციების“ ძირითადი თანხისა და პროცენტის გაანგარიშება მოხდება შესაბამისი გადახდის თარიღამდე 3 (სამი) „სამუშაო დღით“ ადრე (შემდგომში „სააღრიცხვო თარიღი“). ანგარიშსწორება განხორციელდება აშშ დოლარში „სააღრიცხვო თარიღისათვის“ „ფასიანი ქალაქების რეესტრში“ რეგისტრირებული „ობლიგაციონერებისა“ და „ნომინალური მფლობელების“ „განთავსების აგენტების“ საბროკერო ანგარიშზე გადარიცხვის გზით. „ფასიანი ქალაქების რეესტრში“ რეგისტრირებულმა „ობლიგაციონერებმა“ და „ნომინალურმა მფლობელებმა“ უნდა უზრუნველყონ „რეგისტრატორისათვის“ განახლებული, სრული და სწორი ინფორმაციის მიწოდება მათი საბანკო ანგარიშების შესახებ, რომელზეც მოხდება „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი სახის გადახდა. არც „ემიტენტი“, არც „რეგისტრატორი“ და არც „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ არცერთ შემთხვევაში იქნებიან პასუხისმგებელი გადახდის არ / ვერ განხორციელების შემთხვევაში, თუ „ობლიგაციონერი“ ან/და „ნომინალური მფლობელი“ „რეგისტრატორს“ დროულად არ მიაწვდის მისი საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციას, ან „ემიტენტის“ ან „რეგისტრატორის“ მოთხოვნის მიუხედავად, „სააღრიცხვო თარიღისათვის“ ვერ უზრუნველყოფენ ამგვარი ინფორმაციის განახლებას.

(II) თუ „ობლიგაციონერის“ ან „ნომინალური მფლობელის“ ზემოაღნიშნულ ქვეპუნქტში მითითებული საბროკერო ანგარიში არ არის გახსნილი „განთავსების აგენტებთან“, განხორციელებული გადახდებიდან შესაძლოა დაიქვითოს მიმსახურების საკომისიოები. თუ „ობლიგაციონერის“ ან „ნომინალური მფლობელის“ საბანკო ანგარიში არ არის აშშ დოლარში, ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი ვალუტის კონვერტაციის ხარჯების გამოკლებით.

(III) ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის სრული ოდენობით მიღებაზე „პირობებით“ გათვალისწინებული „ობლიგაციონერთა“ უფლებების შეუზღუდავად, თუ ნებისმიერი გადახდის თარიღისათვის გადახდილი თანხა ნაკლებია ამ თარიღისათვის გადასახდელ თანხაზე, „ემიტენტი“ ვალდებულია ასეთი არსებული თანხა გადაანაწილოს „ობლიგაციონერებს“ შორის მათი წილის პროპორციულად.

(IV) ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული პროცესები და შეზღუდვები დამატებით დგინდება კანონმდებლობით, ასევე მის საფუძველზე „რეგისტრატორისა“ და სხვა შესაბამისი ფასიანი ქაღალდების მონაწილეთა მიერ შემუშავებული წესებითა და პროცედურებით და კალკულაციისა და გადახდის აგენტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

(ბ) აგენტების დანიშვნა:

„კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტები“ და „რეგისტრატორი“ და მათი საკონტაქტო ინფორმაცია მითითებულია „შეთავაზების ძირითად პირობებში“ და „პროსპექტის“ ბოლოს. „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტები“ და „რეგისტრატორი“ წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ „ემიტენტის“ აგენტებს და ამ „პროსპექტის“ და შეთავაზების მიზნებისათვის, და ისინი არ კისრულობენ რაიმე სახის ვალდებულებას „ობლიგაციონერების“ ან „ნომინალური მფლობელების“ წინაშე და შესაბამისად, არ წარმოადგენენ მათ ინტერესებს. „ემიტენტი“ იტოვებს უფლებას „ობლიგაციონერებისთვის“ ინფორმაციის მიწოდებით შეცვალოს ან შეწყვიტოს „კალკულაციისა და გადახდის აგენტთან“, „განთავსების აგენტებთან“ ან/და „რეგისტრატორთან“ ხელშეკრულება, და დანიშნოს დამატებითი ან სხვა „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტები“ და „რეგისტრატორი“. ამასთან „ემიტენტს“ ნებისმიერ დროს ევალება ჰყავდეს (i) „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ და (ii) „რეგისტრატორი“, რომელიც თითოეულ შემთხვევაში მოწონებულ უნდა იქნას „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მიერ.

ნებისმიერ ასეთ ცვლილებაზე ან მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს „ობლიგაციონერებს“ „პირობების“ მე-14 („შეტყობინებები“) პუნქტით განსაზღვრული პროცესის შესაბამისად ინფორმაციის გამოქვეყნების გზით.

(გ) განგარიშება და გადახდა:

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი გადასახდელი თანხის (მათ შორის, საპროცენტო სარგებლის) დაანგარიშება და გადახდა უნდა მოხდეს წინამდებარე „პროსპექტის“ პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ. ამასთან, „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ დაანგარიშებული თანხა, აშკარა შეცდომის გარდა, წარმოადგენს საბოლოო თანხას „ემიტენტისათვის“. „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ თანხის დაანგარიშება მოხდება შესაბამისი გადახდის თარიღამდე არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე და ეცნობება „ემიტენტს“. „ემიტენტი“ ვალდებულია არაუგვიანეს შესაბამისი გადახდის თარიღამდე 1 (ერთი) „სამუშაო დღით“ ადრე „კალკულაციისა და გადახდის აგენტთან“ გახსნილ მის საბანკო ანგარიშზე განთავსოს შესაბამისი თანხები აშშ დოლარში და მისცეს დავალება „კალკულაციისა და გადახდის აგენტს“ აღნიშნული თანხების გადარიცხვაზე. „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ უფლებამოსილია, მაგრამ არა ვალდებული, „ემიტენტის“ ანგარიშზე საკმარისი თანხების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი დავალების გარეშე მოახდინოს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ვადამოსული გადასახდელების გადარიცხვა, ხოლო ანგარიშზე საკმარისი თანხების არ არსებობის შემთხვევაში, აცნობოს აღნიშნულის თაობაზე „ემიტენტს“ და „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“.

(დ) ფისკალური კანონმდებლობა:

ნებისმიერი გადახდა უნდა მოხდეს საქართველოს მოქმედი ფისკალური / საანგარიშსწორებო კანონმდებლობისა ან/და სხვა კანონების, მარეგულირებელი ნორმებისა და სხვა კანონქვემდებარე აქტების დაცვით.

(ე) გადახდის დაგვიანება / არასამუშაო დღეები:

„ობლიგაციონერი“ ვერ მოითხოვს პროცენტის, ჯარიმის ან მსგავსი გადასახდელის დაკისრებას ნებისმიერი გადასახდელის დაგვიანებით გადახდისთვის იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გადასახდელის გადახდის თარიღი არ ემთხვევა „სამუშაო დღეს“. ვადამოსული გადასახდელის გადახდა მოხდება მომდევნო „სამუშაო დღეს“.

9. დაბეგვრა

„ემიტენტის“ მიერ ან მისი სახელით „ობლიგაციების“ ძირითადი თანხისა და საპროცენტო განაკვეთის გადახდა მოხდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული „გადასახადების“ გადახდის წყაროსთან დაკავების შემდეგ.

10. დეფოლტის შემთხვევები

(I) თუ დადგება და გრძელდება ნებისმიერი ქვემოთ მოყვანილი შემთხვევა („დეფოლტის შემთხვევები“), „სპეციალური გადაწყვეტილების“ საფუძველზე, „ობლიგაციონერები“ უფლებამოსილები არიან პირადად ან „ობლიგაციონერების წარმომადგენლისთვის“ შესაბამისი ინსტრუქციის მიცემის მეშვეობით, „ემიტენტისათვის“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნით „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მოთხოვნები გამოაცხადონ ვადამოსულად და მოითხოვონ „ემიტენტისაგან“ „ობლიგაციების“ დაუყოვნებლივ განაღდება და ძირითადი თანხის (ნომინალის) 100%-ისა (ასი პროცენტი) და დარიცხული საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა:

(ა) გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა:

„ემიტენტი“ ვერ შეძლებს „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის, დარიცხული საპროცენტო სარგებლის ან „ობლიგაციებიდან“ ან „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე რაიმე სხვა თანხის გადახდას, და ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდება ანგარიშსწორებისთვის განსაზღვრული თარიღიდან 5 (ხუთი) „სამუშაო დღის“ ვადაში; ან

(ბ) სხვა ვალდებულების დარღვევა:

„ემიტენტი“ არ/ვერ ასრულებს „პროსპექტით“ ან „იპოთეკის ხელშეკრულებით“ ნაკისრ ერთ ან რამდენიმე ისეთ ვალდებულებას (გარდა „პირობების“ 10(ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებისა), რაც „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ დასაბუთებული მოსაზრებით (i) არ ექვემდებარება გამოსწორებას და ამასთანავე არის არსებითი ან განმეორებადი ხასიათის; ან (ii) ექვემდებარება გამოსწორებას, მაგრამ დარღვევის თაობაზე „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მიერ „ემიტენტისათვის“ გაგზავნილი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი)დღის განმავლობაში, არ იქნა აღმოფხვრილი; ან

(გ) ჯვარედინი დეფოლტი:

(I) „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ნებისმიერი სხვა არსებული ან სამომავლო „ვალდებულება“ ნასესხებ ან მოზიდულ თანხებთან მიმართებით, ხდება (ან შესაძლებელია, გახდეს) შესაბამის დაფარვის შეთანხმებულ ვადამდე გადასახდელი რომელიმე დეფოლტის შემთხვევის მიზეზით (როგორც განსაზღვრულია), ან

(II) ნებისმიერი ასეთი „ვალდებულების“ გადახდა არ მომხდარა განსაზღვრულ ვადაში, ან შესაბამის შემთხვევებში, თავდაპირველად დადგენილი საშუავათო პერიოდის გათვალისწინებით;

თუ „პირობების“ ამ მე-10(გ.I) და (გ.II) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ამგვარი შეუსრულებელი შესაბამისი „ვალდებულებ(ებ)ის“ ერთი ან რამდენიმე შემთხვევისთვის ჯამური მოცულობა „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ გონივრული შეფასებით შეადგენს ან აღემატება 2,000,000 (ორ მილიონ) აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს ნებისმიერ სხვა ვალუტაში (რაც გონივრულად განისაზღვრება „ობლიგაციონერთა წარმომადგენლის“ მიერ); ან

(დ) გადახდისუნარიობა:

(I) რომელიმე შემდეგი შემთხვევის დადგომა:

- (i) „ემიტენტის“ ან მისი რომელიმე „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მიმართ სალიკვიდაციო პროცესის ან გადახდისუნარიობის საქმისწარმოების დაწყება; ან
- (ii) ნებისმიერი „პირის“ მიერ „ემიტენტის“ ან მისი რომელიმე „მნიშვნელოვანი შვილობილის“ წინააღმდეგ გადახდისუნარიობის პროცესის წამოწყება, თუკი ამგვარ მოთხოვნაზე ამ „პირს“ არ ეთქვა უარი მოთხოვნის წარდგენიდან 120 (ას ოცი) დღის განმავლობაში; ან
- (iii) „ემიტენტსა“ და მის კრედიტორებს შორის მოლაპარაკებების დაწყება „ემიტენტის“ ყველა ან არსებითად ყველა ვალის თაობაზე სასამართლოს გარეშე მორიგების მიზნით; ან
- (iv) „ემიტენტის“ ან მისი რომელიმე „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მიმართ ლიკვიდაციის პროცესის წამოწყება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე; ან

(II) „ემიტენტი“ ან მისი რომელიმე „მნიშვნელოვანი შვილობილი“ არ იხდის ან ზოგადად არ შესწევს უნარი გადაიხადოს ვადამოსული ვალები დროულად; ან

(III) „ემიტენტის“ აქციონერები/პარტნიორები დაამტკიცებენ „ემიტენტის“ ლიკვიდაციის ან „ემიტენტის“ დაშლის რაიმე გეგმას; ან

(ე) შეუსრულებელი სასამართლო გადაწყვეტილებები, სამთავრობო ან სასამართლო ღონისძიებები:

„ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მიმართ გამოტანილი სასამართლოს ან შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამართალდამცავი ორგანოს მიერ მიღებული და აღუსრულებელი საბოლოო გადაწყვეტილება, განაჩენი, განჩინება თანხის დაკისრების ან გადახდევინების თაობაზე აღემატება 2,000,000 (ორ მილიონ) აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს ნებისმიერ სხვა ვალუტა(ებ)ში, ან ამგვარი აღუსრულებელი გადაწყვეტილება, განაჩენი ან განჩინება გამოიწვევს (ა) „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ხელმძღვანელი პირ(ებ)ის სრულ ან ნაწილობრივ გადაყენებას, ან „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მიერ საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების სრულ ან ნაწილობრივ შეზღუდვას, (ბ) „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ „სააქციო კაპიტალის“ სრული ან უმრავლესი წილის, ასევე მისი შემოსავლების ან აქტივების სრულ ან ნაწილობრივ (მთლიანი საბალანსო ღირებულების 20% (ოცი პროცენტი) ან მეტი ოდენობის) ჩამორთმევას, ნაციონალიზაციას, კონფისკაციას ან იძულებით გასხვისებას; ან

(ვ) აღსრულება:

„ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ქონების, შემოსავლების ან აქტივების სრული ან არსებითი ნაწილის მიმართ ნებისმიერი სააღსრულებო პროცესის დაწყება, ან უზრუნველყოფების მფლობელი პირის მიერ მიერ მათი საკუთრებაში მიღება ან გასხვისება; ან

(ზ) უფლებამოსილება და თანხმობები:

არ არის შესრულებული, მოპოვებული ან მიღებული ნებისმიერი ქმედება, პირობა ან ზომა (მათ შორის ნებისმიერი საჭირო თანხმობის, განკარგულების, მოწონების, ავტორიზაციის, გამონაკლისის, მიმართვის, ლიცენზიის, ბრძანების, ჩანაწერის, რეგისტრაციის ან სხვა ავტორიზაციის მოპოვება), რომელიც უნდა ყოფილიყო მიღებული, განხორციელებული ან შესრულებული იმისათვის, რომ (i) „ემიტენტმა“ კანონიერად შეძლოს, „ობლიგაციებიდან“

გამომდინარე თავისი მნიშვნელოვანი უფლებების მიღება და განხორციელება, გადახდის ვალდებულებების შესრულება, ასევე ამ „პირობების“ მე-5 პუნქტიდან („დათქმები“) გამომდინარე ვალდებულებების, და „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მისი სხვა არსებითი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება, (ii) უზრუნველყოფილ იქნას ზემოთ აღნიშნული ვალდებულებების ნამდვილობა და მათი აღსრულებადობა, და (iii) „ობლიგაციები“, „პროსპექტი“, „იპოთეკის ხელშეკრულება“ და „თავდებობის ხელშეკრულება“ დასაშვებ იქნას დავების განმხილველ ნებისმიერ ორგანოში მტკიცებულების სახით; ან

(თ) ნამდვილობა და უკანონობა:

„ემიტენტი“ სადავოდ ხდის „ობლიგაციების“ ან „პროსპექტის“, „იპოთეკის ხელშეკრულების“ ან „თავდებობის ხელშეკრულების“ ნამდვილობას, ან უარყოფს „ობლიგაციებიდან“, „პროსპექტიდან“, „იპოთეკის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე რომელიმე მატერიალურ ვალდებულებას, ან „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების“ ან „პროსპექტის“, „იპოთეკის ხელშეკრულების“ ფარგლებში ნაკისრი ერთი ან მეტი მატერიალური ვალდებულების შესრულება არის ან გახდება უკანონო, ან რომელიმე ხსენებული ვალდებულება გახდება აღუსრულებადი ან აღარ ჩაითვლება კანონიერად, ნამდვილად ან სავალდებულო ძალის მქონედ.

(II) „ემიტენტმა“ იკისრა ვალდებულება, რომ შეტყობისთანავე, დაუყოვნებლივ აცნობებს „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომის თაობაზე, ან იმგვარი მოვლენის ან გარემოების შესახებ, რომელიც შეტყობინების გაგზავნის/მიღების, დროის გასვლის ან/და მოწმობის/ცნობის გაცემის საფუძველზე ჩაითვლება „დეფოლტის შემთხვევად“ (შემდგომში „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“).

(III) „ემიტენტმა“ ასევე იკისრა ვალდებულება მასზედ, რომ წლიური აუდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადებიდან 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში, „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ 14 (თოთხმეტი) დღის განმავლობაში და „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მიერ მოთხოვნის წარდგენიდან 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ მიაწვდის მისი დირექტორის და ფინანსური დირექტორის მიერ ხელმოწერილ წერილობით დასტურს იმის თაობაზე, რომ გონივრული მოკვლევის შემდეგ, მისი ინფორმაციით და რწმენით, წერილობითი დასტურის თარიღის (შემდგომში „დადასტურების თარიღი“) მდგომარეობით არ დამდგარა „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ წინა „დადასტურების თარიღის“ შემდგომ პერიოდში (ან, წინა „დადასტურების თარიღის“ არ არსებობის შემთხვევაში, „გამოშვების თარიღის“ შემდგომ პერიოდში), ხოლო „დეფოლტის შემთხვევის“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევის“ დადგომისას ვალდებულია აცნობოს ამგვარი შემთხვევის დეტალები.

(IV) „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“, თავის მხრივ, ვალდებულია ნებისმიერი „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომის თაობაზე აცნობოს „ობლიგაციონერებს“ და განუმარტოს მათ თავიანთი უფლებები „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადების/აღსრულების დაწყების ოფციასთან დაკავშირებით. რაც შეეხება უშუალოდ „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებას და სააღსრულებო პროცედურებს, „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ იმოქმედებს მხოლოდ „სპეციალური გადაწყვეტილების“ საფუძველზე და მისით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

11. „ობლიგაციონერების“ კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა

ა) „ობლიგაციონერების“ კრებები

„ხელშეკრულება“ და „პირობები“ შეიცავს დებულებებს „ობლიგაციონერების“ კრებების მოწვევის თაობაზე იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებსაც გავლენა აქვს „ობლიგაციონერების“ ინტერესზე, მათ შორის „პროსპექტის“ და „ხელშეკრულების“ შესაბამისად სათანადოდ მოწვეულ კრებაზე დამსწრეთა ხმების 75%-ით (სამოცდათხუთმეტი პროცენტით) გადაწყვეტილების (შემდგომში „სპეციალური გადაწყვეტილება“) მიღების თაობაზე, წინამდებარე

„პროსპექტის“ (მათ შორის, „პირობებში“) ან „ხელშეკრულების“ დებულებებში ცვლილებების და დამატებების შეტანის მიზნით. ასეთი კრება შეიძლება მოწვეული იქნას იმ „ობლიგაციონერების“ (ან/და მათი სახელით მოქმედი „ნომინალური მფლობელების“) მიერ, რომლებიც ფლობენ იმ დროისთვის „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ძირი თანხის არანაკლებ 10%-ს (ათ პროცენტს). ამგვარი კრების მიერ განსაზღვრული საკითხი, სხვა დაკავშირებულ თემებთან ერთად, მოიცავს შემდეგი საკითხების განხილვას: (i) „ობლიგაციების“ ნებისმიერი ფინანსური პირობის ცვლილებას; (ii) „ობლიგაციებთან“ მიმართებით, ნებისმიერი ძირი თანხის ან პროცენტის გადახდის თარიღის ცვლილებას; (iii) „ობლიგაციებთან“ მიმართებით, ნებისმიერი გადასახდელი თანხის ოდენობის გამოთვლის მეთოდის ცვლილებას; (iv) „ობლიგაციებთან“ მიმართებით გადასახდელი ძირი თანხის ან პროცენტის ოდენობის ცვლილებას; (v) თანხმობის განცხადებას „ემიტენტის“ ან რომელიმე სხვა პირის აქციებში ან სხვა ვალდებულებებში ან ფასიან ქაღალდებში „ობლიგაციების“ გადაცვლაზე, ჩანაცვლებაზე ან კონვერტაციაზე, (vi) „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ანგარიშსწორების ვალუტის შეცვლას (გარდა იმ ცვლილებებისა, რაც მოითხოვება შესაბამისი „მარეგულირებელი კანონმდებლობით“), (vii) „ობლიგაციონერების“ კრებებზე საჭირო ქვორუმის ან „სპეციალური გადაწყვეტილების“ მისაღებად საჭირო ხმების ოდენობის ცვლილებას; (viii) წინამდებარე „პირობების“ შესაბამისი „დეფოლტის შემთხვევების“ განსაზღვრების ცვლილებას 11 (ბ) ქვეპუნქტის შეუზღუდავად; ან (ix) „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებას, შესაბამისი სააღსრულებო პროცედურების დაწყებას, შესაბამისი უფლებამოსილი პირის განსაზღვრას და აღსრულების პროცედურასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, მათ შორის ამავე 11 (გ) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას; ასეთ შემთხვევებში, „სპეციალური გადაწყვეტილების“ განსახილველად მოწვეული ნებისმიერი კრების ქვორუმის აუცილებელი ოდენობა არის 2 (ორი) ან მეტი პირი, რომლებიც განსახილველ დროს ფლობენ ან წარმოადგენენ „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ძირი თანხის არანაკლებ ორ მესამედს, ან „განმეორებით კრებაზე“ - არანაკლებ ერთ მესამედს. ნებისმიერი სათანადოდ მიღებული „სპეციალური გადაწყვეტილება“ მხოჭავია „ობლიგაციონერებისთვის“ (მიუხედავად იმისა, ესწრებოდნენ თუ არა ისინი კრებას, რომელზეც მიღებულ იქნა ასეთი გადაწყვეტილება).

იმ „ობლიგაციონერების“ (ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების) მიერ წერილობითი ფორმით მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლებიც გადაწყვეტილების მომენტში ფლობენ „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ 75%-ს (სამოცდათხუთმეტი პროცენტი) ან მეტს, გააჩნია იგივე ძალა, რაც „სპეციალურ გადაწყვეტილებას“. ამგვარი გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტით, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერის“ (ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების) მიერ. „ობლიგაციონერთა“ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნების შემდეგ, „პირობების“ მე-14 პუნქტის („შეტყობინებები“) შესაბამისად.

„ობლიგაციონერების“ ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება, მოთხოვნა, თანხმობა ან/და „ობლიგაციონერების“ „პირობებში“ ხსენებული ნებისმიერი სხვა ქმედება/გადაწყვეტილება, რომელიც არ კვალიფიცირდება „სპეციალურ გადაწყვეტილებად“, მიიღება დამსწრეების ხმათა არანაკლებ 51%-იანი (ორმოცდათერთმეტი პროცენტი) უმრავლესობით (შემდგომში „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“). ამგვარი კრების მოწვევის უფლება გააჩნიათ „ემიტენტს“ ან/და განხილვის დროს „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ძირი თანხის არანაკლებ 10% (ათი) პროცენტის მფლობელ „ობლიგაციონერებს“ (ან/და მათი სახელით მოქმედ „ნომინალურ მფლობელებს“). „ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ მისაღებად მოწვეული კრების ქვორუმს წარმოადგენს 2 (ორი) ან მეტი პირი, რომელიც ფლობს ან წარმოადგენს განსახილველ დროს „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ძირი თანხის 25%-ზე (ოცდახუთ პროცენტი) მეტს, ან ნებისმიერი „განმეორებითი კრების“ შემთხვევაში - 2 (ორი) ან მეტ პირს, რომელიც არის ან წარმოადგენს „ობლიგაციონერებს“, მიუხედავად საკუთრებაში არსებული ან წარმოდგენილი „ობლიგაციების“ ძირი თანხისა.

„დაუფარავი“ „ობლიგაციების“ 51%-ის (ორმოცდათერთმეტი პროცენტი) ან მეტის მფლობელი „ობლიგაციონერების“ მიერ ან მათი სახელით ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილება ძალაში შედის ისევე, როგორც „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“. ამგვარი გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტით, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერის“ მიერ. „ობლიგაციონერთა“ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნების შემდეგ, „პირობების“ მე-14 პუნქტის („შეტყობინებები“) შესაბამისად.

ბ) ცვლილებები და უფლებაზე უარის თქმა:

„ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ უფლებამოსილია „ობლიგაციონერების“ თანხმობის გარეშე შეუთანხმდეს „ემიტენტს“: (i) წინამდებარე „პროსპექტში“ (მათ შორის, „პირობებში“) ან „ხელშეკრულებაში“ ნებისმიერი ფორმალური, უმნიშვნელო ან ტექნიკური ხასიათის ცვლილების შეტანაზე ან გამოვლენილი აშკარა შეცდომის შესწორებაზე, (ii) ნებისმიერ სხვა ცვლილებაზე (გარდა „პროსპექტში“ და „ხელშეკრულებაში“ მითითებული შემთხვევებისა, ან იმ ცვლილებებისა, რომელთა განხორციელება დაუშვებელია შესაბამისი კანონმდებლობით), ან წინამდებარე „პირობების“ ნებისმიერი დებულების იმ დარღვევიდან ან შესაძლო დარღვევიდან გამომდინარე უფლებებზე უარის თქმაზე, რაც „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ აზრით არ ახდენს არსებითად უარყოფით გავლენას „ობლიგაციონერთა“ ინტერესებზე. ნებისმიერი ასეთი ცვლილება, უფლებამოსილება ან უფლებაზე უარის თქმა ბოჭავს „ობლიგაციონერებს“ და „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მოთხოვნით, ამგვარი ცვლილება შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა ეცნობოს „ობლიგაციონერებს“ „პირობების“ მე-14 პუნქტის შესაბამისად.

გ) „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ უფლებამოსილება:

საკუთარი ფუნქციების შესრულებისას, „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ უნდა ითვალისწინებდეს „ობლიგაციონერთა“, როგორც კლასის, და არა ცალკეულად ინდივიდუალური „ობლიგაციონერის“ ინტერესებს და არ არის ვალდებული გაითვალისწინოს მათ მიმართ დამდგარი ინდივიდუალური შედეგები, რომლებიც შესაძლოა გამოწვეულ იქნეს, მათ შორის, შეუზღუდავად, ინდივიდუალური „ობლიგაციონერის“ საცხოვრებელი ან რეზიდენტობის ადგილით, ან კონკრეტული ტერიტორიის ან პოლიტიკური დანაყოფის იურისდიქციასთან კავშირით. შესაბამისად, „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს, და არც რომელიმე „ობლიგაციონერი“ ან „ნომინალური მფლობელია“ უფლებამოსილი წაუყენოს „ემიტენტს“ რაიმე სახის მოთხოვნა ან პრეტენზია „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მიერ მისი ფუნქციების შესრულების შედეგად ინდივიდუალური „ობლიგაციონერისათვის“ დამდგარი საგადასახადო ვალდებულებების ანაზღაურების ან გადახდის თაობაზე.

დ) „ობლიგაციონერთა“ კრების მოწვევა და ჩატარება:

„ემიტენტს“ ან იმ „ობლიგაციონერებს“, რომლებიც ერთობლივად ფლობენ „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ სულ მცირე 10%-ს (ათი პროცენტი) (შემდგომში „კრების მოწვევის ინიციატორი“) შეუძლიათ ნებისმიერ დროს მოიწვიონ კრება. „კრების მოწვევის ინიციატორმა“ „ობლიგაციონერებს“ და „ემიტენტს“ უნდა გაუგზავნოს შეტყობინება სულ მცირე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე. შეტყობინება უნდა გაიგზავნოს მე-14 პუნქტის („შეტყობინებები“) შესაბამისად. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს კრების დღე, დრო და ადგილი. კრებაზე დასწრების უფლება აქვს „ემიტენტს“ ან/და მის წარმომადგენელს.

კრებაზე წარმოდგენილი „ობლიგაციონერები“ ან მათი წარმომადგენლები აირჩევენ თავმჯდომარეს ერთმანეთს შორის; ამგვარად თავმჯდომარის არჩევის შეუძლებლობის შემთხვევაში თავმჯდომარეს აირჩევენ „ემიტენტი“. თავმჯდომარე შესაძლებელია, მაგრამ არ არის აუცილებელი, იყოს „ობლიგაციონერი“ ან მისი წარმომადგენელი. თავმჯდომარედ მესამე პირის წარდგენის შემთხვევაში, აღნიშნული პირი უნდა იყოს მიუკერძოებელი. გადადებული კრების თავმჯდომარე არ არის აუცილებელი იყოს იგივე პირი, ვინც წარმოადგენდა თავდაპირველი კრების თავმჯდომარეს.

არცერთი საკითხი (გარდა თავმჯდომარის არჩევისა) არ შეიძლება იქნას განხილული კრებაზე თუ ქვორუმი არ არის შემდგარი. თუ კრების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) წუთის გასვლის შემდეგ არ არის ქვორუმი შემდგარი, კრება უნდა დაიშალოს და იგი უნდა გადაიდოს იმ თარიღზე, რომელიც იქნება პირველი კრებიდან არაუადრეს 14 (თოთხმეტი) და არაუგვიანეს 42 (ორმოცდაორი) კალენდარული დღისა, ასევე იმ დროსა და ადგილას, რომელსაც განსაზღვრავს თავმჯდომარე.

ე) ხმის მიცემა:

კრებაზე დასმული ნებისმიერი საკითხი უნდა გადაწყდეს ხელის აწევით გარდა იმ შემთხვევისა თუ მოთხოვნილია ფარული კენჭისყრა (ხელის აწევამდე ან შედეგის გამოცხადებამდე) თავმჯდომარის, „ემიტენტის“, ან ერთი ან მეტი პირის მიერ, რომლებიც წარმოადგენენ „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ 2%-ს (ორი პროცენტი). ფარული კენჭისყრის შემთხვევაში, გადაწყვეტილება გამოცხადდება თავმჯდომარის მიერ.

თუ მოთხოვნილია ფარული კენჭისყრა, ის უნდა ჩატარდეს ისეთი ფორმით და (ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად) და დროს (დაუყოვნებლივ ან კრების გადადების შემდეგ), როგორც განსაზღვრავს თავმჯდომარე. ფარული კენჭისყრის შედეგი მიიჩნევა იმ კრების გადაწყვეტილებად, რომელზეც იქნა მოთხოვნილი ფარული კენჭისყრის ჩატარება. ფარული კენჭისყრის მოთხოვნა არ შეუშლის ხელს სხვა საკითხების განხილვის მიზნით კრების გაგრძელებას.

თავმჯდომარის არჩევის ან კრების გადადების საკითხის შესახებ მოთხოვნილი ფარული კენჭისყრა უნდა ჩატარდეს დაუყოვნებლივ.

კრებაზე ყველა პირს აქვს 1 (ერთი) ხმა იმ თითოეულ ერთეულ „ობლიგაციაზე“, რომელსაც ის ფლობს ან წარმოადგენს (ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში). პირი, რომელსაც აქვს 1-ზე (ერთი) მეტი ხმა, არ არის ვალდებული გამოიყენოს ან მისცეს ყველა ხმა ერთგვაროვნად. ხმების თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, როგორც ხელის აწევის, ისე ფარული კენჭისყრის შემთხვევაში, თავმჯდომარეს აქვს გადაწყვეტილება ხმა იმ სხვა ხმებზე დამატებით, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს.

ყველა კრების მიმდინარეობის და მასზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ უნდა შედგეს ოქმი და თუ საჭიროებს კრების ან შემდეგი წარმატებული კრების თავმჯდომარის მიერ ხელმოწერას, მიჩნეულ უნდა იქნას დასკვნით მტკიცებულებად განხილულ საკითხებთან მიმართებით. სანამ საწინააღმდეგო დამტკიცდება, ყოველი კრება, რომლისთვის შედგენილია და ხელმოწერილია კრების ოქმი, ითვლება სათანადოდ მოწვეულად და ჩატარებულად და ყველა გადაწყვეტილება მიღებულად ან პროცესები სათანადოდ განხორციელებულად. „ობლიგაციონერთა“ კრებაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ძალაში შედის შესაბამისი გადაწყვეტილების სათანადოდ მიღებისა და მისი თავმჯდომარის მიერ ხელმოწერისთანავე.

„ემიტენტი“ ვალდებულია შეატყობინოს „ობლიგაციონერებს“ „ობლიგაციონერთა“ კრებაზე ნებისმიერი გადაწყვეტილების (გარდა „ობლიგაციების“ პირობების ან/და „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული უფლებების ნებისმიერი ცვლილების შემთხვევისა), მიღების შესახებ მე-14 პუნქტის („შეტყობინებები“) შესაბამისად 14 (თოთხმეტი) დღის განმავლობაში, თუმცა ამ ვალდებულების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს გადაწყვეტილების ბათილობას. ხოლო „ობლიგაციების“ პირობების ან/და „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული უფლებების ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, „ემიტენტი“ ვალდებულია, დაუყოვნებლივ, გახადოს ინფორმაცია საჯარო ამგვარი ცვლილების შესახებ, თუმცა ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს გადაწყვეტილების ბათილობას.

ვ) „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება

ნებისმიერი „სპეციალური გადაწყვეტილება“, რომელსაც ობლიგაციონერები მიიღებენ „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებისა და შესაბამისი სააღსრულებო პროცედურების დაწყების მიზნით, მიღებული უნდა იქნას ზემოთ განსაზღვრული წესით. ასეთი გადაწყვეტილება ასევე უნდა შეიცავდეს (ა) გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რომელ სააღსრულებო წარმომბა მამართავენ „ობლიგაციონერები“ და რა თანმიმდევრობით (მაგ: გამოიყენებენ თუ არა სანოტარო სააღსრულებო ფურცლის ადების საფუძველზე პროცესის დაწყების უფლებას; მიმართავენ თუ არა მოთხოვნის უზრუნველყოფის რომელიმე მექანიზმის აღსრულებას და თუ მიმართავენ, რომელს/რომლებს და ა.შ.); (ბ) მითითებას შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებაზე უფლებამოსილი ან/და პასუხისმგებელი პირის თაობაზე; და (გ) ნებისმიერი სხვა საკითხის რეგულირებას, რასაც „ობლიგაციონერები“ საჭიროდ ჩათვლიან „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებასთან დაკავშირებული თემების ადმინისტრირების მიზნით.

12. აღსრულება

„დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადების შემდგომ შესაბამისი სააღსრულებო წარმოების დაწყება „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) აღნიშნულ საკითხზე მან მიიღო შესაბამისი მითითება „სპეციალური გადაწყვეტილების“ საფუძველზე და აღსრულებაზე უფლებამოსილ პირად დასახელდა „ობლიგაციონერების“ მიერ; და (ბ) „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ მისთვის მისაღები ფორმით არის დაცული შესაძლო პასუხისმგებლობისგან ან/და მისთვის წინასწარ არის გადახდილი შესაძლო ხარჯები.

თითოეული „ობლიგაციონერი“ აცნობიერებს, რომ „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადება წარმოადგენს მხოლოდ „ობლიგაციონერების“ კრების უფლებამოსილებას და ისინი ინდივიდუალურად არ არიან უფლებამოსილნი განახორციელონ „იპოთეკის ხელშეკრულების“ ან „თავდებობის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული აღსრულების რომელიმე ღონისძიება. ასევე, სააღსრულებო პროცესის წამოწყება არ უნდა მოხდეს „ობლიგაციონერების“ კრების მიერ „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებიდან და შესაბამისი „სპეციალური გადაწყვეტილების“ ძალაში შესვლიდან 30 (ოცდაათი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში, რა ვადაშიც „ემიტენტი“ უფლებამოსილია, გაასაჩივროს აღნიშნული „სპეციალური გადაწყვეტილება“ წინამდებარე „პროსპექტი“ განსაზღვრულ დავების განმხილველ ორგანოში.

13. „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ დაცვა პასუხისმგებლობისგან

“ხელშეკრულება” შეიცავს პირობებს “ობლიგაციონერების წარმომადგენლის” დაცვის და მისი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების თაობაზე.

„ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ უფლებამოსილია, “ობლიგაციონერების“ ან „ნომინალური მფლობელების“ წინაშე ვალდებულების წარმოშობის გარეშე, დაეყრდნოს ნებისმიერი ბუღალტერის, ფინანსური მრჩევლის, ფინანსური დაწესებულების და სხვა ექსპერტის მიერ მომზადებულ ანგარიშებს, დადასტურებებს, ცნობებს ან რჩევებს, მიუხედავად იმისა, მომზადებულია თუ არა ამგვარი ანგარიში, დადასტურება, მოწმობა თუ რჩევა კონკრეტულად მისთვის, ან შეზღუდულია თუ არა მათი პასუხისმგებლობის მოცულობა აღნიშნულთან დაკავშირებით (თავად შესაბამისი დოკუმენტის პირობით, „ობლიგაციონერების წარმომადგენელთან“ დადებული ხელშეკრულებით, ან სხვაგვარად) ფულადი ზღვრის დაწესებით, გამოყენებული მეთოდოლოგიის, თუ სხვა დათქმების მითითებით.

14. შეტყობინებები

„ემიტენტის“ შეტყობინება „ობლიგაციონერებს“ უნდა მიეწოდოს ან შეტყობინების გამოქვეყნებით (მათ შორის, შეუზღუდავად, „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების გზით), ან წინამდებარე „პროსპექტში“ მითითებულ „ობლიგაციების“ „ნომინალური მფლობელების“ ელ-ფოსტაზე ან მისამართზე შეტყობინების გაგზავნის გზით „ობლიგაციების წარმომადგენლის“ მეშვეობით.

იმ შემთხვევაში, თუ ხდება შეტყობინების მიწოდება გამოქვეყნების ან შესაბამის ელ-ფოსტაზე გაგზავნის გზით, ნებისმიერი მსგავსი შეტყობინება ჩაითვლება სათანადოდ მიწოდებულად მისი გამოქვეყნების ან მისი ელ-ფოსტით გაგზავნის თარიღზე, ან, თუკი შეტყობინების გამოქვეყნება ან ელ-ფოსტაზე გაგზავნა მოხდა ერთ ჯერზე მეტად, შეტყობინება სათანადოდ მიწოდებულად ჩაითვლება - მისი პირველად გასაჯაროების ან ელ-ფოსტაზე პირველად გაგზავნის თარიღზე. იმ შემთხვევაში, თუ ხდება შეტყობინების მიწოდება მისამართზე გაგზავნის გზით, ნებისმიერი მსგავსი შეტყობინება ჩაითვლება სათანადოდ მიწოდებულად მისი გაგზავნის თარიღიდან მე-4 „სამუშაო დღეს“.

„ობლიგაციონერებმა“ შეტყობინება უნდა გაუგზავნონ „ნომინალურ მფლობელებს“ წინამდებარე „პროსპექტში“ მითითებულ მის ელ-ფოსტაზე ან მისამართზე, თუ „ნომინალური მფლობელები“ „ობლიგაციონერებს“ სათანადოდ წერილობით სხვაგვარად არ შეატყობინებენ.

ყოველგვარი ექვის გამორიცხვის მიზნით, ამ პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების ფიზიკური სახით შესაბამის მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ითვლება სათანადოდ წესით გაგზავნილად და იგი არ საჭიროებს დამატებით ელ-ფოსტით მეშვეობით გაგზავნას. „ემიტენტი“ მიაწოდებს „ნომინალურ მფლობელებს“ ინფორმაციას „ობლიგაციონერების“ კრების მოწვევის შესახებ ან/და შეტყობინებას გამოაქვეყნებს სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ მეშვეობით.

რეგულირებული ინფორმაციის გასაჯაროების მიზნით გამოყენებულ იქნება კანონმდებლობით განსაზღვრული რომელიმე საჯარო წყარო (<https://reportal.ge/>; <https://gse.ge/>; სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, „ემიტენტის“ ვებ-გვერდი), რომლებზეც განხორციელდება რეგულირებული ინფორმაციის გამოქვეყნება, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის გამჭვირვალობის წესის (181/04) მე-9 მუხლით დადგენილი ვალდებულებების შესრულება, როგორც შეიძლება შეიცვალოს და განსაზღვრული იქნება შესაბამისი პერიოდისთვის:

- ა) ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან;
- ბ) ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ.
- გ) ისეთი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად;
- დ) ინფორმაცია საერთო კრების ადგილის, დროის, დღის წესრიგისა და „ემიტენტის“ აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის მიღების უფლების შესახებ;
- ე) „ემიტენტი“ რეგულირებული ინფორმაციის სხვადასხვა ტიპებთან მიმართებით, გეგმავს ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროების გამოყენებას, რომლის ცვლილების შემთხვევაში შესაბამისად უზრუნველყოფს „ობლიგაციონერთა“ ინფორმირებას:
 - ე.1) პერიოდული ფინანსური ანგარიშგებები: <https://reportal.ge/>;
 - ე.2) კრებებთან/გადაწყვეტილებებთან და სხვა მსგავს საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რამდენადაც აღნიშნული შესაძლებელია: საჯარო რეესტრის პორტალის მეშვეობით;
 - ე.3) სხვა ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაცია ან კანონმდებლობით გამჭვირვალობის ფარგლებში მოთხოვნილი მიმდინარე ანგარიშები: „ემიტენტის“ ან საქართველოს საფონდო ბირჟის ვებ-გვერდი.

15. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე “პირობებში” გამოყენებულ ტერმინებს (თუკი კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს) გააჩნიათ შემდეგი მნიშვნელობები:

- „შექმნილი ვალი“ ნებისმიერ კონკრეტულ “პირთან” მიმართებაში ნიშნავს:
 - (ა) ნებისმიერი სხვა პირის „ვალდებულება“, რომელიც არსებობს ისეთ დროს, როცა ასეთი სხვა „პირი“ შეერწყმება ან გახდება ასეთი კონკრეტული „პირის“ „შვილობილი“, იმის მიუხედავად, წარმოიქმნება თუ არა ასეთი „ვალდებულება“ ამ სხვა “პირის” შერწყმასთან ან მისი “შვილობილად” გახდომასთან დაკავშირებით; და
 - (ბ) „ვალდებულება“, რომლის უზრუნველყოფისთვის გამოყენებული „უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებშიც“ დატვირთულია ისეთი აქტივი, რომელიც შეიძინა ამგვარმა კონკრეტულმა „პირმა“.

„განმეორებითი კრება“ არის “ობლიგაციონერთა“ განმეორებითი კრება, რომლითაც გრძელდება წინამორბედი კრება, სადაც ვერ შედგა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ქცორუმი.

„აფილირებული პირი“ რომელიმე კონკრეტულ „პირთან“ მიმართებით არის (ა) ნებისმიერი სხვა „პირი“, რომელიც პირდაპირ ან ირიბად აკონტროლებს ამ კონკრეტულ „პირს“ ან პირდაპირ ან ირიბად კონტროლდება ამ კონკრეტული „პირის“ მიერ ან იმყოფება ამ „პირთან“ ერთად, პირდაპირ ან ირიბად, საერთო კონტროლის ქვეშ (ამ განმარტების მიზნებისთვის, „კონტროლი“, როდესაც გამოიყენება რომელიმე „პირთან“ მიმართებით, ნიშნავს უფლებამოსილებას, წარმართოს ან განსაზღვროს ამ „პირის“ მენეჯმენტის ან პოლიტიკის მიმართულება, პირდაპირ თუ ირიბად, ხმის მიცემის უფლების მქონე ფასიანი ქაღალდების მეშვეობით, სახელმწიკრულებო ურთიერთობით ან სხვაგვარად), ან (ბ) ნებისმიერი სხვა „პირი“, რომელიც არის ამ კონკრეტული „პირის“, მისი „შვილობილის“ ან (ა) ქვეპუნქტში აღწერილი ნებისმიერი სხვა „პირის“ დირექტორი, სამეთვლეყურეო საბჭოს წევრი ან ოფიცერი.

„ობლიგაციონერი“ ნიშნავს პირს, რომელიც წარმოადგენს „ობლიგაციების“ „რეგისტრირებულ მესაკუთრეს“ (ტერმინი „რეგისტრირებული მესაკუთრე“ გამოიყენება, „ფასიანი ქაღალდების კანონის“ მნიშვნელობით).

„სამუშაო დღე“ არის ნებისმიერი დღე (შაბათის და კვირის გარდა), როდესაც კომერციული ბანკები ახორციელებენ გადახდებს და აწარმოებენ ჩვეულებრივ საქმიანობას (მათ შორის, სავალუტო ოპერაციებს) თბილისში.

„ფულის ეკვივალენტები“ ნიშნავს:

ა) ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მთავრობის მიერ 2003 წლის 31 დეკემბერს გაცემული ან უპირობოდ გარანტირებული, ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების, შვეიცარიის ან კანადის (მათ შორის, თითოეულ შემთხვევაში, ნებისმიერი სააგენტოს ან ინსტრუმენტის მეშვეობით) გაცემული ან უპირობოდ გარანტირებული პირდაპირი ვალდებულებები (ან სერთიფიკატები, რომლებიც წარმოადგენენ ასეთ ვალდებულებებში ინტერესს), რომლის გადახდასაც გარემოებების და მიხედვით, მხარს უჭერს ევროკავშირის შესაბამისი წევრი სახელმწიფო, ამერიკის შეერთებული შტატები, შვეიცარია ან კანადა სრულად და საკრედიტო კუთხით, რომელთა ვადა არ აღემატება თორმეტ თვეს შეძენის თარიღიდან და რომლებსაც არ გააჩნია გამოსყიდვის ან განაღდების უფლება „ემიტენტის“ დისკრეციით;

(ბ) ნებისმიერი ინვესტიცია საქართველოს მთავრობის ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ან/და გარანტიით საერთაშორისოდ გამოშვებულ და განთავსებულ ფასიან ქაღალდებში 50 აშშ მილიონ დოლარამდე (ან ეკვივალენტი სხვა ვალუტა(ებ)ში);

გ) სადეპოზიტო სერთიფიკატები, ვადიანი დეპოზიტები, ევროდოლარის ვადიანი დეპოზიტები, ფულადი ბაზრის დეპოზიტები, ერთდღიანი საბანკო დეპოზიტები ან საბანკო ანგარიშები (და მსგავსი ინსტრუმენტები), რომელთა დაფარვის ვადა არ აღემატება თორმეტ თვეს მათი შეძენის დღიდან, გაცემული ნებისმიერი კომერციული ბანკის მიერ, იმ პირობით, რომ ი) ასეთი ბანკის გრძელვადიანი გადახდისუნარიანობა ზემოთ აღწერილი ინსტრუმენტის შეძენის დროს შეფასებულია მინიმუმ „A+“ ან მისი ეკვივალენტი S&P-ს, ან „A1“ ან მისი ეკვივალენტი Moody's-ის ან სხვა საერთაშორისოდ აღიარებული სარეიტინგო სააგენტოს ეკვივალენტური სარეიტინგო კატეგორიით და აქვს საერთო კაპიტალი და ნაშთი/ნამეტი 250 მილიონი აშშ დოლარი (ან მისი უცხოური ვალუტის ეკვივალენტი ასეთი ინვესტიციის თარიღისთვის) ან (ii) აღნიშნული ბანკის პირველადი რეგისტრაციის იურისდიქციაში საქმიანობს „ემიტენტი“ ან მისი „შვილობილი“ და რომელიც (ა) ჯამური კაპიტალისა და ნამეტი/გაუნაწილებელი მოგების ან მისი გრძელვადიანი გადახდისუნარიანობის რეიტინგების მიხედვით, ასეთ იურისდიქციაში რეგისტრირებული ბანკიდან ათ საუკეთესოთა შორის ექვევა და (ბ) ასეთი ბანკის გრძელვადიანი გადახდისუნარიანობა ზემოთ აღწერილი ინსტრუმენტის შეძენის დროს ფასდება Moody's-ის მიერ მინიმუმ "B1" ან Fitch-ის მიერ "B+";

დ) ზემოთ (ა) და (ბ) ქვეპუნქტებში აღწერილი ფასიანი ქაღალდების საფუძველზე რეპო-გარიგებების ფარგლებში აღებული ვალდებულებები, რომლის დაფარვის ვადაც არ აღემატება შვიდ დღეს და რომლებიც დადებულია ნებისმიერ ისეთ ფინანსურ ინსტიტუტთან, რომელიც აკმაყოფილებს ზემოთ (ბ) ქვეპუნქტში მითითებულ კვალიფიკაციას;

(ე) კომერციული ქაღალდი, რომელსაც აქვს S&P ან Moody's-ის ორი უმაღლესი რეიტინგიდან ერთ-ერთი, ან ეკვივალენტური რეიტინგის კატეგორია საერთაშორისოდ აღიარებული სარეიტინგო სააგენტოს მიერ, თუ ორივე

დასახელებული სარეიტინგო სააგენტო შეწყვეტს ინვესტიციების რეიტინგების გამოქვეყნებას და ნებისმიერ შემთხვევაში იფარება მისი შემენის დღიდან ერთი წლის ვადაში; და
(ვ) ინტერესები ნებისმიერ საინვესტიციო კომპანიაში ან ფულადი სახსრების ფონდში, რომლის აქტივები შედგება მინიმუმ 95% ან მეტი „ფულის ეკვივალენტისგან“, რომელიც მითითებულია ზემოთ (ა)-(დ) ქვეპუნქტებში.

„კაპიტალური იჯარის ვალდებულება“ ნიშნავს კაპიტალურ იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულების ოდენობას, რომელიც იმ დროს საჭირო იქნებოდა კაპიტალიზებულიყო „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებულ საბალანსო ანგარიშგებაში და მისი „დაფარვის დათქმული თარიღი“ იქნება იჯარის ბოლო გადახდის თარიღი ან ნებისმიერი სხვა თანხის გადახდის თარიღი ისეთ თარიღამდე, როდესაც ასეთი იჯარა შეიძლება წინასწარ ჩაიფაროს ან შეწყდეს მოიჯარის მიერ ჯარიმის გადახდის გარეშე.

„სააქციო კაპიტალი“ ნიშნავს:

- (ა) კორპორაციის შემთხვევაში, კორპორაციის სააქციო კაპიტალს;
- (ბ) ასოციაციის ან სამეწარმეო სუბიექტის შემთხვევაში, კორპორატიული აქციების/წილების ნებისმიერ და ყველა აქციას, ინტერესს, მონაწილეობას, უფლებას ან სხვა ეკვივალენტს (როგორც არ უნდა იყოს მითითებული);
- (გ) ამხანაგობის ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში, ამხანაგობის ინტერესი (ზოგადი თუ შეზღუდული) ან წევრობის ინტერესები; და
- (დ) ნებისმიერი სხვა ინტერესი ან მონაწილეობა, რომელიც „პირს“ ანიჭებს უფლებას მიიღოს „პირის“ მოგებისა და ზარალის წილი, ან წილი აქტივების განაწილებიდან, მაგრამ ყველა ზემოაღნიშნულიდან ნებისმიერი „სააქციო კაპიტალში“ კონვერტირებადი სასესხო ფასიანი ქაღალდის გამორიცხვით, იმის მიუხედავად შეიცავს თუ არა ასეთი სასესხო ფასიანი ქაღალდები „სააქციო კაპიტალში“ მონაწილეობის უფლებას.

„კონსოლიდირებული EBITDA“ ნიშნავს დუბლირების გარეშე, „ემიტენტისა“ და მისი “ შვილობილების“ „კონსოლიდირებულ წმინდა მოგებას“ ნებისმიერი პერიოდისთვის, *დამატებული* შემდეგი, იმ მოცულობით, რომლითაც ის გამოიქვეთება ასეთი „კონსოლიდირებული წმინდა მოგების“ გაანგარიშებიდან და ნებისმიერ სხვა პუნქტთან დუბლირების გარეშე, რომელიც გამორიცხულია „კონსოლიდირებული წმინდა მოგებიდან“, დეფინიციის შესაბამისად,:

- (ა) „კონსოლიდირებული საპროცენტო ხარჯი“;
- (ბ) „კონსოლიდირებული საშემოსავლო გადასახადები“;
- (გ) კონსოლიდირებული ცვეთის ხარჯი;
- (დ) კონსოლიდირებული ამორტიზაციის ხარჯი;
- (ე) კონსოლიდირებული ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული მოგება-ზარალი;
- (ვ) სხვა არაფულადი გადასახადები, ჩამოწერა ან ელემენტები, რომლებიც ამცირებენ „კონსოლიდირებულ წმინდა მოგებას“, მათ შორის, შეუზღუდავად - გუდვილის ჩამოწერა, აღჭურვილობის გაყიდვით ან აქტივების ნებისმიერი სხვა გასხვისებით მიღებული დანაკარგი ან, აქტივების გაუფასურების რეზერვები ან მათი აღდგენა, საწარმოს მარაგის/ინვენტარის ჩამოწერა, და ნებისმიერი ელემენტი, რომელიც „ემიტენტის“ მიერ კლასიფიცირებულია როგორც სპეციალური, საგანგებო, განსაკუთრებული, უჩვეულო ან არაგანმეორებადი, *გამოკლებული* შემოსავლის სხვა უნაღდო პუნქტები, რომლებიც ზრდის „კონსოლიდირებულ წმინდა შემოსავალს“ (ნებისმიერი ასეთი უნაღდო პუნქტის გამოკლებით, რომელიც წარმოადგენს მომავალ პერიოდში ფულის მიღებას) თითოეულ შემთხვევაში, ასეთი პერიოდისთვის კონსოლიდირებული და „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად განსაზღვრული მაჩვენებელი.

(კონტექსტის მიზნებისთვის, „კონსოლიდირებული EBITDA“-ს დაზუსტება ინგლისურად:

"Consolidated EBITDA" means, without duplication, the Consolidated Net Income of the Issuer and its Subsidiaries for any period, plus the following to the extent deducted in calculating such Consolidated Net Income and without duplication with any other item excluded pursuant to the definition of Consolidated Net Income:

- (a) Consolidated Interest Expense;

- (b) Consolidated Income Taxes;
- (c) Consolidated depreciation expense;
- (d) Consolidated amortisation expense;
- (e) Consolidated foreign exchange gains or losses;
- (f) other non-cash charges, write-downs or items reducing Consolidated Net Income including, but not limited to, write-off of goodwill, loss on the sale of equipment or any other disposal of assets, provisions and recovery of provisions for asset impairment, and inventory write-down, and any items classified by the Issuer as special, extraordinary, exceptional, unusual or nonrecurring items less other non-cash items of income increasing Consolidated Net Income (excluding any such non-cash item of income to the extent it represents a receipt of cash in any future period),

in each case, for such period on a consolidated basis determined in accordance with IFRS.)

„კონსოლიდირებული სამემოსავლო გადასახადები“ ნიშნავს „გადასახადებს“ ან სხვა, მათ შორის გადავადებულ გადასახადებს, რომელიც ეფუძნება რომელიმე „ემიტენტის“ და მისი „შვილობილის“ შემოსავალს, მოგებას ან კაპიტალს, იმის მიუხედავად არის თუ არა გადახდილი, სავარაუდო, დარიცხული ან საჭიროებს გადარიცხვას რომელიმე სამთავრობო ორგანოში.

„კონსოლიდირებული საპროცენტო ხარჯი“ ნიშნავს, ნებისმიერი პერიოდისთვის (თითოეულ შემთხვევაში, განსაზღვრული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ საფუძველზე), „ემიტენტის“ და მისი „შვილობილების“ გადახდილ თუ დარიცხულ კონსოლიდირებულ წმინდა საპროცენტო შემოსავალს/ხარჯს, საპენსიო ვალდებულების საპროცენტო ღირებულების ჩათვლით, *პლუს* ან მათ შორის (დუბლირების გარეშე), ნებისმიერ პროცენტს, ხარჯს და „გადასახადს“, რომელიც შედგება შემდეგისგან:

- (ა) „კაპიტალური იჯარის ვალდებულებასთან“ დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი;
- (ბ) სესხის დისკონტის ამორტიზაცია, სესხის გამოშვების ხარჯი და პრემიუმი;
- (გ) არაფულადი საპროცენტო ხარჯი;
- (დ) საკომისიო, დისკონტი ან სხვა ხარჯი, რომელიც ისეთ დაფინანსებასთან არის დაკავშირებული რომელიც არ შედის (ბ) ქვეპუნქტში; და
- (ე) დივიდენდები ან სხვა გაცემები „ემიტენტის“ ყველა „დისკვალიფიცირებულ აქციებთან“ და „შვილობილის“ იმ „პრივილეგირებულ აქციებთან“ მიმართებით, რომელიც უჭირავს „ემიტენტის“ და „ემიტენტის“ „შვილობილის“ გარდა სხვა „პირებს“.

„კონსოლიდირებული წმინდა მოგება“ ნიშნავს, ნებისმიერ კონკრეტულ „პირთან“ მიმართებაში, ნებისმიერი პერიოდისთვის, ასეთი „პირისა“ და მისი „შვილობილების“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად განსაზღვრულ კონსოლიდირებულ წმინდა შემოსავალს/(ზარალს) ამ პერიოდისთვის, „პრივილეგირებული აქციების“ დივიდენდების ოდენობით შემცირების გარეშე, მაგრამ იმ პირობით, რომ ასეთ „კონსოლიდირებულ წმინდა შემოსავალში“ არ იქნება ჩართული:

- (ა) კონსოლიდირებული ცვეთის ხარჯი
- (ბ) კონსოლიდირებული ამორტიზაციის ხარჯი
- (გ) ნებისმიერი წმინდა მოგება (ან ზარალი), რომელიც მიღწეულია „ემიტენტის“ ან რომელიმე „შვილობილის“ ნებისმიერი აქტივის ან ოპერაციების გაყიდვისას ან სხვაგვარად გასხვისებისას (მათ შორის, ნებისმიერი გაყიდვის/უკუიჯარის ტრანზაქციის შესაბამისად), რომელიც არ განეკუთვნება ჩვეულებრივ ბიზნეს საქმიანობას (როგორც ეს კეთილსინდისიერად განსაზღვრულია „ემიტენტის“ ოფიცრის ან დირექტორთა საბჭოს მიერ);
- (დ) ნებისმიერი არარეალიზებული მოგება ან ზარალი „ჰეჯირების ვალდებულებებთან“ დაკავშირებით ან მოგებაში აღიარებული ნებისმიერი არაეფექტურობა, რომელიც დაკავშირებულია ჰეჯირების ოპერაციებთან ან მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილებასთან, რომელიც აღიარებულია დერივატივებიდან მიღებულ მოგებაში,

რომლებიც არ კვალიფიცირდება როგორც ჰეჯირების ოპერაციები, თითოეულ შემთხვევაში, „ჰეჯირების ვალდებულებებთან“ მიმართებაში;

(ე) კაპიტალიზებული, დარიცხული ან საქონლის/სერვისის გამოყენებით გადახდილი პროცენტის ან ძირი თანხის ზეგავლენა „დამფუძნებლის სუბორდინირებულ დაფინანსებაზე“;

(ვ) ვალუტის გადაფასებიდან მიღებული ნებისმიერი შემოსავალი/დანაკარგი;

(ზ) ნებისმიერი მოგების ან საშემოსავლო „გადასახადი“; და

(თ) ნებისმიერი სხვა არაგანმეორებადი ხარჯები რომლებიც არ იფარება (ა)-(ზ) ქვეკუთხუთებით.

„კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯი“ ნიშნავს, კონკრეტულ „პირებთან“ მიმართებაში და ნებისმიერ შეფასების თარიღში, თანხას, რომელიც უტოლდება (დუბლირების გარეშე) ამ კონკრეტული „პირისა“ და მისი „შვილობილების“ (ა) „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად გამოთვლილ „ვალდებულებას“, ასეთი „პირის“ ბოლო ხელმისაწვდომი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად, *გამოკლებული* (ბ) ამ „პირისა“ და მისი „შვილობილების“ (ა) „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად დათვლილი კონსოლიდირებული მთლიანი ფულადი სახსრები და „ფულის ეკვივალენტები“ (გარდა ისეთი ფულადი სახსრებისა ან/და „ფულის ეკვივალენტებისა“, რომლებიც წარმოადგენენ „ვალდებულებიდან“ მიღებულ შემოსავალს, რომელიც წარმოიშვა „კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტის“ დადგენის თარიღში), *გამოკლებული* (გ) საერთაშორისოდ დალისტული/ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების აქტივები „ემიტენტის“ საბალანსო ანგარიშგებაში.

„კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტი“ ნიშნავს, ნებისმიერ კონკრეტულ „პირთან“ მიმართებაში და დადგენის ნებისმიერ თარიღში, ასეთი „პირის“ „კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის“ თანაფარდობას ამ თარიღში ამ „პირის“ „კონსოლიდირებულ EBITDA-სთან“, რომელიც დათვლილია ზედიზედ 4 (ოთხი) უახლესი კვარტლის „ფისკალური პერიოდისთვის“, რომლებისთვისაც მითითებული „პირის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (მომზადებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად) საჯაროდ ხელმისაწვდომია, ზუსტად იმ თარიღამდე, რომელზეც ასეთი დამატებითი „ვალდებულება“ იქნა აღებული, „დისკვალიფიცირებული აქციები“ ან „პრივილეგირებული აქციები“ იქნა გამოშვებული. იმ შემთხვევაში, თუ მითითებული „პირი“ ან მისი რომელიმე „შვილობილი“ ახორციელებს, აიღებს, გარანტიას გასცემს, ანაზღაურებს, ყიდულობს, გამოისყიდის ან სხვაგვარად ანაზღაურებს რაიმე „ვალდებულებას“ (გარდა ჩვეულებრივი ბიზნესის ოპერაციების ფარგლებში საბრუნავი კაპიტალის სესხებისა) ან გასცემს, ყიდულობს ან გამოისყიდის „პრივილეგირებულ აქციებს“ იმ პერიოდის დაწყების შემდეგ, რომლისთვისაც ხდება „კონსოლიდირებული EBITDA-ს“ გამოთვლა და იმ თარიღზე ან თარიღამდე, რომლის დროსაც ხდება „კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტის“ გაანგარიშება (შემდგომში **„გაანგარიშების თარიღი“**), მაშინ „კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტი“ გამოითვლება შემდგომ ჩამოთვლილისთვის პროფორმა ეფექტის მიცემით - ამგვარი „ვალდებულების“ წარმოშობის, მიღების, გარანტიის, დაფარვის, გამოსყიდვის ან სხვაგვარად დაფარვის, ან „პრივილეგირებული აქციების“ გამოსყიდვის და მისგან მიღებული შემოსავლების ისე ასახვით, თითქოს ეს მოხდა მოქმედი 4 (ოთხი) კვარტლის დასაწყისში.

ამის გარდა, „კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტის“ დათვლის მიზნებისთვის:

(ა) კონკრეტული „პირის“ ან ნებისმიერი მისი „შვილობილის“ მიერ განხორციელებული ბიზნესების ან აქტივების შესყიდვები, მათ შორის შერწყმის, კონსოლიდაციის, გაერთიანების ან სხვა ბიზნეს კომბინაციების გზით და ნებისმიერი დაკავშირებული ფინანსური ტრანზაქციის ჩათვლით ოთხი კვარტლის შესაბამისი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ან ამ საანგარიშო პერიოდის შემდგომ, თუმცა არაუგვიანეს „გაანგარიშების თარიღისა“ (მისი ჩათვლით) განხორციელდება პროფორმა ეფექტით, თითქოს აღნიშნული განხორციელებულიყო ოთხი კვარტლის საანგარიშო პერიოდის პირველ დღეს და „კონსოლიდირებული EBITDA“ და „კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯი“ ასეთი საანგარიშო პერიოდისთვის გამოითვლება „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად, პრო-ფორმა საფუძველზე;

(ბ) „კონსოლიდირებული EBITDA“-ს ნაწილი, რომელიც „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მიეკუთვნება შეწყვეტილ ოპერაციებს და ოპერაციები ან ბიზნესები (და მასში საკუთრების ინტერესები), რომლებიც განკარგულ იქნა „გაანგარიშების თარიღამდე“ - გამორიცხული იქნება;

(გ) ნებისმიერი „პირი“, რომელიც წარმოადგენდა „შვილობილს“ „გაანგარიშების თარიღზე“, ამ 4 (ოთხი) კვარტლის მთელი პერიოდის მანძილზე ჩაითვლება „შვილობილად“;

(დ) ნებისმიერი „პირი“, რომელიც არ წარმოადგენდა „შვილობილს“ „განგარიშების თარიღზე“, ამ 4 (ოთხი) კვარტლის მთელი პერიოდის მანძილზე არ ჩაითვლება „შვილობილად“.

ამ განმარტებისა და „კონსოლიდირებული EBITDA-ს“ და „კონსოლიდირებული წმინდა მოგების“ განმარტებების მიზნებისათვის, პროფორმა გამოთვლები განხორციელდება კეთილსინდისიერად, „ემიტენტის“ მიერ განსაზღვრული პასუხისმგებელი ფინანსური ან ბუღალტერის მიერ. ამ „პირობებით“ განსაზღვრული სხვა ნებისმიერი ჩანაწერის მიუხედავად, „კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტის“ განსაზღვრისას არ მიიღებას მონაწილეობას ისეთი ნაღდი ფული ან „ფულის ეკვივალენტები“, რომლებიც წარმოადგენენ „ვალდებულებიდან“ მიღებულ შემოსავლებს, რომლის აღებაც თავის მხრივ წარმოქმნის „კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტის“ განგარიშგების ვალდებულებას.

(კონტექსტის მიზნებისთვის, „კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტის“ დაზუსტება ინგლისურად:

"Consolidated Net Leverage Ratio" means, with respect to any specified Person and as at any date of determination, the ratio of Consolidated Net Leverage of such Person on such date to Consolidated EBITDA of such Person for the most recent 4 (four) consecutive fiscal quarters for which consolidated financial statements for the specified Person (prepared in accordance with IFRS) are publicly available (or are made available) immediately preceding the date on which such additional Indebtedness is incurred or such Disqualified Stock or Preferred Stock is issued, as the case may be. In the event that the specified Person or any of its Subsidiaries incurs, assumes, guarantees, repays, repurchases, redeems, defeases or otherwise discharges any Indebtedness (other than ordinary course working capital borrowings) or issues, repurchases or redeems Preferred Stock subsequent to the commencement of the period for which the Consolidated EBITDA is being calculated and on or prior to the date on which the event for which the calculation of the Consolidated Net Leverage Ratio is made (the "Calculation Date"), then the Consolidated Net Leverage Ratio will be calculated giving pro forma effect to such incurrence, assumption, guarantee, repayment, repurchase, redemption, defeasance or other discharge of Indebtedness, or such issuance, repurchase or redemption of Preferred Stock, and the use of the proceeds therefrom, as if the same had occurred at the beginning of the applicable four-quarter reference period.

In addition, for purposes of calculating the Consolidated Net Leverage Ratio:

- (a) acquisitions of businesses or assets that have been made by the specified Person or any of its Subsidiaries, including through mergers, consolidations, amalgamations or other business combinations and including any related financing transactions during the four-quarter reference period or subsequent to such reference period and on or prior to the Calculation Date (or that are to be made on the Calculation Date), will be given pro forma effect as if they had occurred on the first day of the four-quarter reference period and Consolidated EBITDA and Consolidated Net Leverage for such reference period will be calculated on a pro forma basis in accordance with IFRS;*
- (b) the Consolidated EBITDA attributable to discontinued operations, as determined in accordance with IFRS, and operations or businesses (and ownership interests therein) disposed of prior to the Calculation Date, will be excluded;*
- (c) any Person that is a Subsidiary on the Calculation Date will be deemed to have been a Subsidiary at all times during such four-quarter period; and*
- (d) any Person that is not a Subsidiary on the Calculation Date will be deemed not to have been a Subsidiary at any time during such four-quarter period.*

For the purposes of this definition and the definitions of Consolidated EBITDA and Consolidated Net Income, pro forma calculations will be as determined in good faith by a responsible financial or accounting officer of the Issuer. Notwithstanding anything else in these Conditions, in determining the Consolidated Net Leverage Ratio, no cash or Cash Equivalents shall be

included that are the proceeds of Indebtedness in respect of the incurrence of which the calculation of the Consolidated Net Leverage Ratio is to be made.)

„მთლიანი კონსოლიდირებული აქტივები“ ან **„კონსოლიდირებული აქტივები“** ნიშნავს ნებისმიერ „პირთან“ მიმართებით და განსაზღვრის თარიღისთვის, აღნიშნული „პირის“ და მისი კონსოლიდირებული „შვილობილების“ კონსოლიდირებულ ჯამურ აქტივებს, როგორც წარმოდგენილია აღნიშნული „პირის“ მიერ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ მიხედვით მომზადებულ და გამჟღავნებულ უახლეს ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

„კონტროლი“, წინამდებარე განმარტებებში გამოყენებული ფორმით, გულისხმობს „ემიტენტის“ მართვის, პოლიტიკისა და საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრის უფლებამოსილებას, სააქციო კაპიტალის ფლობით, სახელშეკრულებო ურთიერთობით ან სხვაგვარად („**კონტროლირებული“** განიმარტება შესაბამისად).

„გადავადებული განთავსების თარიღი“ ნიშნავს ნებისმიერ თარიღს „ობლიგაციების“ „გამოშვების თარიღიდან“ „შეთავაზების პერიოდის“ დასრულებამდე, როდესაც ხდება „ობლიგაციის“ განთავსება „გადავადებული განთავსების ფასით“.

„გადავადებული განთავსების ფასი“ ნიშნავს „ობლიგაციების“ ნომინალური ღირებულებას დამატებული „ობლიგაციების“ „გამოშვების თარიღიდან“ „ობლიგაციების“ „გადავადებული განთავსების თარიღამდე“ დარიცხულ საპროცენტო სარგებელს.

„დისკვალიფიცირებული აქცია“ ნიშნავს „სააქციო კაპიტალს“, რომელიც თავისი პირობებით (ან ნებისმიერი ფასიანი ქაღალდის პირობებით, რომელშიც იგი კონვერტირებადია, ან რომელზედაც იგი შეიძლება გადაიცვალოს, თითოეულ შემთხვევაში, „სააქციო კაპიტალის მფლობელის“ არჩევანით/უფლებით), ან ნებისმიერი მოვლენის დადგომისას, იფარება ან სავალდებულო გამოსყიდვას ექვემდებარება ე.წ. „sinking fund“ ვალდებულების ან სხვაგვარად გამოსყიდვადი „სააქციო კაპიტალის“ მფლობელის არჩევანით, სრულად ან ნაწილობრივ, „ობლიგაციების“ დაფარვამდე 6 (ექვსი) თვით ადრე პერიოდში. მიუხედავად წინა წინადადებისა, ნებისმიერი „სააქციო კაპიტალი“, რომელიც წარმოადგენს „დისკვალიფიცირებულ აქციას“ მხოლოდ იმიტომ, რომ „სააქციო კაპიტალის“ მფლობელებს აქვთ უფლება მოსთხოვონ „ემიტენტს“ ასეთი „სააქციო კაპიტალის“ ხელახალი შესყიდვა კონტროლის ცვლილების ან აქტივების გაყიდვის შემთხვევაში, არ წარმოადგენს „დისკვალიფიცირებულ აქციას“, თუ ასეთი „სააქციო კაპიტალის“ პირობები ითვალისწინებს, რომ „ემიტენტს“ არ შეუძლია შეიძინოს ან გამოისყიდოს რომელიმე ასეთი „სააქციო კაპიტალი „ამ დებულებების შესაბამისად, თუ ასეთი ყიდვა ან გამოსყიდვა არ შეესაბამება 5(გ) ქვეპუნქტს („შეზღუდული გადახდები“).

„წილობრივი მონაწილეობა“ ნიშნავს „სააქციო კაპიტალს“ და ყველა დამატებით გარანტიას, ოფციას ან სხვა უფლებას „სააქციო კაპიტალის“ შესაძენად (თუმცა ნებისმიერი სასესხო ფასიანი ქაღალდის გამოკლებით, რომელიც არის კონვერტირებადი ან გადაცვლადი „სააქციო კაპიტალში“).

„პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ ნიშნავს იმგვარ მოვლენას ან გარემოებას, რომელიც შეტყობინების გაგზავნის/მიღების, დროის გასვლის ან/და სერტიფიკატის/ცნობის გაცემის საფუძველზე შესაძლოა გახდეს „დეფოლტის შემთხვევა“.

„სამართლიანი საბაზრო ღირებულება“ ოპერაციასთან მიმართებით არის ის ღირებულება, რომელიც მიღებული იქნებოდა დაუკავშირებელ პირებს შორის გამოილი ხელის პრინციპით განხორციელებული კომერციული ოპერაციისას ინფორმირებულ და დაინტერესებულ გამყიდველსა (რომელზეც არავითარი იძულება ან ზეწოლა გასხვისებასთან დაკავშირებით არ ხორციელდება) და ასევე ინფორმირებულ და დაინტერესებულ მყიდველს (რომელზეც არავითარი იძულება ან ზეწოლა ყიდვასთან დაკავსირებით არ ხორციელდება) შორის. „ობლიგაციონერთა წარმომადგენელი“ უფლებამოსილია დაეყრდნოს ტრანზაქციის „სამართლიანი საბაზრო ღირებულების“ შესახებ „დამოუკიდებელ შემფასებლის“ ანგარიშს, დამატებითი მოკვლევის ან მტკიცებულებების გარეშე.

"ფისკალური პერიოდი" არის ნებისმიერი საანგარიშო პერიოდი, რომელთან მიმართებაშიც „ემიტენტს“ მომზადებული აქვს კონსოლიდირებული ან ინდივიდუალური ფინანსური უწყისები „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად.

„მარეგულირებელი კანონმდებლობა“ ნიშნავს საქართველოს კანონმდებლობას.

"ჯგუფი" გულისხმობს „ემიტენტს“ და მის „შვილობილებს“ ერთობლიობაში.

"საქართველოს საფონდო ბირჟა" ("GSE") ნიშნავს სს „საქართველოს საფონდო ბირჟას“.

„გარანტია“ ნიშნავს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ძირითადი თანხისა და პროცენტის და „ემიტენტის“ მიერ გადასახდელ ყველა სხვა თანხებთან მიმართებით გადახდის უპირობო და გამოუხმობად თავდებობას „გარანტორთა“ მიერ სოლიდარული პასუხისმგებლობის საფუძველზე „თავდებობის ხელშეკრულების“ შესაბამისად (ერთობლივად **„გარანტიები“** და ინდივიდუალურად **„გარანტია“**). „გარანტიები“ ძალაში შევა „გამომგების თარიღიდან“.

„გარანტორი“ ნიშნავს ნებისმიერ ჩამოთვლილთაგანს: შპს „ჰიდროლეა“, შპს „გეოენერჯი“, შპს „ჰიდრო ჯორჯია“, შპს „კასლეტი 2“, შპს „ჯიარპისი თრედი“, სს „სვანეთის ჰიდრო“, შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“ და ნებისმიერი „მნიშვნელოვანი შვილობილი“.

„ჰიჯირების ვალდებულებები“ ნიშნავს, რომელიმე კონკრეტულ „პირთან“ მიმართებაში, ასეთი პირის ვალდებულებებს შემდეგი პირობებით:

- (ა) ვალუტის გაცვლის, საპროცენტო განაკვეთის ან სასაქონლო სვოპის ხელშეკრულებები, ვალუტის სვოპი, საპროცენტო განაკვეთის ან სასაქონლო (commodity cap) ხელშეკრულებები, ვალუტის გაცვლის, საპროცენტო განაკვეთის ან სასაქონლო (collar) ხელშეკრულებები და სავალუტო ან ფიუჩერსული კონტრაქტები;
- (ბ) სხვა ხელშეკრულებები ან შეთანხმებები, რომლებიც შექმნილია საპროცენტო განაკვეთების ან საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვისთვის; და
- (გ) სხვა ხელშეკრულებები ან შეთანხმებები, რომლებიც შექმნილია ამ „პირის“ დასაცავად ვალუტის კურსის ან საქონლის ფასების რყევებისგან.

„ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“ („IFRS“) არის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ყოფილი საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტები), რომელიც გამოიცემა საბუღალტრო სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (IASB) მიერ და ამავე საბჭოს საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების განმარტების კომისიის მიერ გამოცემული განმარტებები (მასში პერიოდულად შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით).

„ვალდებულება“ ნებისმიერ კონკრეტულ „პირთან“ მიმართებით ნიშნავს ამ „პირის“ ვალდებულებას, რომელიც (დარიცხული ხარჯებისა და სავაჭრო ვალდებულებების და დუბლირების გარეშე):

- (ა) წარმოქმნილია ამ „პირის“ მიერ თანხების სესხების შედეგად;
- (ბ) გამომდინარეობს ობლიგაციებიდან, თამასუქებიდან ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტებიდან;
- (გ) გამომდინარეობს აკრედიტივებიდან, საბანკო გარანტიებიდან, გარანტიებიდან ან მსგავსი ინსტრუმენტებიდან (გარდა ისეთი ვალდებულებებისა, რომლებიც დაკავშირებულია სავაჭრო ვალდებულებებთან), თითოეულ შემთხვევაში მხოლოდ იმ მოცულობით, რომლის მიმართაც შეიქმნა აღნიშნული ინსტრუმენტი. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, მსგავსი ინსტრუმენტები არ შეიცავს გარე საბალანსო ვალდებულებებს;
- (დ) წარმოადგენს „კაპიტალური იჯარის ვალდებულებას“

(ე) წარმოადგენს ნებისმიერ „ჰეჯირების ვალდებულებას“;

(ვ) წარმოადგენს ნებისმიერი სხვა ოპერაციის (მათ შორის, ნებისმიერი ფორვარდული ყიდვის ან გაყიდვის ხელშეკრულებების) ფარგლებში მოზიდულ თანხას, რაც ეკონომიკური ან კომერციული შინაარსით სესხის იდენტურია და ნებისმიერი „პირის“ ვალდებულების მოცულობა ნებისმიერი თარიღისათვის განისაზღვრება ამ თარიღის მდგომარეობით ზემოთ აღნიშნული ყველა უპირობო ვალდებულების დაუფარავი მოცულობით; ან

(ზ) წარმოადგენს სხვა „პირების“ „ვალდებულებებს“, რომლებიც უზრუნველყოფილია ზემოაღნიშნული კონკრეტული „პირის“ აქტივებზე „უზრუნველყოფის ღონისძიებით“, მიუხედავად იმისა, კისრულობს თუ არა ეს კონკრეტული „პირი“ აღნიშნული სხვა „პირების“ „ვალდებულებებს“ (იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული „ვალდებულების“ ოდენობა იქნება უმცირესი (i) განსაზღვრის თარიღისთვის ასეთი აქტივის „სამართლიანი საბაზრო ღირებულებასა“ (განსაზღვრული კეთილსინდისიერად, „ემიტენტის“ მიერ), და (ii) სხვა „პირების“ მიმართ არსებული ასეთი „ვალდებულებების“ ოდენობას, შორის) და, იმდენად, რამდენადაც სხვაგვარად არ არის მოცული ან გათვალისწინებული, მითითებული კონკრეტული „პირის“ მიერ გაცემული ნებისმიერი სხვა „პირის“ ნებისმიერი „ვალდებულების“ გარანტია,

იმ პირობით, რომ ზემოაღნიშნული „ვალდებულება“ ჩაითვლება „ვალდებულების“ ამ განმარტებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, და იმდენად, რამდენადაც, ეს დავალიანება გამოჩნდება ვალდებულებად ამ „პირის“ ბალანსზე, რომელიც მომზადებულია "ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" შესაბამისად.

ნებისმიერი „პირის“ „ვალდებულების“ ჯამური ოდენობა ნებისმიერ დროს განმეორებადი საკრედიტო ხაზის ან მსგავსი ინსტრუმენტის შემთხვევაში უნდა იყოს ჯამურად ნასესხები და დაუფარავი ვალდებულების ტოლი.

„ვალდებულება“ არ მოიცავს შემდეგს:

(ა) ყოველგვარი ექვის გამოსარიცხვად, ნებისმიერ პირობით ვალდებულებას დასაქმებულთა საკომპენსაციო მოთხოვნებთან, ნაადრევად გადადგომას ან საქმიანობის შეწყვეტასთან, საპენსიო ფონდის ვალდებულებებთან ან შენატანებთან, ან მსგავს მოთხოვნებთან, ვალდებულებებთან ან შენატანებთან ან სოციალურ უზრუნველყოფასთან ან სახელფასო გადასახადებთან დაკავშირებით;

(ბ) „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მიერ ბიზნესის შექმნასთან დაკავშირებით, ნებისმიერი გარიგების შემდგომი გადახდის კორექტირებას, რომლის უფლებაც გამყიდველს შეიძლება წარმოეშვას, რამდენადაც ასეთი გადახდა განსაზღვრულია გარიგების დასრულების შემდგომ საბოლოო საბალანსო ანგარიშგების მიხედვით, ან რამდენადაც ასეთი გადახდა დამოკიდებულია გარიგების დასრულების შემდეგ ამ ბიზნესის შედეგების შეფასებაზე; თუმცა, იმ პირობით, რომ თუ გარიგების დასრულებისას, ნებისმიერი ასეთი გადახდის ოდენობის განსაზღვრა ვერ ხერხდება, და გადახდის ოდენობა დაფიქსირება და განსაზღვრა ხდება გარიგების დასრულების შემდგომ, ასეთი თანხის გადახდა მოხდება 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში;

(გ) „ემიტენტის“ ან „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მიერ მიღებულ დეპოზიტებს ან წინასწარ გადახდებს მიწოდებული ან მიღებული მომსახურებისა და პროდუქციისთვის;

(დ) „დამფუძნებლის სუბორდინირებულ დაფინანსებას“; ან

(ე) „ემიტენტის“ ან/და მისი „შვილობილების“ მიერ, ან მათი სახელით, ან მათ სასარგებლოდ შექმნილ ან გამოსყიდულ „ობლიგაციებს“.

„დამოუკიდებელი შემფასებელი“ არის „აუდიტორული კომპანია“ ან მესამე მხარე – ექსპერტი, რომელიც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შეირჩევა „ემიტენტის“ მიერ და (ა) წარმოადგენს ნებისმიერს დიდი ოთხეული საბუღალტრო/აუდიტორული ფირმებიდან (Deloitte & Touche, Ernst & Young, KPMG ან PricewaterhouseCoopers და მათი წევრი ფირმები და ფილიალები), ან (ბ) დამტკიცებულ იქნება „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მიერ იმ პირობით, რომ ეს ფირმა ან მესამე მხარე არ უნდა იყოს „ემიტენტთან“ „აფილირებული პირი“.

„გამოშვების თარიღი“ ნიშნავს თარიღს, როდესაც ხდება ობლიგაციების „გამოშვება, როგორც ეს დადგენილია „შეთავაზების პირობების დოკუმენტით“.

„უზრუნველყოფის ღონისძიება“ ნიშნავს ნებისმიერ გირავნობას, იპოთეკას, დატვირთვას, ყადაღას ან სხვა სახის უზრუნველყოფას, იმის მიუხედავად აღნიშნული რეგისტრირებული, დაფიქსირებული ან სხვაგვარად აღრიცხული არის თუ არა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ნებისმიერი პირობითი გაყიდვის ან სხვა საკუთრების შენარჩუნების ხელშეკრულების ჩათვლით, ნებისმიერი იჯარა, ნებისმიერი ოფცია ან სხვა შეთანხმება უზრუნველყოფის უფლების გაყიდვის ან გადაცემის შესახებ და ნებისმიერი განცხადებით მიმართვა ან შეთანხმება ფინანსირების შესახებ (მათ შორის, ნებისმიერ იურისდიქციაში ზემოაღნიშნულის ანალოგიურ სხვა სახის სამართლებრივ უზრუნველყოფას).

„სრული მოცულობით გამოსყიდვის პრემია“ ნიშნავს ნებისმიერი „ობლიგაციისთვის“, რომელიც გამოსყიდულია 7(დ) ქვეპუნქტის შესაბამისად („ნებაყოფლობითი გამოსყიდვა სრული მოცულობით“) ნებისმიერი გამოსყიდვის თარიღზე, წარმოადგენს შემდეგ (i) ქვეპუნქტის (ii) ქვეპუნქტზე ნამეტს: (i) აღნიშნული გამოსყიდვის თარიღზე 2024 წლის 12 ოქტომბრის მდგომარეობით „ობლიგაციების“ გამოსყიდვის ფასის დღევანდელ ღირებულებას (აღნიშნული გამოსყიდვის ფასი განსაზღვრულია „პირობების“ 7(ვ) ქვეპუნქტში მოცემული ცხრილით („ნებაყოფლობითი გამოსყიდვა შეზღუდული გამოსყიდვის პერიოდში“), დამატებული ნებისმიერი გადასახდელი პროცენტი, რომელიც სხვაგვარად უნდა გადახდილი ყოფილიყო აღნიშნულ „ობლიგაციაზე“ „გამოსყიდვის ოფციის ანგარიშსწორების თარიღიდან“ 2024 წლის 12 ოქტომბრამდე (გამოსყიდვის თარიღამდე დარიცხული, მაგრამ გადაუხდელი პროცენტის გამოკლებით), დისკონტირებული „გამოსყიდვის ოფციის ანგარიშსწორების თარიღზე“ დადგენილი სახაზინო განაკვეთისა და 50 საბაზისო პუნქტის ჯამით (ii) „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ მთლიანი ძირი თანხა „გამოსყიდვის ოფციის ანგარიშსწორების თარიღზე“, რომელიც გამოითვლება „ემიტენტის“ ან „ემიტენტის“ სახელით ისეთი „პირის“ მიერ, რომელსაც დაადგენს „ემიტენტი“, იმ პირობით, რომ თუ „სრული მოცულობით გამოსყიდვის პრემიის“ ოდენობა ნებისმიერ დროს განსაზღვრება ნულზე ნაკლები მოცულობით, ასეთ შემთხვევაში „სრული მოცულობით გამოსყიდვის პრემიის“ ოდენობა ნულის ტოლად ჩაითვლება. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, „სრული მოცულობით გამოსყიდვის პრემიის“ გაანგარიშება არ იქნება „რეგისტრატორის“ ან „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მოვალეობა ან ვალდებულება.

„არსებითად უარყოფითი გავლენა“ ნიშნავს მატერიალურ უარყოფით ცვლილებას ან მატერიალურ უარყოფით გავლენას (ა) ბიზნესზე, ქონებებზე, მდგომარეობაზე (ფინანსური ან სხვაგვარი), „ემიტენტის“ ან „ჯგუფის“ ოპერაციების შედეგებზე ან პერსპექტივაზე; (ბ) „ემიტენტის“ და/ან „გარანტორების“ უნარზე, შესრულონ მათი „ობლიგაციებით“ ან „გარანტიებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები; (გ) „ობლიგაციების“ ან „გარანტიების“ მოქმედებაზე ან აღსრულებადობაზე.

„მნიშვნელოვანი შვილობილი“ არის „ემიტენტის“ ნებისმიერი „შვილობილი“, რომელიც აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ რომელიმე პირობას:

- ა) რომელიც უკანასკნელი „ფისკალური პერიოდის“ დასრულებისას ფლობდა „ემიტენტის“ ან/და მისი სხვა „შვილობილების“ „კონსოლიდირებული მთლიანი აქტივების“ 10%-ზე (ათ პროცენტზე) მეტს („ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ემიტენტის“ კონსოლიდირებული ფინანსური უწყისების მიხედვით, კომპანიათაშორისი ელიმინაციების შემდეგ); ან
- ბ) რომლის „კონსოლიდირებული EBITDA-ც“ უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ შეადგენდა „ემიტენტის“ ან/და მისი სხვა „შვილობილების“ „კონსოლიდირებული EBITDA-ს“ 10%-ზე (ათი პროცენტი) მეტს („ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ემიტენტის“ და „შვილობილების“ კონსოლიდირებული ფინანსური უწყისების მიხედვით, კომპანიათაშორისი ელიმინაციების შემდეგ); ან
- გ) წარმოადგენს „შვილობილს“, რომელსაც გადაეცემა პრაქტიკულად ყველა აქტივი და ვალდებულება „ემიტენტის“ იმ „შვილობილისაგან“, რომელიც ამგვარი გადაცემის მომენტამდე წარმოადგენდა „მნიშვნელოვან შვილობილს“ (ვრცელდება ამ ტრანზაქციის თარიღის შემდგომ); ან
- დ) არის „გარანტორი“.

„ნომინალური მფლობელი“ ნიშნავს ფასიანი ქაღალდების ნომინალურ მფლობელს („ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელი“) „ფასიანი ქაღალდების კანონით“ განსაზღვრული მნიშვნელობით.

„მშობელი“ ნიშნავს ნებისმიერ „პირს“, რომლის „შვილობილსაც“ წარმოადგენს, ან „გამოშვების თარიღის“ შემდგომ გახდება „ემიტენტი“, რის შედეგადაც ასეთ „პირს“ აქვს პირდაპირი ან არაპირდაპირი უფლებამოსილება, წარმართოს ან განსაზღვროს „ემიტენტის“ მენეჯმენტისა და პოლიტიკის მიმართულება, ხმის მიცემის უფლების მქონე ფასიანი ქაღალდების ფლობის მეშვეობით თუ სხვაგვარად.

„მესაკუთრე“ გულისხმობს „ემიტენტის“ „შვილობილს“, რომელიც მიწის ნაკვეთებთან მიმართებით წარმოადგენს უძრავი ქონების მესაკუთრეს და აღნაგობის უფლებით მოსარგებლეს, რომლებიც „იპოთეკის ხელშეკრულებით“ იპოთეკით დაიტვირთება „ობლიგაციონერების“ სასარგებლოდ.

"ნებადართული უზრუნველყოფა" არის:

- (ა) „გამოშვების თარიღისთვის“ არსებული „უზრუნველყოფის ღონისძიება“;
- (ბ) „შვილობილის“ მიერ „ემიტენტის“, ან „ემიტენტის“ სრულ საკუთრებაში მყოფი „შვილობილის“ სასარგებლოდ გაცემული „უზრუნველყოფის ღონისძიება“;
- (გ) „პირის“ „ვალდებულების“ „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც არსებობდა იმ მომენტისათვის, როდესაც მოხდა ამგვარი „პირის“ შერწყმა „ემიტენტთან“ ან მის „შვილობილთან“, ან როდესაც ეს „პირი“ გახდა „ემიტენტის“ „შვილობილი“, ამასთან, იმ პირობით, რომ ასეთი „უზრუნველყოფის ღონისძიება“ (i) არ წარმოქმნილა ამგვარ შერწყმასთან დაკავშირებით, და (ii) არ ვრცელდება „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილის“ რაიმე აქტივზე ან ქონებაზე (გარდა, ამ შემთხვევაში „პირის“ და მისი „შვილობილების“ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აქტივებისა ან ქონებისა);
- (დ) „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილის“ მიერ შეძენილ აქტივებზე ან ქონებაზე არსებული „უზრუნველყოფის ღონისძიება“, იმ პირობით, რომ ასეთი „უზრუნველყოფის ღონისძიება“ არ წარმოქმნილა ამგვარი შეძენასთან დაკავშირებით, და არ ვრცელდება რაიმე სხვა აქტივზე ან ქონებაზე (გარდა, შეძენილი აქტივების ან ქონების ნაყოფისა);
- (ე) „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც გაიცემა „ჯგუფის“ რომელიმე წევრის მიერ შესაძენ ქონებასთან დაკავშირებით, ამგვარი ქონების ნასყიდობის ფასის გადახდის, ან მხოლოდ ამ ქონების შეძენის და შეძენასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად წარმოქმნილი „ვალდებულების“ უზრუნველსაყოფად. ამასთან, ამგვარი „უზრუნველყოფის ღონისძიებით“ უზრუნველყოფილი „ვალდებულების“ მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ქონების შეძენის ფასის, შეძენასთან დაკავშირებული ხარჯების ან/და ქონების შეძენის დასაფინანსებლად წარმოქმნილი „ვალდებულების“ ოდენობას;
- (ვ) ნებისმიერი გაქვითვის მექანიზმი, რომლის მხარესაც წარმოადგენს „ჯგუფის“ რომელიმე წევრი მისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კრედიტისა და დებიტის ბალანსის ურთიერთგაქვითვის მიზნით;
- (ზ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის ღონისძიება“, ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივზე ან შემოსავალზე, ასევე მათ ნაწილზე, რომელიც გაიცემა მისაღები თანხებით სექიურითიზაციასთან, ან აქტივებით გამყარებულ დაფინანსებასთან ან მსგავსი ტიპის სხვა დაფინანსებასთან დაკავშირებით, სადაც ყველა გადახდის ვალდებულება დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან იმ პირობით, რომ იმ აქტივებისა და შემოსავლების ჯამური ღირებულება, რომლებზეც ვრცელდება „უზრუნველყოფის ღონისძიება“ არ უნდა აღემატებოდეს უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსის მიხედვით დაანგარიშებული „ემიტენტის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 10% (ათი პროცენტს);
- (თ) „უზრუნველყოფის ღონისძიება“, არსებულ ან სამომავლო აქტივებზე ან შემოსავლებზე, ან მათ ნაწილზე, რაც შექმნილია „რეპო ოპერაციის“ შესაბამისად;
- (ი) „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც გამომდინარეობს ნებისმიერი შეთანხმებიდან (ან სხვა შესაბამისი პირობიდან), რაც სტანდარტულია ან ჩვეულია შესაბამის ბაზარზე და უკავშირდება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკის ჰეჯირების ოპერაციებს;
- (კ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც წარმოიქმნება კანონის ძალით და ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში, მათ შორის საგადასახადო და სხვა არა-ნებაყოფლობითი უზრუნველყოფა/დატვირთვა“;

(ლ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც სხვაგვარად არ ყოფილა განსაზღვრული / ნებადართული ზემოთმოყვანილ ქვეპუნქტებში (ა)–დან (ვ)–ს ჩათვლით, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის ღონისძიებით“ უზრუნველყოფილი „ვალდებულების“ ჯამური ძირი თანხა, დროის ნებისმიერ მონაკვეთში, არ აღემატება 8,000,000 (რვა მილიონი) აშშ დოლარს (ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში) ან უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ბალანსის მიხედვით დაანგარიშებული „ჯგუფის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 5% (ხუთ პროცენტს), რომელიც უფრო ნაკლებია.

„პირი“ არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, კორპორაცია, ფირმა, ამხანაგობა, ერთობლივი საწარმო, ასოციაცია, სატრასტო გაერთიანება, დაწესებულება, ორგანიზაცია ან სახელმწიფო ორგანო, მიუხედავად იმისა გააჩნია თუ არა მას ცალკე იურიდიული პირის სტატუსი.

„პრივილეგირებული აქცია“, როგორც ნებისმიერი პირის „სააქციო კაპიტალი“, ნიშნავს ნებისმიერი კლასის ან კლასების კაპიტალს (როგორც არ უნდა კლასიფიცირდებოდეს), რომელიც უპირატესობით სარგებლობს დივიდენდების გადახდის ან აქტივების განაწილების ნებისმიერი ნებაყოფლობითი ან არანებაყოფლობითი ლიკვიდაციის დროს ან ასეთი პირის დაშლისას, ასეთი პირის ნებისმიერი სხვა კლასის „კაპიტალის აქციებთან“ მიმართებით.

„აკრძალული პირები“ ნიშნავს ნებისმიერ პირს, ორგანიზაციას ან ორგანიზაციულ წარმონაქმნს, რომელიც (i) არის განსაზღვრული OFAC-ის სპეციალურად განსაზღვრულ მოქალაქეთა და ბლოკირებული პირების სიაში, ევროკავშირის ფინანსურ სანქციებს დაქვემდებარებული პირების, ჯგუფებისა და ერთეულების კონსოლიდირებულ სიაში, ან ფინანსური სანქციების სამიზნე პირთა კონსოლიდირებულ სიაში, რომელიც ინახება მისი უდიდებულებობის ხაზინაში, ან სანქციების განმახორციელებელი სააგენტოს მიერ განსაზღვრული სამიზნე პირების ნებისმიერ სიაში; (ii) არის „სანქცირებული ქვეყნის“ მთავრობა ან მისი ნაწილი; (iii) ფლობს ან აკონტროლებს, ან მოქმედებს რომელიმე ზემოაღნიშნულის სახელით; ან (iv) მდებარეობს ან ოპერირებს „სანქცირებულ ქვეყანაში“ / „სანქციონირებული ქვეყნიდან“.

„პროსპექტს“, „წინასწარ პროსპექტს“, „საბოლოო პროსპექტს“, „შეთავაზების პირობების დოკუმენტს“, „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტს“, „შეთავაზებას“ (იგივე, რაც საჯარო შეთავაზება) და ნებისმიერ სხვა ტერმინს, რომელიც არ არის განმარტებული წინამდებარე „პირობებში“ აქვს „ფასიანი ქაღალდების კანონის“ შესაბამისად განსაზღვრული მნიშვნელობა.

„რეკო ოპერაცია“ ნიშნავს ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის ან გადაყიდვის შეთანხმებას, ასევე უკუ– გამოსყიდვის ან უკუ–გადაყიდვის შეთანხმებას, ფასიანი ქაღალდების თხოვების ან შესხების შეთანხმებას, ასევე ნებისმიერ შეთანხმებას, რომელიც უკავშირდება ფასიან ქაღალდებს და გააჩნია ზემოთ აღნიშნულის მსგავსი ხასიათი.

„აკრძალულ გადახდას“ აქვს „პირობების“ 5(ზ) ქვეპუნქტით მინიჭებული მნიშვნელობა.

„სანქცირებული ქვეყანა“ ნიშნავს ქვეყანას, რეგიონს ან ტერიტორიას, რომელიც არის „სანქციების“ საგანი ან სამიზნე, მათ შორის შემდეგი ქვეყნების გათვალისწინებით და შეუზღუდავად: ყირიმი, კუბა, ირანი, მიანმარი, ჩრდილოეთ კორეა, სამხრეთ სუდანის, სუდანი, სირია და სევასტოპოლი.

„სანქციები“ ნიშნავს ნებისმიერ სანქციას ან სხვა მსგავს შემზღუდველ ზომას, რომელსაც ადმინისტრირებას უწევს ან/და აღასრულებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროკავშირი (ან მისი რომელიმე წევრი ქვეყანა), გაერთიანებული სამეფო ან სხვა ეკვივალენტური სამთავრობო ან მარეგულირებელი ორგანო, დაწესებულება ან სააგენტო, რომელიც ადმინისტრირებას უწევს ეკონომიკურ, ფინანსურ ან სავაჭრო სანქციებს, ან რომელიმე ზემოაღნიშნულის შესაბამის სამთავრობო დაწესებულებები და სააგენტოები, მათ შორის, შეუზღუდავად: OFAC, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი და მათ შორის, შეუზღუდავად, "სპეციალურად

განსაზღვრული მოქალაქის“ ან „დაბლოკილი პირის“ განსაზღვრა, შეერთებული შტატების ვაჭრობის დეპარტამენტი, გაეროს უშიშროების საბჭო და მისი უდიდებულესობის ხაზინა.

„ფასიანი ქაღალდების კანონი“ ნიშნავს 1998 წლის 24 დეკემბერს მიღებულ საქართველოს კანონს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

„ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობას“ აქვს „ფასიანი ქაღალდების კანონის“ შესაბამისად განსაზღვრული მნიშვნელობა.

„უზრუნველყოფა/დატვირთვა ღონისძიება“ ნიშნავს ნებისმიერ გირაოს, იპოთეკას, დატვირთვას, ყადაღა ან სხვა სახის უზრუნველყოფას (მათ შორის, ნებისმიერ იურისდიქციაში ზემოაღნიშნულის ანალოგიურ სხვა სახის სამართლებრივ უზრუნველყოფას).

„გამოყოფა (Spin-Off)“ გულისხმობს შპს „დარჩის“ მისი 100%-იანი მფლობელის, შპს „ჰიდროლევასგან“ ცალკე გამოყოფას, რომელიც განხორციელდება შპს „დარჩის“ 100% (ასი პროცენტი) აქტივებისა და წილობრივი მონაწილეობის გადაცემით სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის კომპანიისთვის“ ან მასთან „აფილირებული პირისთვის“.

„დაფარვის დათქმული თარიღი“ ან **„დაფარვის თარიღი“** ნიშნავს პროცენტის ან ძირის ნებისმიერი შენატანისთვის ნებისმიერი „ვალდებულების“ სერიაზე ისეთ თარიღს, რომელზეც დაგეგმილია პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდა აღნიშნული „ვალდებულების“ მარეგულირებელ დოკუმენტაციაში, მისი წარმოქმნის პირველი თარიღიდან წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად და არ მოიცავს რაიმე პირობით ვალდებულებას აღნიშნული პროცენტის თუ ძირის თავდაპირველად დათქმულ ვადამდე გადასახდელად. „ობლიგაციებისთვის“ მისი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეთანხმებულ „დაფარვის თარიღს“ განსაზღვრავს „შეთავაზების პირობების დოკუმენტი.“

„დამფუძნებლის სუბორდინირებული დაფინანსება“ ნიშნავს ნებისმიერ სახსრებს, რომელიც მიეწოდება „ემიტენტს“ ნებისმიერი „მშობლის“, ნებისმიერი „მშობლის“ ნებისმიერი „აფილირებული პირის“ ან მისი „აფილირებული პირის“ მიერ ნებისმიერი ფასიანი ქაღალდის, ინსტრუმენტის ან ხელშეკრულების სანაცვლოდ ან მის შესაბამისად, გარდა „წილობრივი მონაწილეობისა“, რომელიც თითოეულ შემთხვევაში გაცემულია ნებისმიერი ზემოაღნიშნული „პირის“ მიერ და არის მის მფლობელობაში, ნებისმიერ ასეთ ფასიან ქაღალდთან, ინსტრუმენტთან ან ხელშეკრულებასთან და „წილობრივი მონაწილეობის“ გარდა სხვა ნებისმიერ ფასიან ქაღალდთან ან ინსტრუმენტთან ერთად, რომლებიც გაცემულია ნებისმიერი „დამფუძნებლის სუბორდინირებული დაფინანსებით“ აღებული ვალდებულების გადახდისას; თუმცა, იმ პირობით, რომ ასეთი „დამფუძნებლის სუბორდინირებული დაფინანსება“:

- (ა) არ იფარება და არ მოითხოვს რაიმე ამორტიზაციას, განაღდება ან სხვაგვარ გადახდას ძირი თანხის ან ე.წ. „sinking fund“ პრინციპით გადახდას „ობლიგაციების“ „დაფარვის დათქმული თარიღის“ გასვლიდან პირველ წლის ბოლომდე (გარდა ამ ტიპის დაფინანსების „ემიტენტის“ „წილობრივი მონაწილეობის“ ინსტრუმენტში გარდაქმნის ან გადაცვლის გზით (გარდა „დისკვალიფიცირებული აქციისა“) ან ნებისმიერი დაფინანსება, რომელიც აკმაყოფილებს ამ განმარტების მოთხოვნებს);
- (ბ) „ობლიგაციების“ „დაფარვის დათქმული თარიღის“ გასვლიდან პირველი წლის ბოლომდე არ მოითხოვს ფულადი საპროცენტი სარგებლის გადახდას, თანხის გამოქვითვას, გასესხებული სახსრების ზრდას, ან სხვა მსგავს გადახდებს;
- (გ) არ მოიცავს „კონტროლის“ ან მსგავსი დებულებების ცვლილებას და არ იწვევს და არ აქვს არანაირი უფლება გამოაცხადოს „დეფოლტი“ ან „დეფოლტის შემთვევა“ ან განახორციელოს რაიმე სააღსრულებო ქმედება „ობლიგაციების“ „დაფარვის დათქმული თარიღის“ გასვლის პირველი წლის ბოლომდე
- (დ) არ უზრუნველყოფს ან მოითხოვს რაიმე ტიპის „უზრუნველყოფის ღონისძიებას“ „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილის“ ნებისმიერ აქტივზე;
- (ე) არ მოიცავს რაიმე ტიპის კოვენანტს (ფინანსურს ან სხვაგვარს) გარდა „დამფუძნებლის სუბორდინირებული დაფინანსების“ დაფარვის ვადაზე გადახდის ვალდებულებას; და

(ვ) მისი პირობების ან სხვა ხელშეკრულების საფუძველზე, სრულად სუბორდინირებული და გადახდის უფლების კუთხით ქვედა საფეხურზე მდგომი „ობლიგაციებთან“ და „გარანტიებთან“ მიმართებაში გადახდის უფლების სუბორდინაციის, გადახდის დაბლოკვისა და აღსრულების შეზღუდვის პირობებით, რაც ზოგადი პრაქტიკაა ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით მსგავსი დაფინანსებებისთვის.

„შვილობილი“ ნებისმიერ “პირთან” (შემდგომში „პირველი პირი“) მიმართებით ნიშნავს ნებისმიერ მეორე „პირს“ (შემდგომში „მეორე პირი“) (ა) რომლის საქმიანობა და პოლიტიკა პირდაპირ ან ირიბად ახორციელებს „კონტროლს“ „პირველი პირის“ მიერ, ან (ბ) რომელშიც „პირველი პირი“ პირდაპირ ან ირიბად ფლობს კაპიტალის, ხმის უფლების მქონე აქციების ან წილის 50 % (ორმოცდაათ პროცენტზე) მეტს; ამ „პირობების“ მიზნებისთვის, „ემიტენტის“ არაპირდაპირი შვილობილი მშპ „დარჩი“ არც ერთ შემთხვევაში არ წარმოადგენს „შვილობილს“.

„გადასახად(ებ)ი“ ნიშნავს ნებისმიერი სახის გადასახადს, ბაჟს, მოსაკრებელს ან სხვა მსგავს გადასახდელს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი იურისდიქციით არის იგი განპირობებული (მათ შორის, დარიცხული ჯარიმები და საურავები) და რა ფორმით არის დაკისრებული.

„სახაზინო განაკვეთი“ ნიშნავს გამოთვლის დროს არსებულ ამერიკის შეერთებული შტატების სახაზინო ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადამდე შემოსავლიანობის განაკვეთს, მუდმივი ვადიანობით „გამოსყიდვის ოფციის ანგარიშსწორების თარიღიდან“ „დაფარვის თარიღამდე“. „ემიტენტი“ აღნიშნულ შემოსავლიანობის განაკვეთს მოიპოვებს ფედერალური სარეზერვო სტატისტიკის უახლეს გასაჯაროებულ გამოცემაში H.15 (519), რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა მინიმუმ 2 (ორი) „სამუშაო დღით“ ადრე (მაგრამ არა უმეტეს 5 (ხუთი) „სამუშაო დღისა“ „გამოსყიდვის ოფციის ანგარიშსწორების თარიღამდე“ (ან, თუ ასეთი სტატისტიკური გამოცემა ასე არ არის გამოქვეყნებული ან ხელმისაწვდომი, „ემიტენტის“ მიერ კეთილსინდისიერად შერჩეული მსგავსი ბაზრის მონაცემების საჯაროდ ხელმისაწვდომი წყარო)); თუმცა, იმ პირობით, რომ თუ პერიოდი „გამოსყიდვის ოფციის ანგარიშსწორების თარიღიდან“ „ობლიგაციების“ „დაფარვის თარიღამდე“ არ არის შეერთებული შტატების სახაზინო ფასიანი ქაღალდის მუდმივი ვადიანობის ტოლი, რომლისთვისაც მოცემულია ყოველკვირეული საშუალო შემოსავლიანობა, სახაზინო განაკვეთი დგინდება წრფივი ინტერპოლაციით (გამოთვლილი წლის მეთორმეტედის ყველაზე ახლოს მდგომ ნიშნულთან) შეერთებული შტატების სახაზინო ფასიანი ქაღალდების ყოველკვირეული საშუალო შემოსავლიანობისგან, რომლებისთვისაც მოცემულია ასეთი განაკვეთები, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პერიოდი „გამოსყიდვის ოფციის ანგარიშსწორების თარიღიდან“ „ობლიგაციები“ „დაფარვის თარიღამდე“ არის 1 (ერთ) წელზე ნაკლები, გამოყენებული იქნება შეერთებული შტატების სახაზინო ისეთი ფასიანი ქაღალდების ყოველკვირეული საშუალო სარგებელი, რომლებიც ივაჭრება და კორექტირებულია 1 (ერთი) წლის მუდმივ ვადაზე.

„დაუფარავი“ გულისხმობს ისეთ „ობლიგაციებს“, რომლებიც განთავსებულია, მაგრამ არ მომხდარა მათი გამოსყიდვა, დათქმულ ვადამდე ან ვადამოსულობის გამო დაფარვა ან გაუქმება ამ „პირობების“ შესაბამისად („დაფარვა“ განიმარტება შესაბამისად).

“Georgia Capital PLC” („GCAP“) გულისხმობს „ემიტენტის“ 100%-იან საბოლოო მფლობელს და არაპირდაპირ მესაკუთრეს, რომელიც სავაჭროდ დაშვებულია ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ სეგმენტზე.

16. მარეგულირებელი სამართალი და იურისდიქცია

(ა) **მარეგულირებელი სამართალი:** „პროსპექტი“ და „ობლიგაციები“, ასევე მათგან გამომდინარე ან მათთან დაკავშირებული ნებისმიერი არასახელშეკრულებო ვალდებულება, წესრიგდება და განიმარტება საქართველოს კანონდებლობის შესაბამისად.

(ბ) იურისდიქცია:

ნებისმიერი დავა, დაპირისპირება ან სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს ან უკავშირდება წინამდებარე „პროსპექტს“ ან/და „ობლიგაციებს“, გადაწყდება არბიტრაჟის მიერ მოქმედი UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად, ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (LCIA) მიერ დანიშნული ერთი არბიტრის მიერ. საარბიტრაჟო განხილვის ადგილი იქნება ლონდონი, ინგლისი, ხოლო საარბიტრაჟო განხილვის ენა - ინგლისური. არბიტრაჟი უფლებამოსილი იქნება განიხილოს და გააერთიანოს ნებისმიერ პროცესში ან გადაწყვეტილებაში მის წინაშე სათანადოდ აღძრული ნებისმიერი დამატებითი დავა, იმდენად რამდენადაც ასეთი დავა გამომდინარეობს წინამდებარე „პროსპექტიდან“ ან/და „ობლიგაციებიდან“.

„ობლიგაციების“ დაბეგვრა საქართველოში

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ძირითადი საგადასახადო საკითხების ზოგად აღწერას. შესაბამისად, აღნიშნული არ წარმოადგენს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული საგადასახადო საკითხების ამომწურავ შეფასებას. „ობლიგაციების“ პოტენციურმა შემძენებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ საგადასახადო მრჩეველებთან „ობლიგაციების“ შექმნასთან, ფლობასთან და გასხვისებასთან დაკავშირებით, ასევე „ობლიგაციებიდან“ პროცენტის, ძირითადი თანხის ან/და სხვა შემოსავლების მიღების შესახებ და ამგვარი ქმედებების საგადასახადო შედეგების თაობაზე. მიმოხილვა ეფუძნება წინამდებარე „პროსპექტის“ შედგენის თარიღისთვის მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც შეიძლება შეიცვალოს აღნიშნული თარიღის შემდეგ. ამ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია და ანალიზი შეეხება მხოლოდ საგადასახადო საკითხებს და პოტენციურმა ინვესტორებმა არ უნდა გამოიყენონ ეს ინფორმაცია ან ანალიზი სხვა სფეროებში, მათ შორის „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ტრანზაქციების ნამდვილობასთან მიმართებით.

პროცენტზე საშემოსავლო გადასახადის დაკავება

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, „ობლიგაციონერებისათვის“ (რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და არარეზიდენტი იურიდიული პირები) გადახდილი პროცენტი ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას საშემოსავლო გადასახადის 5 (ხუთ) პროცენტის განაკვეთით. გარდა ამისა, ზემოთ მითითებული გადახდის წყაროსთან დაბეგრილი საპროცენტო შემოსავალი არ ჩაითვლება მიმღები რეზიდენტი ფიზიკური პირის ერთობლივ შემოსავალში.

„ობლიგაციებზე“ დარიცხული პროცენტი გათავისუფლებულია წყაროსთან საშემოსავლო გადასახადის დაკავებისგან და ის არ ჩაითვლება „ობლიგაციონერის“ ერთობლივ შემოსავალში, თუ „ობლიგაციები“ გამოშვებულია რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2023 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე არის სავაჭროდ დაშვებული (საქართველოს საფონდო ბირჟის A ან B კატეგორიის ლისტინგში).

„ობლიგაციებზე“ დარიცხული პროცენტი გათავისუფლებულია წყაროსთან საშემოსავლო გადასახადის დაკავებისგან და არ ჩაითვლება „ობლიგაციონერის“ ერთობლივ შემოსავალში, თუ „ობლიგაციები“ გამოშვებულია საქართველოს რეზიდენტი საწარმოს მიერ და დაშვებულია სავაჭროდ უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟის ლისტინგში.

ისეთი „ობლიგაციონერებისთვის“ გადახდილი პროცენტი, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან იმ ქვეყნებში, რომელთაც შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმი გააჩნიათ და საქართველოს მთავრობის მიერ აღიარებულნი არიან ოფშორულ იურისდიქციებად, დაიბეგრება 15 პროცენტის განაკვეთით.

საქართველოში მიღებული საპროცენტო შემოსავლის წყაროსთან დასაკავებელ გადასახადზე შესაძლოა ასევე გავლენა იქონიოს საქართველოსა და არარეზიდენტი „ობლიგაციონერის“ რეზიდენტობის ქვეყანას შორის არსებულმა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებამ.

„ობლიგაციების“ გასხვისების დაბეგვრა

რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი გათავისუფლებულია დაბეგვრისაგან საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის.

თუ ზემოხსენებული საგადასახადო შეღავათი არ ვრცელდება, „ობლიგაციის“ გასხვისებისას შესაძლოა წარმოიშვას შემდეგი საგადასახადო ვალდებულები:

არარეზიდენტი იურიდიული პირი „ობლიგაციონერების“ მიერ „ობლიგაციების“ რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა:

არარეზიდენტი იურიდიული პირების მოგება (დასაბეგრი ობიექტი - საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) 15 პროცენტის განაპირობებით იბეგრება, თუ ამგვარი რეალიზაცია საგადასახადო ვალდებულებას წარმოშობს, გამყიდველი არარეზიდენტი იურიდიული პირი ვალდებული იქნება სწორად მოახდინოს გადასახადის გაანგარიშება, დეკლარაციის წარდგენა და გადახდა საგადასახადო ორგანოში თუ „ობლიგაციების“ რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი საბროკერო კომპანიის საშუალებით, ეს კომპანია იქნება პასუხისმგებელი ამ გადასახადის წყაროსთან დაკავებაზე. საქართველოში მოგების გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებამ, რომელიც საქართველოს აქვს გაფორმებული ქვეყანასთან, რომლის რეზიდენტაც არის გამყიდველი პირი.

არარეზიდენტი ფიზიკური პირი „ობლიგაციონერების“ მიერ „ობლიგაციების“ რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა:

არარეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ „ობლიგაციების“ გასხვისებიდან მიღებული ნამეტი შემოსავალი (დასაბეგრი ობიექტი - საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება 20 პროცენტის განაპირობებით თუ ამგვარი რეალიზაცია საგადასახადო ვალდებულებას წარმოშობს, გამყიდველი არარეზიდენტი ფიზიკური პირი ვალდებული იქნება სწორად მოახდინოს გადასახადის გაანგარიშება, დეკლარაციის წარდგენა და გადახდა საგადასახადო ორგანოში თუ „ობლიგაციების“ რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი საბროკერო კომპანიის საშუალებით, ეს კომპანია იქნება პასუხისმგებელი ამ გადასახადის წყაროსთან დაკავებაზე. საქართველოში მოგების გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებამ, რომელიც საქართველოს აქვს გაფორმებული ქვეყანასთან, რომლის რეზიდენტაც არის გამყიდველი პირი.

გამონაკლისები შეიძლება გავრცელდეს ცალკეულ „ობლიგაციონერებზე“, თუ ისინი „ობლიგაციებს“ ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ვადით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

რეზიდენტი იურიდიული პირი „ობლიგაციონერების“ მიერ „ობლიგაციების“ რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა:

საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ „ობლიგაციების“ გასხვისებისას მიღებული ნამეტი შემოსავალი (საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მოგების განაწილებისას (15%-იანი განაკვეთით) ან ყოველწლიურად თუ იურიდიული პირი არის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309.94 მუხლით ჩამოთვლილი საწარმოები (კომერციული ბანკი, საკრედიტო კავშირი, სადაზღვევო ორგანიზაცია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და სესხის გამცემი სუბიექტი)..

რეზიდენტი ფიზიკური პირი „ობლიგაციონერების“ მიერ ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა:

რეზიდენტი ფიზიკური პირების ნამეტი შემოსავალი (დასაბეგრი ობიექტი - საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება 20 პროცენტის განაპირობებით თუ რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი საბროკერო კომპანიის საშუალებით, ის იქნება პასუხისმგებელი წყაროსთან შესაბამისი გადასახადების დაკავებაზე.

გამონაკლისები შეიძლება გავრცელდეს ცალკეულ „ობლიგაციონერებზე“, თუ ისინი „ობლიგაციებს“ ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

ძირითადი თანხის გადახდის დაბეგვრა

„ობლიგაციების“ გამოსყიდვისას „ობლიგაციონერების“ მიერ მიღებული ძირითადი თანხა არ ჩაითვლება დასაბეგრ შემოსავლად და არ დაექვემდებარება საქართველოში დაბეგვრას იმ პირობით, თუ გამოსყიდვის ფასი ვადის დადგომისას არ აღემატება თავდაპირველი გამოშვების ფასს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

„ობლიგაციების“ რეალიზაცია (მიწოდება) თავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისგან საქართველოში.